

სამხედრო უსამართლო და სამართლებრივ სწავლების თეორია

ა.ა. ივანოვი, ნ. დარბაიძე

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია

რეკომენდებულია სასწავლო-მეთოდური ცენტრის
– „პროფესიული სახელმძღვანელო“ – მიერ სასწავლო
თვალსაჩინოების სახით უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების
სტუდენტებისათვის



სამართლიანი საქართველო

თბილისი 2009

გამომცემლობის მთავარი რედაქტორი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, რფ მთავრობის პრემიის ლაურეატი
მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, პროფესორი
ნ.დ. ერიაშვილი

**სახელმწიფოსა და სამართლის თეორია: დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი
იურიდიული სასწავლებლებისთვის / [ს. ბარამიძის რედაქციით] – თბ.:
სამართლიანი საქართველო; 2009 წ. – 188 გვერდი.**

სახელმწიფო-სამართლის ინსტიტუტების შინაარსი და მოვლენები განიხილება ისეთი ფორმით, რომელიც შემსწავლელს შესაძლებლობას აძლევს ადვილად მოიძიონ სასურველი მასალა განვლილი თემების გასამეორებლად და სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში გამოცდის, ან ჩათვლისათვის მოსამზადებლად.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, აგრეთვე იურისპრუდენციით დაინტერესებული პირებისათვის.

წარმოდგენილი მასალა მოყვანილია საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში სამართალმცოდნე ნათელა დარბაიძის მიერ.

ISBN 978 99940-985-4-5 © სამართლიანი საქართველო

ყველა უფლება დაცულია.

ამ გამოცემის არცერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით – იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოფირის გადაღება და მაგნიტურ მოწყობილობაზე ჩაწერა, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადაცემულ იქნეს საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი ნებართვის გარეშე.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ერთ მთლიანობაში აერთიანებს არა მხოლოდ იურიდიულ, არამედ საზოგადოებრივი მეცნიერების ცოდნის თეორიულ და გამოყენებით დარგებს. იგი წარმოადგენს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სინამდვილის უმნიშვნელოვანეს თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების შემაკავშირებელ ერთიან იურიდიულ მეცნიერებას. მისი კატეგორიები და ცნებები, რომელიც დარგობრივი სამართლებრივი მეცნიერებების გამოცდილების სინთეზს ახდენს, საბოლოო ჯამში, მიმართულია იურისტიის წარმატებული პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველსაყოფად. შემთხვევითი არ არის, რომ ნებისმიერ იურიდიულ უმაღლეს სასწავლებელში იურისპრუდენციის ათვისება, იწყება სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის შესწავლით და მთავრდება მოცემულ დისციპლინაში სახელმწიფო გამოცდის სავალდებულო ჩაბარებით.

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო აგებულია კურსის პროგრამის შესაბამისად და როგორც მნიშვნელოვან მეცნიერებასა და სასწავლო დისციპლინას იურისპრუდენციის სფეროში, მოიცავს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ყველა ძირითად თემას.

კურსის მასალა, თეორიულ-სამართლებრივი ცოდნის თვალსაზრისით, ეყრდნობა უფრო მნიშვნელოვანი გამოკვლევების შემცველ წყაროებსა და შრომებს. ამრიგად, მისი განხილვა შესაძლებელია, როგორც ზოგადთეორიული წარმოდგენების კონცენტრირებული გამოხატულება კონკრეტული საზოგადოებრივ-სამართლებრივი მოვლენების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, გამოცდებისთვის მომზადების დროს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კურსის გაშეშების მიზნით შესაძლებელია მასალის შინაარსი უფრო ეფექტიანად იქნეს გამოყენებული. სწორედ ამიტომ გამოიცემა მასალა დასმული საკითხითა და მასზე პასუხების ალგორითმებით. თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ აღნიშნული დამხმარე სახელმძღვანელო კი შეიცავს ინფორმაციის მთლიან სავალდებულო მინიმუმს, რომელიც საკმარისია გამოცდის ჩასაბარებლად, და მაინც, ამა თუ იმ საკითხზე პასუხის დროს მასწავლებელი სტუდენტისგან მუდამ ელის გააზრებულ და განზოგადებულ პასუხს. მამასადამე, შემსწავლელისთვის აუცილებელია მასალის გაგებისა და განსჯის უნარის წარმოჩენა. ამიტომ, ცოდნის საბაზო ბლოკი, რომელიც აღნიშნულ გამოცემაში არის შემოთავაზებული, როგორც სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კურსიდან კონკრეტულ საკითხებზე პასუხის საფუძვლები, გამოცდებზე სავალდებულოა შეივსოს „ცოცხალი“ შინაარსით. შესწავლილი საკითხები უბრალოდ ავტომატურად კი არ უნდა გააზიანო, არამედ სტუდენტმა უნდა მოახდინოს მისი შინაარსის კომენტირება, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მისი დასაბუთება, პრაქტიკიდან მაგალითებისა და ყოველდღიური ცხოვრებიდან შემთხვევების ილუსტრირება.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უმნიშვნელოვანესი იურიდიული ცნებების განმარტებას. ეს

ცნებები თავისი მნიშვნელობით ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ინსტიტუტების არსის გაგების ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს. ამიტომ, მისი დეფინიციები სავალდებულო სწავლებას, დაზეპირებას საჭიროებს, რამეთუ მათი ცოდნა უზრუნველყოფს არა მხოლოდ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კურსის მასალის მყარ ათვისებას, არამედ არ დაკარგავს თავის მნიშვნელობას შემდგომი დარგობრივი იურიდიული დისციპლინების შესწავლის პროცესში, წარმოადგენს რა მათი საკუთარი ინსტიტუტების გაგების საფუძველს. ზოგადთეორიული ცნებებისა და განმარტებების ასეთი მნიშვნელობა, ნებისმიერი იურიდიული მეცნიერებისა და სახელმძღვანელო დისციპლინების თვალსაზრისით, განპირობებულია მათი უნივერსალობით. სწორედ ამიტომაც აღნიშნულ გამოცემაში ამა თუ იმ თემის ყველაზე უფრო საკვანძო კატეგორიები განსაკუთრებულად გამოყოფილი.

აგრეთვე, საყურადღებოა ის, რომ აღნიშნული გამოცემა ვერ იქნება დამოუკიდებელი და, მით უმეტეს, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის შესახებ ცოდნის ერთადერთი წყარო. იგი უნდა იყოს ერთ-ერთი საბაზო სახელმძღვანელოს ან აღნიშნული გამოცემის ბოლოს შემოთავაზებული ბიბლიოგრაფიული სიიდან ფართო დამხმარე სახელმძღვანელოების დამატება.

გარდა ამისა, არ შეიძლება იმის დაეიწყება, რომ სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, მიუხედავად მთელი თავისი შედარებითი სტაბილურობისა სხვა საზოგადოებრივსა და დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებებთან შედარებით, არ წარმოადგენს ცნობათა გაყინულ ერთობლიობას. იყენებს რა მათ გამოცდილებასა და მუშაობას იგი გამუდმებით ვითარდება და რთულდება. ამ კავშირში არანაკლებ მნიშვნელოვანია სპეციალური პუბლიკაციები გამოქვეყნებული მონოგრაფიულ ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებში, უპირველესად კი, იურიდიულ ჟურნალებში.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კურსის ათვისების შედეგი უნდა იყოს სტუდენტების მიერ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ცნებებისა და კატეგორიული აპარატის საფუძვლიანი დაუფლება, ჩვევების შექმნა და „წაკითხვის“ უნარი, კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ახსნა და გამოყენება, იურიდიული ფაქტებისა და გარემოებების სწორი კვალიფიცირება, თანამედროვე სახელმწიფოსა და სამართლის ძირითად პრობლემებსა და პოლიტიკურ-სამართლებრივ დოქტრინებში სწორი ორიენტირება. სტუდენტებმა უნდა გამოიმუშაონ სამართლებრივი შეგნებისა და კულტურის მაღალი დონე, სამართლისა და კანონისადმი პატივისცემის მტკიცე სტერეოტიპი და შეუწყნარებლობა მათი დარღვევის შემთხვევაში. სწორედ ამაში მდგომარეობს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, როგორც მეცნიერებისა და სასწავლო დისციპლინის და გარე სამყაროს შეცნობის საშუალებებისა და ხერხების, უნივერსალური და ფუნდამენტური ხასიათი.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საგანი, ფუნქციები და მეთოდოლოგია

1. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ცნება და საგანი

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის შემსწავლელ საგნად გვევლინება სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის, როგორც სოციალური წარმონაქმნების ფუნქციონირებისა და განვითარების, მათი არსისა და სტრუქტურის, ძირითადი ელემენტების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ძირითადი კანონზომიერებანი, მათი ადგილი და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საგანია ფუნდამენტური (ძირითადი) სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების უმნიშვნელოვანესი თავისებურებანი, სახელდობრ ის, რაზეც, საკუთრივ, ემყარება სახელმწიფო და სამართალი, რისგანაც შედგება (ყალიბდება). მათ, კერძოდ, მიეკუთვნება სახელმწიფოსა და სამართლის თავად ცნებები და მათი ნიშან-თვისებების დეტალიზაცია, არსი, ტიპები, სახელმწიფოსა და სამართლის ფორმები და ფუნქციები, სახელმწიფოსა და სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების თავისებურებანი, იურიდიული ფაქტები და სამართალურთიერთობები, სამართლის სისტემა, კანონმდებლობის სისტემა და სახელმწიფოებრივი ორგანოების სისტემა, აგრეთვე, სხვა მრავალი საწყისი ელემენტი, რისგანაც შედგება იურისპრუდენცია.

ამრიგად, *სახელმწიფოსა და სამართლის თეორია* – ეს არის ცოდნის სისტემა სახელმწიფოსა და სამართლის უფრო მეტად ზოგადი კანონზომიერებების, წარმოქმნის, არსის, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების ფუნქციონირებისა და განვითარების შესახებ, რაც მეთოდოლოგიური საფუძველია დარგობრივი და გამოყენებითი იურიდიული მეცნიერებების განვითარებისთვის.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კურსის ათვისებისას ძალზე მნიშვნელოვანია მისი *კატეგორიულ-ცნებითი აპარატი*, ესე იგი, ზოგადსამეცნიერო (ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, პოლიტოლოგიური, კულტუროლოგიური და სხვ.) და კერძოსამეცნიერო (სპეციალური იურიდიული) კატეგორიებისა და ცნებების სისტემა, რომელიც ქმნის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის შემეცნებითი ინსტრუმენტების მთავარ და ამოსავალ კომპონენტს.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია მდიდარ ემპირიულ მასალას იძენს დარგობრივი იურიდიული მეცნიერებებიდან და, მნიშვნელოვანწი-

ლად, ამ მეცნიერებების უფრო მეტად ზოგადმეთოდოლოგიურ პრობლემებს წყვეტს და გვევლინება საბაზო, ფუნდამენტურ დისციპლინად: ცალკეული დისციპლინების ცოდნის განზოგადების გზით გამოიმუშავებს ძირითად ცნებებსა და კატეგორიებს, სისტემაში მოჰყავს ეს ცოდნა. მისი კატეგორიები და ცნებები, დარგობრივი სამართლებრივი მეცნიერების გამოცდილების სინთეზის მეშვეობით, საბოლოო ჯამში, მიმართულია იურისტის წარმატებული თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

2. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ფუნქციები

საზოგადოებრივი განვითარების არსისა და კანონზომიერებების შესახებ ცოდნის სისტემაში სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას გააჩნია თავისი მკაცრად განსაზღვრული დანიშნულება და იურიდიული მეცნიერებებისათვის წარმოადგენს მიმართულების მიმცემს, რამდენადაც აყალიბებს მათი გამოკვლევებისა და პრაქტიკული რეალიზაციის მაგისტრალურ მიმართულებებს. ეს როლი მის ფუნქციებში აისახება:

- *ონთოლოგიური* ფუნქცია (არსებითი, ესე იგი, ესაა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების არსის, იურისპრუდენციის საგნის ცოდნის, შეცნობის ფუნქცია. ამ ფუნქციის შინაარსს წარმოადგენს არსებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების, მათი ანალიზისა და სისტემატიზაციის შესახებ ინფორმაციის ძიება და გამოკვლევა);
- *გნოსეოლოგიური* ფუნქცია (სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის თეორიულ-შემეცნებითი მიმართულება, რაც სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი წესის მოვლენების არსის, შინაარსისა და ფორმის მუდმივ შესწავლაში მდგომარეობს);
- *პროგნოსტიკური* ფუნქცია მდგომარეობს პერსპექტიული სამეცნიერო პროგნოზების, სახელმწიფოსა და სამართლის შემდგომი განვითარების კიპოთეზის შემუშავებაში, მათი მომავალი პრობლემების წინასწარმეტყველებაში;
- *იდეოლოგიური* ფუნქცია გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფოსა და სამართლის თეორია განამტკიცებს რა თავის დებულებებში თანამედროვე საზოგადოების სამართლებრივი განვითარების უფრო მეტად აქტუალურ და მნიშვნელოვან ასპექტებს, მიუთითებს მისი განვითარების ყველა მნიშვნელოვან პარადიგმაზე, ახორციელებს ყველა

ჰუმანურ საწყისს, ასაბუთებს სამართალშეგნებისა და სამართლებრივი კულტურის როლს;

- *აქსიოლოგიური* ფუნქცია მდგომარეობს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი მოვლენების ფასეულობისა და მნიშვნელობის გამოკვლევაში საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მათი აუცილებლობისა და მნიშვნელობის დასაბუთების მიზნით;
- სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის *აღმზრდელი* ფუნქცია შემდეგში მდგომარეობს: რაიმე მოდელის (იდეალის, სტანდარტის) თვალსაზრისით იურისპრუდენციის ყველა საწყისის თავის თავში კონცენტრირებით და, არსებითად, მისი სამყაროს წარმოჩენით, აყალიბებს იურიდიული მსოფლმხედველობის საფუძვლებს;
- სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის *მეთოდოლოგიური* ფუნქცია წარმოადგენს საფუძველს, ესე იგი, სხვა იურიდიული მეცნიერებებისათვის ფუნდამენტს: შეიმუშავებს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების შეცნობის მეთოდოლოგიას, სამართლის კატეგორიებსა და კონცეფციებს, რასაც იყენებს სხვა დანარჩენი დარგობრივი და სპეციალური (გამოყენებითი) იურიდიული მეცნიერებანი, აგრეთვე, განსაზღვრავს მათი გამოკვლევების მაგისტრალურ მიმართულებებს;
- *გამოყენებითი* ფუნქცია სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ სფეროში სხვადასხვა სუბიექტის საქმიანობის სრულყოფისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებაში მდგომარეობს;
- *ევრისტიკული* (სახელმწიფოსა და სამართლის განვითარებაში ახალი კანონზომიერებების, საზოგადოებაზე მათი ფორმირებისა და მეთოდების ზემოქმედებისა და იქ ჩამოყალიბებული ურთიერთობების აღმოჩენა).

3. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეთოდოლოგია

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეთოდოლოგია – ეს ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობაა, რომლის დახმარებითაც იგი შეისწავლის გარემო სინამდვილეს.

განასხვავებენ ზოგად (უნივერსალურ, ზოგადსამეცნიერო, ფილოსოფიურ) მეთოდებს, რომელიც დამახასიათებელია ყველა მეცნიერებისათვის, ცოდნის დარგებისთვის და სახელმძღვანელო დისციპლინებისათვის, რამეთუ მათ საფუძვლად უდევს ბუნების განვითარების, საზოგადოებისა

და აზროვნების შემცნების ყველაზე უფრო ზოგადი კანონები და კერძო მეთოდები – მათ იყენებს ან ერთი რომელიმე მეცნიერება, ან მეცნიერებების ერთობლიობა და სპეციალური მეთოდები.

ზოგადსამეცნიერო მეთოდებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემცნების ისეთი მეთოდები, როგორცაა იდეალისტური (მეტაფიზიკა) და მატერიალისტური (დიალექტიკა):

- *მეტაფიზიკის* ჩარჩოებში სახელმწიფო და სამართალი განიხილება როგორც თვითმყოფადი მოვლენა, რომელიც ადამიანის ნებისგან დამოუკიდებლად არსებობს, მოვლენები მუდმივია და უცვლელი; მათი წარმოშობა და არსებობა დაკავშირებულია ან ობიექტურ გონებასთან, ან ადამიანის შეგნებასთან თავისი განცდებითა და გააზრებული ძალისხმევით, ამასთან, სახელმწიფოსა და სამართლის განვითარებასა და არსებობის შესახებ წარმოდგენებში მომეტებულია არა გარეგანი (ობიექტური) ფაქტორები, არამედ რაღაც შინაგანი სულიერი საწყისები;
- სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების პროცესის სწორად გაგებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს უარყოფის დიალექტიკურ კანონს, რომლის ძალითაც კავშირი და მემკვიდრეობითობა არსებობს უარსაყოფსა და უარმყოფელს შორის, რის გამოც დიალექტიკური უარყოფა კი არ უკუაგდებს მთელ წინანდელ განვითარებას, არამედ თვით წარმოადგენს განვითარების პირობას, რომელიც თავის თავში შემოინახავს წინა სტადიათა ყოველივე დადებითს, უმაღლეს საფეხურზე იმეორებს საწყისი საფეხურების ზოგიერთ ნიშანს და მთლიანად პროგრესულ ხასიათს ატარებს;
- *დიალექტიკა* მეცნიერებაა ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უფრო ზოგადი კანონების შესახებ; ყოფიერებისა და შემცნების ზოგადი კანონების შესახებ. ასეთ, უდავოდ, დომინირებულ სამამულო სამეცნიერო-კვლევით მიდგომაში გარემომცველ ცხოვრებაში სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენები შეისწავლება თავის განვითარებაში, დინამიკაში, საზოგადოებრივი ყოფიერების სხვა ფაქტორებთან (ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა და სხვ.) ძალზე მჭიდრო ურთიერთქმედებაში.

მეტაფიზიკისა და დიალექტიკასთან, როგორც სინამდვილის შემცნების უმნიშვნელოვანეს მეთოდებთან ერთად, სავალდებულოა *სინერგეტიკის* გათვალისწინება – მეცნიერების, თვითჩამოყალიბებული რთული სოციალური პროცესების შესახებ. ასეთ რთულ მოვლენებს განეკუთვნება არა მარტო საკუთრივ სისტემები არსებული სამართლის სფეროში (მაგ., სამართლებრივი სისტემა), არამედ, სხვა, ასე თუ ისე მასთან ურთიერთ-

მოქმედი — პოლიტიკური, ეკონომიკური სისტემები, აგრეთვე, თავად სახელმწიფო და სამართალი მთლიანად.

სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი გამოკვლევის *კერძოსამეცნიერო* მეთოდებს განეკუთვნება:

- *ფორმალურ-იურიდიული* (დოგმატური) მეთოდი, რომელიც გამოიყენება სამართლის, როგორც ასეთის, როგორც თავისებურად ერთადერთი ფენომენის შესასწავლად. ამიტომ იგი გამოიკვლევა ყველა სხვა მოვლენისგან მოწყვეტით, განკერძოებულად. სამართლის შედარება და შეპირისპირება სხვა არაფერთან არ შეიძლება (არც ეკონომიკასთან, არც პოლიტიკასთან, არც ზნეობასთან და არც ეთიკასთან), სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ელემენტები (მათი სტრუქტურები, ურთიერთკავშირები, არსი) შეისწავლება თავისთავად „სუფთა“ კონსტრუქციის შემუშავებისათვის.
- *გამოკვლევის ტერმინოლოგიური მეთოდი*, როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი პრობლემების საბაზო და პერიფერიული ცნებების ოპერირება, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების კვლევა მეცნიერებაში განმტკიცებული ცნებებისა და დეფინიციების ანალიზის გზით;
- *შედარებით-სამართლებრივი* მეთოდი გარკვეული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ინსტიტუტების, ამა თუ იმ ქვეყნებისა და სამართლებრივი სისტემების სამართლებრივი მოვლენებისა და პროცესების შეპირისპირებაში მდგომარეობას, რათა გამოვლინდეს მსგავსება ან განსხვავება მათ შორის. მათი გამოხატვის ყველაზე უფრო ოპტიმალური ვარიანტის მიზნით. შესაძლებელია სამართლებრივი სისტემების, სამართლებრივი დარგების, მსგავსი (იდენტური) სამართლებრივი ინსტიტუტებისა და ნორმების (შედარებითი სამართალმცოდნეობა ან კომპარატივისტიკა) შედარება;
- *კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდი*, როგორც სოციალური ფაქტორების გათვალისწინება სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლისას; სახელმწიფოსა და სამართლის ამა თუ იმ ასპექტების გამო საზოგადოებრივი აზრის გამოვლენა; ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ცხოვრების გამოკვლევა სტატისტიკური მონაცემების, მოსახლეობის გამოკითხვების, სამართლებრივი ექსპერიმენტების, ინტერვიუების, ანკეტირების, სატელეფონო გამოკითხვების, დაკვირვების (სამართლის სოციოლოგია) ანალიზის გზით;

- *სამართლებრივი მოდელირების მეთოდი* ემსახურება სავალდებულო იურიდიული ნორმის სუფთა (თეორიული) იდეის შექმნას; ეს არის მოდელის, იდეალის წარდგენა;
- *სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის იურიდიულ-შედარებითი მეთოდი* კანონზომიერებათა წარმოშობასა და განვითარების, აგრეთვე ისტორიული განვითარების სხვადასხვა პერიოდში სახელმწიფო-ბრივი და სამართლებრივი ინსტიტუტების შედარების გამოკვლევაში მდგომარეობს;
- *ლოგიკური* მეთოდები სამართლის ლოგიკური შესწავლისა და ახსნის საშუალებებსა და ხერხებს გამოიყენებს. ფორმალური ლოგიკის კანონებზე არის დაფუძნებული და ამოსავალი შემდეგში მდგომარეობს: ეს ფორმალურ-განსაზღვრული, აწყობილი სისტემაა, ხოლო ყველანაირი სამართლის ნორმა – ეს დასრულებული მსჯელობაა.

ლოგიკური მეთოდის *სახეობებია* ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია:

- *ანალიზი* – ეს არის ერთი მთლიანის დაყოფა შემადგენელ ელემენტებად (სახელმწიფო აპარატის სტრუქტურის გამოვლენა, სამართლის სისტემის დაყოფა დარგებად, ურთიერთკავშირისა და თავისებურებების დადგენა; იურიდიული დოკუმენტების ანალიზი (კონტენტ-ანალიზი, ესე იგი, მათი ძირითადი ელემენტების გამოყოფა და დეტალური შესწავლა);
- *სინთეზი* – ეს არის მიღებული მონაცემების განზოგადება და ერთიანი სურათის შექმნა;
- *ინდუქცია* – ეს არის გამოკვლევა კერძოდან ზოგადისკენ; სახელმწიფოსა და სამართლის ცალკეული თვისებების სურათის ჩამოყალიბება. მაგალითად, სამართლის განსაზღვრული ნორმების საფუძველზე შესაძლებელია მთელი კანონმდებლობის როგორც იურიდიული ნორმების ერთობლიობის სტრუქტურისა და აგებულების გარკვევა; კონკრეტული სახელმწიფო ორგანოს ნიშან-თვისებების გამოვლენის გზით შესაძლებელია გავიგოთ, რომ სახელმწიფო მექანიზმი – ეს არის – სახელმწიფო ორგანოების ერთობლიობა, რომელიც ასრულებს გარკვეულ სახელმწიფო ფუნქციებს და ა.შ.;
- *დედუქცია* – ეს არის მსჯელობა ზოგადიდან კერძოსკენ (მაგალითად, სამართლის კონკრეტული დარგიდან მისი სამართლებრივი ნორმების სპეციფიკისკენ).

სპეციალურ მეთოდებს შეიძლება მივაკუთვნოთ სოციალურ-ფსიქოლოგიური, მათემატიკური, კიბერნეტიკული, სტატისტიკური და

სხვ. მაგალითად, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კიბერნეტიკული მეთოდი გამოიყენება სამართლებრივი ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების, შენახვისა და ძიებისათვის.

4. სახელმწიფოსა და სამართლის ადგილი სხვა დანარჩენ იურიდიულ მმცნიერებათა შორის

იურიდიულ მეცნიერებათა სისტემა დაყოფილია სამ დიდ ჯგუფად, რომელიც სწორედ თავისი ერთობლიობით შეადგენს სამართალმცოდნეობას. ესენია:

1. *თეორიულ-ისტორიული მეცნიერებანი* (სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, პოლიტიკური სამართლებრივი სწავლებების ისტორია);

2. *დარგობრივი იურიდიული მეცნიერებანი* (საკონსტიტუციო სამართალი, სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სამოქალაქო სამართალი, საბაჟო სამართალი, საოჯახო სამართალი, მიწის სამართალი, საერთაშორისო სამართალი, საგადასახადო სამართალი, საფინანსო სამართალი, სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, სისხლის-საპროცესო სამართალი და სხვ.);

3. *გამოყენებითი (სპეციალური) იურიდიული მეცნიერებანი* — უშუალოდ ახორციელებს სხვადასხვა მეცნიერების თეორიული ცოდნის გამოყენებას (მათემატიკა, ქიმია, ფსიქოლოგია), რათა გადაიჭრას პრაქტიკული ამოცანები (კრიმინალისტიკა, სასამართლო მედიცინა, სასამართლო ფსიქიატრია, სასამართლო ბუხჰალტერია, სამართლებრივი სტატისტიკა, იურიდიული ფსიქოლოგია და სხვ.).

არის მეცნიერებები, რომელიც შეისწავლის *სამართლის საერთაშორისო ასპექტებს* — საერთაშორისო კერძო და საჯარო სამართალი, საზღვაო სამართალი, კოსმოსის სამართალი, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი და სხვ. ბოლო დროს გაჩნდა სამართლის სრულიად ახალი დარგები, რაც საზოგადოებრივი განვითარების სწრაფი ტემპებითაა განპირობებული: საბანკო, საბირჟო, სპორტული, სამედიცინო, საინფორმაციო და სხვ.

ამრიგად, იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში შეიძლება გამოვყოთ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის *როლი და ადგილი*:

- სახელმწიფოსა და სამართლის თეორია — ესაა ცოდნის სისტემა, რომელიც იურიდიულ მეცნიერებათა მთელ ერთობლიობის კონცენტრირებას ახდენს;

- სახელმწიფოსა და სამართლის თეორია შეისწავლის სახელმწიფო-ებრივ-სამართლებრივი მოვლენების ზოგად კანონზომიერებებს, ხოლო დარგობრივი იურიდიული მეცნიერებანი – მხოლოდ ცალკეულ მხარეებს (მაგალითად, სისხლის სამართალი – დანაშაულს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ხოლო სახელმწიფოსა და სამართლის თეორია – ზოგადად სამართალდარღვევასა და იურიდიულ პასუხისმგებლობას);
- სახელმწიფოსა და სამართლის თეორია დარგობრივ-იურიდიულ მეცნიერებებისათვის გვეკლინება საბაზო, ფუნდამენტურ დისციპლინად – ცალკეული დისციპლინების ცოდნის განზოგადების გზით შეიმუშავებს ძირითად ცნებებსა და კატეგორიებს, სისტემაში მოჰყავს ეს ცოდნა;
- სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ემპირიულ მასალას იძენს დარგობრივი იურიდიული მეცნიერებებიდან და, მნიშვნელოვანწილად, ყველაზე უფრო ზოგადი მეთოდოლოგიური პრობლემების გადაჭრაზე მუშაობს;
- სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, უკავია რა განსაკუთრებული ადგილი იურიდიული სახელმძღვანელო დისციპლინების სისტემაში, სტუდენტებს აძლევს ცოდნას საზოგადოების ცხოვრების სახელმწიფო-ებრივ-სამართლებრივი ყველაზე მეტად ზოგად კანონზომიერებების შესახებ, საფუძველს უყრის ზოგად იურიდიულ კულტურას, იურიდიულ აზროვნებას, აგრეთვე იძლევა საწყის წარმოდგენას სახელმწიფოსა და სამართლის ძირითადი ცნებებისა და კატეგორიების შესახებ, რომლის გარეშეც შეუძლებელია სხვა იურიდიული დისციპლინების შესწავლა.

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა

5. სახელმწიფოს წარმოშობის ზოგადი კანონზომიერებანი

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა დაკავშირებულია პირველყოფილი საზოგადოების დაშლის პერიოდთან, რომელმაც თავის განვითარებაში ოთხი სხვადასხვა ეტაპი გაიარა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 40 ათასი წლის წინ ჩნდება გვაროვნული წყობილება (ცეცხლის მოპოვება, კაუჭის, მშვილდის გამოგონება, დანაწევრებული მეტყველების გამოჩენა). ჩვენს წელთაღრი-

ცხვამდე 9-6 ათასი წლის წინ იწყება ნეოლითი (ახალი ქვის ხანის ეპოქა), როცა ადამიანი ნადირობისა და შეგროვებიდან გადადის ელემენტარული მიწათმოქმედებისა და ხელობის ელემენტების დაუფლებისკენ. შრომის განაწილების პროცესი დროთა განმავლობაში სულ უფრო მკაფიო ხდებოდა. როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის განცალკევებული სფერო, თანდათან გამოეყო მესაქონლეობა (გაცვლის საშუალებად საქონელი იქცა, რომელმაც ფულის ფუნქცია შეიძინა). ხელობა გამოეყო მიწათმოქმედებას. შემდეგ გაჩნდა ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა წარმოებული პროდუქტების მხოლოდ გაცვლით იყენებდნენ დაკავებულნი (ვაჭრები).

ყალიბდება პირველყოფილი წყობილება, სადაც გვარები ნათესავების კოლექტივებად გამოდიან, რომლებსაც საერთო წინაპარი ჰყავთ და ერთობლივ მუშაობას მისდევენ. ერთი გვარის შიგნით ქორწინების აკრძალვასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანწილად, იქმნება, ვერეთ წოდებული, დუალისტური ორგანიზაცია, როდესაც ორი გვარი ნათესაური სისხლითაა დაკავშირებული.

მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გაჩენასთან ერთად გაიზარდა მამაკაცის როლი (პატრიარქატი). იწყება პირველყოფილი თემური წყობილების დაშლა.

ამ პერიოდში ძალაუფლება წარმოდგენილი იყო უფროსი მამაკაცების საერთო კრებით (სადაც წყდებოდა მართვის, თვისტომთა გადაცდომების გამო დასჯისა და ნადავლის განაწილების საკითხები და სხვ.), აგრეთვე, უხუცესთა და ტომების ბელადების ადმინისტრაციული უფლებამოსილებით. ამასთან ერთად, გვარის თავში მდგომ უხუცესთა ძალაუფლება, ასევე მხედართმთავრებისა, რომლებიც მხოლოდ საბრძოლო მოქმედებების პერიოდში იყვნენ არჩეულნი, დაფუძნებული იყო მხოლოდ მათ ავტორიტეტზე, გამოცდილებასა და პატივისცემაზე. უხუცესის თანამდებობა არავითარ პრივილეგიას არ წარმოადგენდა. საზოგადოებრივი ხელისუფლება უშუალოდ გვაროვნული თემის თანხვდომი იყო, არ იყო მისგან გამოყოფილი.

სამართალი, როგორც ასეთი, არ არსებობდა, ყველაფერს ადამიანთ-წესები მართავდა, რომელთან ერთადაც დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა და მოქმედებდა მონონორმები.

თანდათან ირღვევა სისხლით ნათესაური კავშირები და იცვლება ტერიტორიული, ჩნდება სოფლის (მეზობლური) ერთობა. თანდათან ხდება საზოგადოების მიერ მკაფიო მართვისა და ხელმძღვანელობის მნიშვნელობის გაცნობიერება. ხელისუფლების ფუნქცია დაიყო მალალი წრის (მართვა), სამხედრო (სამხედრო ხელმძღვანელობა) და რელიგი-

ურზე (არსებული წესის იდეოლოგიური დასაბუთება და მხარდაჭერა). უზუცესთა საბჭო მიმდინარე მართვის ორგანო ხდება. ჩნდება ტომობრივი ბიუროკრატია (მმართველობითი, სამხედრო, რელიგიური), რომელიც ახორციელებს საზოგადოების მიერ ხელმძღვანელობას გამომდინარე უკვე არა მარტო საერთო ინტერესებიდან, არამედ საკუთარი, ჯგუფური და კლასობრივი ინტერესებიდან. ეს იყო სახელმწიფოებრივი ელემენტების გაჩენის საწყისი პერიოდი – *სამხედრო დემოკრატიის* რეჟიმი (ლ.გ. მორგანი), როდესაც კოლექტივიზმისა და საზოგადოებრივი მართვის ნარჩენების შენარჩუნებასთან ერთად საზოგადოებაში ყალიბდება სამხედრო ბელადების ძლიერი ხელისუფლება.

საჭირო გახდა თვისებრივად ახალი ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა საზოგადოების ცხოვრების, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის, დაცვასა და უზრუნველყოფას. აუცილებელი იყო საზოგადოებაზე ზემდგომი საჯარო ხელისუფლების არსებობა ადამიანთა განსაკუთრებული რაზმებით, რომლებიც მხოლოდ მართვით დაკავდებოდნენ და შესაძლებლობა ექნებოდათ განეხორციელებინათ ორგანიზებული იძულება. უძველესი საზოგადოების ასეთი ორგანიზაციები (დამახასიათებელი არაკლასობრივიდან ადრეულ კლასობრივ საზოგადოებაში გადასვლის ეტაპისთვის) პირველად გაჩნდნენ სამხრეთ აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში, როგორც წესი, დიდი მდინარეების ხეობაში – ნილოსი, ტიგროსი, ევფრატი, ინდი, იანგი და სხვ. ესენია: ინდოეთი, ასურეთი, სპარსეთი, ჩინეთი ხეთების სახელმწიფო და სხვ. თანაც, მათგან ყველაზე უძველესთა ისტორია დაიწყო ჯერ კიდევ IV ათასწლეულში ჩვენს ერამდე (შუმერები, ეგვიპტე, ბაბილონი).

ამრიგად, სახელმწიფოების წარმოშობის რამდენიმე მიზეზთაგან შეიძლება დასახელდეს შემდეგი აუცილებლობა:

- საზოგადოების მართვის სრულყოფა, დაკავშირებული წარმოების განვითარების, შრომის განაწილების, პროდუქტების განაწილების პირობების ცვლილებების, მოსახლეობის რიცხოვრივი ზრდისა და საზოგადოების სოციალურად არაერთგვაროვან ჯგუფებად (კლასებად) დაშლის შედეგად მის გართულებებთან;
- საზოგადოებაში წესრიგის მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფს მის სოციალურ სიმტკიცეს, რაც სავალდებულო სოციალური (პირველ ყოვლისა, იურიდიულის) ნორმების დახმარებით მიიღწევა;
- ექსპლუატირებული მასების წინააღმდეგობის ჩახშობა, რომელიც წარმოიშვა საზოგადოების სოციალურად არაერთგვაროვან ჯგუფებად (კლასებად) დაშლის შედეგად;

- ტერიტორიების დაცვა და როგორც თავდაცვითი, ასევე დაპყრობითი ომების წარმოება;
- მსხვილი საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზება და ამ მიზნისათვის ადამიანთა ღირსი ჯგუფების გაერთიანება.

6. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში სახელმწიფოების წარმოშობის თავისებურებანი

სხვადასხვა რეგიონებსა და სხვადასხვა ხალხებში პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ფორმირება მიმდინარეობდა თავისი გზებით, რომელიც განპირობებული იყო გეოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორებით. უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი თვისებების მიხედვით, რაც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ საზოგადოებაში სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას, ასხვავებენ სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების დასავლურ (ევროპულ), აღმოსავლურსა (აზიურს) და გერმანულ წესს.

სახელმწიფოს წარმოშობის *აღმოსავლური გზა* ან საშუალება თავდაპირველად დაკავშირებული იყო ბაბილონის, ეგვიპტის, ჩინეთის, ინდოეთის შექმნასთან. ეს უძველესი სახელმწიფოები წარმოიშვა ჯერ კიდევ სამ ათასწლეულამდე ჩვენს ერამდე გვაროვნული წყობილებიდან სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მქონე საზოგადოებაში თანდათანობით გადასვლის პროცესში. ამასთან, ამ სახელმწიფოების უმრავლესობის ჩამოყალიბების ძირითად თავისებურებად იქცა მუდმივი ირიგაციული სამუშაოების (სარწყავი მიწათმოქმედება) ჩატარების მოთხოვნა, რომელიც აუცილებელი იყო გვალვიანი ან ცვალებადი კლიმატის პირობებში მოსახლეობის პროდუქტებით უზრუნველსაყოფად. ამან განაპირობა უზარმაზარი ტერიტორიებისა და ადამიანთა მასების განშტოების მართვის აპარატის ჩამოყალიბება (საჯარო სამუშაოების, საფინანსო და სამხედრო უწყებები).

სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების *დასავლური გზა*, რომელიც დაკავშირებული იყო კერძო საკუთრების გაჩენასა და საზოგადოების ანტაგონისტურად განწყობილ კლასებად დაშლასთან, ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ გამოვლინდა ანტიკური ქვეყნების ისტორიაში და, ნაწილობრივ, გერმანიის სახელმწიფოების შექმნასთან (ბარბაროსთა სამეფოები).

ათენის რესპუბლიკა შიდა გვაროვნული წყობილების წინააღმდეგობათა შერბილების პროცესში სახელმწიფოს წარმოშობის ყველაზე კლასიკური ნიმუშია: VII ს. ჩვენს ერამდე — დრაკონტეს რეფორმები (პირადი მუდლის რეგულირება და სისხლის აღების შეზღუდვა, პირველი ნაწერი

კანონების შექმნა, მმართველი ელიტის თვითნებობის შეზღუდვა, ახალფენადგმული კერძო საკუთრების დაცვა); 594 წ. ჩვენს ერამდე – სოლონიუსის რეფორმები (სისხლით ნათესაური კავშირების გაწყვეტა მთელი მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე თანრიგებად დაყოფის გზით); 509 წ. ჩვენს ერამდე – ქლისფენეს რეფორმები (ატიციის ტერიტორიული დაყოფის შემოღება საგვარტომოს ნაცვლად, პოლიტიკური გარდაქმნები).

სახელმწიფოს წარმოშობის *რომაული ფორმა* წარმოადგენს სახელმწიფოს წარმოშობის კონცეფციას, რომელიც ეფუძნება გვაროვნული საზოგადოების გარდაქმნას მრავალრიცხოვან და უფულებო პლებეური მასიდან კარჩაკეტილ არისტოკრატიად, რომლის გამარჯვება და პარიტეტული (თანასწორი) პოლიტიკური ურთიერთობების დამყარება პატრიციებთან, ბოლოს და ბოლოს, სპობს საგვარტომო წყობილებას და ამ ნანგრევებზე იქმნება სახელმწიფო.

გერმანიის სახელმწიფოების ჩამოყალიბება დაკავშირებულია პროცესთან, რომელმაც მიიღო სახელწოდება „ხალხთა დიდი გადასახლება“, ესე იგი, მასობრივი ეთნიკური გადაადგილება IV-VII სს. ევროპაში, უმეტესად, რომის იმპერიის პერიფერიებიდან მის ტერიტორიაზე (და მის ფარგლებში), ამას დასაბამი მისცა ჰუნების თავდასხმამ. მთავარ დამახასიათებელ თვისებად ითვლებოდა ბარბაროსების მიერ რომის იმპერიის ვრცელი ტერიტორიების დაპყრობა და დამორჩილება (ბარბაროსებმა ადგილზე აღმოაჩინეს ოდესღაც ძლიერი რომის სახელმწიფო აპარატის ჯერ კიდევ მოქმედი ნაშთები). დამპყრობლებს მიწების მართვის აუცილებლობის გამო მოუხდათ სახელმწიფოებრივი მართვის მრავალი ორგანოსა და პრინციპის ათვისება, აგრეთვე, დროთა განმავლობაში თავისი სპეციალური საჯარო მმართველობითი და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა. ასე შეიცვალა სამხედრო ბელადი მეფით, გაჩნდა საქვეყნო ხელისუფლება გადასახადებით, იძულებითი აპარატითა და სხვ.

აღმოსავლეთ სლავებთან სახელმწიფოს წარმოშობის თავისებურებების შესახებ საუბრისას აღსანიშნავია დასავლეთ (ევროპულ) და აღმოსავლეთ (აზიურ) მიწებს შორის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის ფაქტორები, სადაც უზარმაზარ სივრცეში მცხოვრები დაშორიშორებული ტომების მასები V-X სს. მომთაბარეებისა და ქურდაცაცების მხრიდან პუდმივად განიცდიდნენ საშიშროებას; არახელსაყრელი კლიმატური პირობები, რომელიც ხელს უშლიდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ფართოდ წარმართვას. ეს უკანასკნელი კი ხშირად ფერხდებოდა ამა თუ იმ მოწინააღმდეგის მორიგი თავდასხმების გამო. უცხოური აგრესიის მოსაგერიებლად თავდაპირველად პროფესიული (დაქირავებული) სამხე-

დრო რაზმების შენახვას მოჰყვა გადასახლებისა და სხვა სავალდებულო გადასახადების ცენტრალიზებული აკრეფის აუცილებლობა.

7. სამართლის წარმოშობის თავისებურებანი

პირველყოფილ საზოგადოებაში უმნიშვნელოვანეს სოციალურ რეგულატორად იყო ნორმები და *ადათ-წესები* (ხანგრძლივი დროის განმავლობაში მრავალგზის გამეორების შედეგად ადამიანებში ჩვევად ქცეული მოქცევის წესები) და *რელიგიური* (საკულტო) ნორმები. ნორმები და ადათ-წესები ბუნებრივ აუცილებლობაზე იყო დაფუძნებული და მნიშვნელოვანი იყო თემის, გვარისა და ტომის ცხოვრებისათვის, აგრეთვე, სამეურნეო ცხოვრებისა და ყოფის, გვარის წევრების ოჯახური და სხვა ურთიერთობების, პირველყოფილი მორალური, რელიგიურ-რიტუალური საქმიანობის რეგლამენტაციისათვის.

რაიმეზე ჩადენილ *აკრძალებს* (*ტაბუს*) გააჩნდა რელიგიური აკრძალვის რანგი, რომელიც დადებული იყო კონკრეტულ საგანზე ან ქმედებაზე და მათი დარღვევა მოასწავებდა გარდაუვალ სასჯელს სულებისა და ღმერთების მხრიდან. თანაც, არა მარტო დამრღვევის მიმართ, არამედ მთელი ტომის, გვარის ან ერთობის მიმართ. მაგალითად, სისხლით მონათესავე ადამიანების ქორწინების აკრძალვა; „ბოროტი მაგიის“ მატარებლებთან ურთიერთობის აკრძალვა; ტაბუ საცხოვრებელიდან გამოსვლაზე, მიწასთან შეხებაზე, არ შეიძლება მმართველს უყურო თვალებში, ტაბუ უბრალო მოკვდავებთან შერევაზე (იაპონელი და ჩინელი იმპერატორები, აფრიკელი მეფეები); ტაბუ საკვების ნარჩენებზე (ნარჩენებზე ზიანის მიყენება აზიანებს მჭამელს, ამიტომ ნარჩენები უნდა დაეწვათ ან ჩაემარხათ); ძაძებში გამოწყობილ ადამიანებთან ურთიერთობაზე; ლაშქრობიდან დაბრუნებულ მეომრებთან ურთიერთობაზე (მათ ჯერ კიდევ თან სდევს მათ მიერ მოკლული მტრების სულები), აგრეთვე, მკვლევლებთან.

აკრძალებთან ერთად წარმოიქმნა რეგულირების ისეთი საშუალებები, როგორიცაა ნების დართვა და პოზიტიური დავალებულება. *ნებადართულობას*, ანუ კონკრეტულ ქმედებაზე ნების დართვას (ანუ უმოქმედობა ამა თუ იმ პირობებში) ადგილი ჰქონდა ცხოველების სახეობებისა და მათზე ნადირობის, მცენარეთა სახეობებისა და მათი ნაყოფის მოკრეფის დროის განსაზღვრის, ამა თუ იმ ტერიტორიის, წყლის წყაროების სარგებლობის შემთხვევებში. *პოზიტიური ვალდებულება*, როგორც კატეგორიული მითითება გარკვეული ქმედებების შესრულებაზე, საკვების მომზადების, ბინათმშენებლობის, ცეცხლის დანთების, იარაღის დამზადების და სხვ. პროცესში მიზნად ისახავდა საჭირო ქცევის ორგანიზებას.

არსებული ქცევის წესები ყალიბდებოდა, ეგრეთ წოდებული, *მონონორმების*, ანუ ერთიანი სოციალური ნორმების სახით, რომელიც არეგულირებდა საზოგადოებაში ურთიერთობებს და ამასთან, ხასიათდებოდა სამართლებრივი, მორალურ-ეთიკური, რელიგიური და სხვა მოთხოვნათა უნივერსალურობითა და განუყოფელობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მონონორმებში ყველა სოციალური მოთხოვნა უცნაურად იყო გადახლართული და ამასთან, საზოგადოებას ყველა წევრისთვის უცილობელ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა.

ადამიანთა ქცევის რეგულირებაში განსაკუთრებული ადგილი *მითებს* ეკავა. მითები წარმოადგენდა ზღაპრული არსებების (ღმერთები, გმირები, სულები) ცხოველქმედების შესახებ მოთხრობებისა და ამბების ერთობლიობას, ასახავდა ადამიანთა მისტიკურ შეხედულებას სამყაროს, ბუნებისა და კაცობრიობის ყოფის შესახებ მისი ისტორიის გარიჟრაჟზე. ცალკეულ რეგიონებში (მესოპოტამია, ეგვიპტე, ინდოეთი (IV-III ათასწლეული, ჩვენს ერამდე) სამართლის წყაროებს ემატებოდა აგროკალენდრები წერილობითი მკაცრი ნორმატივებისა და წესების კრებულის სახით, სადაც დღეებით იყო გაწერილი ადრეული სამიწათმოქმედო თემის ყოველდღიური ცხოვრება (გათოხნა, თესვა, მოსავლის აღება), რომლის შესრულებასაც ახორციელებდა სპეციალური აპარატი, უფლებამოსილი, მიელო მკაცრი სანქციები დადგენილი მოთხოვნების დარღვევების შემთხვევაში. ზოგჯერ სამართლებრივ ნორმებს მოხელეებისათვის *განკუთვნილ საგანგებო ინსტრუქციებში* შეხვდებოდით (მაგალითად, ძველ ეგვიპტეში, ეგრეთ წოდებული, „*ორმოცი ტყავის გრაგნილი*“).

8. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ძირითადი თეორიები

კაცობრიობის განვითარების პირველ საფეხურზე ათეული და ასეული ათასი წლების მანძილზე ადამიანები ცხოვრობდნენ ე.წ. პირველყოფილი ჯგუფების სახით, რომელიც წარმოადგენდა ალდამიანთა მცირერიცხოვან მოხეტიალე ჯგუფს, რომელიც თავს ირჩენდა პრიმიტიული ნადირობით და ღამეს ხეებზე ან გამოქვაბულში ათევდა. ნელ-ნელა საზოგადოებაში მეთევზეობისა და ნადირობის სრულყოფილად განვითარების შემდეგ, ჩამოყალიბდა ადამიანთა უფრო მყარი და უფრო მრავალრიცხოვანი გაერთიანება – *გვარი*.

სახელმწიფოს წარმოშობის უმნიშვნელოვანეს თეორიათა შორის შეიძლება დასახელდეს პატრიარქალური, თეოლოგიური, ხელშეკრულების, მატერიალისტური, ძალადობის თეორიები და სხვა.

პატრიარქალური თეორია (არისტოტელე, რ. ფილმერი, ნ.კ. მიხაილოვსკი, მნ. პოკროვსკი). ამ თეორიის თანახმად სახელმწიფო პატრიარქალური ოჯახიდან წარმოიშვა, მისი გაზრდის შედეგად: ოჯახი – ოჯახთა ერთობლიობა (დასახლება) – დასახლებათა ერთობლიობა (სახელმწიფო). არისტოტელე ადამიანს უწოდებდა პოლიტიკურ ცხოველს, რომელიც გადარჩენის მიზნით სხვა ადამიანებთან შედის ურთიერთობაში. წარმოიქმნება ოჯახი. ამ ოჯახების განვითარებას გამრავლების შედეგად დასახლებების გაჩენა მოსდევს, მათ გაერთიანებას კი – სახელმწიფო. ამრიგად, სახელმწიფო წარმოდგება, როგორც ოჯახების ურთიერთობების შედეგი, ხოლო მონარქის ძალაუფლება განიმარტება, როგორც მამის (პატრიარქის) ძალაუფლების გაგრძელება „მამისეული“ ხასიათის მატარებელ ოჯახში.

თეოლოგიური თეორია (ავრელიანუსი, ავეუსტინე, თომა აკვინელი, ჟაკ მარტიენი) საერთო კეთილდღეობის რეალიზაციის მიზნით სახელმწიფოს ღვთაებრივი შექმნის იდეას ემყარება. იგი ასახუთებს სასულიერო ძალაუფლების ბატონობას საეროზე, ეკლესიისას – სახელმწიფოზე. ყოველი ადამიანი ვალდებულია დაემორჩილოს ღვთის ნებას, რომელმაც დაამყარა სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, დაექვემდებაროს იმ ძალაუფლებას, რომელიც ეკლესიის მიერ არის სანქცირებული. თეოლოგიური თეორია განმსჭვალულია სახელმწიფოს მარადიულობისა და ურყეობის იდეით. აქედან გამომდინარეობს საზოგადოებაში არსებული ყველა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ინსტიტუტების უცვლელად შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ მტკიცება.

ხელშეკრულების (ბუნებრივ-სამართლებრივი) თეორია (პ. გროციუსი, ბ. სპინოზა, ტ. გობსი, ჯ. ლოკი, ჟ.-ჟ. რუსო, ი. კოზელსკი, ა. რადიშჩევი, ი. კანტი). სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ეფუძნება ბუნებითი სამართლის თეორიას – რომლის მიხედვითაც სახელმწიფოსა და სამართლის შექმნამდე ადამიანები იმყოფებოდნენ ე.წ. „ბუნებით მდგომარეობაში“ ცნობილი იურისტის პიუგო გროციუსის წერდა, – „რომ სახელმწიფო ადამიანთა შორის შეთანხმების შედეგია, მათი წიანწარგამიზნული და შეგნებული მოღვაწეობის პროდუქტია“.

ორგანული თეორია, რომლის ამოსავალი საწყისები ჩამოყალიბებული იყო პლატონისა (428-348 ჩვენს ერამდე) და არისტოტელეს (348-322 ჩვენს ერამდე) მიერ, სახელმწიფოს წარმოშობისა და ფუნქციონირების პროცესს აიგივებს რაღაც ბიოლოგიურ ორგანიზმთან. გ. სპენსერმა (1820-1903), განავითარა რა ეს აზრი, განაცხადა, რომ სახელმწიფო – საზოგადოებრივი ორგანიზმია, რომელიც შედგება ცალკეული ადამიანებისგან, მსგავსად იმისა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი შედგება უჯრე-

დებისგან. არსებული სახელმწიფო ინსტიტუტები უთანაბრდება ადამიანის ორგანიზმის ნაწილებს. მართვის ორგანოები – თავის ტვინს, კომუნიკაცია და ფინანსები – სისხლძარღვთა სისტემას, კანონმდებლობა – ადამიანის ნერვებს და ა.შ. ადამიანის ორგანიზმის მსგავსად სახელმწიფო განიცდის ღროის გავლენას, იგი იბადება, ვითარდება, ბერდება და კვდება.

ძალადობის თეორია (ე. დიურინგი, ლ. გუმპლოვიჩი, კ. აუცკი) სახელმწიფოს წარმოშობას ხსნის, როგორც ომების შედეგს, ადამიანთა გარკვეული ნაწილის მიერ სხვა ადამიანების ძალადობრივი დამორჩილება (ე. დიურინგთან – საზოგადოების ნაწილის სხვა ნაწილით, ლ. გუმპლოვიჩთან და კ. აუცკისთან – ერთი ტომის სხვა ტომით) დაპყრობა საჭიროებს განსაკუთრებული ორგანოების შექმნისა და წესრიგის შენარჩუნების აუცილებლობას.

მატერიალისტური (კლასობრივი, მარქსისტული) თეორია (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ვ.ი. ლენინი, გ.ვ. პლехანოვი) სახელმწიფოს წარმოშობის ეკონომიკური მიზეზების (კერძო საკუთრების არსებობა) შესახებ თეზისებს ემყარება, რამაც საზოგადოება განლიჩა საპირისპირო, შეურიგებელი (ანტაგონისტური) ინტერესების მქონე კლასებად.

გარდა ჩამოთვლილი თეორიებისა სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, ლიტერატურაში სახელდება, აგრეთვე, *ირიგაციული*, რომელიც სახელმწიფოს წარმოშობას აკავშირებს მსხვილმასშტაბიანი საირიგაციო სამუშაოების (საწარმოო ძალების დაბალი დონის დროს) ორგანიზების აუცილებლობასთან (კ.ა. ბიტფოგელი); *რასობრივი*, როგორც სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების შესახებ შეხედულებათა ერთობლიობა, რომელიც ეფუძნება აზრს ადამიანთა რასების ფიზიკური და ფსიქოლოგიური უთანხმოების შესახებ, მათ დაყოფას მაღალსა და დაბალზე, რომელთაგანაც პირველნი ცივილიზაციის შემქნელები მოწოდებულები არიან, რათა იბატონონ საზოგადოებასა და სახელმწიფოში, მეორენი კი, მხოლოდ ბრმად და უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდნენ მათ (ჟ. გობინო, ფ. ნიცშე); *პატრიმონიალური*, გამოძინარეობს იქიდან, რომ სახელმწიფო წარმოიშვა მიწაზე მესაკუთრის მემკვიდრეობითი უფლებიდან (პატრიმონიუმი) მასზე მცხოვრებ ადამიანებზე ამ ძალაუფლების ავტომატური გავრცელების საშუალებით (ა. გალერი); *ფსიქოლოგიური*, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების წარმოშობას ასაბუთებს ადამიანის ფსიქოლოგიური მოთხოვნით იცხოვროს ორგანიზებული საზოგადოების ჩარჩოებში კოლექტიური ურთიერთქმედების აუცილებლობის გრძნობით, განსაკუთრებული ფსიქოლოგიური განცხადებითა და მოთხოვნებით; მბრძანებლობა, გარკვეული ლიდერებისა-

დმი მორჩილება, დამჯერობა (ლ. პეტრაჟიციკი, ე. ფრომი, გ. ტარდი, ნ.მ. კორკუნოვი). აგრეთვე დასახელებულია: *სოლიდარისტული* (ე. დიურკჰეიმი, ლ. დიუგი), *ინცესტური* (სქესობრივი) თეორია (ლევინ-სტროსი), სპორტული (ორტეგა ხ. გასეტი), დიფუზური (გრენბერი) და სხვა კონცეფციები.

რუსეთის მიმართ ხშირად სახელდება სახელმწიფოს წარმოშობის *ნორმანული თეორია* (XVIII ს. შუა პერიოდი), კონცეფცია, რომლის მომხრეებიც კიევის რუსეთის (უპირველესად, მთელი მისი სახელმწიფოებრივ-მმართველობითი სტრუქტურების) დამაარსებლებად ნორმანებს თვლიან.

სამართლის წარმოშობის თეორია, მნიშვნელოვანწილად, სახელმწიფოს წარმოშობის მსგავსია, რაც მათი ერთიანი ბუნებითა და განუყოფელი ისტორიული ურთიერთკავშირითაა განპირობებული. ამიტომ, აგრეთვე შესაძლებელია, ვისაუბროთ სამართლის წარმოშობის თეოლოგიურ, საბუნებისმეტყველო, ნორმატიულ, ფსიქოლოგიურ, მატერიალისტურ კონცეფციებზე. მიუხედავად ამისა, მის გენეზისზე შეხედულებებს შორის განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს:

- *ისტორიული თეორია*, რომლის წარმომადგენლები სამართალს განიხილავენ არა როგორც სახელმწიფო მოღვაწეობის შედეგს, არამედ, როგორც „სახალხო სულისკვეთების“ პროდუქტს — ხანგრძლივ პერიოდში ჩამოყალიბებული ადათ-წესები, ტრადიციები, რომელსაც სახელმწიფო თვალყურს უნდა ადევნებდეს და მათგან ყველაზე უფრო რაციონალური გაამყაროს ქცევის საყოველთაო წესების სახით (გ. ჰუგო, ფ. სავინი, გ. პუნტა და სხვ.);
- *შემრიგებლური თეორია*, რომელიც იუწყება, რომ სამართალი წარმოიშვა, როგორც მოწესრიგების (შერიგების) საშუალება მტრულად განწყობილ გვარებს შორის (გ. ბერმანი, ე. ანერსი);
- *რევულუციური თეორიის* მიმდევრები სამართლის წარმოშობას მიიჩნევენ, როგორც უნივერსალურ ინსტრუმენტს და მაკავშირებელს საზოგადოებაში ურთიერთობათა ერთნაირი წესრიგის დასამყარებლად.

სახელმწიფო და საზოგადოების პოლიტიკური სისტემა

9. სახელმწიფოს ცნება და ნიშან-თვისება

სახელმწიფო – ეს არის ერთიანი პოლიტიკური ძალაუფლების ორგანიზაცია საზოგადოებაში, რომელიც ვრცელდება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე და მის მოსახლეობაზე, აქვს რა მართვისა და იძულების სპეციალური აპარატი, გამოსცემს ყველასათვის სავალდებულო ბრძანებებსა და გააჩნია სუვერენიტეტი.

სახელმწიფო ძალაუფლება სოციალური ძალაუფლების სხვა სახეობებიდან იმით განსხვავდება, რომ მას:

- პოლიტიკური ბუნება გააჩნია და ამიტომ კლასობრივი ხასიათისაა;
- საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვა სახეობებთან შედარებით დამოუკიდებელია, გამოყოფილია საზოგადოებისგან და მუდამ საჯაროა;
- გააჩნია იურიდიულად განუსაზღვრელი ხასიათი;
- ხშირ შემთხვევაში დარწმუნების მეთოდით რეალიზდება, თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში იძულებითი საშუალებების მდიდარ არსენალსაც იყენებს;
- ყველა ძალაუფლებას შორის ერთადერთია, რომელსაც მორჩილების მოთხოვნის უფლება აქვს საზოგადოების ყველა წევრის მხრიდან (სამართალშემოქმედებითი მოღვაწეობა);
- სოციალური ძალაუფლების სხვა სახესხვაობებიდან განსხვავებით პოლიტიკური (სახელმწიფო) ძალაუფლება მკაცრად განსაზღვრული ტერიტორიების მკაცრ ჩარჩოებში მოქმედებს;
- რეალიზდება ამისათვის სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო აპარატის (მექანიზმის) საქმიანობის მეშვეობით.

10. სახელმწიფოს სახეობები, არსი და სოციალური დანიშნულება

სახელმწიფოს დასავლური (დომინირებული) კონცეფციის ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, სახელმწიფოს, როგორც თავისუფალ და თანასწორ მოქალაქეთა ასოციაციის (გაერთიანებები), არისტოტელესეული გაგების დროიდან. ასეთი გაგებით სახელმწიფო, პრაქტიკულად, საზოგადოებისგან არ იყო გამოყოფილი. არისტოტელეს კონცეფციას შემდგომ მხარი დაუჭირეს ციცერონმა, თ. აკვინელმა, მ. პადუანსკიმ, ჯ. ლოკმა, ი. კანტმა და სხვ. XVI-XVII ს.ს. მიჯნაზე სახელმ-

წიფო ხედვამ თანდათანობით შეიძინა ახალი თვისებები. იგი ასოცირდებოდა, უმეტესწილად, საქციალურ აპარატთან, საჯარო ხელისუფლებასთან (ჟ. ბოდენი, თ. გობსი, ვ. გუმბოლტი, კ. მარქსი, ვ. ლენინი და სხვ.).

XVII საუკუნეში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული ადამიანების ბუნებრივი უფლებებისა და სახელმწიფოს შელშეკრულების თეორიის კონცეფციების საფუძვლები. XVIII საუკუნემ ეს ორი ელემენტი გააერთიანა ლიბერალური სახელმწიფოს ერთიან სისტემაში, რომელიც მოწოდებული იყო დაეცვა ინდივიდი განუკითხაობისგან (რუსო, მონტესკიე, გუმბოლტი). XIX საუკუნის მეცნიერულმა გამოკვლევებმა მიგვიყვანა სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლების თეორიულ დასაბუთებამდე (რ. მოლი). იმავე XIX საუკუნეში ჩაისახა და პრაქტიკულად, მთლიანად XX საუკუნეში, ცხოვრებაში განხორციელდა სოციალისტური (პროლეტარული, საერთო-სახალხო) სახელმწიფოს იდეები.

სახელმწიფოთა ნაირსახეობა:

- **ტოტალიტარული სახელმწიფო**, მაქსიმალურად ერევა მოქალაქეთა და მათი გაერთიანებების ცხოვრებაში, ნერგავს, ამკვიდრებს აზრთა და შეფასებათა, პოლიტიკური ორგანიზაციისა და ეკონომიკის ერთიანობას. ასეთი სახელმწიფო მთელ საზოგადოებას შთანთქავს. ტოტალიტარული სახელმწიფო – სახელმწიფო დიქტატურაა;
- **ავტორიტარული სახელმწიფო** ხასიათდება ცალკეული მოქალაქეებისა და საზოგადოების გადამატებული მეურვეობით, მათი ყველა საშინაო საქმეში ჩარევით, საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგლამენტაციის გაუბრალოებით;
- **სამართლებრივი სახელმწიფო**, არათუ ამყარებს, არამედ უზრუნველყოფს ძირითადი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციასა და დაცვას, აღიარებს თავისუფალ და სრულუფლებიან პიროვნებას;
- **სოციალური სახელმწიფო** – სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია ეკონომიკური და სოციალური უფლებებისა და ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლების (განსაკუთრებით, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენები) კონსტიტუციური გარანტიები, ხოლო მათი სათანადო რეალიზაცია სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა; ეს არის სახელმწიფო, რომელიც ეფუძნება სოციალური თანასწორობის, საყოველთაო სოლიდარობისა და ურთიერთპასუხისმგებლობის დაკანონებულ პრინციპებს;
- **საერო სახელმწიფო** – ეს არის სახელმწიფო, რომელიც თავისუფალია რაიმე რელიგიური გავლენისგან, მისი დოგმატიკისა და

რელიგიური წეს-ჩვეულებებისგან, სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციებისა და მისი პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების მოწყობისა და საქმიანობის, სახელმწიფოს განათლებისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა სფეროების სისტემის წარმოდგენლებისგან; საერო სახელმწიფო რელიგიის მიმართ ნეიტრალურია, რელიგიისა და ათეიზმისგან თავისუფალია.

ამრიგად, *თანამედროვე სახელმწიფოს არსი* მდგომარეობს შემდეგში, იგი საზოგადოების მარგანიზებული ძალაა, რომელიც გამოხატავს და იცავს მისი წევრების პირად და საერთო ინტერესებს.

11. სახელმწიფოს თანამედროვე თეორიები

სახელმწიფოს თანამედროვე თეორიები – ეს თანამედროვე შეხედულებებია სახელმწიფოს არსის, საზოგადოებაში მისი ადგილისა და დანიშნულების, მისი პერსპექტიული განვითარების კანონზომიერებების შესახებ. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- *ელიტის თეორია* (XX ს. დასაწყ., გ. მოსკი, ვ. პარეტო, ხ. ლასუელი, დ. სარტორი) – ხალხთა მასებს არ შეუძლიათ სახელმწიფოს მართვა, ამდენად სახელმწიფო ძალაუფლება შესაძლებელია განხორციელდეს მოსახლეობის ელიტარული ფენების, საზოგადოების სათავეში მდგომი ადამიანების მეშვეობით. ამასთან, ელიტები სხვადასხვა კრიტერიუმებისგან გამომდინარე ყალიბდება – ნიჭი, განათლება, გამოცდილება. ხალხი ელიტებს შორისაა და სახელმწიფოსა და თავისთავის მართვისთვის შეუძლია ამა თუ იმ ელიტის არჩევა;
- *ტექნოკრატიული თეორია* (ბერძნ. *tehne* – ხელოსნობა, *kratos* – ძალაუფლება) გავრცელდა XX ს. 60-70 წწ. სახელმწიფოში, სადაც ძალაუფლების წარმოშობის საწყისი ინფორმაციაა და მართვა სპეციალისტებს ევალებათ – მენეჯერი, ტექნოკრატები. მხოლოდ მათ ძალუძთ საზოგადოების პროგრესული განვითარების უზრუნველყოფა (ტ. ვებლენი, დ. ბერნხეიმი, გ. საიმონი, დ. ბელი და სხვ.);
- *პლურალისტური დემოკრატიის თეორია* (გ. ლასკი, მ. დიუვერჟე, რ. დარენდორფი, რ. ალენი, რ. დალი და სხვ.) ჩამოყალიბდა XX ს. შუა პერიოდში და მოგვითხრობს იმაზე, რომ თანამედროვე საზოგადოება კლასობრივ სტრუქტურას კი არ წარმოადგენს, არამედ ადამიანთა სოციალური გაერთიანებების ერთობლიობას – *სტრატების*, რომელთა ფორმირება სხვადასხვა საფუძვლით წარმოებს (ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, პროფესია, ინტერესები და სხვ.);

- *საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორია* (XX ს. 50-იანი წ.წ. დ. კეინსი) წარმოიშვა არსებულის, XVII ს. დაწყებული „ღამის დარაჯის“ სახელმწიფოს თეორიის საწინააღმდეგოდ, რომელიც სრულებით არ ერეოდა საზოგადოებრივ პროცესებში. XX ს. ოცდაათიანი წლების კრიზისულმა მოვლენებმა გადასახედი გახადა სახელმწიფოს ადგილი და როლი. სახელმწიფოს უნდა აესახა მთელი სოციუმის ინტერესები, რომელსაც ამ საფუძველზე შეეძლო და ვალდებული იყო საზოგადოებრივი ყოფის ყველა სფეროში შეეღწია, განსაკუთრებით, ეკონომიკურ პროცესებში;
- *სამართლებრივი სახელმწიფოს თეორია* (გაფორმდა XVIII ს.) – სახელმწიფო სამართლებრივი კავშირების მეშვეობით საზოგადოების კეთილდღეობისათვის ზრუნავს;
- *კონვერგენციის თეორია* (XX ს. 50-60 წწ.) – დროთა განმავლობაში ხდება დონის მიხედვით მსგავსი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სისტემების დაახლოება. განვითარების პროცესში ისინი ერთმანეთისგან იღებენ ყველაფერ საუკეთესოს. დროთა განმავლობაში მათ შორის სხვაობა საერთოდ გაქრება და წარმოიშვება ერთიანი ტიპის „პოსტინდუსტრიული სახელმწიფო“;
- *მარქსისტულ-ლენინური თეორია* (ისტორიულ-მატერიალისტური) ეფუძნება იმას, რომ სახელმწიფო პირდაპირ დამოკიდებულია საზოგადოების ეკონომიკური განვითარების დონეზე და წარმოგვიდგება ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ძალაუფლების იარაღად. სოციალისტურ ფორმაციამდე იგი წარმოადგენს მუშათა კლასის ექსპლუატაციისა და ჩაგვრის მთავარ საშუალებას. კომუნისტური საზოგადოების შექმნის შემდეგ საზოგადოებრივ თვითმმართველობაში შთანთქმული სახელმწიფო სრულიად გაქრება (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ვ. ლენინი, გ. პლეხანოვი).

12. საზოგადოებისა და სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა

ყოველ საზოგადოებაში მებრძოლი ერები ქმნიან თავიანთ პოლიტიკური შეხედულებების პოლიტიკურ დაწესებულებებს; ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის არის სახელმწიფო, რომელიც ეკუთვნის ხალხს, რადგანაც ხალხი სწორედ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების შესაბამისად ქმნის თავისი დიქტატურის განზორციელების უშუალო იარაღს – სახელმწიფოს.

სახელმწიფო ვერ იარსებებს ასე, უბრალოდ, თავის თავისთვის. იგი საზოგადოებისთვის არსებობს. იგი ადამიანებს აერთიანებს ერთიანი ძალაუფლების ქვეშ, ათანასწორებს და აკმაყოფილებს საზოგადოების ინტერესებს. სახელმწიფოს გარდა საზოგადოებაში არსებობს სხვა ორგანიზაციებიც, რომლებიც აერთიანებს სრულიად სხვადასხვა ინტერესის მქონე ადამიანებს (მოსახლეობას): საზოგადოებრივი კავშირები (პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, შემოქმედებითი, ახალგაზრდული, ქალთა და სხვ. გაერთიანებები), კომერციული ორგანიზაციები.

პოლიტიკური სისტემა – ეს არის სახელმწიფოებრივი, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილე ორგანიზაციების, ასევე ურთიერთობების მთელი ერთობლიობა.

პოლიტიკური სისტემა მრავალი ელემენტისგან შედგება, რომელთა გაერთიანებაც შეიძლება განსაზღვრულ ბლოკებში: პოლიტიკური ინსტიტუტები, პრაქტიკა და იდეოლოგია.

პოლიტიკური ინსტიტუტები:

- სახელმწიფო თავისი ორგანოების სახით (პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, საკონტროლო – ზედამხედველობითი, სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოები);
- პოლიტიკური და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები, სადაც შედის მრავალრიცხოვანი არაკომერციული და კომერციული ორგანიზაცია;

პოლიტიკური პრაქტიკა წარმოდგენილია პოლიტიკური და სამართლებრივი ნორმებით (ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტები, არჩევითი უფლება), სისტემის ცალკეულ ელემენტებს შორის პოლიტიკური ურთიერთობებით, განსაკუთრებული პროცედურებით და ა.შ.

პოლიტიკური იდეოლოგია (პოლიტიკური შეგნება და კულტურა, პოლიტიკური ქცევის სტერეოტიპები, პოლიტიკური ცოდნა, პრინციპები, ფასეულობები და იდეალები).

პოლიტიკური სისტემის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი აქტიურად ვლინდება საზოგადოებრივ საქმიანობაში, მაგრამ პოლიტიკაზე მათი გავლენის ხარისხი შეზღუდულია. სახელმწიფო კი, როგორც პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, იკავებს განსაკუთრებულ ადგილს:

- იგი განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების ძირითად გზებს;
- განაზოცილებს საზოგადოებით მართვას, რისთვისაც იყენებს აპარატში არსებულ საჯარო ხელისუფლებას, რომელიც შედგება სპეციალური საკანონმდებლო, საშემსრულებლო, სასამართლო და საკონტროლო – ზედამხედველობითი ორგანოებისგან;

- უზრუნველყოფს ერთიანობას და მთელ პოლიტიკურ სისტემას შესძენს სიმტკიცეს; ქმნის ყველა პირობას პოლიტიკური ძალებისა და იდეების ბალანსისათვის;
- ეს ყველაზე უცვლელი, მუდმივი ელემენტია;
- იგი უაღრესად პოლიტიკური ინსტიტუტია;
- მას გააჩნია სუვერენიტეტი;
- იგი საზოგადოებაში ყველაზე მასობრივი ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს ყველა ადამიანს, დამოუკიდებლად მათი რაიმე თავისებურებებისგან (სქესი, ასაკი, პროფესია, აღმსარებლობა და ა.შ.);
- იგი ერთადერთი სრულძალაუფლებიანი ორგანიზაციაა საზოგადოებაში, რომელსაც გააჩნია დიდი ძალოვანი საშუალებები (არმია, პოლიტიკა, უსაფრთხოების სამსახური);
- გააჩნია ძალთა გამოყენების მონოპოლია;
- მის ხელთაა თავმოყრილი უზარმაზარი მატერიალური და ფინანსური საშუალებები;
- იგი ერთადერთი ორგანიზაციაა საზოგადოებაში, რომელიც აწესებს ყველასათვის სავალდებულო ქცევის წესებს – იურიდიულ ნორმებს.

სახელმწიფოების ტიპოლოგია

13. სახელმწიფოების ტიპოლოგიის ცნება

კონკრეტული ისტორიული პერიოდის სახელმწიფოს თავისებურებანი საზოგადოების მდგომარეობითა და განვითარების დონით განისაზღვრება. ფორმალური ნიშნების უცვლელობისას (ტერიტორიები, საჯარო ხელისუფლება, სუვერენიტეტი) სახელმწიფო საზოგადოებრივი განვითარების მიხედვით სერიოზულ ცვლილებებს განიცდის. იცვლება მართვის შინაარსი და მეთოდები, მიზნები, ამოცანები და სოციალური მიმართულებები. სახელმწიფოებრიობასა და სახელმწიფო მოწყობის ხასიათზე მოქმედებს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, მისი კულტურის თავისებურება, ტერიტორიის ფართობი, გეოგრაფიული მდებარეობა, ხალხში დამკვიდრებული ადათ-წესები და ტრადიციები, რელიგიური შეხედულებები და სხვა ფაქტორები.

სახელმწიფოების ტიპოლოგია – ეს არის საერთო ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რაც დამახასიათებელია სახელმწიფოთა გარკვეულ, ისტორიულად განცალკევებულ ჯგუფებისათვის.

ტიპოლოგიის ჩარჩოებში ძირითად კომპონენტად *სახელმწიფოს ისტორიული ტიპი გვევლინება* – სახელმწიფოს ერთიან საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში შემაკავშირებელი ყველაზე უფრო არსებითი ნიშან-თვისებათა ერთობლიობა; სახელმწიფოთა გარკვეული ერთობლიობა განპირობებული მათი სოციალური დანიშნულების არსის ერთობით. ამასთან, უნდა გვახსოვდეს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ინსტიტუტების მჭიდრო ურთიერთკავშირის შესახებ. ამიტომ, ტიპოლოგიის ჩარჩოებში გამოიყოფა, აგრეთვე, *სამართლის ისტორიული ტიპიც*, რომელიც, თავის მხრივ, ხასიათდება საზოგადოების ცხოვრების (ყოველმხრივი) სამართლებრივი სფეროს თავისებურებებით, სამართლებრივი პრინციპებისა და სამართლებრივი პოლიტიკის, იურიდიული ნორმების მთელი სისტემის შინაარსით.

სამართლებრივ მეცნიერებაში, ძირითადად, ორი თეორია დომინირებს – ფორმაციული და ცივილიზაციური.

14. სახელმწიფოების ტიპოლოგიის მიმართ ფორმაციული მიდგომა

ფორმაციული მიდგომა სახელმწიფოსა და სამართლის ტიპოლოგიის მიმართ – ეს არის საზოგადოების მდგომარეობისა და განვითარების, საზოგადოების ეკონომიკურ ბაზისში, მის საწარმოო ურთიერთობებსა და კლასობრივ სტრუქტურებში თვისებრივი ცვლილებების თვალსაზრისით სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპების ცვლის კანონზომიერების გამოკვლევები.

სახელმწიფოს ისტორიული ტიპის ცნებაში იგულისხმება – ერთი და იგივე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ერთი და იგივე ბაზისის საფუძველზე წარმოშობილი სახელმწიფოები, რომლებიც ერთნაირი კლასობრივი შინაარსით ხასიათდებიან და ერთი გარკვეული კლასის ბატონობის იარაღს წარმოადგენენ. ე.ი. სახელმწიფოს ტიპს განსაზღვრავს საზოგადოების ეკონომიკური წყობილება და კლასობრივი შემადგენლობა. სახელმწიფოს ზოგადი ცნება გულისხმობს, რომ იგი არის იძულების აპარატი, მანქანა გაბატონებული კლასის ხელში დაპირისპირებული კლასების წინააღმდეგ მიმართული.

საწარმოო ძალთა განვითარების დონე განსაზღვრავს საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ხოლო საწარმოო ურთიერთობები, რომელიც საწარმოო საშუალებებზე საკუთრების ერთი ტიპის ფორმაზეა აგებული, საზოგადოების ეკონომიკურ ბაზისს შეადგენს, რომელსაც შეესაბამება გარკვეული პოლიტიკური, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი

და სხვა ზედნაშენი მოვლენები. ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეში გადასვლა საწარმოო ურთიერთობების დრომოჭმული ფორმების ახალი ეკონომიკური წყობით შეცვლის შედეგად ხდება. ეკონომიკური ბაზისის თვისებრივ ცვლილებებს კანონზომიერად მოსდევს ზედნაშენში ძირეული გარდაქმნები.

სახელმწიფოს ტიპი განისაზღვრება იმით, თუ რა ეკონომიკურ ბაზისს იცავს ეს სახელმწიფო და რომელი გაბატონებული კლასის ინტერესებს ემსახურება იგი. ასეთი მიდგომით სახელმწიფო, გამოდის რა როგორც ეკონომიკურად გაბატონებული კლასის დიქტატურა, იძენს უაღრესად კლასობრივ განსაზღვრულობას.

მონათმფლობელური ტიპის სახელმწიფო — სახელმწიფოების პირველი სახელმწიფოებრივ-კლასობრივი ორგანიზაცია. მონათმფლობელური სახელმწიფო თავისი არსით — მონათმფლობელურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში გაბატონებული კლასის პოლიტიკური ძალაუფლების ორგანიზაციაა. ამ სახელმწიფოებისა და მათი სამართლებრივი სისტემების უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა — წარმოების საშუალებებსა და მონებზე მონათმფლობელების საკუთრების დაცვა. ასეთი სახელმწიფოების ნათელ მაგალითს წარმოადგენდა ბერძნული ქალაქი-პოლისები და ანტიკური რომი.

ფეოდალური ტიპის სახელმწიფო — მონათმფლობელური წყონილების დაღუპვისა და ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბების შედეგია. განსაზღვრელი თვისებები — მიწაზე საკუთრების უფლების პირობითობა, ერთმანეთისგან სოციალურად იზოლირებული და იურიდიულად წოდებრივი უთანოსწორობის არსებობა. აფართოებდა რა საზოგადოების ერთი ფენის პრივილეგიებს, ფეოდალური სახელმწიფო სხვებს ტოვებდა საერთოდ უუფლებოდ.

სამართალი პირდაპირ მეტყველებდა ადამიანების ურთიერთდაპოკიდებულებაზე. ფეოდალური სამართალი ძალის სამართალი იყო („მუშტის სამართალი“). ასევე, ფეოდალური სახელმწიფოს სამართლისთვის დამახასიათებელი იყო, ეგრეთ წოდებული, *სამართლის პარტიკულიარიზმი* — მდგომარეობა, რაც გამოიხატებოდა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ერთიანი სამართლის არსებობაში და სამართლებრივი სისტემების ბატონობაში, რომელიც ეფუძნებოდა ადგილობრივ ადათ-ჩვეულებებს, იმუნურ და ამქრულ სამართალს, სენიორიალურ და კანონიკურ კანონმდებლობასა და იუსტიციას.

თანამედროვე ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობის ისტორია დასაბამს იღებს, სწორედ, შუა საუკუნეების პერიოდიდან. ფეოდალურმა (შუასაუკუნეობრივმა) სახელმწიფომ თავისი განვითარების პერიოდში

მთელი რიგი ეტაპი გაიარა: ადრეულ ფეოდალური მონარქია (V-IX სს.), სენიორიალური მონარქია (X-XII სს.), წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია (XIII-XV სს.), აბსოლუტური მონარქია (XVI-XVIII სს.).

ბურჟუაზიული ტიპის სახელმწიფო – ექსპლუატატორული სახელმწიფოს უკანასკნელი ტიპი. იგი ჩამოყალიბდა აბსოლუტური სახელმწიფოს წიაღში და მისი გაჩენა შედეგი გახდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმირებისა, რომლითაც დაინტერესებული იყო ბურჟუაზიული წოდება ეს-ეს არის რომ ყალიბდებოდა. სწორედ მან, სახელმწიფოს უმნიშვნელო მზრუნველობითა და კერძო ინიციატივების შეზღუდვებით უაღრესად უკმაყოფილომ, აღმართა ლოზუნგი „თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა“, გამოვიდა XVII-XIX სს. ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში რევოლუციური ძვრების ინიციატორად. ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარჩოებში მოქცეული წოდებრივი უთანასწორობა იცვლება სოციალურით. იურიდიულად თავისუფალი მუშა მოკლებულია წარმოების საშუალებებს და იძულებულია თავი მიჰყიდოს კაპიტალს. სამართალი ამყარებს სამეწარმეო თავისუფლებას, იცავს კერძო საკუთრებას.

სოციალისტური ტიპის სახელმწიფო იქმნება კაპიტალისტური საზოგადოების ობიექტური წინააღმდეგობების შედეგად, რაც პროლეტარული რევოლუციის გარდუვალობას განაპირობებს. სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა მშრომელთა მასების ხელში, რომლის სათავეშიც მუშათა კლასია და მისი პარტია ამზობს კერძო საკუთრების ურთიერთობებს და მასზე დაფუძნებულ სახელმწიფო მანქანას. სოციალისტური სახელმწიფო – მშრომელთა კლასის პოლიტიკური ძალაუფლების იარაღია. მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების წარმოდგენით იგი მშრომელთა ინტერესებს გამოხატავს, სოციალისტური საზოგადოების დაცვასა და განვითარებას უზრუნველყოფას და მაინც, დროთა განმავლობაში სახელმწიფო, როგორც ასეთი, უბრალოდ გაქრება, გაერევა საზოგადოებრივ თვითმმართველობას, ხოლო თავად საზოგადოება თავისი განვითარების უმაღლეს სტადიაში შევა – კომუნისტურში.

არის კიდევ ერთი ტიპის სახელმწიფო, რომელიც ფორმაციული ტიპოლოგიის ჩარჩოებში არასრულად ჯდება, მაგრამ ლოგიკურად მასთან ახლოს დგას. ეს არის *გარდამავალი ტიპის სახელმწიფო*. მატერიალისტური მიდგომის თვალსაზრისით იგი სახელმწიფოებრიობას წარმოადგენს, რომელიც იქმნება კლასობრივი ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის, პოლიტიკური რეჟიმების მკვეთრი შეცვლის შედეგად. შემდგომში, საკუთრების გაბატონებული ფორმების სიჭარბის მიხედვით, მსგავსი

სახელმწიფოები გარკვეული ისტორიული ტიპის სახელმწიფოს უნდა მიემხროს – კაპიტალისტურს ან სოციალისტურს.

15. ცივილიზებული მდგომარეობა სახელმწიფოების ტიპოლოგიის მიხედვით

ძველ დროში სიტყვა „ცივილიზაცია“ ცნება „ბარბაროსობის“ საწინააღმდეგო იყო. მოგვიანებით ამ ტერმინმა უფრო ღრმა, დამოუკიდებელი შინაარსი შეიძინა. ლ. მორგანი საზოგადოებრივ განვითარებას განიხილავდა, როგორც ერთმანეთის შემცვლელ „ველურობას, ბარბაროსობას, ცივილიზაციას“. ინგლისელმა ისტორიკოსმა ა. ტონიმ (1889-1975) ცნება ცივილიზაცია განავითარა და დააკონკრეტა. თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ისტორიის გაგება“ მას ცივილიზაცია ესმოდა, როგორც საზოგადოების შედარებით ჩაკეტილი და ლოკალური მდგომარეობა, რომელიც გამოირჩეოდა კულტურული, ეკონომიკური, გეოგრაფიული, რელიგიური, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორების ერთიანობით.

ცივილიზებული მდგომარეობა სახელმწიფოსა და სამართლის ტიპოლოგიის მიხედვით – საზოგადოების სოციოკულტურულ გარემოში, ხალხის სულიერ კულტურაში, მის რელიგიაში, ზნეობასა და ა.შ. თვისებრივი ცვლილებების თვალსაზრისით ეს საზოგადოების მდგომარეობისა და განვითარების, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპების ცვლის კანონზომიერების გამოკვლევებია (ვ. გუმბოლდი, ა. ტონი, ო. შპენგლერი, მ. ვებერი, უ. როსტოუ, ნ. დანილევსკი, ლ. მენჩიკოვი, პ. სოროკინი, ლ. გუმბოლივი და სხვ.).

ყოველი ცივილიზაცია მის ჩარჩოებში მყოფ ყველა სახელმწიფოს მატებს მტკიცე ერთიანობას. ა. ტონიმ გამოჰყო მისი ოცზე მეტი სხვადასხვა სახეობა: ძველი აღმოსავლური, ბერძნული, რომაული, ეგვიპტური, არაბული, მართლმადიდებლური, შუა საუკუნეების, თანამედროვე და სხვა ცივილიზაციები. გ. ელინეკი (1851-1911) ყველა სახელმწიფოს ყოფდა ორ ტიპზე: იდეალური და ემპირიული. *იდეალური ტიპი* – ეს წარმოსადგენი სახელმწიფოა, რომელიც რეალურ ცხოვრებაში არ არსებობს. იდეალურ ტიპს *ემპირიული* უპირისპირდება, რომელიც ცალკეული, ერთმანეთთან რეალურად არსებული სახელმწიფოების შედარების შედეგად მიიღება. ელინეკი ემპირიული ტიპის ფარგლებში, სახელმწიფოებრივი კავშირისა და ამ კავშირში ინდივიდის მიერ დაკავებული მდგომარეობის ხასიათის თვალსაზრისით, განასხვავებდა შემდეგ მთავარ ცივილიზაციებს – ისტორიული ტიპის სახელმწიფოები: ძველი აღმოსავლური, ბერძნული, რომაული, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე.

ცივილიზაციისა და იქ სახელმწიფოსა და სამართლის ადგილისადმი ჩამოთვლილი მიდგომების გარდა, მათი ტიპოლოგიის პრობლემაზე არსებობს სხვა შეხედულებანიც. კერძოდ, ა.ბ. ვენგეროვი ისტორიაში არსებულ ყველა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს ყოფს პირველადი (ძველი ეგვიპტური, შუმერული, ბაბილონური, ირანული, იაპონური და სხვ.) და მეორადი (დასავლეთ ევროპული, ჩრდილო ამერიკული, აღმოსავლეთ ევროპული, ლათინოამერიკული) ცივილიზაციის სახელმწიფოებად.

ზოგიერთ მიდგომას საფუძვლად უდევს ხელისუფლებასა და ინდივიდუუმებს შორის ურთიერთმიმართების ხასიათი: დემოკრატია და ავტოკრატია. ამერიკელი მეცნიერი რ. მაკაივერი ყველა სახელმწიფოს კლასიფიცირებას ახდენს – დინასტიურად (ანტიდემოკრატიული) და დემოკრატიულად. ფრანგი მკვლევარი მ. ტროპე ცივილიზებული მიდგომის ჩარჩოებში განასხვავებს მონარქიას, არისტოკრატიასა და დემოკრატიას. ცივილიზებული მიდგომის ჩარჩოებში ზოგჯერ გამოიყოფა ტრადიციული და ტექნოგენური საზოგადოებები, რაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის მაკროცივილიზაციის განსხვავების საფუძველია.

სახელმწიფოს ფორმა

16. სახელმწიფოს ფორმის ცნება და სახეობები

თანამედროვე სამყარო სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების უაღრესად მრავალფეროვნებით ხასიათდება. მრავალ ქვეყანაში, ამა თუ იმ სახელმწიფოს არსებობის მთელი ისტორიის პროცესში ეს თავისებურებანი საუკუნეებისა და ათასწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა.

სახელმწიფოს ფორმა – რთული საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელიც კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის დამახასიათებელია და მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: მართვის ფორმას, სახელმწიფო მოწყობის ფორმასა და პოლიტიკური რეჟიმის ფორმას.

სამეცნიერო ლიტერატურაში შემოთავაზებულია სახელმწიფო ფორმის მთლიანად (ესე იგი, მართვის, ტერიტორიისა და რეჟიმის თავისებურებების ერთობლიობაში) დიფერენცირება რამდენიმე სახეობად:

- სახელმწიფოს *მონოკრატიული* ფორმა მთელი სახელმწიფო ძალაუფლების ერთი ხელში გადატანით ხასიათდება; იგი იძულების ან პირდაპირი ძალადობის საყრდენია; ხალხს არ შეუძლია სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონიოს; ხშირ შემთხვე-

ვაში არ არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობა; არცთუ იშვიათად ხასიათდება ეკონომიკის გასახელმწიფობრიობითა და იდეოლოგიის მონოპოლიზაციით; პრაქტიკულად მუდამ შეზღუდულია ან სრულიად იგნორირებულია მოქალაქეების უფლებები და თავისუფლება (თეოკრატიული მონოკრატია (საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბეთის ემირატები), დამახასიათებელია აგრეთვე ექსტრემისტული მონოკრატული ფორმა (ფაშისტური გერმანია, იტალია, ესპანეთი), მილიტარისტული ფორმა (სახელმწიფო ძალაუფლება ეკუთვნის სამხედრო საბჭოსა და მის ხელმძღვანელს, სამხედრო ხუნტას);

- სახელმწიფო პოლიკრატული ფორმა დამახასიათებელია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობისთვის, ვინაიდან არსებობს სახელმწიფოში, სადაც ძალაუფლების დაყოფა მკაფიოდაა ჩატარებული, გააჩნია ტერიტორიების მართვის გარკვეული დეცენტრალიზაცია, ეფექტიანად მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა, ეკონომიკა გამოყოფილია სახელმწიფოსგან, ჭარბობს პოლიტიკური რეჟიმის განხორციელების დემოკრატიული მეთოდები;
- სახელმწიფოს სემენტურ ფორმას სახელმწიფოს მონოკრატულ და პოლიკრატულ ფორმებს შორის შუალედური მდებარეობა უკავია, ვინაიდან გააჩნია ყოველი მათგანის მრავალი თვისება. სახელმწიფო ძალაუფლების მონოპოლია, როგორც ასეთი, არ არის, უმეტესწილად, სახელმწიფო ძალაუფლების გარკვეული დომინირებული ორგანოს არსებობის ხარჯზე, რომელიც მოქმედებს ოლიგარქიული ჯგუფების ან წოდებრივი ინტერესების შესაბამისად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სისტემა საკმაოდ განვითარებულია.

17. მმართველობის ფორმა: ცნება და სახეობები

მმართველობის ფორმა – ეს არის სახელმწიფო ძალაუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა, მათი წარმოქმნისა და ერთმანეთში კომპეტენციის განაწილების თანამიმდევრობა.

სახელმწიფო მმართველობის ფორმა იყოფა: მონარქიულ (ერთპიროვნულ, მემკვიდრეობით) და რესპუბლიკურ (კოლეგიალურ, არჩევით) სახეობაზე.

მონარქია – მმართველობის ისეთი ფორმაა, რომელის დროსაც უმაღლესი ძალაუფლება ერთპიროვნულია და, როგორც წესი, მემკვიდრეობით გადადის.

მმართველობის კლასიკური მონარქიული ფორმის ძირითადი ნიშან-თვისებებია: სახელმწიფოს ერთპიროვნული მეთაურის არსებობა, რომელიც თავისი ძალაუფლებით სარგებლობს სიკვდილამდე (მეფე, იმპერატორი, შაჰი, სულთანი); უმაღლესი ძალაუფლების მემკვიდრეობითი წესი; მონარქის შეხედულებისამებრ სახელმწიფოს წარმომადგენლობა; მონარქის იურიდიული უპასუხისმგებლობა.

ისტორიისთვის ცნობილია ისტორიის სხვადასხვა პერიოდში არსებული მონარქიის მრავალი სახესხვაობა. ზოგიერთი მათგანი ჩვენს დროშიც სავსებით სიცოცხლისუნარიანია. მონარქია, როგორც მმართველობის ფორმა იყოფა სენიორიალურზე, წოდებრივ-წარმომადგენლობითზე, აბსოლუტურზე, შეზღუდულზე (საპარლამენტო), დუალისტურზე, თეოკრატიულსა და საპარლამენტოზე.

რესპუბლიკა – მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც სახელმწიფოს მეთაური არჩევითია და შენაცვლებითი, ხოლო მისი ძალაუფლება ხალხისგან (ამომრჩეველებისგან) ან წარმომადგენლობითი ორგანოსგან (პარლამენტისგან) არის წარმოებული.

როგორც მმართველობის განსაკუთრებული ფორმა, რესპუბლიკები ჯერ კიდევ უძველეს (ათენი, სპარტა, რომი) და შუა საუკუნეებში (ქალაქის რესპუბლიკები – დიდი ნოვგოროდი, ფსკოვი, ფლორენცია, გენუა, ვენეცია) არსებობდა. ამჟამად რესპუბლიკა მმართველობის დომინირებულ ფორმას წარმოადგენს.

საპარლამენტო რესპუბლიკა – სახელმწიფო მმართველობის თანამედროვე ფორმის ნაირსახეობაა, რომლის დროსაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების ორგანიზაციაში უმაღლესი ძალაუფლება (წამყვანი როლი) პარლამენტს ეკუთვნის.

ასეთ რესპუბლიკაში მთავრობა პარლამენტის გზით, იმ დეპუტატებისგან ყალიბდება, რომლებიც იმ პარტიებს მიეკუთვნებიან, ვისაც პარლამენტში ხმების უმრავლესობა გააჩნია. მთავრობას თავისი საქმიანობის გამო პარლამენტის წინაშე კოლექტიური პასუხისმგებლობა აქვს. იგი ხელისუფლებაში იქამდე რჩება, სანამ პარლამენტში პარტია უმრავლესობით არის წარმოდგენილი. პარლამენტის წევრების უმრავლესობის ნდობის დაკარგვის შემთხვევაში მთავრობა ან გადადგება, ან სახელმწიფოს მეთაურის მეშვეობით ეცდება პარლამენტის დათხოვნას და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას. საპარლამენტო რესპუბლიკებს შეიძლება მიეკუთვნოთ გერ, საბერძნეთი, იტალია, ავსტრია, შვეიცარია, ისლანდია, ინდოეთი და სხვ.

საპრეზიდენტო რესპუბლიკა – სახელმწიფოებრივი მმართველობის თანამედროვე ფორმის ერთ-ერთი ნაირსახეობაა, რომელიც პარლამენტა-

რიზმთან ერთად პრეზიდენტს ანიჭებს სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებას (აშშ, საფრანგეთი, რუსეთი, ბრაზილია და სხვ.).

საპრეზიდენტო რესპუბლიკის ყველაზე უფრო დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენს პრეზიდენტის პარლამენტის გარეშე არჩევის მეთოდი და მთავრობის ფორმირება; მთავრობის პასუხისმგებლობა პრეზიდენტის და არა პარლამენტის წინაშე; სახელმწიფო მეთაურის უფრო ფართო უფლებამოსილება, ვიდრე საპარლამენტო რესპუბლიკაში.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფორმირებისა და ფუნქციონირების თავისებურებას, ხშირ შემთხვევაში, საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკების ელემენტების გადახლართვა წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში მართებულია ვისაუბროთ მმართველობის შერეულ რესპუბლიკურ ფორმაზე, რასაც ხშირად რუსეთის ფედერაციას მიაკუთვნებენ. პრეზიდენტს და პარლამენტს ხალხი ირჩევს, კანონი მათ ანიჭებს უფლებამოსილების ფართო სპექტრს, მთავრობის ფორმირება ერთობლივი ძალებით ხდება (პრეზიდენტი წარადგენს პრემიერ-მინისტრსა და მინისტრების კანდიდატურებს, პარლამენტი – მათ იწონებს ან არა). სახელმწიფოს მეთაური ხშირად ხელმძღვანელობს მთავრობის მუშაობას, ხოლო პარლამენტი მისი საქმიანობის კონტროლს ახორციელებს. მთავრობა პასუხისმგებელია ამ ორი უმაღლესი ინსტანციის წინაშე (პრეზიდენტს მისი გადაყენება შეუძლია, ხოლო პარლამენტს – უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება).

18. სახელმწიფო წყობილების ფორმირების ცნება და სახეობები

სახელმწიფო წყობილების ფორმა – ეს არის სახელმწიფოს ეროვნული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობა, რომელიც მის შემადგენელ ნაწილებსა და სახელმწიფოებრივი მართვის, ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის ურთიერთობების ხასიათს ასახავს.

ამჟამად სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით ყველა სახელმწიფო სამ ძირითად ჯგუფად არის დაყოფილი: უნიტარული, ფედერაციული და კონფედერაციული.

უნიტარული სახელმწიფო – ეს ერთიანი, მთლიანი სახელმწიფო წარმონაქმნია შემდგარი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებიდან, რომლებიც ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს ემორჩილება

და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ნიშან-თვისებები არ გააჩნია (საფრანგეთი, თურქეთი, იაპონია, ფინეთი და სხვ.).

უნიტარული სახელმწიფო შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: ერთიანი, მთელი ქვეყნისთვის საერთო უმაღლესი აღმასრულებელი, წარმომადგენლობითი და სასამართლო ორგანოები; სახელმწიფო ტერიტორიაზე მოქმედებს ერთი კონსტიტუცია, ერთიანი კანონმდებლობისა და საგადასახადო სისტემები, ერთი მოქალაქეობა; სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებს (ოლქები, დეპარტამენტები, პროვინციები, საგრაფოები) სუვერენიტეტი არ გააჩნია; ყველა გარე სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები ცენტრალური ორგანოების მიერ ხორციელდება, რომლებიც ოფიციალურად წარმოადგენენ ქვეყანას საერთაშორისო არენაზე; ერთიანი შეიარაღებული ძალები, რომელთა ხელმძღვანელობაც სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ ხორციელდება და სხვ.

უნიტარული სახელმწიფოები სხვადასხვა კრიტერიუმებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს:

- *მარტივი* (შედგება მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისგან, ხშირად არ გააჩნია თავისი მართვის აპარატი და ამდენად პირდაპირ ემორჩილება ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს – ჩეხეთი, პოლონეთი, ესტონეთი, მაროკო, ნეპალი) და *რთული* (თავის შემადგენლობაში გააჩნია ნაციონალური ან ადმინისტრაციული ავტონომიები – ესპანეთი, იტალია, დანია, უკრაინა, საფრანგეთი, ფინეთი);
- *ცენტრალიზებული* (რეგიონალური ორგანოების სათავეში ცენტრიდან დანიშნული თანამდებობის პირები არიან (ნიდერლანდები), ან ადგილობრივი ხელისუფლების არჩეული წარმომადგენლები სახელმწიფო მოხელეების მიერ არიან დამტკიცებულნი (როგორც ინდონეზიაში ქალაქის კვარტლების მამასახლისები) და *დეცენტრალიზებული* – რეგიონალური ორგანოები ცენტრალურისგან დამოუკიდებლად ყალიბდება (დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია, იაპონია, ესპანეთი, იტალია და სხვ.).

ფედერაცია წარმოადგენს ადრე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წარმონაქმნების ერთ მოკავშირე სახელმწიფოდ ნებაყოფლობით გაერთიანებას (რუსეთი, აშშ, კანადა, მექსიკა, ავსტრალია, ბრაზილია, ინდოეთი, პაკისტანი, არგენტინა, ავსტრია, ბელგია, შვეიცარია, მალაზია, გვრ, ნიგერია, ეთიოპია, ტანზანია და სხვ.).

ფედერაციული სახელმწიფოების დამახასიათებელი თვისებები: ფედერაციის ტერიტორია შედგება მისი ცალკეული სუბიექტების (შტატები, ემირატები, პროვინციები, კანტონები, მიწები, რესპუბლიკები, ოლქები და

ა.შ.) ტერიტორიებისგან; ფედერაციულ სახელმწიფოში სახელმწიფო აპარატის ორმაგი სისტემა (აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება ფედერალურ სახელმწიფო ორგანოებს ეკუთვნის), კანონმდებლობის ორმაგი სისტემა და ორმაგი მოქალაქეობა (ფედერაციისა და შესაბამისად მისი სუბიექტის); ერთიანი ფულადი სისტემა, ერთიანი შეიარაღებული ძალები; ფედერალური სახელმწიფო წყობილების დროს პარლამენტში წარმოდგენილია ფედერაციის წევრების ინტერესების გამომხატველი პალატა; ფედერაციის სუბიექტების სუვერენიტეტი არსებითად შეკვეცილია ფედერაციის სასარგებლოდ.

ფედერაციები არის *სახელშეკრულებო* (რამდენიმე სახელმწიფოს შორის შეთანხმება ფედერაციის წარმოქმნის შესახებ შექმნილი ფედერაციის გამგეობაში თავისი სუვერენიტეტის მეტი წილის ერთდროულ გადაცემასთან ერთად) და *კონსტიტუციური* (უნიტარულის ან ნახევრად ფედერაციული სახელმწიფოს გარდაქმნა ფედერაციულად მისაღებ კონსტიტუციაში შესაბამისი გაფორმებით); *სიმეტრიული* (ფედერაციის სუბიექტები თავისი უფლებრივი მდგომარეობით თითქმის თანაბარნი არიან – აშშ) და *ასიმეტრიული* (სუბიექტები თავიანთი სამართლებრივი სტატუსით საკმაოდ შესაძინევად განსხვავდებიან, მაგალითად, ზოგიერთ მათგანს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სტატუსი გააჩნია, სხვები კი ტერიტორიულ სუბიექტებად ითვლებიან – რფ, ინდოეთი), *ტერიტორიული* (ავსტრალია, მექსიკა) და *ნაციონალური*, აგრეთვე, *შერეული* – ნაციონალურ-ტერიტორიული, როგორც, მაგალითად, რუსეთის ფედერაცია.

კონფედერაცია – ესაა *სუვერენული სახელმწიფოების დროებითი იურიდიული კავშირი, რომელიც საერთო ინტერესების უზრუნველსაყოფად არის შექმნილი.*

ფედერაციული მოწყობისგან განსხვავებით კონფედერაცია შემდეგი თვისებებით ხასიათდება: როგორც წესი, იქმნება სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ხელშეკრულების შედეგად, ამასთან, ამ უკანასკნელებს კავშირიდან გასვლის უფლება აქვთ; ფედერაციისგან განსხვავებით საერთო საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები არ გააჩნია; არა აქვს ერთიანი არმია, ერთიანი საგადასახადო სისტემა, ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი; შენარჩუნებულია იმ სახელმწიფოების მოქალაქეობა, რომლებიც დროებით კავშირში არიან და სხვ.

როგორც წესი, კონფედერაციული სახელმწიფოები ხანმოკლეა, ისინი ან იშლება, ან ფედერაციად იქცევა.

ამჟამად ისეთი სახელმწიფოთშორისი გაერთიანება გვხვდება, როგორცაა თანამეგობრობა – დამოუკიდებელი სახელმწიფოების გაერთიანება,

რომელიც დაფუძნებულია ნაციონალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ინტერესების ურთიერთგაგებასა და პატივისცემაზე.

19. პოლიტიკური რეჟიმის ცნება და სახმსხვაობები

სახელმწიფო რეჟიმის (პოლიტიკურ-სამართლებრივი) ფორმა წარმოადგენს საზოგადოებაში სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელების წესებისა და მეთოდების ერთობლიობას.

პოლიტიკური რეჟიმების სახესხვაობა მრავალია, მაგრამ ყველა მათგანი დგება დემოკრატიული (კონსერვატიული, ლიბერალური) და ანტიდემოკრატიული (დესპოტური, ტირანული, ტოტალიტარული, ავტორიტარული, რასისტული) რეჟიმების ჩარჩოებში. ამასთან, ამ ნიშანთვისების მიხედვით სახელმწიფოთა კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმი ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების გარანტირების ხარისხია, აგრეთვე, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ფორმებისა და მეთოდების დემოკრატიზმი, ესე იგი, იმის მაჩვენებელი, თუ რამდენად აქტიურად მონაწილეობს ხალხი სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირებასა და კონტროლის პროცესში.

ანტიდემოკრატიული რეჟიმები შეიძლება დაწესდეს როგორც მმართველობის მონარქიული, ასევე რესპუბლიკური ფორმის დროს. მათ შემდეგი თვისებები ახასიათებთ: სახელმწიფოს სწრაფვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე: ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, იდეოლოგიაზე, სოციალურზე, კულტურულზე და ეროვნულ წყობაზე სრული კონტროლისკენ; სახელმწიფო მართვის მაქსიმალური ცენტრალიზაცია ძალაუფლების კონცენტრაციის სახით ერთი ან რამდენიმე ორგანოს რეალური უფლებამოსილების ჩარჩოებში; წარმომადგენლობით ორგანოებთან ნამდვილი ძალაუფლების ფაქტობრივი არსებობა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სისტემაში აღმასრულებელი ორგანოებისა და, აგრეთვე, დამსჯელი და სამხედრო (მილიტარიზებული) დაწესებულებების დომინირება; ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის გასახელმწიფოება (პროფკავშირულის, ახალგაზრდულის, სპორტულისა და სხვ.); პიროვნებისთვის რაიმე სუბიექტური უფლებების ჩამორთმევა, თუმცა, ფორმალურად ეს უფლებები შეიძლება საჯაროდ იყოს გამოცხადებული, თუნდაც კონსტიტუციაში.

ავტორიტარიზმი, როგორც სისტემა, დამახასიათებელია არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმისათვის, სადაც მთელი სახელმწიფო ძალაუფლება ერთი პირის ან ორგანოს ხელშია თავმოყრილი, ძირითადი პოლიტიკური თავისუფლებები (სიტყვის, ბეჭდვითი, კრებების და სხვ.) ან არ

არსებობს, ან შელახულია, პოლიტიკური ოპოზიცია ჩახშულია. ჩვეულებრივ შეესაბამება პიროვნულ დიქტატურას. მმართველობის მეთოდების შეთავსების მიხედვით შეიძლება ვარიებდეს ზომიერი ავტორიტარული რეჟიმიდან (დემოკრატიის ატრიბუტების ფორმალური შენარჩუნებით) კლასიკურ დიქტატურამდე, მაგრამ აშკარა ტერორისა და რეპრესიის გარეშე.

ტოტალიტარიზმი, როგორც პოლიტიკური რეჟიმი, თითოეული ადამიანისა და მთლიანად მთელი საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე აბსოლუტური (ტოტალური) კონტროლის დაწესებას ეფუძნება. მის უმნიშვნელოვანეს არსს, როგორც ავტორიტარული რეჟიმის გამოვლენის უკიდურესი ფორმა, ყოვლისმომცველი, ყოვლისკონტროლირებადი ძალაუფლებისკენ სწრაფვა წარმოადგენს.

უკიდურეს ანტიდემოკრატიულ რეჟიმებს მიაკუთვნებენ ტირანიას და დესპოტიას, აგრეთვე, ფაშიზმს, რასიზმს, აპარტიდს, სეგრეგაციას. სამხედრო ან სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დამყარებული ტოტალიტარული რეჟიმის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმას ხუნტა წარმოადგენს.

დემოკრატიული რეჟიმი მოწოდებულია, უზრუნველყოს პიროვნების პოზიტიური არსებობისა და განვითარების მაქსიმუმი. ამ პოლიტიკური რეჟიმის დროს მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლება არა მხოლოდ აღიარებულია, არამედ გარანტირებულიც, სახელმწიფოს მხრიდან მისი ორგანოების საშუალებით უზრუნველყოფილი და დაცული.

დემოკრატილი რეჟიმისთვის დამახასიათებელია შემდეგი თვისებები: ეკონომიკურ სფეროში პიროვნებისთვის სრული თავისუფლების მინიჭება, რომელიც საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენს. მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების რეალური გარანტია, სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ თავისუფალი აზრის გამოხატვის, კულტურული, სამეცნიერო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა; სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ ქვეყნის მოსახლეობის პირდაპირი ზემოქმედების, ეფექტიანი სისტემის შექმნა; პიროვნების დაცვა განუკითხაობისგან, უკანონობისგან, ვინაიდან მისი უფლებები მუდმივად დაცულია მართლმსაჯულების მიერ; ხელისუფლების მიერ უმრავლესობისა და უმცირესობის ინტერესების დაცვა ერთნაირ ხარისხში. სახელმწიფო რეჟიმი ემყარება კანონებს, რომელიც პიროვნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტურ მოთხოვნებს ასახავს.

20. სახელმწიფოს ფუნქციები: ცნება და ნიშან- თვისებები

სახელმწიფოს ფუნქციები – ესაა კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში (რომელიც იხსნება საზოგადოების სოციალური არსი და დანიშნულება) სახელმწიფოს წინაშე არსებული სტრატეგიული ამოცანებისა და მიზნების მიღწევის განხორციელების მხრივ სახელმწიფო საქმიანობის ყველაზე უდრო ზოგადი, უმნიშვნელოვანესი მიმართულებები.

სახელმწიფო ფუნქციების ნიშან-თვისებები:

- კონკრეტულ სფეროში სახელმწიფო საქმიანობის მსგავსი ასპექტების უმნიშვნელოვანესი მიმართულებების ერთობლიობა;
- საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროებში ჩამოყალიბებული სახელმწიფოს თვალსაჩინო, საგნობრივი საქმიანობის მტკიცე ხაზები;
- განხორციელების ძალისმიერ-იძულებითი მეთოდები, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ სახელმწიფო თავისი ფუნქციების განხორციელებისას იყენებს საზოგადოებრივი ურთიერთობების სუბიექტებზე ზემოქმედების ყველაზე განსხვავებულ ხერხებს (წახალისების, დარწმუნებისა და იძულების მეთოდები);
- სახელმწიფოს ფუნქციები კანონში ამომწურავად არის განსაზღვრული;
- ამ ეტაპზე სრულდება სახელმწიფოს ძირითადი ამოცანები და მიზნები და წარმოადგენს სახელმწიფო მოღვაწეობის მრავალგვერდიურ მხარეებს, რომელიც გაერთიანებულია საერთო საფუძველბით, რაც წარმოშობს სახელმწიფოს ფუნქციას.

21. სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების ფორმები და მეთოდები

სახელმწიფო თავის ფუნქციებს სახელმწიფო მოღვაწეობის სხვადასხვა სახის ჩარჩოებში ახორციელებს, რომლებიც თავის ერთობლიობაში საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ სპეციალური და სამართლებრივი ფორმების არსებობის შესახებ.

ამის საფუძველზე, *სამართლებრივ ფორმებს*, ესე იგი, თავისი გარეგნული ნიშნებით სახელმწიფო ორგანოების ამა თუ იმ მიმართულების

(დაკავშირებულს იურიდიული აქტების გამოცემასა და რეალიზაციასთან) საქმიანობის ერთგვარ სახეობებს განეკუთვნება:

- სამართალშემოქმედებითობა (შემუშავება, იურიდიული ნორმების მიღება და გაუქმება იმ ერთობლიობაში, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო მოღვაწეობის ყოველი მიმართულების განვითარების ძირითად კურსებს და სახელმწიფო პოლიტიკას მიმდინარე ეტაპზე);
- სამართალრეალიზაცია, რომელიც ვლინდება სამართალშეფარდებასა (სამართლიანი ნორმების გამოყენების აქტების გამოცემის საქმეში კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ მძრძანებლური უფლებამოსილების განხორციელება) და სამართალდარღვევაში (სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ნორმალური ცხოველქმედების უზრუნველყოფის პროცესში ყოველდღიური მუშაობა სამართლის ნორმების აღსრულებისთვის, აგრეთვე, სახელმწიფოს ფუნქციების სათანადო განხორციელებისთვის ყველა სტრუქტურის ძალისხმევის კოორდინაციისთვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად);
- სამართალუზრუნველყოფა, რომელიც იყოფა საკონტროლო-ზედამხედველობითსა და სამართალდამცველ საქმიანობის სახეობებზე (იძულებითი ზომების გამოყენება სამართლის ნორმების დამრღვევების მიმართ).

სახელმწიფოს ფუნქციების რეალიზაციის *საორგანიზაციო ფორმები* იურიდიული შედეგების წარმოქმნასთან პირდაპირ არ არის დაკავშირებული. ეს ფორმები მოწოდებულია უზრუნველყოს იმ სახელმწიფო მექანიზმის რგოლების ნორმალური და ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც სახელმწიფოს მიერ კონკრეტული ფუნქციების განხორციელებაში მონაწილეობს. საორგანიზაციო ფორმებს განეკუთვნება სახელმწიფო მოღვაწეობის შემდეგი სახეობები:

- *საორგანიზაციო-სარეგლამენტო* (ადგილობრივი ღონისძიებების დაგეგმვა-კოორდინაცია, დადებითი გამოცდილების შესწავლა და სისტემატიზება, მიმდინარე დოკუმენტაციის მოსამზადებლად შესაბამისი დაწესებულებებისა და ქვედანაყოფების გეგმაზომიერი მუშაობა);
- *საორგანიზაციო-სამეურნეო* (სხვადასხვა სახელმწიფო ფუნქციების შესრულების პროცესის მატერიალური უზრუნველყოფა);
- *საორგანიზაციო-იდეოლოგიური* (საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამა თუ იმ სფეროში სახელმწიფოს მიერ აღებული კურსისა და მეთოდების განხორციელების სისწორის დასაბუთებისთვის მუდმივი და მიზანმიმართული მუშაობა).

სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ყველაზე სხვადასხვაგვარი მეთოდების ზემოქმედებასთანაა დაკავშირებული. გამოყოფენ *სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების ისეთ მეთოდებს, როგორცაა წახალისება*, რომელიც გულისხმობს სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების საზოგადოებასა და სახელმწიფოსთვის მართლზომიერი და საჭირო ქცევის სტიმულირებას; *რეკომენდაციები*, რომელიც მიმართულია, სახელმწიფოს თვალსაზრისით, სუბიექტების ორიენტირებაზე უფრო მეტად სასურველ მათ ქცევაზე; *დარწმუნება*, რაც გულისხმობს სახელმწიფოს გეგმაზომიერ და მიზანმიმართულ ზემოქმედებას სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების შეგნებაზე მათ მიერ გატარებული კურსისა და პოლიტიკის სისწორის დასაბუთების მხრივ; *იძულება*, როგორც სამართლის საფუძველზე სახელმწიფო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების მიერ ფიზიკური, ფსიქიკური, ქონებრივი ან ორგანიზაციული ზემოქმედების განხორციელება დადგენილი სამართლის ნორმების დამრღვევებზე პირადი, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით.

22. სახელმწიფოს ძირითადი შიდა ფუნქციები

სახელმწიფოს შიდა ფუნქციები – სახელმწიფო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებია, განპირობებული მისი არსითა და სოციალური დანიშნულებით, ქვეყნის შიდა ცხოვრების მიზნებითა და ამოცანებით.

სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია წარმოადგენს სახელმწიფოს ობიექტურად აუცილებელ, კანონმდებლობით რეგლამენტირებულ საქმიანობას სამეურნეო დარგში, რომელიც მიმართულია ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად, გამოხატავს მის არსსა და სოციალურ დანიშნულებას და რომელიც ვლინდება ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარების, საზოგადოების ცხოვრების ეკონომიკური მოწესრიგების, საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარებისა და ა.შ. უზრუნველყოფაში.

ფინანსური ფუნქციის დანიშნულებაა სახელმწიფო ბიუჯეტისა და მისი შესრულების ფორმირება; ფინანსური კონტროლი (შემოსავლების განსაზღვრა და აღწერა); საგადასახადო დაბეგვრა (მოგების, ქონების, მიწის გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, მიზნობრივი და აქციზური აკრეფა, ბაჟი, დამატებითი ღირებულების გადასახადი) და სხვ.

სახელმწიფოს პოლიტიკური ფუნქცია – ეს არის სახელმწიფოს მოღვაწეობა ინდივიდებისა და სახელმწიფოს, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესებისა და აგრეთვე, ქვეყანაში პოლიტიკური ძალა-

უფლების რეალიზაციის სფეროში ინტერესების ჰარმონიზაციის საქმეში, რომელიც ვლინდება სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრაში, პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების საფუძვლების, ძალაუფლებისათვის პოლიტიკური ბრძოლის წესის დადგენაში, აგრეთვე, სახელმწიფოსა და საზოგადოების უსაფრთხოების, სოციალური და ეროვნული თანხმობის, სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის (სამინაო თუ საგარეო ხელყოფისგან) უზრუნველყოფაში. აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოს მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ცხოველმოქმედი დემოკრატიული საზოგადოების შექმნა (დემოკრატიის, ეროვნული და კლასობრივი თანხმობის განვითარება, საზოგადოებაში სტაბილურობისა და წესრიგი მხარდაჭერა).

სახელმწიფოს სოციალური ფუნქცია – ეს არის სახელმწიფოს მოღვაწეობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ყველა წევრი, განურჩევლად მათი მონაწილეობისა მატერიალური დოვლათის შექმნაში, ასაკისა, სქესისა და ჯანმრთელობისა ცხოვრების ნორმალური პირობებით (შრომის ანაზღაურების, პენსიის, სტიპენდიის, ავადმყოფების, ინვალიდების, ხანდაზმულების, სტუდენტების, ბავშვების, დედების, უმუშევრების დახმარების მინიმალური დონის დადგენა; ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული დასვენების, განათლებისა და ბინების მშენებლობისთვის სავალდებულო სახსრების გამოყოფა და სხვ.).

სახელმწიფოს სამართალდამცავი ფუნქცია – სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლის ყველა სუბიექტის მიერ საკანონმდებლო დებულებების ზუსტ და სრულ შესრულებას, აგრეთვე, სამართალდამრღვევებთან ბრძოლასა და აღმკვეთ ღონისძიებებს, პროფილაქტიკას.

სახელმწიფოს ეკოლოგიური (ბუნების დამცავი) ფუნქცია – ეს არის ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს უაღრესად მნიშვნელოვანი საქმიანობა, რაც შემდეგში მდგომარეობს: ეფექტიანი ბუნების დამცავი კანონმდებლობის შემუშავება, ბუნებრივი გარემოს გამოყენების სფეროში ადამიანებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების საქმიანობის რეგულირება, ნაციონალური პროგრამის შემუშავება გარემოს დაცვის საქმეში, რაც ითვალისწინებს მისი მთლიანობის დამრღვევების წინააღმდეგ, ზემოქმედების აქტიური ზომების გამოყენებას დაბინძურების წყაროების ან წარმოების მავნე ნარჩენების სრულ აღმოფხვრას, ამ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევისათვის იურიდიული პასუხისმგებლობის ზომებს.

სახელმწიფოს იდეოლოგიური ფუნქცია – ეს არის სახელმწიფოს მოღვაწეობა სახელმწიფოს განსაზღვრული იდეოლოგიის ფორმირების, მხარდაჭერის, პროპაგანდისა და განმტკიცების საქმეში. ამ ფუნქციებს

ახორციელებს განათლების, კულტურის, ბეჭდვის, ტელევიზიისა და სხვ. საშუალებები.

სახელმწიფოს კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქცია — ეს სახელმწიფოს მრავალმხრივი მოღვაწეობაა ხელოვნების (ლიტერატურა, თეატრი, კინო, მუსიკა, ფერწერა, არქიტექტურა), ფიზიკური კულტურისა და სპორტის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარების საქმეში, აგრეთვე, ისტორიულ-კულტურული ძეგლების, არქივების, მუზეუმების დაცვისა და ქვეყანაში საგანმანათლებლო სფეროს განვითარების საქმეში.

23. სახელმწიფოს ძირითადი საგარეო ფუნქციები

სახელმწიფოს საგარეო ფუნქციები — ეს არის სახელმწიფოს მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები, განპირობებული საერთაშორისო კავშირებსა და სახელმწიფოთშორის ურთიერთობებში მისი არსით, სოციალური დანიშნულებითა და ამოცანებით.

სახელმწიფოს თავდაცვითი ფუნქცია — ეს არის სახელმწიფოს მოღვაწეობა ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიის, აგრეთვე, მისი ტერიტორიების მთლიანობისა და ხელშეუხებლობის საქმეში შეიარაღებული დაცვის უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია — ეს სახელმწიფოს მოღვაწეობაა სახელმწიფოების ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის განვითარების საქმეში, რომელიც ვლინდება შრომის საერთაშორისო განაწილებაში, წარმოების სპეციალიზაციაში და კოოპერირებაში, უახლესი ტექნოლოგიების გაცვლაში, საქონელბრუნვის კოორდინაციაში, საკრედიტო-საფინანსო კავშირების განვითარებაში და სხვ. სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა ნიშნავს ნაციონალური ეკონომიკის ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკაში, უცხოური ინვესტიციების, საერთაშორისო ვაჭრობის სახელმწიფო სტიმულირებას და ა.შ.

სახელმწიფოს დიპლომატიური ფუნქცია — ეს არის სახელმწიფოს მოღვაწეობა, რომელიც ხელს უწყობს ყველა ქვეყანასთან (მიუხედავად იმისა, რომელ იდეოლოგიას უჭერენ მხარს და მეურნეობის რა სისტემას იყენებენ) მისაღები ურთიერთობების მხარდაჭერას; ეს არის სახელმწიფოს მოღვაწეობა საერთაშორისო არენაზე სხვა სახელმწიფოებთან ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებასა და მხარდაჭერის საქმეში, რომელიც მიმართულია მთელი კაცობრიობის სტაბილურობასა და აყვავებისკენ.

მსოფლიო წესრიგის მხარდაჭერა – ეს არის სახელმწიფოს მოღვაწეობა საერთაშორისო არენაზე, პოლიტიკური თანამშრომლობა მშვიდობის შენარჩუნების, ომის აღკვეთის, ბირთვული იარაღისა და მასობრივი განადგურების (ბაქტერიოლოგიური, ქიმიური და სხვ.) ლიკვიდაციის მიზნით, აგრეთვე, საერთაშორისო და ეროვნულ დამნაშავეობასთან, ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში.

მონაწილეობა *თანამედროვეობის გლობალური პრობლემების*, ესე იგი, კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემების ერთობლიობის გადაწყვეტაში, რომელთა გადაჭრაზეც პირდაპირაა დამოკიდებული მისი მომავალი (ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სანედლეულო, ეკოლოგიური, ენერგეტიკული, კოსმიური საშიშროებანი (მეტეორიტები, ასტეროიდები), სასურსათო, მიერაციული, ჯანმრთელობის დაცვის (ეპიდემიებთან, პანდემიებთან ბრძოლა) და სხვ.

სხვა ქვეყნებთან *საერთაშორისო თანამშრომლობა* თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. ეს თანამშრომლობა სრულიად განსხვავებული მიმართულებებით წარმოებს: სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთმოძვებიანი თანამშრომლობა; სახელმწიფოთშორისი ეკონომიკური თანამშრომლობა; კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა; გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობა; ყოველმხრივი სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა სხვა სახელმწიფოების მიმართ.

სახელმწიფოს მმქანიზმი (აპარატი)

24. სახელმწიფო მმქანიზმის (აპარატის) ცნება

მრავალრიცხოვანი ფუნქციის განხორციელებისთვის სახელმწიფო, გარკვეულწილად უნდა ფლობდეს, სხვადასხვა დაწესებულების ორგანიზებული მოქმედ სისტემას.

სახელმწიფოს მექანიზმი (აპარატი) – ეს ორგანოებისა და დაწესებულებების სისტემაა, რომელიც სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს.

სახელმწიფო აპარატის დამახასიათებელი ნიშნებია:

- რეალური საორგანიზაციო-მატერიალური ძალა, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს თავის ძალაუფლებას საზოგადოებაში;
- მართვის ორგანოებთან ერთად იძულებითი ძალოვანი დაწესებულებების არსებობა (არმია, პოლიცია, სასამართლო, ციხეები);

- საგანგებო დანიშნულების მოსამსახურეთა არსებობა, რომლებიც სახელმწიფოს მიერ მითითებულ ფუნქციებს ასრულებენ და ხელფასს მხოლოდ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან იღებენ;
- უფლებამოსილების მკაფიო გამოჯენა (ძალაუფლების განაწილება);
- სახელმწიფო ორგანოს ყოველ გადაწყვეტილებასა და განკარგულებას გააჩნია სავალდებულო ძალა;
- სახელმწიფო აპარატის ყოველი ელემენტის საქმიანობა მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების პროცესში გარანტირებულია სახელმწიფოებრივი იძულების საშუალებათა მთელი არსენალის გამოყენების შესაძლებლობით.

25. სახელმწიფოს მმართველის (აპარატის)

სტრუქტურა:

სახელმწიფოს მექანიზმი (აპარატი) სახელმწიფო ორგანოებისგან შედგება. ყოველ დაწესებულებას ან ორგანოს ამ ერთობლიობაში მკაცრად განსაზღვრული დანიშნულება გააჩნია, ასრულებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ფუნქციებს, მიზნებსა და ამოცანებს. ყოველი სახელმწიფო ორგანო პირდაპირკავშირშია სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან.

სახელმწიფო ორგანო – სახელმწიფო აპარატის იურიდიულად გაფორმებული, ორგანიზაციულად და მეურნეობრივად სტრუქტურულად განკერძოებული რგოლია, შედგება სახელმწიფო მოხელეებისგან, გააჩნია სახელმწიფოებრივ-ძალაუფლებრივი უფლებამოსილებანი და საკუთარი მატერიალური სახსრები, რათა განახორციელოს სახელმწიფო ამოცანები და ფუნქციები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

სახელმწიფო ორგანოს სახელმწიფოებრივ-ძალაუფლებრივი ხასიათი ვლინდება:

- სახელმწიფოს სახელით მოქმედების უფლებამოსილებაში, რომელიც თავის ძალაუფლებას სხვადასხვა ორგანოს საქმიანობის საშუალებით ახორციელებს;
- კომპეტენციაში, ესე იგი, სავალდებულო უფლებამოსილებასა და მასზე დაკისრებული ვალდებულებების ერთობლიობაში. სახელმწიფო ორგანოს კომპეტენცია სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანებიდან გამომდინარეობს, მისი მოცულობა შესაბამის ნორმატიულ აქტებშია განმტკიცებული;
- სახელმწიფო ორგანოების უფლებაში გამოსცენ კომპეტენციის შესაბამისად მთავრობის დადგენილების შესასრულებლად სავალდებულო

სამართლებრივი აქტები (ნორმატიული აქტები და სამართლის ნორმების გამოყენების აქტები), სასამართლო განაჩენები და სხვა;

- იმაში რომ სამართლებრივი აქტების შესრულების აუცილებლობა სახელმწიფო იძულებით არის უზრუნველყოფილი;
- სახელმწიფო ორგანოს მოღვაწეობა მუდამ პოლიტიკური მოღვაწეობაა და სხვა.

სახელმწიფო ორგანოს გააჩნია გარკვეული სტრუქტურა (განყოფილებები, სამმართველოები, სამსახურები), მატერიალური ბაზა და ფინანსები. მისი საქმიანობა მოსამსახურეების მიერ ხორციელდება, რომლებიც მატერიალურ დოვლათს არ ქმნიან და იმყოფებიან საზოგადოების ხარჯზე (გადასახადების). სახელმწიფო მოსამსახურეების გარკვეულ ნაწილს *თანმდებობის პირები* შეადგენენ (მუშაკები, რომლებსაც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მბრძანებლური ქმედების ჩადენის უფლება აქვთ და რომლებსაც იურიდიული შედეგები მოსდევს (მმართველობის სამართლებრივი აქტების გამოცემა, ფინანსურ დოკუმენტებზე ხელის მოწერა, სარეგისტრაციო საქმიანობა და ა.შ.), აგრეთვე პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მათზე დაქვემდებარებული მუშაკების საქმიანობას და უფლებამოსილნი არიან წარუდგინონ მათ შესრულებისთვის სავალდებულო მოთხოვნები (მაგ., მართვის სტრუქტურული ორგანოს ხელმძღვანელი).

სახელმწიფო ორგანოები მართებულია განვასხვავოთ სახელმწიფო მექანიზმის სხვა სტრუქტურული ფორმირებებისაგან, რომლებიც მათ მიმართ დამხმარე რგოლებს წარმოადგენენ. მათ რიცხვს განეკუთვნება:

- *სახელმწიფო დაწესებულებები* (ორგანიზაციები, რომლებისთვისაც სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელება საქმიანობის მთავარ სახეობად არ ითვლება, მაგრამ ვისი მეშვეობითაც სახელმწიფო, პრაქტიკულად, თავის ფუნქციებს ახორციელებს (როგორც წესი, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, კულტურის სფეროში და ა.შ.). სახელმწიფო დაწესებულებები სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელობით მოქმედებენ.
- *სახელმწიფო საწარმოები* (სახელმწიფო მექანიზმის ელემენტები, რომლებსაც არ გააჩნიათ სახელმწიფო-ძალაუფლებრივი უფლებამოსილება. დაკავებულნი არიან სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობით, საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით მომსახურებით);
- *სახელმწიფო უნიტარული საწარმოები* (კომერციული ორგანიზაციები, რომლებსაც შესაკუთრის მიერ მათზე დამტკიცებულ ქონებაზე არ გააჩნიათ საკუთრების უფლება და სამეურნეო გაძღოლის ან ოპერაციული მართვის უფლებით ასეთ საწარმოებს მიეკუთვნებიან);

- *სახელმწიფო ორგანიზაციები* (სახელმწიფოს მიერ წარმოქმნილი აუცილებელი რესურსების მქონე სტრუქტურები, რომლებიც იმ ადამიანებს აერთიანებენ, ვინც უფლებამოსილნი არიან სახელმწიფო პროგრამის კომპლექსური რეალიზება მოახდინონ განსაზღვრული სახელმწიფო წესებითა და პროცედურებით.

26. სახელმწიფო ორგანოების სახეობები

სახელმწიფოს ამოცანებისა და ფუნქციების მრავალფეროვნებას სახელმწიფო ორგანოების სხვადასხვაგვარობაც განსაზღვრავს, რომლებიც, ძალაუფლების განაწილების თეორიასთან შესაბამისად ან თავისი ფუნქციური დანიშნულებიდან (შესასრულებელი ამოცანების ხასიათი) გამოდინარე, კლასიფიცირდება შემდეგ სახეობებზე.

საკანონმდებლო ორგანოები (სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოები ან წარმომადგენლობითი ორგანოები), რომელსაც უმაღლესი იურიდიული ძალაუფლების – კანონების ნორმატიული აქტების გამოცემის საქმეში გააჩნია უფლებამოსილებათა ერთობლიობა, აგრეთვე, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მაკონტროლირებელი ფუნქცია.

ასეთი სახელმწიფო ორგანოები იყოფა ორ ჯგუფად:

1) სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები პარლამენტის მიერ არის წარმოდგენილი. *პარლამენტი* – ეს სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოა, გამოხატავს ხალხის ნებას, მოწოდებულია არეგულიროს უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, უმთავრესად, კანონების მიღებით, ბიუჯეტის ფორმირებით, რისი მეშვეობითაც მოწმდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და მაღალი თანამდებობის პირები საქმიანობა. უმაღლეს წარმომადგებლობით ორგანოებს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი სახელწოდება აქვს: პარლამენტი (ინგლისი, ინდოეთი, კანადა, ფინეთი, იაპონია), სეიმი (პოლონეთი), ფოლკეტინგი (დანია), ალტინგი (ისლანდია), კონგრესი (აშშ), ფედერალური კრება (რუსეთი), მეჯლისი (თურქმენეთი), დიდი სახალხო ხურალი (მონღოლეთი), კორტესი (ესპანეთი), ქნესეტი (ისრაელი), ბუნდესრათი (გერმანია). პარლამენტები, როგორც წესი, ორი პალატი-საგან შედგება (ზედა და ქვედა). ერთპალატიანი პარლამენტი ისეთ ქვეყნებშია, სადაც მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ერთგვარია და არ არის სუვერენული ტერიტორიული წარმონაქმნები (უნგრეთი, დანია, საბერძნეთი და სხვ.). პარლამენტის პალატებთან კომიტეტები და კომისიები იქმნება.

2) სუბიექტების საკანონმდებლო ორგანოებს, ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე, წარმომადგენლობითი ხასიათი აქვს და მოქმედებს შესაბამისი ტერიტორიების ფარგლებში. ეს ორგანოები, ძირითადად, დაკავებულია ადგილობრივი საკითხებით (სოციალური სფერო, ტრანსპორტი, გზები, ადგილობრივი ბიუჯეტი, წყალმომარაგება, მართლწესრიგის დაცვა და ა.შ.).

სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოები (სახელმწიფოს მართვის ორგანოები) უშუალოდ უზრუნველყოფს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული კანონების შესრულებას.

სახელმწიფოს მეთაური – სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობის პირია, მისი უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფალია და, იმავდროულად, მთელი აღნიშნული საზოგადოების (მის საგარეო ურთიერთობებში) უმაღლესი ოფიციალური წარმომადგენელი (მონარქი, პრეზიდენტი).

მთავრობა (მინისტრთა კაბინეტი, სახელმწიფო საბჭო, მინისტრთა საბჭო) – რომლის მეთაურიც თავმჯდომარეა (პრემიერ-მინისტრი, კანცლერი, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური) ზოგადი კომპეტენციის სახელმწიფო ძალაუფლების უმაღლესი კოლეგიური, აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოა, რომელიც, უშუალოდ, ახორციელებს სახელმწიფოს მართვას. სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების ოპერატიული მართვისა და მწვავე პრობლემების გადასაჭრელად მთავრობის შემადგენლობაში არცთუ იშვიათად იქმნება საუწყებოთშორისი კომიტეტები და კომისიები.

სამართალდამცავი ორგანოები მოწოდებულია განახორციელოს მართლმსაჯულება: სასამართლო სხდომებზე დადგენილი კანონით განიხილოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისა და მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით. სხვადასხვა ქვეყანაში სასამართლოს სხვადასხვაგვარი სახეობებია (სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, საეკლესიო), მაგრამ, უმეტესწილად, ყველა სასამართლო იყოფა საერთო და სპეციალურზე (კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, შრომითი, სამეურნეო, ოჯახის, არასრულწლოვანთა საქმეების, სამხედრო მოსამსახურეების და ა.შ.).

საქართველოს სასამართლოები თავის ფუნქციებს ახორციელებს კონსტიტუციურ, სისხლის სამართლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და საარბიტრაჟო მართლმსაჯულების ჩარჩოებში:

- კონსტიტუციური მართლმსაჯულების სისტემას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციური სასამართლო – კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც კონსტიტუციური

სამართალწარმოების მეშვეობით დამოუკიდებლად ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას;

- საერთო სასამართლოების სისტემა განიხილავს სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ საქმეებს, მას ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი სასამართლო. მისი სტრუქტურული ელემენტებია სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების კოლეგია, პრეზიდიუმი და პლენუმი. საერთო სასამართლოების სისტემაში შედის საქართველოს სუბიექტების შესაბამისი სასამართლოები, რაიონული (ქალაქის), აგრეთვე, სამხედრო სასამართლოები;
- საარბიტრაჟო სასამართლოები კანონის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსისა და სხვა კანონების მიერ დადგენილი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის სამეურნეო დავებს არეგულირებენ. ამ სისტემაში შედის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო, საქართველოს სუბიექტების სასამართლოები (რესპუბლიკის, მხარეების, ავტონომიური ოლქების).

ჩვეულებრივ ხელისუფლების განშტოებად არ სახელდება ის ორგანოები, რომლებიც, მით უმეტეს, სამართლებრივი აქტების, მათი კანონიერების შესრულებაზე ახორციელებენ კონტროლის უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს, აგრეთვე სპეციალურ ფინანსურ კონტროლს – *სახელმწიფოს საკონტროლო-სამეთვალყურეო ორგანოები* (სხვადასხვა ქვეყანაში ესენია პროკურატურის ორგანოები, კონტროლის პალატა და სამმართველოები, სახალხო დამცველის აპარატისა და აუდიტორები).

საქართველოს ასეთ ორგანოებს მიეკუთვნება, უპირველესად, *პროკურატურა* (ორგანოების ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც კანონების შესრულებაზე, აგრეთვე კანონებით დადგენილი სხვა ფუნქციების შემსრულებლებზე ახორციელებს ზედამხედველობას); *საანგარიშო პალატა* და ა.შ.

27. სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები

სახელმწიფო მექანიზმის პრინციპები – მის მიერ თავისი საქმიანობის განხორციელების ძირითადი საწყისებია. ასეთ ამოსავალ მომენტებს, კერძოდ, განეკუთვნება:

- *ძალაუფლების განაწილება*: სახელმწიფოში მთელი ძალაუფლება განაწილებული უნდა იყოს შემდეგ განშტოებებზე: საკანონმდებლო,

აღმასრულებელი, სასამართლო. ძალაუფლების უზურპაციის თავიდან აცილების მიზნით მოქმედებს „შეკავებისა და საპირისპიროს“ მექანიზმი. ამ მექანიზმის რეალიზაცია შემდეგი მოთხოვნების დაწესებით და თანამიმდევრობითი განხორციელებით მიიღწევა: სახელმწიფო ძალაუფლების სხვადასხვა ორგანოს ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა; სახელმწიფოს წარმომადგენლობით, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებში თანამდებობების ერთდროულად დაკავების აკრძალვა; სახელმწიფო ძალაუფლების ძირითადი განშტოებების ფორმირების სხვადასხვა წესის დადგენა; მთავრობის საქმიანობაზე (ამ უკანასკნელის გადაყენების შესაძლებლობითაც კი) პარლამენტის კონტროლის მექანიზმის უზრუნველყოფა; პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტზე სახელმწიფოს მეთაურის ვეტოს უფლების უზრუნველყოფა (პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობაც); კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებაზე პარლამენტის უფლების უზრუნველყოფა;

- *საჯაროობა* (ყველა მიღებული სამართლებრივი აქტი უნდა გამოქვეყნდეს, უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტები ხალხის მიერ უნდა განიხილებოდეს. სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა გამჭვირვალე უნდა იყოს საზოგადოების კონტროლისა და კრიტიკისათვის);
- *დემოკრატიზმი* (სამოქალაქო საზოგადოების ყველა სუბიექტმა და წევრმა უნდა იცოდეს სახელმწიფოს აქციების შესახებ და იღებდეს მასში აქტიურ მონაწილეობას – არჩევნები, რეფერენდუმზე კანონების განხილვა და მიღება და ა.შ.);
- *დეცენტრალიზაცია* (ამა თუ იმ ორგანოსთვის (ორგანოს სახეობების) წარმოების საგნებისა და უფლებამოსილების განმტკიცება კანონმდებლობაში, რომელიც მან (მათ) დამოუკიდებლად, ზემდგომი ორგანოების ჩარევის გარეშე უნდა განახორციელოს);
- *პოლიტიკური პლურალიზმი* (პოლიტიკური აზრთა, სხვადასხვა პოლიტიკური და სხვა პარტიებისა და მოძრაობების საქმიანობის თავისუფლება);
- *კანონიერება* (ყველა სახელმწიფო ორგანოსა და ყველა სამართლებრივი აქტის თანამდებობის პირთა მიერ მკაცრი, ზუსტი და განუხრელი დაცვისა და შესრულების მოთხოვნა);
- *ანგარიშვალდებულება* (ქვემდგომი ორგანოს ზემდგომის მიმართ ანგარიშის აუცილებლობა);
- სახელმწიფო მოსამსახურეების *მაღალი პროფესიონალიზმი და ეთიკა*.

სამართალი. მისი ცნება და პრინციპები. სამართალგაგება

28. სამართლის ცნება, ნიშნები და თვისებები

სამართალი – ერთ-ერთი ყველაზე რთული საზოგადოებრივი მოვლენაა. მისი როლი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე ვრცელდება, იგი ქცევის წესია: იგი საკუთრების ურთიერთობებს განამტკიცებს; შრომისა და მისი პროდუქტების განაწილების რეგულატორად გვევლინება; სახელმწიფო მექანიზმის ორგანიზაციასა და საქმიანობას რეგლამენტს უწევს; არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და მათი რეალიზაციის პროცედურის ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლის ზომებსა და ფორმებს განსაზღვრავს; იცავს პირად და კერძო საკუთრებას; პიროვნებათშორის ურთიერთობებზე აქტიურ ზეგავლენას ახდენს; გამოხატვის სპეციფიკურ ფორმაა წარმართავს – კანონმდებლობაში და ა.შ.

სამართალი გამოხატავს ადამიანთა ინტერესებს, მათ გაგებას სამართლიანობასა და მორალზე, სიკეთესა და სიბოროტეზე, მართებულობასა და ჭეშმარიტებაზე. ამჟამად სამართლისადმი კონსტრუქციული წინააღმდეგობის მდგომარეობაში იმყოფება ორი მიდგომა: ნორმატივისტული და ბუნებრივ-სამართლებრივი, რომლებიც, აგრეთვე, შეიძლება განიხილოს როგორც *ეტათიკური* (სამართალი არის სახელმწიფოს წარმონაშობი და მისი უნივერსალური ინსტრუმენტი) და *ლიბერალური* (სამართალი განიხილება, როგორც თვითმნიშვნელოვნება, რომელიც სახელმწიფოზე მაღლა დგას). სწორედ ამ წანამძღვრებიდან მომდინარეობს სამართლის ახალი ყველაზე უფრო გავრცელებული განსაზღვრება.

სამართალი – ეს არის ნორმატიული მითითებების სისტემა, რომელიც ეყრდნობა კაცობრიობის სამართლიანობისა და ბრძოლის იდეას და რომელთან შესაბამისად საზოგადოებაში ხორციელდება ძალაუფლება, იქმნება და ფუნქციონირებს სახელმწიფო ინსტიტუტები, უზრუნველყოფილია ადამიანის სოციალური სტაბილურობა და ნორმალური ცხოველქმედობა.

სამართალი – ეს არის კანონში ასახული ზოგადსაქაღვლელო ნორმების ერთობლიობა, რომელიც გამოხატავს ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის საერთო ნებას, ადამიანის პიროვნების პრიორიტეტსა და ფასეულობას და რომელიც გვევლინება საზოგადოებაში თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის რეგულატორად.

სამართალი (ნორმატივისტული კონცეფცია) – ეს არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ქცევის ნორმები, რომელიც

საზოგადოების ყველა წევრისთვის სავალდებულოა და რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებითი გარანტიებითც..

სამართალი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენა განსხვავდება ადამიანთა ურთიერთობების სხვა რეგულატორებისგან, როგორცაა: რელიგია, პოლიტიკა, ეკონომიკა, ეთიკა და სხვ.

- სამართალი საზოგადოების ნებაა. სამართალი დაფუძნებულია საზოგადოების ყველა ფენის ინტერესების გათვალისწინებაზე, მათ თანხმობასა და ნებაზე;
- სამართალი ადამიანის თავისუფლებისა და ქცევის მასშტაბია. იგი ასახავს პიროვნების მისაწვდომობის, თავისუფლებისა და უფლებების რეალობის, მისი დასაშვები სამართალშეზღვეულების ზღვარს;
- სამართალი ქცევის ზოგადსავალდებულო ნორმების სისტემაა. საზოგადო ერთიანობა, ფორმალური განსაზღვრულობა და სისტემურობა ისევე, როგორც შინაარსი, სტრუქტურა, გამოხატვის ფორმის ხასიათი, სამართალს განასხვავებს სხვა სოციალური ნორმებისგან (მორალი, რელიგია და ა.შ.);
- სამართალი – ეს სახელმწიფო იძულებით უზრუნველყოფილი სოციალური ნორმებია. სახელმწიფო – სამართლის მხარდამჭერი ძალაა, უზრუნველყოფს მის მოთხოვნებსა და იცავს მათ დარღვევებისგან;
- სამართალი კანონს არ შეესატყვისება. კანონმდებლობა (პოზიტიური სამართალი) სამართლის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა. კანონს, რომელიც არ უპასუხებს სამართლის ბუნებას, მის პრინციპებს, ადამიანთა პიროვნების ფასეულობებს, ძალა არ გააჩნია და, მამსადაამე, სამართლად არ ითვლება.

სამართალს, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველაზე უფრო უნივერსალურსა და ოპტიმალურ რეგულატორს, შემდეგი შესატყვისი თვისებები ახასიათებს, მაგალითად:

- ნორმატიულობა, რომელიც გამოხატავს არსებული სამართლებრივი დადგენილებებისა და მითითებების მოქმედების საყოველთაო ერთობას, უწყვეტობას, აუცილებლობასა და ტერიტორიულ ერთიანობას;
- სისტემურობა, ესე იგი, მისი ნორმების ისეთი ურთიერთკავშირი, რომელიც უზრუნველყოფს მის ერთიანობას, როგორც დამოუკიდებელ იურიდიულ წარმონაქმნს;
- დინამიზმი სამართლის დამახასიათებელი უნარია საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე შინაარსობრივად შეიცვალოს, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა-

დასხვა სფეროში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების გაჩენაზე, ცვლილებებზე ან შეწყვეტაზე მოახდინოს ადეკვატური რეაგირება;

- მემკვიდრეობითობა, როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართლის მიერ გადმოღებული წარსული ან თანამედროვე სამართლებრივი სისტემა;
- სტაბილურობა, ესე იგი, სამართლის რეგულატიური არსის უცვლელობა, მისი ძირითადი პრინციპების, შინაარსის ფორმისა და დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დადგენილებისა და წესების რეალიზაციის მეთოდების ურყეობა.

29. სამართლის პრინციპები და აქსიომები

სამართლის ბუნება საზოგადოებაში ურთიერთობათა მოწესრიგებისა და ჰარმონიზაციისკენ არის მიმართული. სამართალი, რომელიც არეგულირებს, არიგებს, ანაზღაურებს, წაახალისებს და აუცილებელ შემთხვევაში, სჯის კიდევაც, მოქმედებს მხოლოდ ადამიანების, ადამიანთა გაერთიანებების ინტერესებიდან გამომდინარე. სწორედ ასეთი იდეებია განსაზღვრების მხრივ სამართლის ფუნდამენტში ჩადებული.

სამართლის პრინციპები – ეს არის სამართლის ამოსავალი დებულებები, რომელიც იურიდიულად განამტკიცებს საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურ კანონზომიერებებს.

სამართლის პრინციპები შეიძლება ზოგად იურიდიულ ნორმებში იყოს დამკვიდრებული (ნორმა-პრინციპი) და მაშინ მათ ეწოდება სამართლებრივი პრინციპები (ეს არის, კერძოდ, კანონიერების, თანასწორობის, დანაშაულის, სამართლიანობისა და ჰუმანიზმის სისხლის სამართლის პრინციპები); კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპები და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის უდანაშაულობის პრეზუმცია; ან ირიბად გამოვლინდეს სამართლებრივი ნორმების შინაარსში და თავისი არსით განმსჭვალოს სამართლის საგანი – მართლშეგნების პრინციპები (მაგალითად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გარდაუვალობისა და ინდივიდუალიზაციის იდეა).

სამართლებრივი პრინციპები როგორც შიდა, ასევე გარე ფუნქციებს ასრულებს. შიდა ფუნქციის გამოვლენა შემდეგში მდგომარეობს: სამართლის პრინციპი იურიდიული ნორმების სისტემაზე ზეგავლენას ახდენს, მის არაწინააღმდეგობრიობასა და შეთანხმებულობას უზრუნველყოფს; ყველა ნორმატიული წესი ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს სამართლებრივი პრინციპების შინაარსიდან და სრულიად უნდა შეესატყვიესობდეს მას, რაც უზრუნველყოფს კანონმდებლობის ერთიანობასა და

მაქსიმალურ ეფექტიანობას. სამართლებრივი პრინციპების შიდა მიმართულობა საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, კანონმდებლობაში ხარვეზების სამართალშეფარდებასა და შევსებაზე მათ უშუალო მარეგულირებელ ზემოქმედებაში მდგომარეობს.

სამართლის პრინციპები, იმის მიხედვით, თუ სამართლებრივი ნორმების რომელ სფეროზე ვრცელდება, იყოფა შემდეგ სახეობებად:

- **ზოგადი (ზოგადსამართლებრივი) პრინციპები** ყველა სამართლებრივი მოვლენის საფუძველია: სამართალი, ჰუმანიზმი, კანონიერება, ყველას თანასწორობა კანონისა და სამართლის წინაშე და სხვ;
- **დარგობრივი (ან სპეციალური სამართლებრივი) პრინციპები** სამართლის რომელიმე კონკრეტული დარგისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, საკუთრივ, სისხლის სამართლის პრინციპები შეიძლება ეწოდოს სისხლის სამართლის რეპრესიების ზომების ეკონომიისა და ჩადენილზე პირადი პასუხისმგებლობის (პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი დამახასიათებელია სწორედ სისხლის სამართლისთვის, რომელთა ურთიერთობის ჩარჩოებშიც სასჯელი მკაცრად პირადი ხასიათისაა) იდეებს მაშინ, როცა ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალში პასუხისმგებაში შეიძლება მიცემული იყოს არა მარტო იურიდიული პირები, არამედ, ეგრეთ წოდებული, მესამე პირებიც. სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების თავისუფლების, დაქორწინების ნებაყოფლობის და სხვა პრინციპები;
- **დარგთაშორისი პრინციპები** სამართლის რამდენიმე მონათესავე დარგის საფუძველს წარმოადგენს (მაგალითად, მხარეთა საჯაროობა, შეჯიბრებითობა და თანასწორობა დამახასიათებელია სამართლის საპროცესო დარგებისთვის);
- **სამართლის ცალკეული ინსტიტუტების პრინციპები** (მაგალითად, სასჯელის ღანიშენა, გარიგება, თავისუფლების, საიდუმლოს, საანდერძო მემკვიდრეობის ფარულობის და სხვ. პრინციპები).

სამართლებრივი პრინციპების გვერდით სამართლებრივ მოთხოვნათა რეალიზაციაში არცთუ უმნიშვნელოა არსებული *სამართლებრივი აქსიომები* – დებულებები, რომელიც მრავალგზის შემოწმებულია პრაქტიკაში და, ამდენად, მისი სიცხადისა და ჭეშმარიტობის გამო მისაღებია განსაკუთრებული მტკიცებების გარეშე. ეს კაცობრიობის თანაარსებობის ფუნდამენტური პრინციპებია, აგრეთვე მართლშეგნების უმნიშვნელოვანესი მითითებები – ესენი ერთადერთია სამართალს შესაძლებელს რომ ხდის. მრავალი ამათვანი ჯერ კიდევ ძველრომაულ იურისპრუდენციაში იყო შემუშავებული, მაგრამ არც ახლა დაუკარგავს აქტუალობა.

ასეთ აუცილებელ, საუკუნოვანი პრაქტიკით შემოწმებულ დებულობათა რიცხვს განეკუთვნება ისეთი წესები, როგორებიცაა: სუბიექტურ სამართალს მუდამ შეესატყვისება იურიდიული ვალდებულება; ქმედობის შედეგები არ შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვაგვარად, თუ არა კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს; სამართალი რეალიზდება მხოლოდ ნორმატიულ აქტებში, სამართალური თვითობებსა და მართლშეგნებაში; ის რაც სამართლის ნორმებით არ არის აკრძალული და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება — ნებადართულია; ვერავინ იქნება თავის საქმეში მოსამართლე; მოსმენილი უნდა იყოს მეორე მხარე; პირადი გამორჩენა საზოგადოებრივთან მიმართებაში უკან უნდა გადავიდეს; არავინაა ვალდებული თავი დაიდანაშაულოს; ადამიანები იბადებიან თავისუფალნი და თანასწორნი თავის უფლებებში; სასამართლო გადაწყვეტილება არ უნდა შეეხოს იმათ, ვინც საქმეში მონაწილეობას არ იღებს; ერთი და იგივე დანაშაულისათვის ორჯერ მისჯა არ შეიძლება; რისხვა დანაშაულს არ ამართლებს; დანაშაულის დანმდობი სჯის უდანაშაულოს; თუ დანაშაული არ დამტკიცდა — ბრალდებული გამართლებულია; ყველაფერი, რაც კანონით არ არის აკრძალული — ნებადართულია; კანონს, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას ან ამკაცრებს კანონმდებლობით უკვე განმტკიცებულს უკუძალა არ გააჩნია და სხვ. ი.ა. ილინი ასეთ აქსიომებს ამატებდა, აგრეთვე, სულიერი, შინაგანი ღირსების კანონს, ავტონომიის კანონს, ურთიერთადიარების კანონს.

30. სამართლის სოციალური როლი და ფუნქციები

სამართლის რაობისა და საზოგადოების ცხოვრებაში მისი დანიშნულების შესახებ საკითხი ყველა დროს განიხილებოდა როგორც პოლიტიკური პრობლემა, რადგან მასზე გაცემულ პასუხზე დამოკიდებული იყო მოქმედი ხელისუფლების ლეგიტიმურობა. შემთხვევითი არ არის, რომ როცა განიხილება სამართლის როლი, საუბრობენ მის კლასობრივ და ზოგად-სოციალურ არსზე.

კომუნისტური პარტიის ცნობილი მანიფესტის ავტორები ბურჟუაზიისადმი მიმართვაში აღნიშნავენ: „თქვენი სამართალია მხოლოდ თქვენი კლასის ნება აყვანილი კანონში, ნება, რომლის შინაარსიც თქვენი კლასის ცხოვრების მატერიალური პირობებით განისაზღვრება“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი). შემთხვევითი არ არის, რომ საბჭოთა პერიოდის სამართალი განიხილებოდა, როგორც გაბატონებული კლასის ხელისუფლების მიერ დადგენილი ქვევის წესების ერთობლიობა. მართლაც, „სამართალში, უპირველესად, გაბატონებულთა ნება არის გამოხატული. თუმცა, ეს

უკანასკნელი, ნეგატიური სოციალური შედეგების შიშით, იძულებულნი არიან ხელქვეითების ნებასა და ინტერესებს ანგარიში გაუწიონ“ (მნ. მარჩენკო). ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე შეიძლება უკვე ვისაუბროთ სამართლის ზოგადსოციალურ არსზე, რომელიც მდგომარეობს საზოგადოების ყველა წევრის, სამართლის ყველა სუბიექტის ერთიანად და ყოველი მათგანის ცალ-ცალკე ინტერესების უზრუნველყოფაში. „სამართლის არსი ორ ზნეობრივ ინტერესთა წონასწორობაში მდგომარეობს: პირადი თავისუფლება და საერთო კეთილდღეობა“ (ვ.ვ. სოლოვიოვი). ამ სპექტრში სამართლის ძირითადი დანიშნულება იმაშია, რომ იგი იყოს უფრო ეფექტიანი სოციალურ-ნორმატიული რეგულატორი, ინდივიდებისა და ორგანიზაციების შესაძლებელი და სავალდებულო ქცევის განმსაზღვრელი; იყოს თავისუფლების, თანასწორობისა და სამართლიანობის ნამდვილი გარანტი და, შესაბამისად, მართლზომიერად ნებადართული ან აკრძალული ქცევის სახელმწიფო კრიტერიუმი (ს.ნ. კოჟენიკოვი).

ასრულებს რა თავის დანიშნულებას, სამართალი უშუალო პოზიტიურ გავლენას ახდენს სამართლის სუბიექტების ქცევაზე, საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაზე. ასეთ მიმართველ ზემოქმედებაშია ჩადებული მისი მნიშვნელოვანი ფუნქციები, რომელთა რიცხვსაც განეკუთვნება რეგულაციური, დამცველი და აღმზრდელობითი.

სამართლის რეგულაციური ფუნქცია – ეს არის მისი უშუალო ზემოქმედება ადამიანისა და საზოგადოებისათვის ნორმალურ, ბუნებრივ და სასარგებლო ქმედებებზე, ესე იგი, ქცევის პოზიტიური წესების დადგენა.

სამართალი, რეგულაციური ფუნქციების განხორციელების ფარგლებში, სამართლის ნორმების მეშვეობით განსაზღვრავს მოქალაქეთა სამართალქმედითუნარიანობას; განამტკიცებს და ცვლის ფიზიკურ პირთა სამართლებრივ სტატუსს; განსაზღვრავს იურიდიულ პირთა კომპეტენციას, თანამდებობის პირთა და ორგანიზაციების უფლებამოსილებას; განსაზღვრავს იურიდიულ ფაქტებს, სამართლის სუბიექტებს შორის ადგენს კონკრეტულ სამართლებრივ კავშირებს (რეგულაციური სამართალურთიერთობები); კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან მიმართებაში აწესებს სამართლებრივი რეგულირების ოპტიმალურ ტიპს და ა.შ.

სამართლის დამცველი ფუნქცია – ეს არის სამართლებრივი ზემოქმედება, რომელიც მიმართულია ადამიანისა და საზოგადოებისათვის დადებითი ურთიერთობების დაცვისკენ, სამართალდარღვევების თავიდან აცილებასა და აღკვეთისკენ, სახელმწიფო იძულების ზომების გამოყენების მეშვეობით სამართალდარღვევების აღდგენისკენ. ვლინდება დამცველ სამართალურთიერთობებსა და სახელმწიფოებრივ და მასზე რწმუნებული

არასახელმწიფოებრივი ორგანოების სამართალდამცველ საქმიანობაში (აკრძალვების დაწესება, სანქციების შემოღება და გამოყენება).

აღმზრდელობითი ფუნქცია ვლინდება სამართლის მთელ ქმედებაში, მის არსებობაში, იგი ადამიანებს მართლზომიერებისკენ მოუწოდებს, ადამიანებს უყალიბებს სამართლის პოზიტიურ აღქმას.

სამართლებრივი ფუნქციები დარწმუნებისა და იძულების მეთოდებით ხორციელდება.

დარწმუნება – ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი (მმართველობითი) მეთოდია, რომელიც ვლინდება სხვადასხვა განმარტებითი, აღმზრდელობითი, ორგანიზაციული ზომების გამოყენებაში, ხელკვეთის ნებისყოფის ფორმირების ან მისი შეცვლის მიზნით.

იძულება – ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მეთოდია, რომელიც მდგომარეობს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სამართლებრივი ნორმებით დაწესებული იძულებითი ზომების გამოყენებაში, სამართლის სუბიექტების მიერ არამართლზომიერ ქმედებებთან დაკავშირებით.

31. თანამედროვე სამართალგაგების თავისებურებები (სამართლის თეორიები)

სამართალი სამ შემადგენელზეა დაფუძნებული და გამყარებული: *სამართლებრივი იდეები* (მართლშეგნება), *სამართლებრივი ნორმები* (სამართლებრივი დანაწესები) და *სამართლებრივი ურთიერთობები* (იურიდიული ხასიათის საზოგადოებრივი ურთიერთობები). აქედან გამომდინარე, იურიდიული მსოფლმხედველობის ტიპები, ძირითადად, შეიძლება გამოიხატოს სამართალგაგების ქვემოთ ჩამოთვლილ სახეობებში (სამართლის თანამედროვე თეორიებში).

ბუნებრივი სამართლის თეორია (ბუნებრივ-სამართლებრივი, ფილოსოფიური მიდგომა) სამართლის იდეის უზენაესობაზეა დაფუძნებული (არისტოტელე, ჯ. ლოკი, დ. დიდრო, შ. მონტესკიე, ა. რადიშჩევი და სხვ). ბუნებრივ-სამართლებრივი თეორიის მომხრენი იმ დებულებიდან ამოდიან, რომ სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის სახით დადგენილ იურიდიულ ნორმებთან ერთად არის ბუნებრივი სამართალი, ესე იგი, ადამიანის ბუნებით განპირობებული უფლებისა და თავისუფლების ერთობლიობა; უფლებისა, რომელიც ადამიანს დაბადებიდან ეკუთვნის (ან წარმომავლობის გამო); უფლება, რომელიც ნებისმიერ პირობებში განუყოფელია – უფლება ცხოვრებაზე, თავისუფლებაზე, პირად ხელშეუხებლობაზე, კერძო საკუთრებაზე, ცხოვრების ნორმალურ პირობებზე,

თავის მსგავსთან ურთიერთობაზე და სხვ. უფლება — ეს არის თვითკმარი ზნეობრივ ფასეულობათა ერთობლიობა.

ნორმატიული (პოზიტიური) მიდგომა (რ. შტამბლერი, პი. ნოვგოროდცევი, ხ. კელზენი) ნორმების პრიორიტეტის აღიარებაზეა დაფუძნებული. სამართალი მისი „სუფთა სახით“ განიხილება, როგორც ობიექტურ-ლოგიკური თვით იურიდიული კონსტრუქცია, სრულიად დამოუკიდებელი სოციალური, ისტორიული, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მინაარსისგან; როგორც ნორმების, ქცევის წესების ერთობლიობა, რომელსაც სახელმწიფო ადგენს და იცავს კიდევ. მაშასადამე, სამართალი მხოლოდ კანონმდებლობაშია გამოხატული, კანონმდებლობის გარეშე სამართალი არ არის.

სამართლის სოციოლოგიურ მიმართულებას (სამართლის რეალისტური სკოლა) — საფუძვლად უდევს საზოგადოებრივ ურთიერთობათა პრიორიტეტი (მოქმედი საწყისი სამართალში). ამ თეორიის ფუძემდებლები (ლ. დიუგი, ე. ერლიხი, გ. კანტოროვიჩი, რ. ჰაუნდი, კ. ლეველინი, ს.მ. მურომცევი, გ.ფ. შერშენევიჩი და სხვ.) თვლიდნენ, რომ სამართალი — ეს არ არის ის, რაც კანონებშია გამოხატული, არამედ ის, რაც სინამდვილეშია, პრაქტიკაშია. სამართალი ნორმაში კი არა, არამედ მოქმედებაში მდგომარეობს („პრაქტიკის გარეშე სამართალი არ არის“). სამართალი სასამართლოში იბადება, თავად მოსამართლეს კი თავისი შეხედულებების ძალიან ფართო დიაპაზონი გააჩნია. მას ძალუძს კონკრეტული საქმე მატერიალური იურიდიული ნორმების დებულებების მინიმალური გამოყენებით გადაჭრას იყოს დამოუკიდებელი (დაეყრდნოს მხოლოდ სამართლის ზოგად პრინციპებსა და საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, თან მკაცრად დაიცვას პროცედურული წესები).

აღნიშნული ბუნებრივ-სამართლებრივი, ნორმატიული და სოციოლოგიური სამართალგაგების ტიპები წარმოადგენს ძირითადს, მაგრამ არის კიდევ რამდენიმე სამართლებრივი სკოლა, რომელიც ეფუძნება ყოველ მათგანს.

სამართლის *სოლიდარული* მიმართულება ანუ სოციალური კონცეფცია (ლ. დიუგი) მის სოციოლოგიურ გაგებასთან ძალზე ახლოს დგას. სამართალს განიხილავს, როგორც პოლიტიკის, ეკონომიკის, მორალისა და ა.შ. სფეროში ადამიანთა სხვადასხვა თანამშრომელთა ჯგუფებს შორის ჰარმონიის მიღწევის და ამ ჰარმონიის დაცვის საშუალებას. მაგალითისთვის შეიძლება გამოვღვეს სამართლის გაგება, ეგრეთ წოდებულ, „კორპორაციულ სახელმწიფოში“.

სამართლის *ფსიქოლოგიური* თეორია (ლ. პეტრაუციკი, გ. ტარდი) წინა პლანზე სწევს პიროვნების მოტივაციურ-ფსიქოლოგიურ განწყობას.

„სამართალი — ეს არ არის ის, რაც არის, არამედ ის, თუ როგორ ექცევა ადამიანი სამართალს (კანონს)“. პოზიტიური სამართალი ინტენსიური სამართლის შესატყვისია. ამასთან, ინტუიტიური სამართალი (ჭეშმარიტი სამართალი) საწყისად ითვლება, რამეთუ იგი გვევლინება ადამიანის მოქმედებისკენ წამქეზებელ მომენტად. ლ.ი. პეტრაჟიცი ნორმატიული ქცევის საფუძვლებს განიხილავდა, როგორც: „სოციალური ინსტინქტი“. რომელიც ადამიანების მიერ საზოგადო წესების დაცვაში ვლინდება; „პოზიტიური მორალური განწყობა“, მოვალეობის გრძნობა, გარეგანი იძულების, დასჯის შიში; შეხსენება ღვთაებრივი ხელისუფლების შესახებ. თუმცა, ყველა ამ ფაქტორის რეალიზაციისათვის, აღნიშნავდა იგი, აუცილებელია ეფექტიანი სოციალური და რელიგიური კონტროლი, მაღალი რელიგიური გრძნობის შენარჩუნება, აგრეთვე, მკაცრი სახელმწიფო კანონები.

სამართლის *მაქსიმალური* (მატერიალისტური, კლასობრივი) თეორია (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ვ.ი. ლენინი) დაფუძნებულია კლასობრივ მიდგომაზე და განიხილავს სამართალს, როგორც კანონში აყვანილ გაბატონებული კლასის ნებას, რომელიც ყალიბდება საზოგადოების განვითარების ეკონომიკური ფაქტორების გავლენით და, როგორც მის ხელში სახელმწიფო ძალაუფლების დაცვის ინსტრუმენტს. ამასთან, თავად სამართალი გვევლინება სახელმწიფოში მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ერთობლიობად, ესე იგი, სამართალი და კანონი სრულიად გაიგივებულია.

სამართლის *ისტორიული* სკოლა (ფ.კ. საინი, გ.ფ. პუხტა) სამართალს მოიხსენებს, როგორც სახალხო სულისკვეთების პროდუქტს. იგი საზოგადოებაში, ენის მსგავსად, ისტორიული პროცესის მსვლელობისას იქმნება, სახელმწიფოს ნებაზე არ არის დამოკიდებული. ჩვეულებები დომინირებს კანონზე. სახელმწიფომ მარტოოდენ უნდა შეამჩნიოს ეს შექმნილი ნორმები და განამტკიცოს ის. ასე ყალიბდება ეროვნული სამართალი.

რეალისტური სკოლა (რ. იერინგი) სამართალს განიხილავს, როგორც სახელმწიფოს მიერ დაცულ ინტერესს (სახელმწიფოში იძულების გარეშე სამართალი არაფერია).

სამართლის *ლიბერტარული* მიმართულება (ვ.ს. ნერსესიანცი, ლ.ი. სპირიდონოვი, რ.ზ. ლივშიცი, ვ.ა. ჩეცტერნინი და სხვ.) ეფუძნება შემდეგს — სამართალს გააჩნია უმაღლესი თვითმნიშვნელობა, როგორც სიკეთისა და სამართლიანობის საზომი. სამართალი ერის სულიერი კულტურის საგანძურია.

საზოგადოებრივი ურთიერთობების ნორმატიული რეგულირების სისტემა

32. ნორმატიული რეგულირების სისტემის ცნება და ელემენტები

სოციალური ნორმები გვევლინება, როგორც ადამიანთა ნებასა და შეგნებასთან დაკავშირებული რეგლამენტაციის საზოგადო წესები, მათი სოციალური ურთიერთქმედების ფორმები, რომელიც ისტორიული განვითარებისა და საზოგადოების ფუნქციონირების (მისი ორგანიზაციის კულტურის ტიპისა და ხასიათის შესატყვისი) პროცესში იქმნება.

ყველა სოციალურ ნორმას მათ ერთობლიობასა და ურთიერთკავშირში მართებულია ეწოდოს ადამიანთა საერთო ცხოვრების წესები.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სოციალური რეგულატორების ზოგადი თვისებები:

- ეს არის ზოგადი ხასიათის წესები, ქცევის სავალდებულო წესები, ისინი უზრუნველყოფილია გარკვეული ჯგუფების ან სახელმწიფოს მიერ იძულებითი ძალით;
- ყველა მათგანი შეესატყვისება საზოგადოების მიერ მიღწეულ საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის კულტურისა და ხასიათის დონეს;
- საზოგადოებრივი პროცესის დროს ყალიბდება;
- დამოკიდებულია მოქმედების ადგილზე, დროზე, პირობებსა და გარემოებებზე;
- განსაზღვრავს ქცევის ჯეროვან და შესაძლებელ ზღვრებს, სოციალურად მოწოდებული ქცევის არჩევის ორიენტირია და ერთდროულად გვევლინება ამ ქცევაზე კონტროლის საშუალებად;
- ტიპური ხასიათისაა, გათვლილია რეალიზაციის შემთხვევების განუსაზღვრელ რიცხვზე, მიმართულია სუბიექტების ფართო წრეებისადმი, მოქმედებს განუწყვეტლივ და განუსაზღვრავად დიდხანს;
- მიმართულია სოციუმში ურთიერთობათა შეთანხმებულობისა და მოწესრიგების გარემოს შექმნისკენ, და ზოგი მათგანი, მაგალითად, ტექნიკურ-სამართლებრივი ნორმები, ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

სამართლის ნორმების მოთხოვნებს, სხვა ნორმატიულ რეგულატორებს შორის, უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია, ვინაიდან:

- მიმართულია საზოგადოებაში არსებული ურთიერთობებიდან უმნიშვნელოვანესი ურთიერთობების რეგულირებისკენ;
- სახელმწიფოდან მოდის და თავადვე იცავს დარღვევის ან შეუსრულებლობისგან;
- მუდამ გააჩნია წერილობითი ფორმა, უკიდურესად ოფიციალურია და ფორმალიზებული, სისტემური და სტრუქტურული;
- ხორციელდება მკაფიოდ განსაზღვრული ფორმების საშუალებით: დაცვა, შესრულება, გამოყენება;
- სხვათა შორის, ნორმატიული რეგულატორები განსხვავდება ამაღლებული სოციალური ფასეულობებით, ვინაიდან გააჩნია მოქმედების უნივერსალურობა, მუდმივობა და უწყვეტობა.

33. ნორმები და ჩვევები

ადამიანების ურთიერთობების უძველეს და საყოველთაო რეგულატორად მუდამ ჩვეულებები გამოდიოდა, ესე იგი, *მრავალე ზის და ხანგრძლივი გამოყენების შედეგად ჩვევად გადაქცეული ისტორიულად ჩამოყალიბებული ქცევის წესები*.

აღნიშნული განსაზღვრება ასეთი სოციალური რეგულატორის ფორმების რამდენიმე სავალდებულო პირობაზე მიუთითებს:

- რალაც ხანგრძლივი დროის მანძილზე ცნობადობა. ხშირ შემთხვევაში კონკრეტული ვადები არავის და არასდროს დაუწესებია;
- განმეორება, ასე თუ ისე, უცვლელი სახით, რომლის შესახებ მოთხოვნებს გააჩნდა სხვადასხვა სიმკაცრე გამოძინარე ამა თუ იმ შემთხვევიდან;
- გამოყენების პრაქტიკის ერთფეროვნება, რომელიც აღნიშნული ტიპური შემთხვევის პირობებში სწორედ ასეთ ჩვეულებას, წესს საჭიროებს;
- ჩვეულებების მოთხოვნების განსაზღვრულობა, ესე იგი, მხარეთა მიერ სწორი გამოყენების შესაძლებლობისთვის მათი სიცხადე და საკმარისი გარკვეულობა.

ჩვეულება, როგორც წესი, ზოგიერთი რეგულატორის მოქმედებას აკნებს. ჩვეულებებთან ახლოს დგას ზნე-ჩვეულებები (ზნობრივი ხასიათის ჩვეულებები), ტრადიციები (სამხედრო, ოჯახური, პროფესიული), წეს-ჩვეულებები (საქორწილო, დამკრძალავი და ა.შ.), რიტუალები (სადღესასწაულო წეს-ჩვეულებები – დიპლომების გადაცემა, სახელ-

მწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეთა ოფიციალური შეხვედრები, დაჯილდოებები და სხვ.).

ჩვეულებებს გააჩნია როგორც ტერიტორიის, ასევე ადამიანთა წრის მიხედვით მოქმედების განსაზღვრული სფერო. მაგრამ მის ფარგლებში მას აქვს განსაკუთრებული რაციონალური თვისება, რომელიც შეიძინა თავისი არსებობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

34. რელიგიური ნორმები

რელიგიური ნორმები — სოციალური ნორმების ნაირსახეობა, რომელიც დადგენილია სხვადასხვა სარწმუნოების მიერ და გააჩნია სავალდებულო მნიშვნელობა განსაზღვრული აღმსარებლობის პირთათვის. რელიგიური დანაწესები ეხება ამა თუ იმ სარწმუნოების საფუძვლებს (დოგმას), წეს-ჩვეულებების ცერემონიების შესრულებას, შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის ორგანიზაციის წესს.

სამართლებრივი და რელიგიური ნორმების ზოგად თვისებად შემდეგი მომენტები ითვლება:

- როგორც აღთქამაშია დადგენილი რელიგიური ნორმების მიერ „არა კაც ჰკლა, არა იპარო“, ასევე სამართლებრივი ნორმები კრძალავს ასეთ მოქმედებებს;
- შიდა გამოხატულებაში არის გარკვეული მსგავსება (ყურანში, ბიბლიაში, თალმუდში, ბუდისტების წიგნებში რელიგიური ნორმები ფორმალურიზებულია, სისტემურად გადმოცემული და დაფიქსირებული);
- რელიგიური დანაწესები კონკრეტულ ადამიანებს კი არ ეხება, არამედ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს, მიმდევრებს;
- ზოგიერთ ქვეყანაში რელიგიური ნორმები გვევლინება, როგორც სამართლის წყარო — მუსლიმანური სამართლებრივი სისტემა.

ამავდროულად, სამართლებრივ ნორმებთან შედარებით, მოქმედების სფერო და ადამიანთა წრე, რომლებზედაც ვრცელდება რელიგიური ნორმები, გაცილებით ვიწროა; რელიგიური ნორმები თავის მოთხოვნებში გაცილებით კატეგორიულია და ეფუძნება მხოლოდ ადამიანთა რწმენას. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპისათვის უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა, ეგრეთ წოდებულ, *კანონიკურ სამართალს* — სამართალს, რომელიც რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ჩარჩოებშია შემუშავებული. კანონიკური სამართლის ძირითად წყაროს პაპების კონსტიტუცია წარმოადგენდა (ბულები, ენციკლიკები, რესკრიპტები და სხვ.). XVI საუკუნისათვის კანონიკური სამართლის კრებული შეიქმნა. ამჟამად არაბეთის

ქვეყნებში სამართლის გავრცელებულ წყაროდ მუსულმანური რელიგიური შეხედულებები რჩება.

35. კორპორაციული ნორმები

კორპორაციული ნორმები – ქცევის წესებია, რომელიც საზოგადოებრივი გაერთიანებების მონაწილეების, ცალკეული ორგანიზაციების მუშაკების (პოლიტიკური პარტიების, კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების, ინტერესების მიხედვით კლუბების, კოოპერატივების, ამხანაგობების, საზოგადოებრივი ფონდების, კომპანიების, სააქციო საზოგადოებებისა და სხვ.) ურთიერთობებს არეგულირებს.

საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ნორმები – ეს ის ქცევის წესებია, რომელსაც თავად საზოგადოებრივი ორგანიზაციები ადგენენ და დაცულია ამ ორგანიზაციების წესებით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების დახმარებით.

კორპორაციული ნორმები, როგორც სამართლის ნორმები, სხვადასხვა ლოკალურ წყაროში, წესდებაში, დებულებებსა და პროგრამებში მკაცრად არის ფიქსირებული და დეტალიზებული. ეს ფორმალიზებული ქცევის წესები შიდასაორგანიზაციო ცხოვრების რეგულირების საკითხებს ეძღვნება და ამიტომ აღნიშნული გაერთიანებების მიზნებსა და ამოცანებისკენ მითითებებს შეიცავს, სხვა ორგანიზაციებთან და სახელმწიფოებთან ურთიერთობებს რეგლამენტს უქვემდებარებს, აღნიშნული ორგანიზაციის წევრების ვალდებულებებსა და უფლებების ჩამონათვალს, აგრეთვე, დამრღვევების მიმართ გარკვეული ზემოქმედების ზომებს (დისციპლინური და მორალური ხასიათის) განამტკიცებას.

36. მორალური და ეთიკური ნორმები

მორალის ნორმები (ზნობა) – ეს ზოგადი ხასიათის წესებია, რომელიც დაფუძნებულია ადამიანების წარმოდგენაზე სიკეთესა და ბოროტებაზე, სამართლიანობაზე, ღირსებაზე და ა.შ., მორალური ნორმები, როგორც არც ერთი სხვა, თავისი შინაარსითა და მიმართულებით სამართლის ნორმებთან ახლოს დგას. სამართალსა და მორალს შორის საერთოა:

- საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვა რეგულატორებთან შედარებით სამართალსა და მორალს უდიდესი მოქმედების სფერო გააჩნია, უფრო ეფექტიანი და უნივერსალური სოციალური რეგულატორები არიან;

- მორალის ნორმები და სამართლის ნორმები გულისხმობს ინდივიდის ნების შედარებით თავისუფლებას, თავისი პოზიციის შეგნებულ არჩევას;
- მორალის ნორმები და სამართლის ნორმები, მნიშვნელოვანწილად, ემთხვევა თავის მნიშვნელოვან ფასეულობებში, გააჩნია ძირითადი კატეგორიებისა და პრინციპების შემკვიდრებითობა.

სამართალსა და მორალს, ცენტრალური კრიტერიუმების მხრივ მსგავსების მიუხედავად, გააჩნია ზოგიერთი არსებითი განსხვავება. ზოგიერთი მათგანის რიცხვს შემდეგი მომენტები მიეკუთვნება: მორალური ნორმები თავისი წარმოშობით სახელმწიფო ხელისუფლებასთან დაკავშირებული არ არის, ის ზეპირად, სიტყვიერად არსებობს და რეალიზდება ადამიანის შინაგანი რწმენის საფუძველზე, საზოგადოებრივ აზრზე; მორალური წესების დაცვა კოლექტიური შეგნების ავტორიტეტით არის უზრუნველყოფილი და მათ დარღვევას საზოგადოებრივი გაკიცხვა მოსდევს; მორალი სამართალთან შედარებით უფრო ადრეული წარმოშობისაა და მისი ჩამოყალიბება სტიქიურად, ვინმეს სუბიექტური ნებისგან სრულიად დამოუკიდებლად მომდინარეობს, სამართალი კი ჩნდება მხოლოდ პირველი სახელმწიფოების შექმნასთან ერთად და თავად სამართალწარმოქმნის პროცესი ხშირად კონკრეტული კანონმდებლობის სახელებთან არის დაკავშირებული.

„მორალისა“ და „ზნეობის“ ცნებებთან ერთად ხშირად იხმარება „ეთიკა“ (დადგენილი ქცევის წესები) და „ესეთიკა“ (ამყარებენ წარმოდგენას მშვენიერებისა და უმსგავსობის შესახებ არა მარტო მხატვრულ შემოქმედებაში, არამედ ადამიანთა ქცევაშიც, წარმოებასა და ცხოვრებაში).

37. პოლიტიკური ნორმები

პოლიტიკური ნორმები – ეს წესებია, რომელიც არეგულირებს პოლიტიკური ცხოვრების სუბიექტების ქცევას, პარტიებს შორის, სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლებისათვის (მისი მოპოვების, შენარჩუნებისა და გამოყენებისათვის).

ისინი განსაზღვრავენ საზოგადოებაში პოლიტიკური ძალაუფლების ორგანიზაციას, განაწილებასა და განხორციელებას. მაშასადამე, ესაა პოლიტიკური ინსტიტუტების, პროცედურებისა და პროცესების ნორმები, რომელიც, საკუთრივ, პოლიტიკურ სფეროში რეალიზდება. ძალაზე დაფუძნებით ან პოლიტიკური ძალების კომპრომისის გამოხატვით, ისინი შეიძლება იყოს თვითნებური, ამიტომ მათი უმრავლესობა სამართლებრივი

რეგულირების სფეროს გარეთ მოქმედებს. თუმცა, სახელმწიფო ხელისუფლების სფეროში მოქმედი პოლიტიკური ნორმები (მისი ფორმები, მოწყობა, სახელმწიფოსა და პოლიტიკური სისტემის სხვა ელემენტების მოღვაწეობის, როგორც ქვეყნის შიგნით ისე გარეთ, რეგლამენტაცია) სამართლებრივ ფორმას — პოლიტიკურ-სამართლებრივ ნორმებს იძენს, რომელიც სახელმწიფოს კონსტიტუციით არის განმტკიცებული.

პოლიტიკურ-სამართლებრივი ნორმები პოლიტიკურ საპროგრამო აქტებშია დამტკიცებული (კონსტიტუცია, პარტიის პროგრამები). იგი პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა ელემენტებს შორის ურთიერთობების რეგლამენტირებას ახდენს; ამყარებს სახელმწიფოსა და საზოგადოების მნიშვნელოვან მახასიათებლებს; ამყარებს და უზრუნველყოფს მოქალაქის სტატუსს; არეგულირებს ხელისუფლებისა და მართვა-გამგეობის ორგანოების ურთიერთობებს და სხვ.

38. ტექნიკურ-სამართლებრივი ნორმები

ტექნიკური ნორმები — ეს არის ბუნების საგნებთან, შრომის იარაღთან, სხვადასხვა ტექნიკური საშუალების მიმართ აღადიანთა უფრო მიზანშეწონილი მოპყრობის წესები. ეს წესები იმდენად მნიშვნელოვანია ადამიანთა ნორმალური, ხშირ შემთხვევაში კი, უსაფრთხო ცხოვრების უზრუნველყოფისათვის, რომ მრავალმა მათგანმა მიიღო სამართლებრივი დანაწესის ფორმა და ძალა და ცნობილია, როგორც ტექნიკურ-სამართლებრივი ნორმები. ასეთ ნორმებს მიაკუთვნებენ ბიოლოგიურ, სანიტარულ-ჰიგიენურ, ტექნიკურ, ეკოლოგიურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვ. წესებს. აგრეთვე, სპორტული იარაღის გაბარიტებს, სპორტული შეჯიბრებების წესებს, ნაოსნობის წესებს, გაზმედულების, სამშენებლო სამუშაოების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესებს და სხვ.

ტექნიკურ-იურიდიული ნორმები თავისი შიდა გამოხატულებითა და მოთხოვნათა იმპერატიული ხასიათით განსაკუთრებით ახლოს დგას სამართლებრივ ნორმებთან: მოდის სახელმწიფოდან, გამოხატავს მის ნებას, მრავალი მათგანის შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულების შესაძლებლობით, მათ შორის იურიდიული პასუხისმგებლობის ზომებითაც; დამტკიცებულია სპეციალურ ნორმატიულ აქტებში; არეგულირებს ადამიანთა ცხოველქმედების მნიშვნელოვან სფეროებს. ასეთ ტექნიკურ-სამართლებრივ ნორმებს განეკუთვნება ექსპლუატაციის სხვადასხვა ტექნიკური პირობები, სახელმწიფო და დარგობრივი სტანდარტები, უსაფრთხოების ტექნიკის, ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესები (ინსტრუქციები), გარემოს დაბინძურების ნორმატივები (ინდექსები), ნედლეულის,

სათბობის, ელექტროენერჯის ხარჯვის ნორმები, საგზაო მოძრაობის, ფეტქებადი ნივთიერებების, ნარკოტიკული, მომწამვლელი ნივთიერებების შენახვის წესები და ა.შ.

საყოფაცხოვრებო სფეროში მოქმედი მრავალი ტექნიკური ნორმა დაცულია სამართლით. მაგალითად, საექიმო წესი, რომელიც ექიმის მიერ დადგენილი წამლის დოზის დაცვას მოითხოვს, ადამიანის ჯანმრთელობას იცავს სახიფათო გადამეტებული დოზირების შედეგებისგან, ესე იგი, ამყარებს ქიმიურ ნივთიერებებთან მოპყრობის წესს და მისი დარღვევის შემთხვევაში იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება. იგივე ხდება საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციის ინსტრუქციებთან დაკავშირებით — თუკი ირღვევა მითითებული მოხმარების წესები, გატეხვისთვის დამამზადებელი პასუხს არ აგებს, მაგრამ, თუკი ინსტრუქცია არ ახლავს, დამტვრევისთვის მთელი პასუხისმგებლობა გამყიდველს ედება.

სამართლის შორამ (წყარომბი)

39. სამართლის შორამის (წყარომბის) ცნება

როდესაც „სამართლის წყაროებზე“ საუბრობენ, მხედველობაშია სამართლის წარმოშობის და მოქმედების მასაზრდოებელი ფაქტორები. იგულისხმება ის პროცესები, რამაც დასაბამი მისცა სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ნორმატიულ მითითებებს ან ქცევის საყოველთაო წესებს. უფრო ვიწრო გაგებით „სამართლის წყაროები“ გაგებულია ისე, როგორც ხელმძღვანელობს პრაქტიკა იურიდიული საქმეების გადაჭრაში. ეს გამოხატვის გარეგანი ფორმებია და იურიდიული ნორმების განმტკიცების ხერხები.

სამართლის წყაროები — ეს სახელმწიფოს სახელით გამოცემული ოფიციალური წერილობითი დოკუმენტებია, რომელშიც ცალკეული ნორმების, სამართლის ინსტიტუტებისა და დარგების შინაარსი ფიქსირდება.

ძველად კანონების შინაარსი უზარმაზარ ქვებზე იკვეთებოდა, კედლებზე იყო განთავსებული, იწერებოდა ფიცრებზე, პერგამენტსა და სხვადასხვა გრაგნილებზე. ამას ყველაფერს შეიძლება ეწოდოს სამართლის ფორმა. ახლა სამართლის ასეთ წყაროებად (ფორმებად) რომანულ-გერმანულ სამართალში ნორმატიული აქტები (კანონები, ორდონანსები, სტატუტები) ითვლება, ხოლო ანგლოსაქსონურში — ხელშეკრულება და სამართლებრივი პრეცედენტი.

სამართლის წყაროების ფორმირება ორი გზით ხორციელდება: სამართალშემოქმედება და ამა თუ იმ სოციალური ნორმების სანქციონირება. მათ შორის ყველაზე ნიშნადია უფლებამოსილებით აღჭურვილი სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა *სამართალშემოქმედებითი მოღვაწეობა*. ასეთი მოღვაწეობის შედეგად ქცევის სრულიად ახალი წესი იქმნება. ამჟამად მეორე ხერხი ნაკლებად არის გავრცელებული. იგი მდგომარეობს ოფიციალური ხასიათის მიცემაში და მაქსიმალური სახელმწიფო მხარდაჭერასა და დაცვაში, ესე იგი, საზოგადოებაში არსებული ჩვეულებების, უფრო მეტად ცნობილი სამართლისმცოდნეების აზრის ან სასამართლო პრაქტიკის ცალკეული შემთხვევების *სანქციონირებაში*.

სხვადასხვა ქვეყანაში სამართლის ცალკეული ფორმები (წყაროები) ჭარბობს: სამართლებრივი ჩვეულება, სასამართლო ან ადმინისტრაციული პრეცედენტი, სამართლებრივი დოქტრინა, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, ნორმატიული ხელშეკრულება.

40. სამართლებრივი ჩვეულება, როგორც სამართლის წიგნა (წყარო)

შორეულ წარსულში, სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში, ჩვეულება საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვა უნივერსალური და მიზანშეწონილი რეგულატორის არარსებობის გამო იყო მის მიერ სანქციონირებული და მრავალი საუკუნის მანძილზე გახდა წარმოშობილი საჯარო ხელისუფლების ნება-სურვილის გამოხატვის პრაქტიკულად ერთადერთი ფორმა. ამ თვისებრიობით იგი გადაიქცა *ჩვეულებით სამართლად*, ესე იგი, *ქცევის წესების ერთობლიობად, რომელიც საზოგადოებაში ჩამოყალიბდა მათი მრავალგზის ტრადიციული გამოყენების შედეგად, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სანქციონირებული და ამის გამო წარმოადგენდა საყოველთაო სავალდებულო დანაწესებს*. სახელმწიფოებრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე ნორმატიული რეგულირების სისტემაში სამართლებრივ ჩვეულებებს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. სწორედ ისინი წარმოადგენენ უძველესი სამართლის ძეგლების საფუძველს – „ხამმურაბების კანონები“ (დაახლ. 1750 წ. ჩვ.ერ.-მდე), XII ტაბულის კანონები (დაახლ. 450 წ. ჩვ.ერ.-მდე), „იაროსლავის სიმართლე“ (არაუგვიანეს 1054 წ.) და სხვ. მრავალი.

იმისთვის, რომ სამართლებრივი დანაწესი ყოფილიყო იმპერატიული და ყოვლისმომცველი, ჩვეულებებს უნდა:

- გამოეხატა ხანგრძლივი და ერთგვაროვანი სამართლებრივი პრაქტიკა (სულ ცოტა, ერთი თაობის ფარგლებში მაინც);
- ყოფილიყო ადამიანებისთვის სასარგებლო და საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცნობილი;
- იგი უნდა მიეღო ყველას, როგორც მოცემულობა (ძველ რომაელებს ეს წესის სახით, კანონმდებლობის დონეზე ჰქონდათ განმტკიცებული: „ხალხის უსიტყვო თანხმობა, დადასტურებული ძველი ზნე-ჩვეულებებით“;
- ჰქონოდა ღრმა მორალური და ეთიკური სარჩული, ზოგჯერ საკრალური თვისებებიც;
- სწორედ სიტუაციის სამართლებრივი რეგულირების საქმეში უნდა განესახიერებინა გადაუღებელი და გონიერი მოთხოვნა;
- უნდა გამოეყენებოდა კონკრეტული სამართლებრივი დანაწესების არსებობის შემთხვევაში („ისეთ საქმეებში, სადაც არ ვსარგებლობთ დაწერილი კანონებით, უნდა დავიცვათ ის, რაც წეს-ჩვეულებებით არის მითითებული“) და ა.შ.

ამჟამად, საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგლამენტაციის პროცესში სამართლებრივი წეს-ჩვეულებები მოკრძალებულ, დამხმარე როლს ასრულებს. ისინი ყველაზე უფრო საერთაშორისო სამართალსა და ეროვნული სამართლებრივი სისტემის კერძო სამართლებრივ დარგებშია გავრცელებული, აგრეთვე ანგლო-საქსური და ტრადიციული სამართლის ქვეყნებში.

ზოგიერთი წეს-ჩვეულებების მიმართ საქართველოს სამართალი გულგრილია, მაგრამ ზოგიერთი მათგანი დაფიქსირებულია მის ნორმებში. მაგალითად, პრეზიდენტის ფიცის დადების რიტუალი; უხუცესი დებუტატების მიერ ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის გახსნა და სხვ. წეს-ჩვეულება ყველაზე უფრო ფართოდაა გავრცელებული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში *საქმიანი ჩვეულების ან საქმიანი შებრუნების* წეს-ჩვეულების სახით.

ზოგიერთი წეს-ჩვეულებისადმი სამართალი უკიდურესად ნეგატიურად არის განწყობილი და მოითხოვს მათ აკრძალვას (მაგალითად, ადგილობრივი წეს-ჩვეულებების ცალკეული გადმონამოები: აკრძალულ მცენარეთა დათესვა და გახარება; მომწამვლელი და ძლიერმოქმედი ნივთიერებების დამზადება, გადამუშავება და შენახვა; ლიცენზიის გარეშე კერძო სამედიცინო პრაქტიკით დაკავება).

41. სამართლებრივი პრეცედენტი, როგორც სამართლის წყარო

სამართლებრივი პრეცედენტი — ეს არის კონკრეტულ სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილება, რომელიც ნიმუში გახდა მომავალში ანალოგიური საქმეების გადაწყვეტისთვის.

სამართლებრივი პრეცედენტის ფესვები რომაული სამართლის წილიდან მოდის, როცა პრეტორებს ცივილური სამართლის მოქმედი ნორმების არც შეცვლა შეეძლოთ და არც გაუქმება (ამის შესახებ მარტო ფიქრიკი საშინელი მკრეხელობა იყო), მაგრამ გააჩნდათ ფართო ადმინისტრაციულ-სამოსამართლო უფლებამოსილება, გამოსცემდნენ თავიანთ ედიქტებს, რომლებიც მომავალში ამა თუ იმ სამართლებრივი სიტუაციის გადაწყვეტის მოდელებად გვევლინებოდა. მოსამართლის ფუნქციების რეალიზაციის ჩარჩოებში, ფორმულებისა და პრეტორების შექმნით მოქმედ კანონმდებლობაში წარმოებდა ხარვეზების შევსება. დებულებები, რომლებსაც შეიცავდა ედიქტები და ფორმულები, როგორც წესი, მიმდინარე სამართლებრივი პრაქტიკით აღიქმებოდა, ერთი პრეტორული ედიქტიდან გადადიოდა მეორეში, ხოლო პრეტორული სასარჩელო ფორმულები, ზდებოდა სამოდელო სამართლებრივი მითითებანი აღნიშნული კატეგორიის ყველა შემდგომი საქმის გადასაწყვეტად.

ამჟამად პრეცედენტი, ძირითადად, დამახასიათებელია ანგლო-საქსური სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებისთვის, რომელიც დაფუძნებულია სამართლის ჭეშმარიტ შემოქმედად აღიარებული მოსამართლის საქმიანობაზე. სამართლებრივი პრეცედენტები სპეციალურ კრებულებშია დაჯგუფებული. სხვა სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში სასამართლო პრაქტიკის როლი განიხილებოდა როგორც სამართლის ნორმების განმარტება.

თანამედროვე იურიდიული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების (მხოლოდ კანონმდებლობის ფარგლებში) მძაფრი განვითარების შეზღუდვა შეუძლებელია. სპეციალისტი-პრაქტიკოსები ყველგან იყენებენ (დასაზუსტებლად ან რჩევისთვის) საავტორო კომენტარებს, მაგალითად, კოდექსებისა და სხვა კანონების მიმართ. უფრო მეტიც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საარბიტრაჟო სასამართლოები ცალკეული კატეგორიის საქმეების განხილვასთან დაკავშირებით მულამ იძლევიან „სახელმძღვანელო განმარტებებს“.

42. სამართლებრივი დოქტრინა, რომორც სამართლის წყარო

ბევლ რომში ყოველნაირი საქმე, თანამდებობის პირების ნორმატიული თუ ინდივიდუალურ-სამართლებრივი გადაწყვეტილება, შეიძლება განმარტებული ყოფილიყო გამოჩენილი მეცნიერ-იურისტების მიერ. ამასთან, კანონიც კი მოქმედებდა, რათა მოსამართლეებსა და მოსარჩლის სხვა წარმომადგენლებს გაურკვეველ და სადავო შემთხვევებში აუცილებლად გაეთვალისწინებინათ ყველაზე უფრო გამოჩენილი მეცნიერ-იურისტების შრომების დებულებები — პაპინიანის, გაის, ულპიანესი და მოდესტინის („ციტირების შესახებ“, 426 წ.). შუა საუკუნეებში, ეროვნული სამართლებრივი სისტემებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბების პერიოდში ყველასთვის ცნობილი ადამიანების მსჯელობები (სამართლისმცოდნეების, თეოლოგების, სახელმწიფო მოღვაწეების) განიხილებოდა, როგორც ჭეშმარიტება ბოლო ინსტანციაში და ხშირად ამით სრულდებოდა ამა თუ იმ სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტა. მოგვიანებით, რომის ტრადიციასთან შესაბამისად, ხანგრძლივი დროის მანძილზე დოქტრინა გაიგივებული იყო იურიდიულ პრაქტიკასთან, ხოლო ჩვენს დროში იგი შეიძლება განიხილოს, როგორც ამა თუ იმ სამართლებრივ სფეროში ჩამოყალიბებული სამეცნიერო სკოლა.

ამრიგად, სამართლებრივი დოქტრინა ვაგებულისა, როგორც ამა თუ იმ სამართლებრივი საკითხების მიხედვით თავის სამეცნიერო სპეციალიზაციაში ყველაზე ცნობილი და აღიარებული მეცნიერ-იურისტების მიერ შრომებში (სტატიებსა და მონოგრაფიებში) გამოთქმული და გარკვეული პრაქტიკული საკითხების გადაჭრის დროს გამოყენებული აზრები.

თანამედროვე სამყაროში მსგავსი „სუფთა“ ფორმა უკვე აღარ არსებობს და ეს ანგლოსაქსონურ სამართლებრივ სისტემასაც კი ეხება. თუმცა, შვეიცარიაში სამართალში ხარვეზის შემთხვევაში უთითებენ სამოქალაქო სამართლის სფეროში ყველაზე ცნობილი სპეციალისტების აზრებისკენ, ხოლო მუსლიმანურ სამართალში სამართლებრივი დოქტრინა ახლაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს და სამართლის ერთადერთი წყაროა.

სამამულო იურისპრუდენცია პირდაპირ, ამკარად არ აღიარებს დოქტრინას სამართლის დამოუკიდებელი წყაროს სახით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სპეციალისტი-პრაქტიკოსები (დაზუსტების ან რჩევის მიზნით) საყოველთაოდ იყენებენ, კერძოდ, ამა თუ იმ კანონის და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მიმართ საავტორო კომენტარებს. ამავდროულად, მეცნიერულ ნაშრომში გამოხატულ ავტორიტეტულ აზრს მუდამ არ გააჩნია დოქტრინის ძალა. ამისათვის ცნობილი იურისტების

თვალსაზრისი უნდა შეიცავდეს პრაქტიკულ რეკომენდაციებს ამა თუ იმ კანონმდებლობის რეალიზაციის საქმეში; სამართალშემოქმედებით და სამართალშეფარდებით პრაქტიკაში მდგარი პროგნოზების დადგენის ნების მიცემა; კანონმდებლობის არსებული ხარვეზების შევსება (ს.ვ. ბოშნო). ასეთი მეტისმეტად გავრცელებული ჩვეულება საშუალებას იძლევა, სრული უფლებით განვიხილოთ იურიდიული დოქტრინა, როგორც სამართლის არაოფიციალური წყარო.

43. ნორმატიული ხელშეკრულება

ნორმატიულ-სამართლებრივი ხელშეკრულება – სამართლის სუბიექტებს შორის შეთანხმებაა, რომელიც ურთიერთ უფლებებისა და ვალდებულებების დადგენის გზით მათ ურთიერთობებს არეგულირებს.

ნორმატიული ხელშეკრულებები ყველაზე მეტად დამახასიათებელია საერთაშორისო საზოგადოებრივი და ეროვნული სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართლისთვის. აქ ის ასრულებს სამართლის უმნიშვნელოვანესი ფორმების (წყაროების) როლს. ეს არის სახელმწიფოებს (მთავრობებს) ან საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტებს შორის სხვადასხვა სახის შეთანხმება; შიდასახელმწიფოებრივი ხელშეკრულებები; აღმასრულებელი ხელისუფლების და რეგიონალურ ორგანოებს შორის ხელშეკრულებები და ა.შ.

შრომის სამართლის დებულებების განხორციელების ფარგლებში ნორმატიულ ხელშეკრულებებს მნიშვნელოვანი როლი აკისრია: კოლექტიური ხელშეკრულება (წარმოების ადმინისტრაციასა და მის პროფკავშირულ ორგანიზაციას შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმატიული აქტი); კოლექტიური შეთანხმება (ნორმატიული აქტი – სპეციალური, დარგობრივი და გენერალური შეთანხმება ვალდებულებების შესახებ შრომით პირობებსა და გარკვეული პროფესიის, დარგის, კატეგორიის მუშაკებისთვის სოციალურ გარანტიებთან დაკავშირებით).

44. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომორც სამართლის წყარო (წყარო)

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები სამართლის ძირითად და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სამართლის კონტინენტალურ ქვეყნებში.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი – ეს არის სამართალშემოქმედებითი ორგანოს მიერ დადგენილი წესით გამოცემული აქტი, რომელიც

ადგენს, ცვლის ან აუქმებს საყოველთაოდ სავალდებულო ხასიათისა და სახელმწიფოს იძულებითი ძალით განმტკიცებულ სამართლებრივ ნორმებს.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ძირითადი თვისებები:

- შეიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების რომელიმე კონკრეტული სფეროსთვის საყოველთაოდ სავალდებულო, პერსონალურად განუსაზღვრელ ნორმატიულ მითითებებს;
- ამოდის მკაცრად განსაზღვრული სამართალშემოქმედებითი ორგანოებიდან, გააჩნია შესატყვისი კომპეტენცია, რითაც უზრუნველყოფს სამართლის ყველა სუბიექტის მიერ მათში ჩადებულ მოთხოვნათა შესრულების ერთიანობასა და მთლიანობას, სოციალურად ნიშნადი საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთიან წესს;
- მიიღება მკაცრი პროცედურის პროცესში;
- გააჩნია დადგენილი ლოკუმენტურ-წერილობითი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მათ მოთხოვნათა ფორმალურ გარკვეულობას, აგრეთვე მათში გადმოცემული შინაარსის სიცხადესა და მისაწვდომობას;
- მკვეთრად განსაზღვრავს თავის მოქმედებას დროში, სივრცესა და ადამიანთა წრის მიხედვით;
- ერთმანეთთან მკაფიოდ განსაზღვრული იერარქიის ურთიერთობაში იმყოფება, რომლის საფუძველსაც სამართალშემოქმედებითი ორგანოს კომპეტენციით განპირობებული ამა თუ იმ ნორმატიული აქტის იურიდიული ძალა წარმოადგენს;
- საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნათა ცვლილებებზე საკმარის წინადადებას რეაგირების მოხდენა შეუძლია, ამიტომ, სამართლის სხვა წყაროებისგან განსხვავებით, სოციალურ მოთხოვნათა მიხედვით შესაძლებელია ოპერატიული ცვლილებები და მათი ბუნებრივი შევსება;
- ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში ჩადებული ნორმატიული მითითებების შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულების ძალით, რომლის მექანიზმიც შესაძლებელია თვალსაჩინოდ იყოს წარმოდგენილი თავად ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სპეციალურ დებულებებში.

ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს განეკუთვნება კანონები და ქვეკანონური აქტების სისტემა.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები: მათი სასაქონლო და მოქმედება

45. კანონები, როგორც ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სასაქონლო

ყველა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის პირველი და ძირითადი დაყოფა მათი იურიდიული ძალის მიხედვით ტარდება. ამის საფუძველზე გამოყოფილია კანონები და ქვეკანონური ნორმატიული აქტები.

სამართლის თეორიაში ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მთელ ერთობლიობას *კანონმდებლობა* ეწოდება, რაც შემთხვევითი არ არის, რამეთუ პოზიტიური სამართლის პირველწყაროდ მაინც კანონი ითვლება.

კანონები – ეს არის სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ან უშუალოდ ხალხის მიერ (რეფერენდუმზე) მიღებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომელსაც გააჩნია დიდი იურიდიული ძალა და მიმართულია ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებაზე.

კანონებს, მათი იურიდიული თვისებების თვალსაზრისით, გააჩნია უდიდესი იურიდიული ძალა და ყველა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის იერარქიულ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია.

კანონების უმაღლესი იურიდიული ძალა ვლინდება შემდეგში:

- მიიღება განსაკუთრებული იურიდიული პროცედურის ფარგლებში მასზე მკაცრად უფლებამოსილი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ან ხალხის მიერ რეფერენდუმის წესით;
- შეიცავს პირველად, საწყისი ხასიათის ნორმებს, ამიტომ ყველა სხვა ნორმატიული აქტი მათი დებულებიდან უნდა ამოდიოდეს; მათ შეუძლია კანონების ნორმატიული მითითებების დეტალიზება და კონკრეტიზება, მაგრამ არასოდეს ეწინააღმდეგება მათ;
- არ ექვემდებარება დამტკიცებას, შეცვლას ან გაუქმებას რომელიმე სხვა ორგანოს მხრიდან, გარდა მათი გამომცემლისა;
- არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი უნდა იყოს საკანონმდებლო რეგულირების საგანი, რადგან კანონების მნიშვნელობა და მათი განსაკუთრებული როლი, როგორც სამართლის მთავარი წყაროს, დაიკარგება და დაყვანილი იქნება მიმდინარე სამართალშემოქმედებითი აქტების ღონებდე –

ქვეკანონების აქტებამდე, რომელსაც ხშირად ერთპიროვნული წესით იღებენ და რომელიც ეხება ყველაზე სხვადასხვა ხარისხის მნიშვნელოვნობის ურთიერთობებს. ამით განადგურდება კანონის იდეები, როგორც ძირითადი ორიენტირი სოციალური სინამდვილის ყველა სუბიექტისთვის.

ყველა კანონი მკაცრად იერარქიულია, ამიტომ სახელმწიფოში ისინი განსაკუთრებული პირამიდის სახით გვევლინება, რომლის მწვერვალზეც *საკონსტიტუციო* ან ძირითადი კანონებია (საქ. კონსტიტუცია); შემდეგ მოდის საქართველოს *საკონსტიტუციო* კანონები, რომელიც მიმართულია სახელმწიფო წყობილების უმნიშვნელოვანესი საფუძვლების რეგლამენტირებაზე (სახელმწიფოს გერბი, ჰიმნი, დროშა, სასამართლო სისტემა, რეფერენდუმი, მთავრობის მოღვაწეობის წესი და ა.შ.); ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებენ *მიმდინარე კანონები* (დარგობრივი კოდექსები, კანონმდებლობის საფუძვლები, სხვადასხვა დარგობრივი კანონი და სხვ.); ეს კანონები მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

ყველა დანარჩენი ნორმალური აქტი ქვეკანონებია.

46. ქვეკანონური, ნორმატიული აქტები

ქვეკანონური ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები — ესაა კომპეტენტური ორგანოების (ორგანიზაციების) და თანამდებობის პირთა ნორმატიული აქტები, კანონთა შესაბამისი და მას არ ეწინააღმდეგება.

ქვეკანონების ნორმატიული აქტები გამოიცემა სახელმწიფოს მეთაურისა და სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ მოქმედი კანონების დებულებების კონკრეტიზაციის მიზნით საზოგადოებრივი ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროსთან და მიმდინარე ამოცანების გადაჭრასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. ეს კანონები მოიცავს სამართლის ნორმებს, ატარებს მხოლოდ ოფიციალურ, საყოველთაოდ სავალდებულო ხასიათს, გააჩნია მკაცრად განსაზღვრული სახე და ფორმა აუცილებელ რეკვიზიტებთან ერთად.

ასეთ აქტებს, უპირველესად, განეკუთვნება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებები და განკარგულებები, რომელიც მის მიერ გამოიცემა საზოგადოებრივი და სახელმწიფო მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გამო.

ბრძანებულებები შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული, ასევე ინდივიდუალურ-სამართლებრივი: საქართველო პრეზიდენტის ბრძანებულებები *ნორმატიული ხასიათისა* — ესაა ქვეყნის საზოგადო წესის შემცველი

გადაწყვეტილებები, რომელიც გათვლილია ხანგრძლივ და მრავალგზის გამოყენებაზე და განკუთვნილია სუბიექტების განუსაზღვრელი წრისთვის; საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები *ინდივიდუალური ხასიათისა* – ესაა გადაწყვეტილებები, რომელსაც ნორმატიული ხასიათი არ გააჩნია (მაგალითად, პრეზიდენტის მიმართ ანგარიშვალდებული აღმასრულებელი ხელისუფლების და სხვა ორგანოების ხელმძღვანელების თანამდებობაზე დანიშვნის ან განთავისუფლების, მოქალაქეობის, პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის, სახელმწიფო ჯილდოების მიცემის, საპატიო წოდების, სამხედრო და სპეციალური წოდებების მინიჭების, შეწყალების შესახებ გადაწყვეტილებები).

სახელმწიფო მეთაურის მიერ გამოცემული აქტების გვერდით, აგრეთვე არსებობს შემდეგი ქვეკანონური ნორმატიული აქტები:

- *მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები* მიიღება კანონის შესრულებასა და საფუძველზე მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. დადგენილებები მიიღება საერთო საკითხების მიხედვით და გააჩნია ნორმატიული ხასიათი, ხოლო განკარგულებები – ოპერატიული მართვის მიხედვით, ამიტომ ინდივიდუალური ხასიათისაა;
- *ცალკეული სამინისტროებისა და სამსახურების აქტები* მოქმედებს მათი კომპეტენციის ფარგლებში: ბრძანებები, ინსტრუქციები, წესები, განკარგულებები, დებულებები, წესდებები და სხვა აქტები.
- *ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების აქტები* (ადგილობრივი ან მუნიციპალური სამართლებრივი აქტები), წარმოადგენს მუნიციპალური წარმონაქმნის ტერიტორიაზე დოკუმენტალურად გაფორმებულსა და სავალდებულოს შესასრულებლად ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს ან საქართველოს კანონების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის გადაცემული ცალკეული სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების განხორციელების საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს. მუნიციპალური წარმონაქმნის მოსახლეობა ამ აქტებს, უშუალოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ან ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირის მიერ იღებს. ასეთ ნორმატიულ აქტებს მიეკუთვნება მუნიციპალური წარმონაქმნის წესდება; ადგილობრივ რეფერენდუმზე (სახალხო ყრილობაზე) მიღებული სამართლებრივი აქტები; მუნიციპალური წარმონაქმნის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტები; მუნიციპალური წარმონაქმნის სამართლებრივი აქტები, ადგილობრივი ადმინისტრაციის უფროსის, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოებისა და თანამდებობის პირების

მუნიციპალური წარმონაქმნის წესდებით გათვალისწინებული დადგენილებები და განკარგულებები;

- **ლოკალური** ნორმატიული აქტები მიიღება ორგანიზაციაში მისი კოლექტივის ან ორგანოს მიერ, რომელსაც იგი წარმოადგენს. ლოკალური ნორმატიული აქტები მოქმედებს კონკრეტული უწყების, ორგანიზაციის, დაწესებულების ფარგლებში და მათი ყოველდღიური შიდასაორგანიზაციო საქმიანობას რეგლმენტს უქვემდებარებს (ბრძანებები, საშინაო შრომითი განრიგის წესები, მითითებები დისციპლინის, შრომის ორგანიზაციის, განყოფილებებს შორის ურთიერთობის შესახებ). ლოკალურ ნორმატიულ აქტებს განეკუთვნება, აგრეთვე კორპორაციული წყაროები. ესენია ნორმატიული ხასიათის სხვადასხვა სახის ბრძანებები, ინსტრუქციები, მაგრამ ვრცელდება მხოლოდ ერთი კონკრეტული კერძო ორგანიზაციის ან წარმოების მუშაკზე.

47. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების დროში მოქმედება

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების დროში მოქმედების ფარგლები მათი მოქმედების დაწყებასა და დასრულების მომენტში გამოიხატება.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები *ძალაშია* მისი გამოქვეყნების დღიდან, დროიდან, რომელიც სპეციალურად არის მითითებული ან გარკვეული ვადის შემდეგ (როგორც წესი, გამოქვეყნების დღიდან ათი დღის შემდეგ).

კონსტიტუციური კანონები, მათში თუ არ არის დადგენილი რაიმე გარკვეული ვადა, ძალაში შედის მათი ოფიციალური გამოქვეყნების მომენტიდან ათი დღის შემდეგ.

აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ნორმატიული აქტებისთვის შემდეგი ვადებია დადგენილი: რფ პრეზიდენტის ბრძანებულებისთვის – შვიდი დღის გასვლის შემდეგ; მთავრობის აქტებისთვის: დადგენილებები – მათი ოფიციალური გამოქვეყნებიდან ათი დღის შემდეგ, თუკი თავად ამ აქტებში დადგენილი არ არის სპეციალური ვადა, ხოლო განკარგულებები – ხელის მოწერის მომენტიდან. აქტებს, რომელიც ეხება ადამიანის უფლებას, თავისუფლებასა და ვალდებულებებს და ადგენს სამართლებრივ სტატუსს ან გააჩნია უწყებათშორისი ხასიათი აქვეყნებენ მხოლოდ მათთვის სავალდებულო (იუსტიციის სამინისტროში) რეგისტრაციის შემდეგ. საუწყებო ნორმატიული აქტები (ბრძანებები, ინსტრუქციები, დებულებები), როგორც

წესი, ძალაში შედის კონკრეტული ადრესატების მიერ მათი მიღების მომენტთან (ორგანოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები).

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეწყვეტა დაკავშირებულია წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლასთან (მაგალითად, კანონი სახელმწიფოს ბიუჯეტის შესახებ ზუსტად ერთი წელი მოქმედებს) ან გარემოებათა შეცვლასთან, რაზეც კონკრეტული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი იყო გათვლილი. ამასთან ერთად, საზოგადო წესით, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების უმრავლესობა მათი მოქმედების უვადობით ხასიათდება და თავის იურიდიულ ძალას მხოლოდ მათი პირდაპირი ოფიციალური გაუქმების შემთხვევაში კარგავს.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების ფარგლებში მნიშვნელოვანია, ეგრეთ წოდებული, *კანონის უკუძალის შესახებ* დებულება. ჩვეულებრივ, ახლად მიღებულ ნორმატიულ აქტს, წყვეტს რა წინანდელ აქტს, უკუძალა არ გააჩნია, ესე იგი, არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, რომელიც მის მიღებამდე მოხდა. მაგრამ, ასეთი შემთხვევებისთვისაც შეიძლება იყოს გამონაკლისი, რომელიც მითითებულია ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში. საზოგადო წესით, იურიდიული პასუხისმგებლობის შემარბილებელი ან ჩამოსაცილებელი „ახალი“ ნორმები, კანონის ყოველგვარი განსაკუთრებული მითითების გარეშე, ყველა ადრე მომხდარ შემთხვევებზე ვრცელდება.

48. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოქმედება სივრცეში

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების სივრცული ფარგლები სახელმწიფოს ტერიტორიით განისაზღვრება. ამასთან, *სახელმწიფო ტერიტორია* განიხილება როგორც:

- ტერიტორია სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში – ეს ხმელეთია (დედამიწის წილი), აგრეთვე, სახელმწიფოს კუთვნილი (კუნძულები, ანკლავები); წყლები, შიდაწყლები (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, შიდაზღვები) და ტერიტორიული წყლები, საჰაერო სივრცე;
- სახელმწიფოს პირობითი ტერიტორია – ეს არის საზღვარგარეთ საელჩოებისა და საკონსულოების ტერიტორია, სახელმწიფო დროშით ან ნიშნით საზღვაო, სამდინარო, საჰაერო და კოსმოსური გემები, ღია ზღვაში კაბელები და მილსადენები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამხედრო გემები – მუდამ და ყველგან ითვლება სახელმწიფოს ტერიტორიად, ხოლო არასამხედრო – მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოს წყლებსა და საჰაერო სივრცეში.

ტერიტორიული კრიტერიუმის გვერდით მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის გამოცემელი ორგანოების კომპეტენციის კრიტერიუმები. მაგალითად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების აქტები სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული ხასიათის აქტების მოქმედება, შესაბამისად, უფრო შეზღუდულია და შემოფარგლულია აღნიშნული მუნიციპალური წარმონაქმნის საზღვრებით.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების ტერიტორიული სფეროს განხილვისას სავალდებულოა გვახსოვდეს ისეთი ცნება, როგორცაა *ექსტერიტორიულობა*, ესე იგი, *სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ ნორმატიული აქტების მოქმედების გავრცელება* (სამხედრო გემები, უცხოეთში დიპლომატიური წარმომადგენლობისა და მისიების ტერიტორია).

49. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოქმედება პიროვნებათა წრის მიხედვით

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, როგორც წესი, სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ნაწილზე მყოფ ყველა პირზე ვრცელდება (ფიზიკურსა და იურიდიულზე).

თუმცა, ზოგიერთი ნორმატიული აქტი *მკაცრად განსაზღვრული სუბიექტების* სამართლებრივი მდგომარეობის რეგულირებაზეა მიმართული. ამასთან დაკავშირებით, სამართლის სუბიექტები, ყველაზე განსხვავებული კრიტერიუმების მიხედვით, რამდენიმე სახეობად იყოფა:

- სამართლის სუბიექტის სახეობის მიხედვით: ფიზიკური პირი და იურიდიული პირი (შიდასახელმწიფოებრივი, ადგილობრივი, უცხოური ორგანიზაციები);
- მოქალაქეობის მიხედვით შემდეგი პირები განიხილება: სახელმწიფოს მოქალაქენი, უცხოეთის მოქალაქენი, მოქალაქეობის არმქონე პირები, ლტოლვილები, იძულებით გადაადგილებულები;
- სქესისა და ასაკობრივი კუთვნილების მიხედვით: ქალები (ფუნქციონირების და მშობიარობის დახმარება), ახალგაზრდები, პენსიონერები;
- პროფესიული კუთვნილების მიხედვით: სამხედრო მოსამსახურეები, სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფნი (რეგიონალური), ექიმები, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, კომერციული ორგანიზაციებისა და წარმოებების მუშაკები;

რაც შეეხება უცხოელებს, მათთან მიმართებაში მოიპოვება სამართლისა და ქმედუნარიანობის არსებითი შეზღუდვები. მაგალითად, კანონი მათ უკრძალავს გარკვეული თანამდებობების დაკავებას ან გარკვეულ საქმიანობებს (მათ შორის, კერძოსაც), სახელმწიფო ან მუნიციპალურ სამსახურებში მსახურობას. მნიშვნელოვანი შეზღუდვებია თავისუფალ გადაადგილებაშიც (განსაზღვრული ტერიტორიების, ორგანიზაციებისა და ობიექტების ნახვის აკრძალვა).

სამართალშემოქმედება

50. სამართალშემოქმედების ცნება და პრინციპები

საქართველოს სამართლის წყაროებს შორის ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს – სამართლის ნორმების (ისტორიული ნორმების) შემცველ სახელმწიფო ორგანოების აქტებს წამყვანი ადგილი უკავია. იგი სამართალშემოქმედების შედეგს წარმოადგენს. სამართალშემოქმედება – ეს არის მეტად ფართო მოვლენის შემადგენელი ნაწილი – სამართალწარმონაქმნის – პროცესის, რომელიც საზოგადოებრივი აუცილებლობისა და სახელმწიფოს მოღვაწეობის (ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შედგენის მხრივ) გავლენით ობიექტურად შედგენილი სამართლებრივი წინაპირობებისგან შედგება.

სამართალშემოქმედება – ეს არის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების, ან მთელი ხალხის (რეფერენდუმი) მოღვაწეობა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მიღების (შექმნის), ცვლილების ან გაუქმების გამო.

სამართალშემოქმედება გარკვეულ ფუნქციას ასრულებს ახალი სამართლებრივი ნორმების შემუშავებასა და ძველის გაუქმებაში.

სამართალშემოქმედება – რთული და საპასუხისმგებლო პროცესია, რომლის შედეგი ყველას და ყველაფერს ეხება. ამიტომ მისი მსვლელობისას უნდა დავიცვათ შემდეგი პრინციპები:

- დემოკრატიზმი (ხალხის მონაწილეობა მსჯელობასა და სამართლის ნორმების შექმნის დროს);
- კანონიერება (კანონმდებლობით დადგენილი ორგანოებისა და, შესაბამისად, მკაცრად განსაზღვრული პროცედურებით სამართალშემოქმედების განხორციელება);

- პროფესიონალიზმი (შემუშავებული და მიღებული კანონპროექტები უნდა იყოს ობიექტურად დასაბუთებული, ხოლო მათი ტექსტები – იურიდიული ტექნიკის მოთხოვნებს უნდა უკასუსხებდეს);
- მეცნიერული ხასიათის სამართალშემოქმედება (იურისპრუდენციის ბოლო მიღწევებისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების, აგრეთვე, მათ მიერ შემუშავებული სპეციალური მეთოდის და სამართლის ნორმის შექმნის ხერხების გათვალისწინების აუცილებლობა);
- საჯაროობა (ნებისმიერი სამართლებრივი აქტი, რომელიც ადამიანის უფლებას, თავისუფლებასა და ვალდებულებებს ეხება, ვერ იქნება გამოყენებული, თუკი არ იქნება ოფიციალურად გამოქვეყნებული);
- სამართალზე უმნიშვნელოვანეს წარმოდგენებთან გამოსაცემი ნორმატიული აქტების შესატყვისობა (სამართალკანონიერების მოთხოვნები) და სხვ.

51. სამართალშემოქმედების სახეობები

სამართალშემოქმედება რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომლის შედეგსაც განასხვავებენ, როგორც სამართლის ნორმების შექმნაში მონაწილე სუბიექტების წრის, ისე თავისი იურიდიული ძალის მიხედვით.

სამართლებრივი დანაწესები იქმნება სუბიექტების საკმაოდ ფართო წრის მიერ, რომლებსაც, ამა თუ იმ შემთხვევაში, მიეკუთვნება ხალხი, სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ამიტომ, *სამართალშემოქმედების სუბიექტების მიხედვით* გამოიყოფა შემდეგი სახეობები:

- ხალხის უშუალო სამართალშემოქმედება, რომელიც რეფერენდუმის პროცესში წარმოებს;
- სახელმწიფო ორგანოების სამართალშემოქმედებითი მოღვაწეობა სამართალშემოქმედების ძირითადი სახეობაა, რომლითაც დაკავებულია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს საკმაოდ ფართო წრე (პარლამენტი, საქ. პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა, საკანონმდებლო ორგანოები, აგრეთვე რეგიონული ადმინისტრაციის ხელმძღვანელები და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში წარმოებებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები);
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამართალშემოქმედება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
- ლოკალური სამართალშემოქმედება, როგორც მმართველი სუბიექტების მოღვაწეობა, რომელიც ხორციელდება დელეგირებულ ან კომპე-

ტენტურ საფუძველზე და მიმართულია ზოგადი ხასიათის ნორმების (წესების, რომელიც ორგანიზაციის სხვადასხვა სფეროს, აგრეთვე, მის წევრებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების რეგლამენტირებას ახდენს) შემუშავებაზე, მიღებასა და დაწესებაზე.

მნიშვნელობის მიხედვით განასხვავებენ:

- კანონშემოქმედება (სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მოღვაწეობა კანონების შექმნის საქმეში);
- დელეგირებული კანონშემოქმედება (საკანონმდებლო ორგანოს სანქციით ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მიღება, რომელსაც წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემის ოპერატიული გადაჭრის უზრუნველსაყოფად კანონის ძალა გააჩნია);
- ქვეკანონების სამართალშემოქმედება (აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და მასზე უფლებამოსილი თანამდებობის მირების მიერ მოქმედი კანონების საფუძველზე ნორმატიული აქტების შექმნა);
- სანქცირებული სამართალშემოქმედება (სახელმწიფოს მიერ ქცევის წესების მოწონება);
- სახელშეკრულებო სამართალშემოქმედება (მხარეების მიერ ნორმატიული დანაწესების ძალის მქონე ხელშეკრულების დადება).

52. სამართალშემოქმედების სტადიები (საკანონმდებლო პროცესის)

სამართალშემოქმედება – დროში მიმდინარე პროცესია, რომელიც მოიცავს რიგ სტადიებს – ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მიღების შედარებით განცალკევებულ ეტაპებს. აღნიშნულ მიმართებაში უმნიშვნელოვანესია საკანონმდებლო პროცესი, როგორც სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლებითი ორგანოს ნორმატიულ-მოწესრიგებული მოღვაწეობა (ქვეყნის პარლამენტი). იგი შედგება საკანონმდებლო ინიციატივის სტადიების, ახალი კანონის განხილვის, მიღებისა და გამოქვეყნებისგან.

საკანონმდებლო ინიციატივა და ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება. ამ ეტაპზე შეაქვთ წინადადება აღნიშნული კონკრეტული ურთიერთობის საკანონმდებლო დარეგულირების აუცილებლობის შესახებ და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში შესაბამისი კანონპროექტი შედის. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება მკაცრად განსაზღვრული სუბიექტების წრეს გააჩნია: საქ. პრეზიდენტი, პარლამენტის დეპუტატები, მთავრობა, საკანონმდებლო ორგანოები, საქ. საკონსტიტუციო, უზენაესი და საარბიტრაჟო სასამართლოები.

კანონპროექტის განხილვა, მართლაც, უმაღლესი ნორმატიული აქტის შექმნის ყველაზე ხანგრძლივი და, ზოგჯერ, გაუთვალისწინებელი პროცესია: სპეციალისტების მუშაობა კანონის პროექტის ტექსტზე; ფორმულირებების დაზუსტება, შესწორებების, დამატებების შეტანა, ესე იგი, ტექსტის რედაქტირება; ნორმატიული აქტების საბოლოო რედაქცია.

კანონის მიღება, ისევე როგორც სხვა ნორმატიული აქტის, მდგომარეობს მისთვის სავალდებულო ხასიათის ოფიციალურ მიცემაში, საქართველოს პარლამენტი განიხილავს, იღებს და პრეზიდენტის მიერ ხდება მისი დამოწმება ხელის მოწერით.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების (კანონების) ოფიციალური გამოქვეყნება ნიშნავს სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოსა და სახელმწიფო მეთაურის მიერ ხელმოწერილი კანონების დადგენილი წესით საყოველთაო შეტყობინებას. მიღებული კანონების შინაარსს მოსახლეობა ეცნობა სხვადასხვა საშუალებებით: მათი ტექსტები იბეჭდება, რადიოსა და ტელევიზიაში ახმოვანებენ და ა.შ. ამასობაში, კანონების გამოქვეყნება ოფიციალურ ხასიათს მათი ტექსტების (სპეციალურ გამოცემებში) მხოლოდ პირველი პუბლიკაციის დროს იძენს.

53. კანონების ცოდნის პრეზუმფცია

რომის იურისპრუდენციის მიერ შემუშავებული დებულებები იმის შესახებ, რომ „არავის შეუძლია კანონების არცოდნის დაბრალება“ და „კანონების არცოდნა არავის ამართლებს“, არა მხოლოდ ყოველი იურისტიკისთვის, არამედ ნებისმიერი მოქალაქისთვის არის ცნობილი. ეს დებულებები შესაძლებელია განიხილოს მრავალმხრივ: როგორც პრეზუმფცია, როგორც ფიქცია და როგორც აქსიომა.

ამჟამად, წიგნიერებისა და საინფორმაციო ზღვა მასალის ხელმისაწვდომობის პირობებში კანონების ცოდნის პრეზუმფცია უდავო ჭეშმარიტებაა. ამაზე კონსტიტუციური დებულება მიუთითებს, რომ თუ კანონის ტექსტი ოფიციალურად იყო გამოქვეყნებული, მაშინ ივარაუდება, რომ მისი შინაარსი ყველასათვის ცნობილია.

54. იურიდიული ტექნიკა

იურიდიული ტექნიკა — ეს არის წესების სამართალშემოქმედებისა და სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების საშუალებების პრაქტიკაზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს

რეგულირებულ საკითხებს, ხელმისაწვდომობას, სიმარტივესა და სამართლებრივი მასალის ძალაღ რეგულაციურობას.

სამართალშემოქმედებითი ტექნიკისადმი მოთხოვნები საკითხების ფართო წრეს ეხება და, საზოგადო წესით, შემდეგში მდგომარეობს:

- სამართალშემოქმედების ორგანოს ნების უფრო სრული და ადეკვატური გამოხატულება;
- რაციონალური ორგანიზაცია და აქტში მოცემული ნორმატიული მითითებების გადმოცემის ლოგიკური თანამიმდევრობა, მისი კომპაქტურობა;
- ნორმატიული აქტებისა და მთელი საკანონმდებლო სისტემის შინაარსში ხარვეზებისა და წინააღმდეგობების არარსებობა;
- სამართლებრივი ნორმების სიმოკლე და კომპაქტურობა მათი შინაარსის საკმარისი სიღრმისა და ყოველმხრივი ასახვის დროს;
- სამართლებრივი აქტების ენის გარკვეულობა, სისადავე და ხელმისაწვდომობა, გამოყენებული ფორმულირებებისა და ტერმინების სიზუსტე და გარკვეულობა;
- ერთსა და იმავე საკითხზე ნორმატიული აქტების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა;
- ნორმატიული აქტების დროული გამოქვეყნება და კანონიერი ძალის მინიჭება და სხვ.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფილია სამართალშემოქმედებითი ტექნიკის (სამართლებრივი აქტების ყველა სახეობის: ნორმატიული, ინდივიდუალურ-სამართლებრივი და ინტერპრეტაციული) მოთხოვნათა აქტუალიზაციის გარკვეული მიმართულებები: სამართლებრივი აქტის შესატყვისი სახეობა, დონე და მნიშვნელობა მისი სათანადო გარე გაფორმებით; სამართლებრივი დანაწესების ტექსტის სტრუქტურის, სტილის, ლოგიკურ-ენობრივი წყობის ორგანიზაცია; იურიდიული ნორმების ორგანული ურთიერთკავშირის, მათი შიდაელემენტების გამოცდების უზრუნველყოფა; ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი სისტემატიზაციისა და გათვალისწინების დროს განსაკუთრებული წესების დაცვა.

მთლიანობაში, საკანონმდებლო (იურიდიული) ტექნიკა ჩამოყალიბებულია საკანონმდებლო სტილისტიკის მოთხოვნების, იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული ტერმინოლოგიის თვისებურებებისგან.

საკანონმდებლო სტილისტიკა – ნორმატიულ დოკუმენტებში ენობრივი საშუალებების უფრო მეტად მიზანშეწონილი გამოყენების ხერხების სისტემა.

საკანონმდებლო სტილისტიკის წესებიდან გამომდინარე, ნორმატიული აქტის ტექსტს შემდეგ მოთხოვნებს უყენებენ: სისადავე, მთლიანობა, ლოგიკური დასრულება; მოძველებული გამონათქვამებისა და ხატოვანი შედარებების დაუსვებლობა; ღირეექტიულობა (მითითებების, მოთხოვნებისა და ბრძანებების ენის მკაცრი ფორმულირების აუცილებლობა); ოფიციალურობა; აქტის ტექსტის გადმოცემის თანაბარი და მშვიდი სტილი, სუბიექტების განცდებისა და ემოციების მიმართ მისი გულგრილობა და ა.შ.

იურიდიული ტერმინოლოგია — ნორმატიული აქტის გადმოცემის დროს გამოყენებულ ცნებათა სიტყვიერი აღნიშვნა.

იურიდიული ტერმინები შეიძლება იყოს: საყოველთაოდ ხმარებული, ერთნაირად გაგებული ყველას მიერ (ლტოლოგიის, მოწმის, მუშაკის); სპეციალურ-ტექნიკური, ესე იგი, ცოდნის სხვადასხვა დარგის გამოყენებული ცნებები (უხარისხო პროდუქცია, უსაფრთხოების ტექნიკის წესები); სამართლებრივი მეცნიერებისა და პრაქტიკის მიერ შემუშავებული სპეციალური იურიდიული ცნებები (სამართალურთიერთობები, სავალდებულო თავდაცვა, სასარჩელო ხანდაზმულობა, თანამონაწილეობა).

იურიდიულ ტერმინებს უყენებენ საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს, რომელთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია: ერთიანობა, ერთმნიშვნელობა, საყოველთაოდ აღიარება, სტილისტიკური ნეიტრალობა, სტაბილურობა, მისაწვდომობა, უკიდურესი გარკვეულობა და ა.შ.

იურიდიული კონსტრუქცია — ეს არის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ტექსტში აღნიშნული უფლებების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ დებულებების კონსტრუირების თავისებური ხერხები.

სამართლის ზოგად თეორიაში კონსტრუქცია განიხილება, როგორც იურიდიული ტექნიკის ერთ-ერთი საშუალება, სამართლის შინაარსის ელემენტი, მეცნიერული ცოდნის ხერხი (საშუალება), სამართლის ნორმების ახსნისა და იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენის საშუალება.

იურიდიული დოკუმენტის წყობის ზოგიერთი ტიპური წესი:

- ნორმატიული მასალის მოწესრიგებული განაწილება, მისი დანაწევრება და შეთანხმებულობა;
- ნორმატიული დოკუმენტის ერთიანობა და შინაგანი ლოგიკა (მასალის გადმოცემის ლოგიკური თანამიმდევრობა, მისი არაწინააღმდეგობრიობა);
- სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობა და დამაჯერებლობა (დოკუმენტის ენის მაქსიმალური სიმარტივე და გაგება, კავშირების,

სასენი ნიშნების, შედარებების, ხატოვანი გამონათქვამების ხმარების სისწორე და ა.შ.).

55. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტემატიზაცია და მათი აღრიცხვა

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტემატიზაცია – ეს არის სამართლებრივი ნორმების მოწესრიგებისა და სრულყოფისკენ მიმართული საქმიანობა, დამუშავება, მათი ერთიან შეთანხმებულ სისტემაში მოყვანა.

ამჟამად, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტემატიზაციის ისეთი სახეობები გამოიყენება, როგორცა კოდიფიკაცია, ინკორპორაცია და კონსოლიდაცია.

კოდიფიკაცია – სახელმწიფოს სამართალშემოქმედების ორგანოების მოღვაწეობა ახალი, შეჯამებული, სისტემატიზებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის შექმნაში მოქმედი კანონმდებლობის ღრმა და ყოველმხრივი დამუშავების გზით.

ნორმატიული მასალის გადახედვის სიღრმისა და მიმართულების მიხედვით კოდიფიციური სამუშაოები რამდენიმე სახეობისაა: საზოგადო (კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილის ძირეული გადაშუშავება ხდება და შედეგად იქმნება შეჯამებული კოდიფიცირებული აქტები კანონმდებლობის ძირითადი დარგების მიხედვით); დარგობრივი – კანონმდებლობის გარკვეული დარგების ან ქვედარგების (სისხლის სამართლის კოდექსი, სამოქალაქო კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სხვ.) სამართლის ნორმების გადაშუშავება და გაერთიანება; სპეციალური – ამა თუ იმ ცალკეული სამართლის ინსტიტუტის სხვადასხვა ნორმატიულ აქტებად გაფანტული ნორმების არსებითი გადაშუშავება და მათი გაერთიანება ახალ, ერთიან კოდიფიცირებულ აქტში (სატყეო კოდექსი, წყლის კოდექსი, კოდექსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ და სხვ.).

კოდიფიკაცია გამოიხატება კოდექსების, წესდების, კანონმდებლობის საფუძვლების შექმნაში:

- *კოდექსი* – საკანონმდებლო აქტი, რომელიც აერთიანებს სამართლის ნორმებს მკაცრად განსაზღვრული წესით, არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების რომელიმე დარგს (სფეროს);
- *წესდება (დებულება)* – ნორმების შემცველი აქტია, რომელიც არეგულირებს ცალკეული უწყებების, სამინისტროების, ორგანიზაციების საქმიანობას;

- *კანონმდებლობის საფუძვლები* – ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადგენს სახელმწიფოებრივი მართვის ან სამართლის დარგის გარკვეული სფეროს მნიშვნელოვან დებულებებს.

ინკორპორაცია – სისტემატიზაციის ფორმა, რომლის პროცესშიც მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები ერთიანდება კრებულებში.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ინკორპორაცია სუბიექტების მიხედვით იყოფა ორ სახედ: ოფიციალური და არაოფიციალური.

ოფიციალური კორპორაცია იწარმოება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან სპეციალური რწმუნებულების მიერ და ერთგვარ „სამართლის წყაროდ“ გვევლინება. ინკორპორაცია შემდეგი სახეობებისაა:

- *ქრონოლოგიური* ინკორპორაცია, რომლის პროცესშიც ნორმატიული აქტები, მათი მიღების წესით, ჯგუფდება სამართლის დარგებისგან დამოუკიდებლად (მაგალითად, ისეთ გამოცემებში, როგორიცაა „საქართველოს კანონმდებლობის კრებული“, „საქ. პრეზიდენტისა და მთავრობის აქტების კრებული“, ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების სხვადასხვა სახის ბიულეტენები). კანონმდებლობის კრებულის განსაკუთრებულ ნაირსახეობას კანონების კრებული წარმოადგენს;

- *სავნობრივი ინკორპორაცია* წარმოადგება ნორმატიული მასალის შედგენის ფორმით დარგობრივი ნიშნის, სამართლის ინსტიტუტების, სახელმწიფო მოღვაწეობის სფეროების მიხედვით და ა.შ.

არაოფიციალური ინკორპორაცია მდგომარეობს ორგანიზაციების ან საკუთარი ინიციატივით ცალკეული პირების მიერ მოქმედი ნორმატიული აქტების მოწესრიგებაში, ამიტომ აუცილებლობის ხასიათს იგი არ ატარებს. ეს არის სასწავლო დაწესებულებების, უწყებების, მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ კანონმდებლობის გარეგნული დამუშავება, რომლებიც ხელსაყრელი გამოყენების მიზნით ქმნიან კანონმდებლობის სხვადასხვა სავნობრივ-თემატურ კრებულებს, ცნობარებს.

კონსოლიდაცია – საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთსა და იმავე სფეროში მოქმედი რამდენიმე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის გაერთიანება ერთიან შეჯამებულ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში ამ აქტების შინაარსის ცვლილების გარეშე.

სამართლებრივ პრაქტიკაში ხშირად ისე ხდება, რომ მრავალრიცხოვან, სხვადასხვა დროს მიღებულ დანაწევრებულ ნორმატიულ აქტებს და საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთგვაროვანი სფეროს მარეგულირებელი სამართლის ცალკეულ ნორმებსაც კი უფლებამოსილი სამართალშემოქმედების ორგანოები ან თანამდებობის პირები ერთად აგროვებენ და მათ საფუძველზე ერთიან ნორმატიულ აქტს ქმნიან. ბუნებრივია, რომ

უწინდელი სამართლებრივი მითითებები თავისი გარეგამოხატვის თვალსაზრისით განიცდის გარკვეულ სარედაქციო შესწორებებს, მაგრამ არ კარგავს პირვანდელ შინარსსა და მიმართულობას. ამრიგად, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კონსოლიდაცია ტარდება სხვადასხვა ნორმატიული მითითებების არსებული სიმრავლის გადალახვის მიზნით რაიმე საზოგადოებრივი ურთიერთობების ან სამართლებრივი რეგულირების ერთიანობის უზრუნველყოფის ფარგლებში.

56. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების აღრიცხვა

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის სისტემატიზაციასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი აღრიცხვა, ესე იგი, საქმიანობა შეკრების, შენახვისა და მოქმედი ნორმატიული აქტების საკონტროლო (მონიტორინგის) მდგომარეობაში მხარდაჭერის, აგრეთვე, დაინტერესებულ პირთა შეკითხვებზე გაცემული პასუხების პროცესის ოპტიმიზაციისათვის სპეციალიზებული საძებნო სისტემის შექმნის გამო.

სავალდებულო აღრიცხვას ექვემდებარება: საკონსტიტუციო კანონები; საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ნორმატიული აქტები, აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებები; აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების აქტები და ა.შ.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების აღრიცხვა შეიძლება იყოს: საყოველთაო (ანბანის, საგნობრივ ან ქრონოლოგიურ თანმიმდევრობით ფიქსირდება მიღებული აქტების დასახელებები და მონაცემები), კარტოთეკური, (აქტების შესახებ ინფორმაცია გადააქვთ სპეციალურ ბარათებზე, რაც სპეციალური კლასიფიკატორის შესატყვისად ნაწილდება), ავტომატიზებული (იქმნება სპეციალური საინფორმაციო-საძიებო სისტემა, რომელშიც ჩართულია მიღებული ნორმატიული აქტების სრული ტექსტები და რომელიც აუცილებელი ცვლილებების ოპერატიულად შეტანის შესაძლებლობას იძლევა). ამჟამად, საკანონმდებლო კომპიუტერული საინფორმაციო-საძიებო სისტემა, როგორც კომპიუტერული საცნობარო-სამართლებრივი სისტემა, ფართოდ არის გავრცელებული.

57. იურიდიული ნორმების ცნება და ნიშან-თვისებები (სამართლის ნორმები)

სამართლის ნორმა – ეს არის ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში შემავალი საყოველთაოდ სავალდებულო, ფორმალურად განსაზღვრული, სტრუქტურულად ორგანული, სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების დადგენის გზით, სახელმწიფოს მიერ მითითებული სოციალური სინამდვილის სუბიექტების მოქმედებების სათანადო, შესაძლებელი, წამახალისებელი, რეკომენდებული ან აკრძალავი ზომების კარიანტი.

იურიდიული ნორმის თვისებრივ ნიშნებს, რომელიც გამოხატავს საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვა რეგულატორებთან შედარებით მის ყველაზე უფრო გამოკვეთილ თავისებურებებს, შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი:

- სამართლის ნორმის მოქმედების იძულებითი უზრუნველყოფილობა, სპეციფიკური თვისება, რომელიც ვლინდება იმაში, რომ იგი სახელმწიფოდან მომდინარეობს, ამიტომ მასში დაფიქსირებული ქცევის წესი მუდამ წარმოინდება, როგორც სახელმწიფოს იმპერატიული ბრძანება (მოთხოვნა), განმტკიცებული (შეუსრულებლობის შემთხვევაში) სახელმწიფოებრივი იძულების ზომების გამოყენების შესაძლებლობით;
- სამართლის ნორმის წარმომადგენლობით-ვალდებულებითი ხასიათი, რომელიც ვლინდება იმაში, რომ იგი მუდამ შეიცავს, ერთი მხრივ, მოქმედების უფლებას, ხოლო მეორე მხრივ, რაიმესგან თავის შეკავების მოვალეობას;
- სამართლის ნორმის ფორმალური განსაზღვრულობა, რომელიც ვლინდება იმაში, რომ მასში ფიქსირებული ქცევის წესი ხასიათდება უკიდურესი სიზუსტითა და ფორმულურების კატეგორიულობით, გააჩნია მკაცრად განსაზღვრული ფორმა და სტრუქტურა, აგრეთვე მიუთითებს იმაზე, რომ ეს დანაწესი მოიპოვება სამართლის სპეციალურ წერილობით წყაროში – ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში;
- ნორმატიულობა, როგორც იურიდიული ნორმის ნიშან-თვისება, ვლინდება იმაში, რომ იგი მუდამ საზოგადო წესად, ქცევის ეტალონად და მის საზომად არის მიჩნეული;
- სამართლის ნორმის არაგაპიროვნებულობა, მისი საყოველთაო ვალდებულება, რომელიც ვლინდება იმაში, რომ იგი არ ასახელებს რა კონკრეტულ ინდივიდუალურად განსაზღვრულ სუბიექტს, თავის

მოთხოვნებს ავრცელებს ყველაზე, ვინც ხვდება მისი მოქმედების სფეროში;

- სამართლის ნორმის არაერთგზის გამოყენება, რომელიც ვლინდება იმაში, რომ იგი ერთხელ გამოყენების შემდეგაც კი არ კარგავს თავის ძალას, არამედ მოქმედებს მუდმივად და გათვლილია მისი ჰიპოთეზით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის დროს სისტემატურ რეალიზაციაზე.

58. იურიდიული ნორმების სახეობები

ყველა იურიდიული ნორმა სპეციალიზებულია, ე. ი. ასრულებს რაღაც ერთ „თავის“ მკაცრად მოცემულ იურიდიულ ოპერაციას: ერთი განამტკიცებს ზოგად დებულებებს (ნორმები-პრინციპები); მეორეს შეაქვს აკრძალვები (ამკრძალავი ნორმები); მესამე ადგენს ამა თუ იმ პროცედურის (საპროცესო ნორმები) გატარების წესებს და ა. შ.

თავისი ფუნქციის მიხედვით ყველა ნორმა იყოფა ამოსავალ ნორმებად და ქცევის წესის ნორმებად.

ამოსავალ ნორმებს (საწყისი, დამწესებელი) ყველაზე უფრო ზოგადი ხასიათი გააჩნია. იგი განსაზღვრავს საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების საწყის საფუძვლებს და განამტკიცებს პრინციპებს, ინსტიტუტებს ან სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ცნებებს. შედგება, როგორც წესი, ერთი დისპოზიციისგან (წესი).

ამოსავალი ნორმების რამდენიმე სახეობას განასხვავებენ: *ნორმები-საწყისები* (დებულებები, რომლებიც კონსტიტუციური ხასიათის აქტებშია შესული და კონსტიტუციური წყობილების საფუძვლებს განამტკიცებს); *ნორმები-პრინციპები* (სამართლის ნორმები, რომლებშიც გამოხატულია და განმტკიცებულია სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც სამართლებრივი ინსტიტუტების რეალიზაციისა და, ასევე, სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების საფუძვლებს განსაზღვრავს); *ნორმები-დეფინიციები* (ნორმები, რომლებიც პირდაპირ არ ახდენს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებას, მაგრამ შეიცავს მითითებას ყველაზე უფრო საკვანძო სამართლებრივი კატეგორიებისა და მოვლენების არსსა და შინაარსზე).

ქცევის ნორმები-წესები – ეს არის ნორმები, რომელიც უშუალოდ არეგულირებს ადამიანთა ქცევებს. იგი მიუთითებს სუბიექტების ურთიერთმოვალეობებსა და უფლებებზე, ამ უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციის პირობებზე, სუბიექტების ამა თუ იმ ქცევისა და მოქმედების მიმართ სახელმწიფოს რეაქციის სახეობასა და ზომებზე.

ქცევის ნორმები-წესები ორი ტიპისაა: *რეგულაციური* (შეიცავს ქცევის ნორმალურ, საზოგადოებისა და ხალხისათვის საჭირო ვარიანტის შესახებ მითითებებს; განსაზღვრავს სუბიექტების სუბიექტურ უფლებებსა და იურიდიულ მოვალეობებს, მათი წარმოშობისა და მოქმედების პირობებს); *დამცველი* (მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა აღვილი აქვს სამართალდარღვევას; განსაზღვრავს სამართალდამრღვევის მიმართ ზომების გამოყენებისა და სახელმწიფოებრივ-იძულებითი ზემოქმედების პირობებს და ამ ზომების შინაარსს).

მითითების გამოხატვის ფორმის მიხედვით, რომელიც შესულია ნორმაში, სამართლებრივი მითითებები იყოფა: *სამართლის რწმუნებულებით ნორმებად* (პირებს აძლევს იურიდიული შედეგების გამოძწვევ გარკვეულ დადებით მოქმედებათა ჩადენის შესაძლებლობას); *სამართლის ვალდებულებით ნორმებად* (პირებს უწესებს გარკვეული დადებითი მოქმედებების ჩადენის აუცილებლობას, ითხოვს აქტიურ სავალდებულო ქცევას); *სამართლის ამკრძალავ ნორმებად* (მიუთითებს სუბიექტის მიერ მასში დასახელებული სამართლის მოქმედებების ჩადენის დაუშვებლობაზე, მათი ჩადენისაგან თავის შეკავების ვალდებულებაზე).

სამართლებრივი რეგულირების მეთოდის მიხედვით ნორმები იყოფა: *სამართლის იმპერატიული ნორმებად* (შესასრულებლად მკაცრად სავალდებულო, რომელიც შეიცავს მბრძანებლურ მითითებებს და არ უშვებს რაიმე სხვა განხილვას და მათი მოთხოვნებისგან გადახვევას); *სამართლის დისპოზიტიურ ნორმებად* (სუბიექტებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების მოცულობისა და ხასიათის შესახებ საკითხი კანონის საყოველთაო მოთხოვნების ფარგლებში, რომელიც დაფიქსირებულია მოცემულ ნორმებში; ვავრცელებულია სამოქალაქო, შრომით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებში); *წახალისებით ნორმებად* (შეიცავს მითითებებს შესაბამისი სახელმწიფოებრივი ორგანოების მიერ სუბიექტების მიმართ გარკვეული წახალისების ზომების უფლების წარდგენის შესახებ საზოგადოებრივად სასარგებლო აქტიური საქმიანობის გამო (ნორმატიული დებულებები ორდენების, მედლების, პრემიების თაობაზე); *სარეკომენდაციო ნორმებად* (ადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების საზოგადოებისა და სახელმწიფოს თვალსაზრისით უფრო მეტად სასურველ ვარიანტებსა და სტილს).

სამართლებრივი რეგულირების სავნის მიხედვით არსებობს საკონსტიტუციო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, სისხლის სამართლის, სამოქალაქო და სამართლის მრავალი სხვა დარგის ნორმები. მათ აერთიანებთ რეგულირებადი საზოგადოებრივი ურთიერთობების ხარისხი-

ანი ერთგვარონობა, ისინი სწორედ თავიანთი ერთობლიობით ადგენენ სამართლის შესაბამისი დარგის შინაარსს.

მოცემულის საფუძველზე სამართლის ყველა ნორმა ასევე იყოფა: *მატერიალურ* (განამტკიცებს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა სტატუსს და შეიცავს ქცევის კონკრეტულ წესებს აღწერილ კონკრეტულ სიტუაციაში); *საპროცესო* (დეტალური მითითებები მატერიალური სამართლის ნორმების პრაქტიკული რეალიზაციის წესზე) და *კოლიზიურ ნორმებად* (მიიღება ცალკეულ სამართლებრივ მითითებებს შორის წინააღმდეგობების თავიდან აცილების მიზნით, რისთვისაც საზღვრავენ ამა თუ იმ ნორმის მიღების წესს).

გადმოცემის სისრულის ხარისხის მიხედვით ნორმები იყოფა: *სამართლის საბლანკო ნორმებად* (მოქმედება ეფუძნება, ხშირად ტექნიკურ-სამართლებრივი ხასიათის, სპეციალური ნორმებისა და წესების შინაარსს, რომელიც განმტკიცებულია სხვა წყაროებში (ტექნიკურ და სანიტარულ წესებში, უსაფრთხოების ტექნიკის წესებში და სხვ.); *სამართლის გასაგზავნი ნორმები* (მიუთითებს ამავე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის სხვა სამართლებრივ ნორმებზე, როგორც თავისი მოქმედების პირობაზე).

მოთხოვნების გავრცელების ხარისხის მიხედვით გარკვეული სუბიექტების ან ურთიერთობების მხრივ: *სამართლის საყოველთაო ნორმებად* (თავის მოქმედებას ავრცელებს ყველა პირზე, რომელიც ცხოვრობს მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში ან ახდენს ზემოქმედებას გარკვეული სახის საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობაზე (საკონსტიტუციო ან სისხლის სამართლის ნორმები); *სამართლის სპეციალურ ნორმებად* (მოქმედებს პირთა გარკვეულ კატეგორიაზე (სტუდენტები, სამხედრო მოსამსახურეები, უკიდურესი ტერიტორიული ზოლის მცხოვრებნი) ან ადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების რაიმე კონკრეტული სახეობის სამართლებრივი რეგულირების საწყისს (ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება); *სამართლის გამონაკლის ნორმებად* (ადგენს საყოველთაო ან სპეციალური ნორმებიდან გამონაკლისს (სამართლებრივი მითითებები დიპლომატიური იმუნიტეტის თაობაზე, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის თაობაზე).

მოქმედების დროის მიხედვით: სამართლის *მუდმივ* ნორმებად (მოქმედებს განუსაზღვრელად დიდხანს, სანამ სპეციალურად არ იქნება შეცვლილი ნორმებით, რომელსაც შეიცავს ახალი ნორმატიული აქტი); *დროებით* ნორმებად (მოქმედებს მხოლოდ იმ ვადის განმავლობაში, რომელიც მითითებულია თვით ნორმატიულ აქტში).

59. იურიდიული ნორმის სტრუქტურა

იურიდიული ნორმების შინაგან წყობას, რომელიც ლოგიკურად აკავშირებს მის შემადგენელ ნაწილებს და უზრუნველყოფს მის ფუნქციურ მთლიანობას, ეწოდება სამართლებრივი ნორმების სტრუქტურა. სამართლის ნორმა თავისი სრული სახით შეიცავს სამ ელემენტს: ჰიპოთეზას, დისპოზიციას და სანქციას.

ჰიპოთეზა — იურიდიული ნორმის ნაწილია, რომელიც მიუთითებს ცხოვრებისეულ გარემოებებზე, რომლის არსებობის ან არარსებობის დროს ნორმა რეალიზდება.

ჰიპოთეზა შეიძლება იყოს:

- *დადებითი ან უარყოფითი* (მაგალითად, ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად ქორწინებისთვის აუცილებელია იმ პირთა ურთიერთთანხმობა, რომლებიც ქორწინდებიან და ქორწინების ასაკის მიღწევა. მხოლოდ ამ გარემოებების არსებობის დროს ნორმა მოქმედებს დადებითად. მოცემული ნორმის პირობებს კიდევ განსაზღვრავს ის საფუძვლები, რომლებიც არ უნდა არსებობდეს: სხვა პირთან დარეგისტრირებული ქორწინება, ახლო ნათესაური კავშირი იმ პირთან, ვისთანაც ქორწინდები და ა. შ. (უარყოფითი ჰიპოთეზა).
- *მარტივი, რთული და ალტერნატიული* (მარტივი ჰიპოთეზა მიუთითებს ერთ გარემოებაზე, რომლის არსებობითა და არარსებობით იზღუდება ნორმების მოქმედება; რთული ჰიპოთეზა ნორმის მოქმედებას მჭიდროდ უკავშირებს მასში განმტკიცებული ორი ან მეტი პირობის არსებობას; ალტერნატიული ჰიპოთეზა ითვალისწინებს რამდენიმე ჩამოთვლილი პირობიდან ერთ-ერთის შესრულებას (ან დადგომას).

დისპოზიცია — ეს არის იურიდიული ნორმის ნაწილი, რომელიც შეიცავს ქცევის წესს, რომელსაც უნდა მიბაძონ საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეებმა (ჰიპოთეზით გათვალისწინებული პირობების არსებობის დროს). დისპოზიცია მეტყველებს იმაზე, თუ რისი გაკეთება შეიძლება, საჭიროა ან არ შეიძლება.

იურიდიული ნორმის დისპოზიცია არის: *მარტივი* (ასახელებს ქცევის ვარიანტს, მაგრამ არ ხსნის და არ განმარტავს მას); *ალწერილობითი* (ჩამოთვლის სუბიექტების აუცილებელი ქცევის ყველა არსებით ასპექტს); *ალტერნატიული* ითვალისწინებს სუბიექტების ქცევის რამდენიმე ვარიანტს; *დამოწმებითი* (პირდაპირ კი არ გადმოგვცემს ქცევის კონკრეტულ წესს, არამედ გასაცნობად მიუთითებს ამავე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის სხვა ნორმას); *საბლანკო* (დამოწმებითისგან განსხვავ-

ვებით მიუთითებს არა ამავე კანონის ნორმას, არამედ სხვა ნორმატიულ აქტებს, ინსტრუქციებს, ტექნიკურ ნორმებს და ექსპლუატაციის წესებს).

სანქცია – იურიდიული ნორმის ნაწილი, რომელიც განამტკიცებს სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის ზომებს, რომელიც ვათვალისწინებულა მისი ქცევის მასშტაბის დისპოზიციაში.

სანქცია საზოგადოდ – ეს არის ადამიანის მოქმედების ნორმატიულად განსაზღვრული შედეგი და ასეთი შედეგი შეიძლება იყოს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური. აქედან გამომდინარე, იურიდიული ნორმის სანქცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც მისი ელემენტი, რომელიც სუბიექტისთვის ითვალისწინებს არაკეთილსასურველ (უარყოფით), ან კეთილსასურველ (დადებით) შედეგებს.

სანქციამ შეიძლება დამსჯელობითი ხასიათი ატაროს – *სადამსჯელო სანქციები*; შეიძლება გაითვალისწინოს სამართლებრივი ურთიერთობების ნორმალური მდგომარეობის აღდგენა და გამოიხატოს შეუსრულებელი მოვალეობების იძულებით შესრულებაში – *სამართალადგენითი სანქციები*; შეიძლება შეიცავდეს სამართლის სუბიექტების მართლზომიერი ქცევის მორალური ან მატერიალური სტიმულირების ზომებს – *წამაზღვისებელი სანქციები*.

ამასთან ერთად, სანქცია, თავისი ტრადიციული ხედვიდან გამომდინარე, მეტყველებს იმაზე, თუ როგორ უარყოფით შედეგებს გამოიწვევს ნორმის დისპოზიციის დამრღვევისათვის ჰიპოთეზით ვათვალისწინებული გარემოებებისა და პირობების არსებობა.

დამსჯელობითი (სადამსჯელო) სანქციები შემდეგი სახისაა: *აბსოლუტურად-განსაზღვრული* (ზუსტად არის მითითებული სამართლის სუბიექტის მოცემული სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებების შესაძლებელი არაკეთილსასურველი შედეგების ზომა); *შედარებით-განსაზღვრული* (არაკეთილსასურველი შედეგების საზღვრები მითითებულია მინიმუმიდან მაქსიმუმამდე); *ალტერნატიული სანქციები* (შესაძლებელი არაკეთილსასურველი შედეგების რამდენიმე სახეობა ჩამოთვლილია კავშირების „ან“, „თუ“ საშუალებით).

60. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის სამართლის ნორმებისა და გუნჯების თანაფარდობა

სამართლებრივი ნორმის სტრუქტურული ნაწილების ორგანული კავშირის წყალობით ყალიბდება მისი ერთიანობა. სამართლებრივი ნორმა მუდამ შედგება სამი ელემენტისგან. ყოველი სამართლებრივი ნორმა ლოგი-

კურია, რამეთუ სამართლის ნორმა ჰიპოთეზების გარეშე უაზრობაა, დისპოზიციის გარეშე – უშინაარსოა, სანქციის გარეშე უძლურია.

მაგრამ სამართლებრივი ნორმა მუდამ არ შეიცავს (პირდაპირ აფიქსირებს) ამ სამივე ელემენტს. ყველაზე ხშირად გვხვდება მხოლოდ ჰიპოთეზებისა და დისპოზიციების (სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები), დისპოზიციებისა და სანქციების (სისხლის სამართლის ნორმები), ან მხოლოდ ერთი დისპოზიციის (საკონსტიტუციო სამართლის ნორმები) შემცველი ნორმა.

საკანონმდებლო პირობების მოკლედ გადმოცემის მიზნით მათგან ნორმატიული აქტის მუხლების არასაჭირო გამეორების ამოღება არ ტოვებს სამართლებრივი ნორმების მთლიანი სტრუქტურის შთაბეჭდილებას, ბევრ მათგანში ჰიპოთეზა ან სანქცია არ არის მოყვანილი, თუმცა იგულისხმება, გამომდინარეობს ამა თუ იმ მუხლის თვით ფორმულირებიდან ან მითითებულია ამა თუ იმ კანონის სხვა მუხლებში. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა დავიმახსოვროთ, რომ არ უნდა აეუროთ კანონის ან რომელიმე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მუხლები სამართლებრივი ნორმებთან. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ერთ მუხლში (პუნქტში) შეიძლება შედიოდეს რამდენიმე სამართლის ნორმა, ან პირიქით, ნორმა ზოგჯერ არის „გახლეჩილი“ – ჰიპოთეზა და დისპოზიცია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ერთ პუნქტშია (მუხლშია), ხოლო სანქცია – მეორეში.

სამართლის ნორმებში ჩადებული სამართლებრივი დანაწესების რეალიზაციის უფრო მეტი ეფექტიანობის მიღწევის მიზნით სამართალშემოქმედებითი ორგანოების მიერ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მუხლებში იურიდიული ნორმების გადმოცემის რამდენიმე ხერხი გამოიყენება:

- ნორმატიული განზოგადების დონის მიხედვით: *აბსტრაქტული ხერხი*, რომლის დროსაც გარემოებები, ფაქტები გადმოიცემა ტექსტში განზოგადებული სახით, და *კაზუისტური ხერხი*, რომლის დროსაც ჩამოთვლილია ნორმით მითითებული ყველა პირობა, მოქმედება და მათი შეუსრულებლობის შედეგები;
- სამართლებრივი ნორმების ელემენტების ფიქსირების სისრულის მიხედვით: ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მუხლებში სამართლებრივი ნორმის ელემენტების გადმოცემის *სრული* ფორმა, რომლის დროსაც სამართლის ნორმა და კანონის მუხლი ერთმანეთს ემთხვევა, ე. ი. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ერთ მუხლში არის მისი ყველა ელემენტი (ჰიპოთეზა, დისპოზიცია, სანქცია); ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ერთ მუხლში რამდენიმე სამართლებრივი ნორმა; გადმოცემის *გასვჯენი* ფორმა გვხვდება მაშინ, როცა

სამართლის ერთი ნორმა სტრუქტურულად „მიმოფანტულია“ რამდენიმე მუხლად ამავე ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში (დამოწმებითი ნორმები), თუკი ნორმის ცალკეული ნაწილების მოძებნა აუცილებელია სხვა აქტის (აქტების) მუხლებში (საბლანკო ნორმები).

61. იურიდიული ნორმის ეფექტიანობა

სამართლებრივი ნორმა სამართლის მთელი სისტემის ქვაკუთხედი და ბუნებრივია, მისი მოქმედების ეფექტიანობის განსაზღვრა, რასაკვირველია, ესაჭიროებათ კანონმდებლებსაც, სამართალშეფარდებით ორგანოებსაც, რიგით მოქალაქეებსაც.

სამართლებრივი ნორმის მოქმედების ფაქტობრივ შედეგებსა და იმ სოციალურ მიზნებს შორის თანაფარდობას, რომლის მისაღწევადაც ეს ნორმა იყო მიღებული, ეწოდება *სამართლის ნორმის ეფექტიანობა*.

საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ნორმის ეფექტიანი ზემოქმედების პირობებს წარმოადგენს:

- მოცემული საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კანონზომიერების მოთხოვნების სამართლებრივ ნორმებში გამოხატვა;

- სამართლებრივი ნორმების მითითებების შესაბამისობა მოცემული საზოგადოების მორალის მოთხოვნებთან და მართლშეგნების განვითარების წარმართვა;

- მოცემულ საზოგადოებაში მიღებული რეგულირებისა და მართვის ზოგადი პრინციპების გათვალისწინება საკანონმდებლო საქმიანობის პროცესში;

- სამართლებრივი რეგულირების კანონზომიერების გათვალისწინება საკანონმდებლო საქმიანობის პროცესში;

- სამართლებრივი კულტურის სათანადო დონე; კანონიერების რეჟიმი.

სამართლის ნორმების რეალიზაცია

სამართალშეფარდება

62. სამართლის ნორმების რეალიზაციის ცნება და სახეობები

სამართლის ნორმების რეალიზაცია – ეს არის სამართლებრივი მითითებების განხორციელება სამართალურთიერთობის მონაწილეთა ქცევებში,

სამართლის სუბიექტების მიერ ნორმატიული დანაწესების ფაქტობრივი განხორციელება აკრძალვების, მოვალეობების შესრულების, სამართლისა და იურიდიული ნორმების გამოყენების ფორმით.

სამართლებრივი რეგულირების (აკრძალვა, დავალება და ნებართვა ან მართვის უფლებამოსილება) ხერხების თავისებურებების მიხედვით ანსხვავებენ სამართლის ნორმების რეალიზაციის ისეთ ფორმებს, როგორცაა დაცვა, შესრულება და გამოყენება.

სამართლის ნორმების დაცვა — ეს არის სამართლის ნორმებით აკრძალული მოქმედებების ჩადენისაგან თავის შეკავება. სამართლის ნორმების რეალიზაციის მოცემული ფორმა პასიური ხასიათით გამოირჩევა. საკმარისია მხოლოდ თავის შეკავება ქცევის (საქციელის) ამა თუ იმ გარკვევით დასახელებული ვარიანტებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება მოხდეს ამგვარი დაცვის იძულება, დაისაჯოს აკრძალვების დამრღვევი.

სამართლის ნორმების შესრულება — ითვალისწინებს სამართლის ნორმებით გათვალისწინებული მოქმედებების უეჭველ ჩადენას. ამიტომ, იგი დაკავშირებულია იურიდიული მოვალეობების მხრივ აქტიურ მოქმედებებთან, სავალდებულო ნორმების მოთხოვნებთან.

სამართლის ნორმების გამოყენება (განხორციელება) მდგომარეობს სუბიექტების მიერ თავიანთი უფლებების განხორციელებაში. მოცემულ შემთხვევაში რეალიზდება სამართლით დასაშვები მოქმედებები, სამართლის ნორმების მართვის უფლებამოსილება.

სამართლის ნორმების დაცვის, შესრულებისა და გამოყენების გზით სამართლებრივი მითითებების შინაარსის პრაქტიკული განხორციელება ცხოვრებაში თავის გამოხატულებას პოულობს **სამართლის რეალიზაციის აქტებში** — შესაძლებელი ან სათანადო ქცევის უფლებებსა და მოვალეობებში გამოხატული ზომების რეალური განხორციელების პროცესში სამართლის სუბიექტების, სამართლებრივი ცხოვრების მონაწილეების მოქმედებებში. სამართლებრივი აქტების საშუალებით ხორციელდება ინდივიდუალური უფლებებისა და მოვალეობების (შეთანხმებების, კანონიერი ფორმით გათვალისწინებული ნებაყოფლობითი ნების საფუძველზე), სამართლებრივი აქტების რეალიზაცია, რომელიც კანონის საფუძველზე ახდენს მიმდინარე კანონმდებლობით წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად გაფორმებული სამართლის სუბიექტების უფლებებისა და მოვალეობების რეალიზებას.

სამართლის ნორმების გამოყენება თავისი სპეციფიკის გამო სამართლის რეალიზაციის ჩარჩოებს სცდება და ამიტომ განსაკუთრებულად განიხილება.

63. სამართლის ნორმების გამოყენება: ცნება და ნიშან-თვისებები

სამართლის ნორმების გამოყენება ხორციელდება იმ შემთხვევებში, როცა სამართლის რეალიზაციის ყველა სხვა ფორმა იურიდიული ნორმების სრული რეალიზაციის უზრუნველსაყოფად აღმოჩნდება არასაკმარისი და საჭიროა ამ პროცესში შესაბამისი კომპეტენციის მქონე შესაბამისი ორგანოების ჩარევა.

სამართლის ნორმების გამოყენება – ეს არის იურიდიული ფაქტებისა და კონკრეტული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე იურიდიული საქმის ინდივიდუალური გადაწყვეტილების მომზადებასა და მიღებაზე კომპეტენტური ორგანოებისა და პირების ძალაუფლებრივი მოქმედებები.

სამართალშეფარდებითი საქმიანობის აუცილებლობა წარმოიქმნება იმ შემთხვევებში, როდესაც: საზოგადოებრივი ურთიერთობების სუბიექტებს არ შეუძლიათ სახელისუფლებო ორგანოების დახმარების გარეშე თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების (მაგალითად, სამსახურში მიღება) რეალიზება; საზოგადოებრივი ურთიერთობების სუბიექტებს შორის წარმოიქმნება კამათი გარკვეული იურიდიული ფაქტის გამო და თავად სუბიექტებს სახელისუფლებო ორგანოების დახმარების გარეშე კომპრომისულ გადაწყვეტილებამდე მისვლა არ შეუძლიათ, ანდა არსებობს წინააღმდეგობანი სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების განხორციელების გზაზე; გარკვეული სამართალურთიერთობების წარმოსაქმნელად საჭიროა კონკრეტული ფაქტების არსებობის ან არარსებობის ოფიციალური დადგენა, მათი ჭეშმარიტებისა და კანონიერების შემოწმება; აუცილებელია რაიმე დარღვეული სუბიექტური უფლების დაცვა ან წარმოიქმნება სახელმწიფოებრივი იძულების ზომების რეალიზაციის აუცილებლობა.

სამართლის ნორმების გამოყენების დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია:

- მხოლოდ მასზე უფლებამოსილი კომპეტენტური სუბიექტების საქმიანობა;
- საქმიანობის სახელმწიფოებრივ-ძალაუფლებრივი ხასიათი, რომელიც ვლინდება გამოტანილი დანაწესების კატეგორიულობაში, სამართალშეფარდებითი ორგანოების კომპეტენტურობის პრეზუმფციაში, სახელმწიფოებრივი იძულების ძალით გამოტანილი გადაწყვეტილების უზრუნველყოფილობაში;
- რიგი თანამიმდევრულად მიმდინარე ეტაპის (სტადიების) არსებობა;
- სპეციალურად დადგენილ (საპროცესო) ფორმაში განხორციელება;

- განსაკუთრებული სამართალშეფარდებითი აქტის გამოტანა.

64. სამართლის ნორმების გამოყენების სტადიები

სამართალშეფარდება წარმოადგენს საკმაოდ რთულ პროცესს და გადის რიგ სტადიებს – თანამიმდევრულს, განხილვის ურთიერთდაკავშირებულ ეტაპებს და კომპეტენტური სახელმწიფოებრივი ორგანოს მიერ კონკრეტული საქმის გადაწყვეტას.

პირველ სტადიაზე ხდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. იგი გამოიხატება იმ ცხოვრებისეული ფაქტორების გამოვლენასა და ფიქსირებაში, რომელიც საქმესთანაა დაკავშირებული და სწორედ ამით ქმნის ფაქტობრივ საფუძველს. ეს არის იურიდიულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის კრებული, მისი გამოკვლევა და შეფასება.

მეორე სტადიაზე ხდება კონკრეტული ცხოვრებისეული შემთხვევის იურიდიული კვალიფიკაცია, ე. ი. სამართლის მოქმედი ნორმის პოზიციიდან მისი შეფასება, რომელიც მიმართულია იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენაზე და გამოიხატება სამართლის ნორმებით განმტკიცებული იურიდიული ფაქტორების ნიშან-თვისებებთან მათი ნიშან-თვისებების შესაბამისობის შედარებასა და ფიქსაციაში. იურიდიული კვალიფიკაციის პროცესში სუბიექტი ირჩევს დაქვემდებარებულ სამართლის ნორმის გამოყენებას, ამოწმებს მის ჭეშმარიტებას (ნამდვილობას, მოქმედებას), არკვევს მნიშვნელობასა და შინაარსს.

სამართალშეფარდების პროცესის დამამთავრებელ სტადიაზე, საქმის არსებითად გადაწყვეტისა და მისი დოკუმენტურად გაფორმების სტადიაზე ხდება სამართლის შეფარდების შესაბამისი აქტის (ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის) გამოტანა: ფორმდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პროტოკოლი, ხორციელდება ნებართვის გაცემა, ხდება საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა. აქ დამამთავრებელ ეტაპს წარმოადგენს გამოტანილი გადაწყვეტილების შესრულების ორგანიზაცია და მის სათანადო განხორციელებაზე კონტროლი.

ამგვარად, ოპერაციების მთელი ერთობლიობა სამართლის ნორმების გამოყენების ფარგლებში კონკრეტულად განსაზღვრული სამართლებრივი სიტუაციებისა და სუბიექტების მიმართ მიმდინარეობს სამართალშეფარდებითი პროცესის მკაცრი მოთხოვნების პირობებში – იურიდიული საქმის გადაწყვეტის მხრივ კომპეტენტური სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი ორგანოების და მათი თანამდებობრივი პირების დროსა და სივრცეში შინაარსობრივად და ლოგიკურად მოქმედების განხორციელება, რომელიც სრულდება სამართალშეფარდების აქტის გამოტანით.

65. სამართალშეფარდებითი საქმიანობის პრინციპები

თავისი მნიშვნელობისა და არსებობის მიხედვით ძალაუფლებრივი უფლებამოსილების სამართალშეფარდების სუბიექტებში სამართალშეფარდებითი საქმიანობა მიმდინარეობს რივ მოთხოვნებთან შესაბამისად.

სამართალშეფარდების პრინციპები მოცემულ შემთხვევაში გვევლინება, როგორც ფუძემდებლური იდეა, რომელიც სამართლის რეალიზაციის სფეროში აუცილებელი ორიენტირია:

- კანონიერება (სამართალშეფარდების იურიდიული საფუძვლის მიმართ);
- დასაბუთებულობა (საქმის ფაქტობრივი საფუძვლის მიმართ);
- მიზანშეწონილობა (საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ყველაზე უფრო ეფექტიანი მიზნების მიღწევაში);
- სოციალური სამართლიანობა (საზოგადოებრივი ურთიერთობების სტაბილიზაციაზე, მათი კარმონიის უზრუნველყოფაზე მიმართულობა) და სხვ.

66. სამართლის ნორმების გამოყენების აქტები, მათი სახეობები და მათ მიმართ ფაქტუალური მოთხოვნები

სამართლის ნორმების გამოყენების აქტი – ეს არის იურიდიულ საქმეზე კომპეტენტური ორგანოს ოფიციალური მითითება, რომელიც გამოტანილია სამართლის ნორმების საფუძველზე კონკრეტული გარემოებებისა და ინდივიდუალურად განსაზღვრული პირების მიმართ.

სამართლის გამოყენების აქტები მათი გამოტანის ნებისმიერ შემთხვევაში გამოიწვევს არსებით სამართლებრივ შედეგებს. იგი ან წარმოშობს, ან ცვლის, ან წყვეტს კონკრეტულ სამართალურთიერთობებს.

სამართლის გამოყენების აქტების სახეობრივი სხვადასხვაობა ძალიან დიდია:

- სამართალშეფარდებითი საქმიანობის სახეობის კრიტერიუმით ასხვავებენ *რეგულაციურ* და *სამართალდაძკავ* აქტებს. მათგან პირველი მიმართულია საზოგადოებისა და ცალკეული პიროვნებისთვის სასარგებლო ურთიერთობების მოწესრიგებაზე, ხოლო მეორე მოწოდებულია, აღკვეთას, დასაჯოს სამართლის სუბიექტების არამართლზომიერი ქცევები;
- გარეგნული გამოხატულების კრიტერიუმით ეს აქტები იყოფა *აქტ-დოკუმენტებზე* (ბრძანებები, ბრძანებულებები, მითითებები, განაჩენები,

განჩინებები, გადაწყვეტილებები, დასკვნები) და აქტ-მოქმედებებზე (ვერბალური — სიტყვიერი, კონკლუდენტური — შესტების, აქტი-სიმბოლოები — ნიშნების);

- შექმნის წესის კრიტერიუმით არის კოლექციური (კომისიის გადაწყვეტილება) და ერთპიროვნული (უფროსის ბრძანება);
- სამართალშეფარდებითი აქტების მიმართ წაყენებულია საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები, რომელთა შორისაც შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:
- ნორმატიული აქტების დებულებების მიმართ შესაბამისობა, რომელიც მათ გამოტანას უდევს საფუძვლად;
- უნდა გამოიცეს სამართალშეფარდებითი საქმიანობის კონკრეტული სუბიექტების კომპეტენციის ფარგლებში;
- უნდა გააჩნდეთ განსაზღვრული სტრუქტურა (შესავალი, აღწერითი, მოტივირებული, რეზოლუციური ნაწილები);
- უნდა იყოს მკაცრად დასაბუთებული, ანუ გამოტანილი ყველა ფაქტობრივი და ფორმალური გარემოებებისა და პირობების გათვალისწინებით.

67. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტისა და სამართლის ნორმების გამოყენების აქტის თანაფარდობა

ნორმატიულ-სამართლებრივ და ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს შორის ბევრია საერთო: ისინი კატეგორიულ და ძალაუფლებრივ ხასიათს ატარებენ; მათ გამოსცემს (იღებს) სპეციალურად მასზე უფლებამოსილ პირთა მკაცრად განსაზღვრული წრე; მათ გააჩნიათ მკაფიო სტრუქტურა და ატრიბუტიკა, რომლის მოთხოვნების დარღვევა მათ ძალადაკარგულად მიიჩნევა; ისინი პირდაპირ არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს; ერთნაირი მიმართულება გააჩნიათ ურთიერთობის მოწესრიგებაზე, კანონიერების განმტკიცებასა და მართლწესრიგის უზრუნველყოფაზე და ა. შ.

ამასთან ერთად, არსებობს კარდინალური განსხვავებაც. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი — ეს არის წყარო, რომლიდანაც სუბიექტები იღებენ ინფორმაციას თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებზე, ქცევის დადგენილ წესებზე ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში (სისხლის სამართლის კოდექსი, სამოქალაქო კოდექსი, საბაჟო კოდექსი და სხვ.). მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი შეიცავს სამართლის ნორმებს (ზოგადი, არაპერსონიფიცირებული, თავისი მოქმედების დროში შეუზღუდავი დებულებები), რომელიც კონკრეტულ-ინდივიდუალური საქმეების გადაჭრის საფუძველია.

სამართლის გამოყენების აქტი – ეს არის დოკუმენტი, რომელიც შექმნილია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, მაგრამ უკვე კონკრეტული პირების, ფაქტების, მოვლენების, დროის მითითებით (მაგალითად, სისხლის სამართლის ან შრომის კოდექსები და სასამართლოს განაჩენი ან დისციპლინური სასჯელის შესახებ ბრძანება; სახელმწიფო ჯილდოს შესახებ დებულება და წახალისების შესახებ ბრძანება; საშუალო და სპეციალური განათლების შესახებ დებულება, რომლის საფუძველზეც მოქალაქეს აქვს სწავლის უფლება (მიიღოს განათლება), და კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელში, ამა და ამ კურსზე და ამა და ამ ფაკულტეტში, ჩარიცხვის ბრძანება). ამას გარდა, სამართალშეფარდებითი აქტები წარმოადგენს ერთჯერადი მოქმედების აქტებს, რომელიც გათვალისწინებულია მკაცრად განსაზღვრულ სიტუაციაზე. ამ აქტებს შეუძლია ატაროს არა მხოლოდ ნორმატიული შინაარსის მქონე აქტისთვის სავალდებულო წერილობითი ფორმა, არამედ გამოიხატოს ე. წ. კონკლუდენტური მოქმედებების ფორმით (მაგალითად, მარეგულირებელის სიგნალები). ისინი შეიძლება გამოიყენოს არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი ორგანოების კომპეტენტური თანამდებობრივი პირების მიერ, არამედ სხვა – კერძო, კომერციული სტრუქტურების მიერაც.

სამართლის ნორმების ახსნა

68. სამართლებრივი ნორმების ახსნის ცნება და მისი მნიშვნელობა

სამართლებრივი ნორმების ახსნა – ეს არის სახელმწიფოებრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობრივი პირებისა და მოქალაქეების საქმიანობა სამართლებრივი ნორმების მნიშვნელობისა და შინაარსის გარკვევისა და განმარტების შესახებ; ეს არის სამართლის წყაროებში გამოხატული სახელმწიფოებრივი ნების მიკვლევაზე მიმართული საქმიანობა მისი სწორი და ეფექტიანი რეალიზაციის მიზნით.

ახსნის აუცილებლობა (იურიდიული ჰერმენევტიკა/ეგზეგეტიკა) განპირობებულია იმით, რომ:

- სამართლის ნორმებს გააჩნია ზოგადი, გაუპიროვნებული (არაპერსონიფიცირებული) ხასიათი იმ დროს, როდესაც სამართლებრივი მითითებების რეალიზაცია ხორციელდება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, რომელიც ხშირად არ ჯდება სამართლებრივი ნორმების ჩარჩოებში;

- სამართლის ნორმების გარეგნული გამოხატულება მუდამ აბსტრაქტულია, თვით ტექსტი მაქსიმალურად მოკლეა და ლაკონური, რაც არცთუ იშვიათად იწვევს სამართლის ნორმის შინაარსის არასაკმარისად ზუსტ გაგებას, მის ორაზროვნებასა და გაურკვევლობას;
- სამართლებრივი ნორმები წარმოადგენს რთულ იურიდიულ კონსტრუქციას, რომელიც აგებულია საკანონმდებლო ტექნიკის მკაცრი კანონების შესაბამისად, ამიტომ მისი ფორმულირება საჭიროებს გააზრებას;
- იურიდიული ენის არასრულყოფილების გამო ხდება ნორმების სიტყვასიტყვითი ტექსტის არათანხედომა სამართლებრივი მითითებების დედნის აზრობრივ შინაარსთან.

69. სამართლებრივი ნორმების ახსნის სახეობები და ხერხები

ახსნა, როგორც იურიდიული საქმიანობის სპეციფიკური სახეობა, შეიცავს ორ ეტაპს: გარკვევასა და განმარტებას.

სამართლებრივი მითითებების მნიშვნელობის ახსნა-გარკვევა – ეს არის ინტელექტუალურ-ნებელობითი საქმიანობა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ნორმის მნიშვნელობისა და შინაარსის გამოვლენაზე თავად ინტერპრეტატორის (განმმარტებლის) მიერ. ეს არის ახსნა „საკუთარი თავისთვის“.

ახსნა-გარკვევის ხერხები:

- *გრამატიკული* (ლექსიკური, ლინგვისტური) – ნორმატიული აქტის ტექსტის გარკვევა მასში ზუსტი ფორმულირების განსაზღვრის მიზნით;
- სამართლის ნორმების ახსნის *ლოგიკური* ხერხი მდგომარეობს ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის წესების გამოყენებაში ნორმის მნიშვნელობის გარკვევისათვის სხვა ნორმებთან მისი ლოგიკური კავშირის დადგენის გზით, ასევე მისი სტრუქტურული ნაწილების ერთმანეთთან თანაფარდობის ანალიზით;
- ახსნა მოცულობის მიხედვით: *სიტყვასიტყვითი* (სამართლებრივი ნორმის მნიშვნელობა და შინაარსი ზუსტად შეესაბამება მის ტექსტურ გამოხატულებას), *შემზღუდველი* (სამართლებრივი ნორმის უკვე ტექსტური შინაარსის ახსნა), *განვრცობითი* (დანაწესების მნიშვნელობა და შინაარსი სამართლებრივი ნორმის ტექსტზე ვრცელდება);

- *სისტემატური ზერზი* – სამართლებრივი ნორმის მნიშვნელობის გაშუქება შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის სისტემაში მისი ადგილის გამოვლენის გზით, ასევე სხვა დარგების ნორმებთან მისი თანაფარდობა, რომელიც არეგულირებს მოცემულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს;
- *სამართლებრივი ნორმების ახსნის ისტორიული ზერზი* – სამართლის ნორმების მნიშვნელობისა და შინაარსის გარკვევა ახლანდელი მოქმედი ნორმების წარსულში მსგავსი სამართალურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებთან შედარების საშუალებით; ეს არის სამართლებრივი მითითებების მნიშვნელობის გამორკვევა კონკრეტული ისტორიული (პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური) ვითარებისა და მათი მიღების პირობების ანალიზის საფუძველზე;
- *სამართლის ნორმების სპეციალურ-იურიდიული ახსნა* – სამართლებრივი ნორმების მნიშვნელობის გამოვლენა სპეციალური იურიდიული ტერმინების შინაარსის გახსნით იურიდიული მეცნიერებისა და სამართალშემოქმედებითი ტექნიკის პროფესიული ცოდნის საფუძველზე;
- *სამართლებრივი ნორმების ტელეოლოგიური ახსნა* – სამართლებრივი ნორმების ახსნის ზერზია, რომელიც მდგომარეობს მოცემული ნორმის მნიშვნელობისა და შინაარსის გარკვევაში მისი მიღების მიზნების გათვალისწინებით.

ახსნა-განმარტება – ეს არის ინტელექტუალურ-ნებელობითი საქმიანობა, რომელიც მიმართულია ინტერპრეტატორის მიერ სამართლებრივი მითითებების მიტანაზე დაინტერესებული სამართალურთიერთობების სუბიექტებამდე. ასეთი ახსნა („სხვებისთვის“) შეიძლება სხვადასხვა სუბიექტის მიერ იყოს მიცემული (ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, სამართალშეფარდებითი ორგანოების მიერ, კერძო პირების მიერ).

იურიდიული ძალის მიხედვით გამოყოფენ ოფიციალურ და არაოფიციალურ ახსნას.

სამართლის ნორმების ოფიციალური (ლევალური) ახსნა – მასზე უფლებამოსილი სუბიექტების საქმიანობა (სახელმწიფოებრივი ორგანოები, თაბამდებობრივი პირები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები) სამართლის ნორმების შინაარსის დადგენის, მასში გამოხატული სახელმწიფოებრივი ნების გახსნის მიხედვით, რომელსაც საჯაროდებულო მნიშვნელობა აქვს სხვა სუბიექტებისათვის და რომელიც შესაბამისი (ინტერპრეტაციული) აქტების გამოცემაში რეალიზდება.

საქართველოში სამართლის ოფიციალური განმარტებით დაკავებულნი არიან: უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები; საქართველოს

ხელისუფლება; ცალკეული სამინისტროები; საქართველოს უზენაესი სასამართლო (საქ. უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებები); საქართველოს გენერალური პროკურორი; საქ. უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო; რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სხვა შესაბამისი ორგანოები.

ოფიციალური ახსნა არის: *აუტენტური* (საავტორო) – ახსნა იმ ორგანოების მიერ, რომელმაც გამოსცა მოცემული სამართლის ნორმა; *ლეგალური* – ნორმის ახსნის მიხედვით უფლებამოსილება გადაეცემა სხვა ორგანოს; *ნორმატიული* (ზოგადი) – ყველა შემთხვევაში, რომელიც სამართლებრივი ნორმის განმარტებით არის გათვალისწინებული; *კაზუალური* (ინდივიდუალური) – ახსნა კონკრეტული საქმის მიხედვით.

სამართლის ნორმების ოფიციალური ახსნის აქტები (ინტერპრეტაციული აქტები) – ეს არის კომპეტენტური სახელმწიფოებრივი ორგანოებისა და თანამდებობრივი პირების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები, რომელიც შეიცავს სამართლის ნორმების ახსნას.

სამართლის ნორმების ოფიციალური ახსნის აქტები მიმართულია კონკრეტიზაციაზე, განსაზღვრული სამართლებრივი მითითებების მნიშვნელობის ახსნა-განმარტებაზე. იგი განსხვავდება ყველა სხვა სამართლებრივი აქტებისგან იმით, რომ არ აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა; არ ადგენს სამართლის ახალ ნორმებს, არ აუქმებს და არ ცვლის მოქმედს; აქვს იურიდიული ძალა და პრაქტიკული მნიშვნელობა მხოლოდ სამართლის ნორმების ახსნის მოქმედების ვადის განმავლობაში; შეიცავს მითითებებს იმაზე, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული და გამოყენებული მოქმედი იურიდიული ნორმები; გააჩნია სახელმწიფოებრივი მოვალეობები, ეგზავნება სამართალშემფარდებლებს, და არა იმ სუბიექტებს, რომელთა მოქმედებებიც რეგულირდება განმარტებითი ნორმის საშუალებით.

სამართლის ნორმების არაოფიციალური ახსნა – ეს არის სუბიექტების საქმიანობა სამართლის ნორმის მნიშვნელობისა და შინაარსის ახსნის თაობაზე, რომელსაც არ გააჩნია სავალდებულო იურიდიული მნიშვნელობა და ჩამორთმეული აქვს ძალაუფლებრივი იურიდიული ძალა. შესაბამისად, ახსნა-განმარტების ეს სახეობა არ ატარებს იმპერატიულ ხასიათს და არ გააჩნია იურიდიული ძალა. იგი მოწოდებულია მხოლოდ სამართალშემფარდებით საქმიანობაში დახმარების გასაწევად.

არაოფიციალური ახსნის სახეობებია: *დოქტრინული* (სამეცნიერო) ახსნა – ეს არის მეცნიერ-თეორეტიკოსებისა და იურისტ-პრაქტიკოსების მიერ მოცემული ახსნა; *ემპირიული* (ჩვეულებრივი, საყოფაცხოვრებო) ახსნა გამოიხატება სამართლის ცალკეული ნორმის, ან სპეციალური იურიდიული ცოდნის არმქონე ხალხის მიერ სამართალშემფარდების

აქტების შინაარსისა და მნიშვნელობის განმარტებაში; პროფესიული (კომპეტენტური) — იურისტ-პრაქტიკოსების, სახელმწიფოებრივი აპარატის თანამდებობრივი პირებისა და სხვა ანალოგიური პირების აზრი.

70. ხარვეზები სამართალში და იურიდიული ანალოგია

ხარვეზი სამართალში — ეს არის სამართლის ნორმის შესაბამისი კონკრეტული ურთიერთობის მოუწესრიგებლობის, ან მისი არარსებობის, ან არასისრულის შემთხვევა.

სამართალში ხარვეზების მიზეზები შეიძლება იყოს ყველაზე განსხვავებული ფაქტორები. მათგან ყველაზე უფრო ტიპურია: კანონმდებლის უყურადღებობა, შეცდომები; კანონმდებლობის ჩამორჩენა საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების დინამიკისგან; თავად კანონმდებლის შეცდომები და დაუდევრობა; საკანონმდებლო ტექნიკის (სამართალშემოქმედებით) წესების არასაგულდაგულო გამოყენება; სამართალშემოქმედების სუბიექტების სამართლებრივი კულტურის დაბალი დონე და ა. შ.

ხარვეზი შეიძლება შეავსოს მხოლოდ ახალი ნორმატიული აქტის გამოყენებამ, ან სამართლის აუცილებელი ნორმების შექმნამ, მაგრამ ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია. ამიტომ, პრაქტიკამ შეიმუშავა სამართალში ხარვეზების შევსების ხერხები იურიდიული ანალოგიების გამოყენების შესაძლებლობის სახით.

იურიდიული ანალოგია — ეს არის სამართლით მოუწესრიგებელი შემთხვევის გადაჭრა სამართლის ნორმების გამოყენებით, რომელიც არეგულირებს მსგავსი ხასიათის ურთიერთობებს (კანონის ანალოგია), ან სამართლის (სამართლის ანალოგია) ზოგადი საწყისების (პრინციპების) საფუძველზე.

ანალოგია სასტიკად იკრძალება სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის მოქმედების სფეროში, მაგრამ გათვალისწინებულია სამოქალაქო კანონმდებლობით.

ზოგადი წესების მიხედვით სამართლისა და კანონის ანალოგიების გამოყენება შესაძლებელია განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. მთრიცხვშია: ანალოგიის გამოყენების აუცილებლობის მკაცრი დასაბუთება და კანონით მისი გადაჭრა; ნორმის არარსებობა, რომელიც პირდაპირ არეგულირებს მსგავს შემთხვევას; მთლიანად სამართლის, სამართლის დარგის, ან მოცემული დარგის ინსტიტუტის პრინციპების შესაბამისობა; სახელმწიფოს სამართლებრივი პოლიტიკის მიზნების შესაბამისობა და ა.შ.

71. სამართლის ნორმების ახსნა იურიდიული ნორმების კოლიზიის დროს

იურიდიული კოლიზია – ეს არის არსებულ სამართლებრივ აქტებსა და მათ მიერ რეგულირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს შორის წინააღმდეგობა; სხვადასხვაობის არსებობა ცალკეულ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს შორის, რომელიც არეგულირებს ერთსა და იმავე ან მომიჯნავე საზოგადოებრივ ურთიერთობებს; სამართლის რამდენიმე ნორმის არსებობის შემთხვევა კონკრეტული სიტუაციის გადასაჭრელად, მაგრამ საწინააღმდეგო შინაარსის მქონე; წინააღმდეგობანი, რომლებიც წარმოიქმნება სამართალშეფარდების პროცესში და კომპეტენტური ორგანოებისა და თანამდებობრივი პირების მიერ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.

კოლიზიის მიზეზები ერთობ სხვადასხვაგვარია: საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ნორმების კონფლიქტები; კანონმდებლის შეცდომა; საზოგადოებრივი ურთიერთობების სწრაფი განვითარება და კანონმდებლობის არადროული განახლება; „ძველი“ აქტების შენახვა ახლის მიღებისას; სამართლებრივი კულტურის, იურიდიული ტექნიკის დაბალი დონე; კონიუნქტურული ინტერესების ჭიდილი და სხვ.

იურიდიული ნორმების კოლიზიის შემთხვევაში უნდა მოქმედებდეს ზოგიერთი სავალდებულო პირობა. ასე რომ, კანონშემფარდებელს უნდა ახსოვდეს შემდეგი პრიორიტეტის შესახებ: საერთაშორისო სამართლის შიდასახელმწიფოებრივზე; სპეციალური ნორმების ზოგად ნორმებზე; ნორმებზე, რომელიც მოდის ზემდგომი ორგანოდან.

სამართლებრივი ურთიერთობანი

72. სამართალურთიერთობის ცნება, წინაპირობები და ნიშან-თვისებები

სამართალურთიერთობა – ეს არის სახელმწიფოს მიერ დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოიქმნება ადამიანთა ქცევაზე პოზიტიური სამართლის ნორმების ზემოქმედების შედეგად და ხასიათდება მის მონაწილეებში სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების არსებობით.

ნებისმიერ სამართალურთიერთობას გააჩნია რიგი სპეციფიკური ნიშან-თვისება:

- იქმნება იურიდიული ნორმების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს სამართალურთიერთობების ფორმასა და შინაარსს;
- დაფუძნებულია მხარეებში ურთიერთსუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების არსებობაზე;
- ეს არის ნებელობითი ურთიერთობა, რამეთუ, სამართლის ნორმების გარდა, აუცილებელია საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეების ნება. ამასთან, ნება შეიძლება იყოს ორმხრივი (ქორწინება, ყიდვა-გაყიდვა), ან ცალმხრივი (წინასწარი გამოძიების პროცესში სისხლის სამართლის საქმის აღძვრა – სახელმწიფოს ნება);
- მუდამ არის დაცული სახელმწიფოს მხრიდან.

კონკრეტული სამართალურთიერთობის წარმოსაქმნელად აუცილებელია განსაზღვრული პირობების არსებობა – წინაპირობების: სამართალურთიერთობების *მატერიალური* წინაპირობები (სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა გარემოებების სისტემა, რომელიც განაპირობებს ამა თუ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების ობიექტურ აუცილებლობას); *იურიდიული* წინაპირობები (აუცილებელი ფორმალურ-იურიდიული პირობები, რომლის არსებობის დროსაც წარმოიქმნება (იცვლება, წყდება) სამართლებრივი ურთიერთობები).

მთლიანობაში სამართალურთიერთობების წინაპირობებად (პირობებად) შეიძლება გამოვიდეს: სამართლის ნორმები, რომელიც სამართალურთიერთობების მონაწილეებს იურიდიულ საშუალებებს, უფლებებსა და მოვალეობებს ანიჭებს; იურიდიული ფაქტები, ანუ ის პირობები, რომლის არსებობის დროსაც წარმოიქმნება სამართალურთიერთობა, სამართალსუბიექტურობა, როგორც სამართალურთიერთობების მონაწილეების განსაზღვრული იურიდიული პირობები; მართვის უფლების მქონეთა ინტერესი და სამართალურთიერთობების მონაწილეების ქცევა.

73. სამართალურთიერთობის სტრუქტურა (მისი სუბიექტი და ობიექტი)

როგორც ყველა ურთიერთობა, სამართლებრივი ურთიერთობა საკმაოდ რთული მოვლენაა, რომელიც განსაზღვრული ელემენტებისგან შედგება. მათი არსებობა სრულიად აუცილებელია და განაპირობებს თვით სამართალურთიერთობის არსებობას. არსებული სამართლებრივი ურთიერთობების ყველა სიუხვის მიუხედავად, იგი შედგება სავალდებულო შემადგენელი ელემენტებისგან: სუბიექტებისა და ობიექტებისგან. ამასთან, სამართალურთიერთობის იურიდიულ შინაარსს წარმოადგენს სუბიექტური უფლებანი და იურიდიული მოვალეობანი.

სამართალურთიერთობის სტრუქტურა – ეს არის მისი ელემენტების აუცილებელი ერთიანობა, შემდგარი სუბიექტებისგან, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი სუბიექტური უფლებებითა და იურიდიული მოვალეობებით და განსაზღვრული ობიექტებისგან, რომლის გამოც ისინი ურთიერთ-მოქმედებაში არიან.

სამართალურთიერთობების სუბიექტებად გვევლინებიან სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეები, რომელთაც გააჩნიათ სუბიექტური (პირადი) უფლებანი და იურიდიული მოვალეობანი; ფიზიკური და იურიდიული პირები.

ფიზიკურ პირებს – ინდივიდებს, როგორც სამართლის ურთიერთობების სუბიექტებს – მიეკუთვნებიან სახელმწიფოს მოქალაქენი, უცხოეთის მოქალაქენი, მოქალაქეობის არმქონე პირნი, რომლებიც ცხოვრობენ სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. საქართველოს მოქალაქენი არიან: პირნი, რომელთაც აქვთ საქართველოს მოქალაქეობა, ასევე პირნი, რომლებმაც მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა. უცხოეთის მოქალაქენი არიან ფიზიკური პირნი, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქენი და გააჩნიათ უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქეობის (ქვეშევრდომობის) დამადასტურებელი საბუთი. მოქალაქეობის არმქონე პირნი (აპატრიდები) – პირნი, რომლებმაც დაკარგეს სხვა ქვეყნების მოქალაქეობა ან ქვეშევრდომობა, მაგრამ აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეობა არ მიუღიათ.

უცხოელები და აპატრიდები სარგებლობენ უფლებებით და აკისრიათ ვალდებულება საქართველოს მოქალაქეების თანაბრად, გარდა შემთხვევებისა, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით. მათ შეუძლიათ შევიდნენ, პრაქტიკულად, ყველა სამართლებრივ ურთიერთობაში, მაგრამ არსებობს განსაზღვრული შეზღუდვები და გამონაკლისები. მაგალითად, სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების მოცემულ კატეგორიებს არ შეუძლიათ თავის შეხედულებისამებრ შეიცვალონ მათთვის განსაზღვრული დროებითი საცხოვრებელი ადგილი როგორც საქართველოს ფარგლებში, ასევე დამოუკიდებლად აირჩიონ საცხოვრებელი მის გარეთ. ზოგადი წესის მიხედვით, საქ. ტერიტორიაზე დროებით მცხოვრებლებს არ შეუძლიათ სპეციალური ნებართვის გარეშე შრომითი საქმიანობის განხორციელება. ტერიტორიების, ორგანიზაციებისა და ობიექტების მონახულება, სადაც შესასვლელად საჭიროა სპეციალური ნებართვა; აირჩიოს ან იყოს არჩეული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, ასევე, ზოგადი წესის მიხედვით – იმყოფებოდეს მუნიციპალურ სამსახურში; შევიდეს სამოქალაქო საჰაერო საზღვაო ან სამდინარო გემის ეკიპაჟში; იმსახუროს შეიარაღებულ ძალებში, გარდა

იმისა, რომ სამხედრო სამსახურში შევიდეს კონტრაქტით, როგორც სამოქალაქო პირი და ა.შ.

იმისათვის, რომ იყოს სამართალურთიერთობების სუბიექტი, ინდივიდს ან ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს *სამართალსუბიექტურობა*, ე. ი. უნარი იყოს სამართლის სუბიექტი, ან გააჩნდეს სუბიექტური უფლებანი და იურიდიული მოვალეობანი და განახორციელოს ისინი თავის მოქმედებებში.

სამართალსუბიექტურობა ყალიბდება უფლებაუნარიანობის, ქმედუნარიანობისა და დელიქტუნარიანობისგან.

უფლებაუნარიანობა — ეს არის კანონმდებლობით განმტკიცებული ინდივიდის არაგანკერძოებული უნარი გააჩნდეს სუბიექტური უფლება და შეასრულოს იურიდიული მოვალეობანი. ანსხვაებენ ზოგად და სპეციალურ უფლებაუნარიანობას. ზოგადი უფლებაუნარიანობა წარმოიქმნება, როგორც წესი, ადამიანის დაბადების მომენტიდან და წყდება მის გარდაცვალებასთან ერთად. სამართლის ზოგიერთ დარგში სპეციალური უფლებაუნარიანობა წარმოიქმნება ქმედუნარიანობასთან ერთად.

ქმედუნარიანობა — პირთა სამართლის ნორმებით გათვალისწინებული უნარი თავიანთი მოქმედებებით მოიპოვონ და განახორციელონ უფლებანი და მოვალეობანი, გამოიყენონ და შეასრულონ ისინი. ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა პირდაპირ დამოკიდებულია ადამიანის ასაკსა და ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის თავისებურებებზე. ზოგადი კანონის თანახმად მთელი სისრულით იგი წარმოგვიდება სრულწლოვანების მომენტიდან.

სხვადასხვა საფუძვლის გამო ქმედუნარიანობა შეიძლება იყოს არასრული. არსებული უფლებების მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირების (შეზღუდვის) ასეთი შემთხვევები დაკავშირებულია სუბიექტების თავისებურებებთან: *ნაწილობრივი ქმედუნარიანობა* (არასრულწლოვან მოზარდებს, მაგალითად, მხოლოდ წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგების უფლება აქვთ, მაგრამ არა მეტის); *შეზღუდული ქმედუნარიანობა* დგინდება სასამართლოს გადაწყვეტილებით (პირნი, რომლებიც ბოროტად იყენებენ სპირტიან სასმელებს ან ნარკოტიკებს, პირნი, რომლებიც იმყოფებიან საპატიმროებში), რომელიც წარმოადგენს გარიგებით შეზღუდვისათვის საფუძველს, მაგრამ არ ართმევს სუბიექტებს თავიანთ მოქმედებებზე პასუხისმგებების მოვალეობებს; *სრული არაქმედუნარიანობა* (ბავშვები, ჭკუასუსტები და შეშლილი ადამიანები), რაც აფერხებს რაიმე დამოუკიდებელ გარიგებას, ასევე იურიდიულ პასუხისმგებლობას.

იურიდიული პირის ქმედუნარიანობა წარმოიქმნება სათანადო ორგანოში რეგისტრაციის მომენტში, აქ იგი უფლებაუნარიანობას ემთხვევა.

დელიქტოუნარიანობა — ეს არის კანონმდებლის მიერ აღიარებული სუბიექტის მიერ თავის შეგნებულ სამართალსაწინააღმდეგო ქცევაზე იურიდიული პასუხისმგებლობის უნარი.

მოქალაქის სამართალსუბიექტურობას, ანუ უფლებათა, თავისუფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობას ეწოდება *სამართლებრივი სტატუსი* (სამართლებრივი მდგომარეობა).

იურიდიულ პირებად, როგორც სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებად, გვევლინება ორგანიზაციები, დაწესებულებებში გაერთიანებული, რომლებსაც საკუთრებაში, სამეურნეო გამგებლობაში ან ოპერატიულ მმართველობაში გააჩნიათ განკერძოებული ქონება, ასევე აქვთ უფლება თავიანთი სახელით შეიძინონ და განახორციელონ ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, ჰქონდეთ ვალდებულებები, იყვნენ მოსარჩელენი და მოპასუხენი სასამართლოში.

სამართლებრივი ურთიერთობის მეორე ელემენტს წარმოადგენს *ობიექტი*.

სამართლის ურთიერთობების ობიექტები შეიძლება იყოს ის მატერიალური და არამატერიალური კეთილდღეობა, რომლის მიცემითა და გამოყენებით *კმაყოფილდება* სამართალურთიერთობის მართვის უფლებამოსილების მქონე მხარეები. ამგვარად, სამართალურთიერთობის ობიექტები — ეს არის ის, რაზეც მიმართულია სამართლებრივი ნორმების მოქმედებები; ის, რისი მიზეზითაც ყალიბდება სამართალურთიერთობა; მათი მონაწილეების ფაქტობრივი ქცევა.

ამის საფუძველზე სხვადასხვა სამართალურთიერთობაში შეიძლება იყოს ყველაზე განსხვავებული ობიექტები: მატერიალური კეთილდღეობა (ფული და სხვა ქონება, ანუ ყიდვა-გაყიდვის ნივთები, გაცვლა-გამოცვლა, ჩუქებები, სესხები და სხვ.); პირადი არაქონებრივი უფლებები ან არამატერიალური კეთილდღეობა (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატიოსნება, საქმიანი რეპუტაცია, ღირსება, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობა, პირადი და ოჯახის საიდუმლო, სახელზე, ავტორობაზე, ინფორმაციაზე უფლება და ა. შ.); სამართალურთიერთობების მონაწილეების ქცევა (მათი მოქმედება ან უმოქმედობა); ქცევის განსაზღვრული შედეგი; სულიერი შემოქმედების პროდუქტი (ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების ნაწარმოებები).

74. სამართალშრტიმართობის შინაარსი: სუბიექტური უფლებანი და იურიდიული მოვალეობანი

სამართალშრტიმართობის შინაარსი – ეს არის სამართალშრტიმართობის მონაწილე მხარეების სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების შრტიმართობის შინაარსი.

სუბიექტური უფლება – ეს არის სამართალშრტიმართობის მონაწილის შესაძლებელი ქცევის საზომი, საკმარისი კონკრეტული მატერიალური ან არამატერიალური კეთილდღეობის მისაღწევად, რომელიც უზრუნველყოფილია მოცემული სამართალშრტიმართობის სხვა მონაწილეების იურიდიული მოვალეობებით.

სუბიექტური უფლებები, როგორც პირის განსაზღვრული კონკრეტული უფლებამოსილებანი, წარმოიქმნება მოქმედი აბსტრაქტული და არაპერსონიფიცირებული იურიდიული ნორმების საფუძველზე. სუბიექტური უფლების იურიდიული უზრუნველყოფილობა გამოიხატება შემდეგში:

- აქტიური დადებითი მოქმედებების შესაძლებლობაში;
- ვალდებული მხარის შესაბამისი ქცევის მოთხოვნის შესაძლებლობაში;
- მეორე მხარის მხრიდან მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფოებრივი იძულების ძალისაღმი მიმართვის შესაძლებლობაში.

იურიდიული მოვალეობანი – ეს არის ვალდებული მხარის სათანადო ქცევის სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული სახეობა და საზომი სამართალშრტიმართობის მხარეების მართვის უფლებამოსილების ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით.

იურიდიული მოვალეობები შედგება შემდეგისგან:

- პირის აუცილებლობა (მოვალეობა) ჩაიღინოს კანონით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული აქტიური დადებითი მოქმედება სამართალშრტიმართობის მეორე მხარის მიმართ;
- აუცილებლობა (მოვალეობა) თავი შეიკავოს განსაზღვრული მოქმედებებისგან;
- ვალდებულება აიღოს პასუხისმგებლობა მითითებული მოქმედების შეუსრულებლობაზე.

75. სამართალშრტიმართობის სახეობანი

განსაზღვრული საფუძველების მიხედვით ყველა სამართალშრტიმართობა შეიძლება დაიყოს სხვადასხვა სახეობად შემდეგი კრიტერიუმებით:

- სამართლის ფუნქციის მიხედვით: *რეგულაციური* სამართალურთიერთობანი, რომელიც ყალიბდება სუბიექტის მართლზომიერი ქცევის ფარგლებში, და *დაცვითი*, რომელიც წარმოიქმნება სუბიექტების მიერ სამართლის ნორმის დარღვევის შედეგად;
- *სამართლის დარღვის* მიხედვით, სადაც იგი ყალიბდება, სამართალურთიერთობა შეიძლება დაიყოს შემდეგზე: შრომითი, საქორწინო-საოჯახო, სამოქალაქო-სამართლებრივი, სისხლის სამართლის-საპროცესო, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სხვა სამართალურთიერთობანი;
- თავისი ხასიათის მიხედვით სამართალურთიერთობა შეიძლება იყოს *მატერიალურ-სამართლებრივი*, რომელიც უშუალოდ არეგულირებს სუბიექტების ურთიერთობას, მათთვის შესაბამისი უფლებებისა და მოვალეობების მიცემის გზით და *საპროცესო*, რომელსაც გააჩნია საორგანიზაციო, მართვის თვისება და წარმოქმნილია ურთიერთობების საპროცესო ნორმების საფუძველზე, რაც ითვალისწინებს სუბიექტების უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციის პროცედურებს;
- მხარეების ურთიერთობების დადგენის მიხედვით არსებობს: *მარტივი* (ერთ სუბიექტს – უფლება, მეორეს – მოვალეობანი (სესხის ხელშეკრულება)); *რთული* – სამართალურთიერთობის თითოეულ მონაწილეს აქვს უფლება და მოვალეობანი (სამუშაოს მიმცემსა და მუშაკს შორის ხელშეკრულება); *აბსოლუტური სამართალურთიერთობანი*, სადაც მართვის უფლებამოსილების მხარეს უპირისპირდება პასიურად ვალდებულ სუბიექტთა (მაგალითად, საკუთრების უფლება) განუსაზღვრელად დიდი რაოდენობა; *შეფარდებითი სამართალურთიერთობანი*, რომლის ყველა მონაწილე მკაცრად პერსონიფიცირებული და ინდივიდუალიზებულია, ანუ კონკრეტულად ან სახელდებითაც კი (მაგალითად, მყიდველ-გამყიდველი) განსაზღვრულია;
- იმ სფეროს მიხედვით, რომელშიც ხორციელდება, ასხევევენ *კერძო-უფლებრივ* (ხელშეკრულებითი) და *საჯარო-უფლებრივ* (სახელი-სუფლო-მმართველობითი) სამართალურთიერთობებს;
- წარმოქმნის საფუძვლის გათვალისწინებით არსებობს *ზოგადი სამართალურთიერთობანი* (წარმოიქმნება უშუალოდ კანონიდან, უკვე თავისი ფაქტობრივი არსებობის ძალით, რომელიც წარმოშობს სამართალურთიერთობებს პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის) და *კონკრეტული სამართალურთიერთობანი* (წარმოიქმნება იურიდიული ფაქტორების – ქცევების, კონკრეტული საქციელის – საფუძველზე).

იურიდიული ფაქტები

76. იურიდიული ფაქტების ცნება და ნიშან-თვისება

სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების არსებობა მხარეებში ჯერ კიდევ არ წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობებს, რამეთუ ეს უფლებანი და მოვალეობანი, არსებითად, ჯერ კიდევ ქაღალდზე რჩება. მის „გამოსაცოცხლებლად“ აუცილებელია განსაზღვრული სპეციფიკური პირობები, რომელიც გათვალისწინებულია სამართლის ნორმებით თითოეული კონკრეტული სამართალურთიერთობისთვის საგანგებოდ. ასეთ პირობებს ან ფაქტორებს წარმოადგენს იურიდიული ფაქტები.

იურიდიული ფაქტები — კონკრეტული ცხოვრებისეული გარემოებანი, რომელთანაც სამართლის ნორმები აკავშირებს სამართალურთიერთობების წარმოქმნას, ცვლილებას ან შეწყვეტას.

იურიდიული ფაქტებია არა უბრალოდ რაიმე საყოფაცხოვრებო ან ექსტრარაინარული (უჩვეულო) შემთხვევები, არამედ ცხოვრებისეული სიტუაციებიდან სწორედ ის, რაზეც უშუალოდ მიუთითებს იურიდიული ნორმები (მაგალითად, ვიღაც ნ-ს აქვს სასწავლებელში მოწყობის უფლება, არსებობს სამართალქმედუნარიანობის განსაზღვრული დონე, მაგრამ მოცემული საშუალების ფაქტობრივი რეალიზაციისთვის არ არის ერთი გარემოება, სახელდობრ, მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარება).

77. იურიდიული ფაქტების სახეობები: მოქმედებები, შემთხვევები, ვადები, კრძალვები, შიქციები და მდგომარეობები

იურიდიული ფაქტების სახეობრივი სხვადასხვაობა ერთობ მრავალფეროვანია, მაგრამ მისი კლასიფიკაცია შეიძლება ზოგადი ნიშან-თვისებების საფუძველზე.

სამართალურთიერთობების *მონაწილეების ნების* მიხედვით იურიდიული ფაქტები იყოფა მოქმედებებად და შემთხვევებად.

მოქმედებები — ეს არის ფაქტები, რომლებიც დაკავშირებულია სამართალურთიერთობების მონაწილეთა ნებასთან. მოქმედებები შეიძლება იყოს როგორც მართლზომიერი, ასევე არამართლზომიერი (სამართალდარღვევითი).

მართლზომიერი მოქმედებანი — სამართლის სუბიექტების ეს ისეთი საქციელებია, რომელიც ხდება მოქმედი ნორმების მითითებების ფარგლებში. იურიდიული მიმართულობის კატეგორიის მიხედვით მართლზომიერი

მოქმედებები იყოფა შემდეგ სახეობებზე: *იურიდიული აქტები*, როგორც მართლზომიერი მოქმედებები, იურიდიულად მნიშვნელოვანი რაიმე განსაზღვრული შედეგის მისაღწევად ჩადენილი, ე.ი. რომელსაც მოსდევს იურიდიული შედეგი (გარიგებები, ხელშეკრულებები, სასამართლო გადაწყვეტილებანი, მოქალაქეთა განცხადებანი, ყიდვა-გაყიდვა, შესრულებული სამუშაო); *ადმინისტრაციული აქტები* სახელისუფლებო ორგანოების განკარგულებებია, რომელიც იწვევს განსაზღვრულ იურიდიულ შედეგებს (საცხოვრებელი ფართის დაკავებაზე ორდერის გაცემა, სამხედრო სამსახურში გაწვევა); *იურიდიული საქციელები* ხდება უმიზნოდ, მაგრამ წარმოშობს იურიდიულ შედეგებს თვით მოქმედების გამო (მაგალითად, იურიდიული უფლების წარმოქმნა ავტორობაზე ან განძის აღმოჩენაზე, რომელიც წარმოშობს სამართალურთიერთობას მისი დამალვის ადგილის შესაკუთრესა და მის მპონელ პირს შორის; აღმოჩენა).

არამართლზომიერი მოქმედებანი — ეს არის სამართლის სუბიექტების მოქმედებანი, რომელიც არ ეთანხმება სამართლებრივ მითითებათა მოთხოვნებს, პირდაპირ ეწინააღმდეგება. ეს არის სამართალდარღვევები (დანაშაულებანი და გადაცდომები), რომელთა შემადგენლობანი, ზოგადი წესის მიხედვით, ამომწურავადაა დაფიქსირებული შესაბამის კანონმდებლობაში.

მოვლენები — ანუ ხდომილებანი — *ფაქტები*, რომელთა წარმოშობაც არ უკავშირდება სამართალურთიერთობების მონაწილეთა ნებას.

აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის, რომ მოვლენები შეიძლება ადამიანთა მონაწილეობით მოხდეს, მაგრამ მათი ნება-სურვილი არ გამოხატოს, ანუ ადამიანებს ან არ უნდოდათ მსგავსი შედეგები, ან მისი დადგომის შესაძლებლობას გულგრილად მოეკიდნენ; *შეფარდებითი მოვლენები* (მოვლენები, სადაც ადამიანთა მონაწილეობა ვლინდება ირიბად) და *აბსოლუტური მოვლენები* (მოვლენები, რომლებიც საერთოდ არ არის დაკავშირებული ადამიანთა მოქმედებებთან (ელვა, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და ა. შ.).

გარდა აღნიშნული გარემოებებისა, იურიდიულ ფაქტებს არცთუ იშვიათად მიაკუთვნებენ ვადებს, იურიდიულ პრეზუმფციებს, ფიქციებს, მდგომარეობებს, პრეიუდიციებს.

იურიდიული ვადები — იურიდიული ფაქტის ეს ისეთი ნაირსახეობაა, რომელიც გამოიხატება განსაზღვრული დროის შუალედში, რომელთანაც სამართლის ნორმებს აკავშირებს სამართალურთიერთობებისა და შესაბამისი იურიდიული შედეგების წარმოქმნა, ცვლილება ან შეწყვეტა.

იურიდიული ვადების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სახეობებს შორის შეიძლება დასახელდეს შემდეგი: *სამართალცვალებადი* (მათი

დადგომა ან ამოწურვა იწვევს სამართალურთიერთობების მონაწილეთა სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების (ცვლილებას); *სამართალწარმოქმნელი* (იწვევს სამართალურთიერთობების სუბიექტებში მათი სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების დადგომას); *სამართალშემწყვეტი* (შესაბამისი სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების შეწყვეტა); *პრეტენზიული* (თავისი მოქალაქეობრივი უფლებების დასაცავად უფლებამოსილი პირის მიმართვის პერიოდი უშუალოდ ვალდებული პირის მიმართ); *გადაღებული* (მომენტი, რომლიდანაც ღებვა დაღებული ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგები); *სარეზოლუციო* (დაღებული ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგების შეწყვეტის მომენტი); *ბუნებრივი ვადა* (ამ ვადის ამოწურვამდე კრედიტორს მოვალისგან არ შეუძლია მოითხოვოს ვალდებულებების შესრულება); *კანონიერი ვადები* (დადგენილია კანონით და ამიტომ არ შეიძლება მისი თვითნებურად შეცვლა); *ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები* (სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების მხარეების მიერ თვითნებურად განსაზღვრული); *ახლოუტურად-განსაზღვრული ვადები* (მიუთითებს მხარეთა სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების წარმოქმნის ან შეწყვეტის ზუსტ მომენტზე); *პირობითად-განსაზღვრული ვადები* (კონკრეტული ურთიერთობების სპეციფიკის გამო განსაზღვრული, როგორც „ნორმალურად აუცილებელი“, „კონვირული“, „თანაზომიერი“, „თავისდროული“ და ა. შ.) და სხვ.

იურიდიული პრეზუმცია — ეს არის კანონმდებლობაში განმტკიცებული ვარაუდი განსაზღვრული იურიდიული ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ, რომელთანაც სამართლის ნორმებს აკავშირებს იურიდიული შედეგების დადგომა.

არჩევენ პრეზუმციის რამდენიმე სახეობას: *ფაქტობრივი* (პრეზუმციები, რომელიც დაფუძნებულია ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, ამიტომ არ საჭიროებს რაიმე ფორმალურ განმტკიცებას); *ლევალური* ანუ კანონიერი, ე.ი. პირდაპირ განმტკიცებული კანონში (უდანაშაულობის პრეზუმცია, კანონების ცოდნის, მოქალაქის წესიერების პრეზუმცია); *ზოგადსამართლებრივი* პრეზუმციები ავრცელებს თავის მოქმედებას მთელ სამართლებრივ სფეროზე; *დარგობრივი*, რომელიც მოქმედებს სამართლის ერთ, ან რამდენიმე დარგში; *დარგთაშორისი* (მამობის პრეზუმცია; ქონების გაყოფის დროს თითოეული მეუღლის წილის თანასწორობა); *დარღვეული* (სისხლის სამართალში უდანაშაულობის ან სამოქალაქო სამართალში ბრალულობის) და *დაურღვევი* პრეზუმციები (კანონების ცოდნა).

იურიდიული ფიქცია – ეს არის კანონმდებლის მიერ აღიარებული ასევე არაჭეშმარიტი მდგომარეობა, რომელსაც შეაქვს ფორმალური განსაზღვრულობა პირის სამართლებრივ მდგომარეობაში და ამით განაპირობებს მისი მონაწილეობით საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებას.

ფიქციები ღიად გავრცელებულია და სამართლებრივი რეგულირების სფეროში მრავალრიცხოვან დამხმარე ფუნქციას ასრულებს: გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის სიკვდილის დღედ ითვლება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე; მოქალაქე, რომელიც სამხედრო მოქმედებებთან დაკავშირებით უგზო-უკვლოდ დაიკარგა, სასამართლოს მიერ ცხადდება გარდაცვლილად სამხედრო მოქმედებების დამთავრების დღიდან ორი წლის გასვლის შემდეგ და არა უფრო ადრე; პირის უცნობოდ არ არსებობისა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თაობაზე შეუტყობლობის შემთხვევაში, უწყება მიდის უკანასკნელ მისამართზე, და თუკი მას გადასცემენ უკვე იქ მცხოვრებ სრულიად ახალ ადამიანს, ითვლება ადრესატზე გადაცემულად და სხვ.

იურიდიული მდგომარეობა – ეს არის მიმდინარე ხანგრძლივი სასიცოცხლო ვარეძობანი, რაც იურიდიული შედეგების დადგომის საფუძველს ემსახურება. ეს არის რთული იურიდიული ფაქტების ნაირსახეობა, რომელიც ხასიათდება შედარებით სტაბილურობით და არსებობის ხანგრძლივი პერიოდით, რომლის განმავლობაშიც შეიძლება არაერთხელ (სხვა ფაქტებთან ერთად) გამოიწვიოს სამართლებრივი შედეგების დადგომა (სქესი, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური მდგომარეობა, მდგომარეობა შრომით ხელშეკრულებაში, საპატიმროში ყოფნა, მოქალაქეობა, წარმომავლობა, პროფესია, სტაჟი, სოციალური როლი და სხვ.).

78. იურიდიული ფაქტების სახეობები შედეგების ხასიათის მიხედვით

დამდგარი შედეგების ხასიათის მიხედვით იურიდიული ფაქტები იყოფა:

- *სამართალწარმოქმნელი იურიდიული ფაქტები* – ეს არის იურიდიული ფაქტების ნაირსახეობა, რომელიც უშუალოდ იწვევს სამართალურთიერთობების წარმოქმნას (სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებები, ქორწინების გაფორმება ოჯახის უფლების ნორმებთან შესაბამისად, დანაშაულებრივი მოქმედებების ჩადენა, რომელიც იწვევს სისხლის სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომითი ხელშეკრულების დადება, თანამდებობაზე არჩევა და სხვ.);

- *სამართალშემცვლელი იურიდიული ფაქტები* – ეს არის იურიდიული ფაქტების ნაირსახეობა, რომელიც ცვლის სამართალურთიერთობებს (სხვა სამსახურში გადაყვანა ცვლის მხარეთა შორის სამართალურთიერთობის შინაარსს, თუმცა მთლიანობაში სამართალურთიერთობა შენარჩუნდება; ვალდებულებაში ჩართული პირის შეცვლა, სამხედრო მოსამსახურეებისთვის, სპეცსამსახურის თანამშრომლებისთვის მორიგი წოდების, ასევე მეცნიერ-თანამშრომლებისთვის სამეცნიერო წოდების მინიჭება და ა. შ.);
- *სამართალშეწყვეტი იურიდიული ფაქტები* – ეს არის იურიდიული ფაქტების ნაირსახეობა, რომელიც განაპირობებს სამართალურთიერთობების შეწყვეტას ან პირის სუბიექტური უფლების განხორციელების, ან იურიდიული მოვალეობების შესრულების შედეგად, ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (შრომითი ხელშეკრულების დარღვევა, დარიცხული სადაზღვევო თანხის გადახდა).

შეიძლება შეგვხვდეს სიტუაცია, როცა ფაქტების ყველა სამივე სახეობა ერთი აქტით წარმოიშობა. მაგალითად, ადამიანის გარდაცვალებას მიყვავართ მეპკვიდრეობითი ურთიერთობების წარმოქმნასთან, ვალის მიმართ ვალდებულების შეცვლასთან, საოჯახო, შრომითი და სხვა ურთიერთობის შეწყვეტასთან.

79. ფაქტობრივი (იურიდიული) შემადგენლობა (რთული იურიდიული ფაქტი)

ზოგიერთი სამართალურთიერთობა შეიძლება წარმოიქმნას, შეიცვალოს და შეწყდეს მხოლოდ რამდენიმე იურიდიული ფაქტის საფუძველზე, როგორც იურიდიული (ფაქტობრივი) შემადგენლობა. მაგალითად, საპენსიო ურთიერთობები მოითხოვს შემდეგი გარემოებების ერთობლიობას: შესაბამის ასაკს, შრომით სტაჟს, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს გადაწყვეტილებას; უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა მოითხოვს ზოგად საშუალო განათლებას, გამოცდების წარმატებით ჩაბარებას, რექტორის ბრძანებას უმაღლესი სასწავლებლის პირველ კურსზე ჩარიცხვის თაობაზე.

ამგვარად, *ფაქტობრივი (იურიდიული) შემადგენლობა* – ეს არის იურიდიული ფაქტების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების დადგომისათვის.

იურიდიული შემადგენლობა შეიძლება განიხილოს, როგორც იურიდიული ფაქტების სისტემა და მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ ღია ფაქტობრივ სისტემაზე (იურიდიული ფაქტების კომპლექსი, რომელიც უშვებს ელემენტების გამოჩენას, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით) ან დახურულ ფაქტობრივ სისტემაზე (იურიდიული ფაქტების კომპლექსი, რომლის ელემენტთა შემადგენლობა ამომწურავადაა დაყენებული, მაგალითად, სამართალდარღვევის შემადგენლობა).

სამართლის სისტემა და კანონმდებლობის სისტემა

80. სამართლის სისტემა: ცნება, ძირითადი ნიშან-თვისებანი და ელემენტები

სამართლის სისტემა – ეს არის საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემით ობიექტურად განპირობებული სამართლის შინაგანი წყობა, რომელიც გამოიხატება სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი ნორმების ერთიანობასა და შეთანხმებულობაში და სამართლის დაყოფაში შედარებით დამოუკიდებელ ნაწილებად – სამართლის ნორმები, ინსტიტუტები და დარგები.

სამართლის სისტემის ძირითადი ნიშან-თვისებანია:

- ობიექტურობა (სამართალი არ ყალიბდება პოლიტიკური ხელისუფლების სურვილით, არამედ იქმნება საზოგადოებრივი ურთიერთობების კანონზომიერი განვითარების პროცესში);
- ასახავს საზოგადოებაში არსებული ურთიერთობების, სამართლებრივი კულტურის დონეს;
- სამართლის სისტემა – ეს არის მრავალფეროვანი სამართლებრივი მოვლენა, რომელიც შეიცავს თავისი მოცულობითა და შინაარსით არაერთგვაროვან, მაგრამ ორგანულად ურთიერთდაკავშირებულ სტრუქტურულ ელემენტებს (სამართლის ნორმები, სამართლის ინსტიტუტები და დარგები);
- სამართლის სისტემა ხასიათდება ნორმების, მისი შემადგენლების ერთიანობითა და ურთიერთკავშირით;
- წარმოადგენს სხვა უფრო მეტად მსხვილი და რთული სისტემების ნაწილს: ნაციონალური სამართლებრივი სისტემისა და საერთაშორისო სამართლის სისტემის.

სამართლის სისტემის *ელემენტები* – ეს არის სამართლის ნორმები, დარგები და ინსტიტუტები. თავის მხრივ, სამართლის ცალკეული დარგები შეიძლება შედგებოდეს ქვედარგებისაგან, ხოლო ზოგიერთი ინსტიტუტი ზოგჯერ წარმოადგენს რთულ და მოცულობით კონსტრუქციებს, რასაც სუბინსტიტუტები ჰქვია. სამართლებრივი ნორმები არის სამართლის სისტემის საფუძველი და სწორედ იგი, საზოგადოებრივი ურთიერთობების ამა თუ იმ სფეროს სამართლებრივი რეგულირების თავისებურებების კრიტერიუმის მიხედვით გაერთიანებული განკერძოებულ ჯგუფებში, შეადგენს თავის ერთიანობაში სამართლის კონკრეტული ინსტიტუტებისა და დარგების შინაარსს.

81. სამართლის დარგები და ქვედარგები: ცნება და სახეობები

სამართლის დარგი – ეს არის განკერძოებული იურიდიული ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების თვისებრივად ერთგვაროვან ჯგუფებს.

სამართლის ყველა დარგი განირჩევა ერთმანეთისგან სამართლებრივი რეგულირების საგნისა და მეთოდის მიხედვით.

სამართლებრივი რეგულირების საგანი სამართლით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთგვაროვანი ჯგუფები. საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროები, რომელზეც ზემოქმედებას ახდენს სამართალი სხვადასხვაგვარია და ერთმანეთისგან გამოირჩევა (ქონებრივი, მმართველობითი და სხვ.). სამართლებრივი რეგულირების საგნის კრიტერიუმის მიხედვით შეიძლება გამოიყოს ოცდაათამდე სამართლის დარგი.

სამართლებრივი რეგულირების მეთოდი, ზოგადი წესის მიხედვით, – ეს არის საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულ სფეროებზე ზემოქმედების იურიდიული ხერხი (ან ხერხების ერთობლიობა). სამართალი ზემოქმედებს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სხვადასხვა მეთოდით: *იმპერატიულით* – სახელისუფლო მითითებანი (ნორმები-აკრძალვები); სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, ფინანსური სამართალი; *დისპოზიტიური* – სუბიექტებს აძლევს ქცევის ვარიანტის ამორჩევის შესაძლებლობას კანონის ფარგლებში (სამოქალაქო სამართალი). დარწმუნება და იძულება დამახასიათებელია მთელი სამართლისათვის. მეთოდები განისაზღვრება სამართლებრივი რეგულირების საგნით, ე.ი. საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალფეროვნებით.

ამ საფუძვლებიდან გამომდინარე (საგნის და მეთოდის მიხედვით), განვიხილოთ სამართლის დარგების კლასიფიკაცია.

საჯარო სამართალი – ის, რაც განეკუთვნება სახელმწიფოს ინტერესებს ან: სამართლის დარგების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს და იცავს სახელმწიფო და პოლიტიკურ წყობას, ადგენს პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი ურთიერთობების არსებული სისტემების დარღვევაზე (საკონსტიტუციო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და სამართლის სხვა დარგები).

კერძო სამართალი – ის, რაც ემსახურება ცალკეულ პირთა ინტერესებს ან: სამართლის დარგების ერთობლიობა, რომელიც გამოხატავს და იცავს ცალკეულ პირთა კერძო ინტერესებს (სამოქალაქო, სამეწარმეო, საოჯახო, საპატენტო, სადაზღვევო, შრომითი სამართალი და სხვ.).

სამართლის მატერიალური დარგები პირდაპირ არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს: განამტკიცებს სახელმწიფო ორგანოების სახელმწიფოებრივ წყობას, მდგომარეობასა და სტრუქტურას, ადგენს მოქალაქეებისა და ორგანიზაციების უფლებებსა და მოვალეობებს.

სამართლის პროცესი დარგები განსაზღვრავს მატერიალური სამართლისა და მისგან წარმოებული ნორმების რეალიზაციის პროცედურას (სამოქალაქო-საპროცესო, სისხლის სამართლის-საპროცესო, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პროცესი, საარბიტრაჟო და საკონსტიტუციო პროცესი).

სამართლის საბაზო (ძირითადი) დარგები ავრცელებს თავის მოქმედებას სამართლებრივი სინამდვილის ყველა სუბიექტზე (საკონსტიტუციო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და სხვ.).

სამართლის სპეციალიზებული (სპეციალური) დარგები არეგულირებს საზოგადოებრივი ცხოვრების შედარებით ვიწრო, კონკრეტულ ფორმებს სპეციფიკურ სუბიექტებთან მიმართებაში (შრომითი, საოჯახო, მიწის, ფინანსური, სამეწარმეო, ეკოლოგიური სამართალი და სხვ.);

სამართლის კომპლექსური დარგები არეგულირებს ურთიერთობებს საქმიანობის რომელიღაც განსაზღვრულ სფეროში, მაგრამ, რომელიც მიეკუთვნება სამართლის სხვადასხვა დარგებს (სასოფლო-სამეურნეო, კომერციული, ეკოლოგიური და სხვ.).

სამართლის თითოეულ დარგს გააჩნია მის მიერ ასახული და რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მიხედვით თავისი სპეციალური თვისებები და დამახასიათებელი ნიშნები. სამართლის ცალკეული დარგების შიგნით გამოყოფენ, ე.წ. *ქვედარგებს* – სპეციალური სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალური დარგის რეგულირებაზე.

82. სამართლის ინსტიტუტები და სუბინსტიტუტები: ცნება, ნიშან-თვისებანი და სახეობანი

სამართლის დარგების ფარგლებში იურიდიული ნორმები ჯგუფდება განსაზღვრულ ბლოკებში — სამართლის ინსტიტუტები და სუბინსტიტუტები.

სამართლის ინსტიტუტები — შედარებით განკერძოებული იურიდიული ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სამართლის დარგების შიგნით საზოგადოებრივი ურთიერთობების თვისებრივად ერთგვაროვან ჯგუფებს.

სამართლებრივი ინსტიტუტი ხასიათდება ზოგიერთი აუცილებელი ნიშან-თვისებების არსებობით: საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებადი სფეროების ერთგვაროვნებით; სამართლებრივი რეგულირების დამოუკიდებელი საგნით; ერთიანი ფუნქციით; ნორმების არსებობით, რომელიც ხელსაყრელად არეგულირებს მოცემულ ურთიერთობას; ნორმების იურიდიული ერთიანობით და სხვ.

სამართლის ინსტიტუტები არის *მარტივი* ან *დარგობრივი*, რომელიც შედგება სამართლის ერთი დარგის ნორმებისგან (მაგალითად, სამოქალაქო სამართალში გირაოს ინსტიტუტი, სამოქალაქო სამართალში ხელშეკრულების ინსტიტუტი, ადმინისტრაციულ სამართალში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და ა.შ.) და *რთული* ან *კომპლექსური*, რომელიც შეიცავს სამართლის სხვადასხვა დარგის შემადგენლობაში შესული ნორმების ერთობლიობას, მაგრამ, რომელიც არეგულირებს ურთიერთდაკავშირებულ მონათესავე ურთიერთობებს (საარჩევნო სამართალი, მაგალითად, რეგულირდება საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული, სისხლის სამართალით; საკუთრების ინსტიტუტი შეიცავს საკონსტიტუციო, სამოქალაქო, საოჯახო, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლისა და სამართლის სხვა დარგების ნორმებს).

ზმირად, ერთი კომპლექსური სამართლებრივი ინსტიტუტის ფარგლებში გამოიყოფა სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს ხელსაყრელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ასეთ შემთხვევაში საუბრობენ სამართლებრივი სუბინსტიტუტების არსებობის შესახებ. მაგალითად, საოჯახო სამართალში აღიშენების ვალდებულებების ინსტიტუტი იყოფა მშობლებისა და ბავშვების, მეუღლეებისა და ყოფილი მეუღლეების აღიშენების ვალდებულებების სუბინსტიტუტებად; სამოქალაქო სამართალში რენტას ინსტიტუტი შეიცავს ისეთ სახესხვაობას, როგორცაა განუწყვეტელი რენტა, სამუდამო რენტა, სამუდამო კმაყოფაზე ყოფნა; სხეულის დაზიანებების ინსტიტუტი სისხლის სამართალში იყოფა

სხეულის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დაზიანებების სუბინსტიტუტებად და სხვ.

83. სამართლის სისტემებისა და კანონმდებლობის სისტემების თანაფარდობა

სამართალი არ არსებობს *კანონმდებლობის* გარეშე, რომელიც, ყველაზე ფართო მნიშვნელობით, შეიძლება განისაზღვროს, როგორც *სახელმწიფოში არსებული ყველა ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნორმატიული აქტის ორგანული მთლიანობა (ერთიანობა), რომელიც დაყოფილია შესაბამის დარგებად.*

სამართლის სისტემა და კანონმდებლობის სისტემა — ეს ძალიან ახლო ცნებაა. ამასთან ერთად, ცალ-ცალკე წარმოადგენს სრულიად სხვადასხვა მოვლენას. მაგალითად, თუ სამართლის სისტემას გააჩნია პირველადი ხასიათი, მაშინ კანონმდებლობის სისტემა ყალიბდება მის საფუძველზე; თუკი სამართლის სისტემა — ეს არის თვით სამართლის შიდა სტრუქტურა, რომელიც ყალიბდება სამართლის ნორმებისგან, ინსტიტუტებისა და დარგებისგან, მაშინ კანონმდებლობის სისტემა — ეს არის საკუთრივ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, ე. ი. სამართლის წყაროების ერთობლიობა; თუკი სამართლის სისტემის პირველად ელემენტს წარმოადგენს სამართლის ნორმა, მაშინ კანონმდებლობის სისტემის საფუძველში არსებობს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მუხლები; თუკი სამართლის სისტემა ყალიბდება საკმაოდ შეზღუდული რაოდენობის დარგებით, მაშინ კანონმდებლობის სისტემა შედგება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების საკმაოდ დიდი რაოდენობისგან; თუკი სამართლის სისტემის ფარგლებში არ არსებობს რაიმე დარგთაშორისი წარმონაქმნები, მაშინ კანონმდებლობის სისტემა „მოზაიკურია“ და ხასიათდება კომპლექსური დარგების არსებობით.

კანონმდებლობის სისტემა — ეს არის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების გარეგნული გაერთიანება არაწინააღმდეგობრივ და შეთანხმებულ სისტემად, რომელიც აიოლებს აუცილებელი იურიდიული მითითებების გაცნობას და ხელს უწყობს მის სათანადო რეალიზაციას.

კანონმდებლობის დარგებს შორის გამოიყოფა შემდეგი:

- *კანონმდებლობის დარგი, როგორც სამართლებრივი ნორმებისა და ნორმატიული აქტების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების ხარისხობრივად განსაზღვრულ სახეობას, რაც სამართლის ერთი დარგის რეგულირების საგანს წარმოადგენს;*

- *შიდადარგობრივი კანონმდებლობა* განამტკიცებს სამართლის განსაზღვრული ქვედარგის ან ინსტიტუტის ნორმებს, რომელიც არეგულირებს დარგობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობების სახესხვაობას (მაგალითად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობა ადმინისტრაციული სამართლის ფარგლებში; სამთო, საწყალოსნო, სატყეო კანონმდებლობა, როგორც მიწის კანონმდებლობის შიდადარგობრივი ელემენტები; საბანკო კანონმდებლობა ფინანსური კანონმდებლობის შემადგენლობაში);
- *კანონმდებლობის კომპლექსური დარგი* შედგება სამართლის რამდენიმე დარგის ნორმებისგან, რომელიც არეგულირებს თავისი სახეობრივი შინაარსით სხვადასხვა ურთიერთობებს, რომელიც შეადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების შედარებით დამოუკიდებელ სფეროს (მაგალითად, სატრანსპორტო კანონმდებლობა, განათლების შესახებ კანონმდებლობა, კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების სამართლებრივ მდგომარეობას (ახალგაზრდობის, ქალების, ვეტერანების, ინვალიდების და სხვ.).

სამართლებრივი რეპულირების მქაინი

84. სამართლის მოქმედება, სამართლებრივი ზემოქმედება, სამართლებრივი რეპულირება

სამართლის მოქმედება — ეს არის სამართლის შინაარსობრივ-დინამიკური მხარე, რომელიც ახასიათებს მის ფაქტობრივად რეალიზებულ უნარს განახორციელოს რეგულაციური (სპეციალური-იურიდიული), ინფორმაციული-ფსიქოლოგიური (მოტივაციური), აღმზრდელობითი (იდეოლოგიური, პედაგოგიური) და სოციალური ზემოქმედება საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეებზე.

სამართლის მოქმედება — საკმაოდ რთული მექანიზმია. ამასთან, შესაძლებელია მისი ისეთი მხარეების გამოვლენა, როგორცაა: სამართლის მოქმედების სოციალური მექანიზმი (ყველა პირობა, რომელიც განსაზღვრავს რეალურ ცხოვრებაში სამართლის გამოვლენის თავისებურებებს); სამართლის მოქმედების ფსიქოლოგიური მხარე (ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმის გათვალისწინება, მის მიერ ამა თუ იმ სამართლებრივი რეგულირების, ზემოქმედების კანონზომიერების აღქმა); სამართლის მოქმედების ფასეულ-ორიენტაციული მექანიზმი (ადამიანისა და

საზოგადოებისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფასეულობის კანონ-
მდებლობითი განმტკიცება, რეალიზაციის უზრუნველყოფა და დაცვა).

სამართლებრივი ზემოქმედება — ეს არის საზოგადოებრივ ურთიერთო-
ბებზე როგორც საკუთრივ სამართლებრივ საშუალებათა სპეციალური
სისტემის (სამართლის ნორმები, სამართალურთიერთობანი, რეალიზაციის
აქტები და სამართლის ნორმების გამოყენება), ასევე სხვა სამართლე-
ბრივი მოვლენების (მართლშეგნება, სამართლებრივი კულტურა, სამართ-
ლებრივი პრინციპები, სამართალშემოქმედებითი პროცესი) რეზულტა-
ტიური, ნორმატიულ-ორგანიზაციული გავლენა.

სამართლებრივი რეგულირება — ეს არის მიზანმიმართული სამართ-
ლებრივი ზემოქმედება საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულ
სფეროებზე. მისი შინაარსია საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრი-
გების (ორგანიზაციის) განხრით მომუშავე სახელმწიფოებრივ-ძალაუფლე-
ბრივი უფლებამოსილებით აღჭურვილი სუბიექტების სპეციალური იური-
დიული საქმიანობა სამართლებრივი ნორმების დადგენის გზით და აუცი-
ლებელ შემთხვევაში ამ ნორმების შესაბამისად რეგლამენტირებული გა-
დაწვევებილების მიღება იურიდიულად მნიშვნელოვან საკითხებზე,
რომელიც წარმოიშობა ასეთი ურთიერთობების ფარგლებში (ზოგადი
სამართლებრივი რეგულირება და ინდივიდუალურ-სამართლებრივი რეგუ-
ლირება).

სამართლებრივი რეგულირებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებად
შეიძლება დასახელდეს საზოგადოებრივი ურთიერთობების სოციალურ
რეგულატორთან კუთვნილება, მაგრამ ამასთან, სახელმწიფოსთან განუ-
ყრელი კავშირი და მისი იძულების ზომების გამოყენების შესაძლებლობა.

85. სამართლებრივი რეგულირების საბანი და მითო- დები

მხოლოდ იმ ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება ხდება, რომ-
ლებიც წარმოიქმნება ადამიანთა ნებით, კონტროლირდება მათი შეგნებით
(მაგრამ არა ფსიქიკურად ავადმყოფი ადამიანის ქცევა); მნიშვნელობა
აქვს არა მხოლოდ ცალკეული ადამიანისთვის, ადამიანთა გაერთიანები-
სთვის, არამედ, უმთავრესად, მთელი საზოგადოებისთვის (წვირილმანი
სამართლებრივი რეგლამენტაცია დამახასიათებელია ე. წ. პოლიციური
სახელმწიფოსთვის); ყალიბდება მხოლოდ კონკრეტულ მონაწილეებს
შორის, მაგრამ არა სოციალურ მოვლენათა შორის, რომელზეც შეიძლება
მხოლოდ ზემოქმედება, მაგრამ შეუძლებელია რეგულირება (მაგალითად,
დემოგრაფიული, სამიგრაციო პროცესები); შეიძლება სამართლით იყოს

რეგულირებელი (მაგრამ არა მეგობრული, სასიყვარულო, უმეტესობა საყოფაცხოვრებო, თავისუფალი დროის მოქმედებების ურთიერთობანი); კონტროლს დაქვემდებარებული და ანგარიშვალდებულია სახელმწიფოს მიმართ, ე. ი. მათთვის შექმნილი სახელმწიფოებრივ-ძალაუფლებრივი მითითებების დაცვა გარანტირებულია მისი იძულებითი ძალით გამოყენების შესაძლებლობით და სხვ.

ამგვარად, სამართლებრივი რეგულირებისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სფეროებს წარმოადგენს ურთიერთობანი ადამიანთა ცხოვრების ეკონომიკურ, მმართველობით და სამართალდამცავ ასპექტებში.

სამართლებრივი რეგულირების მეთოდები — საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედების თავისებური ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა.

ასეთი საშუალებებია:

- *ღისპოზიტიური* მეთოდი, რომელიც ხასიათდება მხარეთა ნებით, დამოუკიდებლობითა და თანასწორობით, რომლებსაც თავად ეძლევათ თავიანთი ურთიერთობების ხასიათის თავისებურებების შესახებ საკითხის გადაჭრის საშუალება, და ვლინდება, ძირითადად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობების, ე. ი. ცალკეულ მოქალაქეთა და მათ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების რეგულირების დროს („ყველაფერი, რაც პირდაპირ კანონებით არ არის აკრძალული — ნებადართულია“ ან „კანონით არააკრძალული ნებადართულია“);
- *იმპერატიული* მეთოდი დაფუძნებულია სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა იერარქიაზე — ერთ მხარეს (ძალაუფლებრივს) მუდამ წარმოადგენს სახელმწიფო თავის ორგანოთა ან თანამდებობრივ პირთა სახით, ხოლო მეორეს (დაქვემდებარებულს) — მოქალაქენი და მათი ორგანიზაციები; ეს მეთოდი სავალდებულოა მითითებების შესასრულებლად, რომელიც დაფუძნებულია აკრძალვებზე, მოვალეობების შესრულებასა და სახელმწიფოებრივი იძულების ზომების გამოყენების მუქარაზე („ყველაფერი, რაც კანონით არ არის დაშვებული — აკრძალულია“).

სამართლებრივი რეგულირების მეთოდების პრაქტიკული რეალიზაცია ხდება საზოგადოებრივი ურთიერთობების თითოეული სფეროს განსაზღვრული სპეციფიკური ხერხების მეშვეობით. სამართლებრივი რეგულირების ასეთ ხერხებს მიეკუთვნება: *აკრძალვა* (რაიმეს ჩადენისგან თავის შეკავების მოვალეობის დაკისრება); *ნების დართვა* (აქტიურ სოციალურ-პოზიტიურ მოქმედებებზე უფლების მიცემა, რომელსაც შეიძლება იურიდიული შედეგები ჰქონდეს); *პოზიტიური ვალდებულება*

(ვალდებულების დაკისრება აქტიურ სამართლებრივ ქცევაზე, რომელიც იწვევს იურიდიულად მნიშვნელოვან შედეგებს).

86. სამართლებრივი რეგულირების სახეობანი

სამართალი ახდენს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგლამენტაციას ორგანოდ: ნორმატიულ (ზოგად, არაპერსონიფიცირებულ) და ინდივიდუალურ (კონკრეტულ) დონეზე. ამიტომაც სამართლებრივი რეგულირება ვრცელდება პირთა სიღრმისა და წრის მიხედვით ყველაზე განსხვავებულ სფეროებზე. ამასთან დაკავშირებით ანსხვავებენ:

- *ზოგადი ან ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირება*, როგორც სპეციალურად უფლებამოსილი სუბიექტების საქმიანობა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ნორმების შექმნის, შეცვლის, დამატების ან გაუქმების გზით საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაზე, ისე როგორც სივრცეში, დროსა და პირთა წრის მიხედვით მათი მოქმედებების სფეროების განსაზღვრა. არსებითად, ეს არის სამართალშემოქმედებითი საქმიანობა.
- *კაზუალური ან ინდივიდუალურ-სამართლებრივი რეგულირება*, როგორც კომპეტენტური სუბიექტების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია იურიდიულად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრასთან, მიმდინარეობს კანონმდებლობით დადგენილი საპროცედურო-საპროცესო ფორმით, რომლის შედეგიც არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აკონკრეტებს სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეების უფლებებსა და მოვალეობებს;
- *ლოკალური სამართლებრივი რეგულირება*, როგორც მასზე სპეციალურად უფლებამოსილი სუბიექტების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ-იურიდიული სიტუაციის გადაჭრასთან და შეიცავს ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი რეგულირების ელემენტებს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალურ-სამართლებრივი რეგულირება შეიძლება განხორციელდეს როგორც სახელმწიფო ორგანოთა ან მასზე სპეციალურად უფლებამოსილი თანამდებობის პირთა დახმარებით, ასევე დამოუკიდებლად თავად სამართლის სუბიექტების მიერ. ამის საფუძველზე გამოიყოფა ინდივიდუალურ-სამართლებრივი რეგულირების ორი სახეობა:

- *კოორდინაციული*, რომელიც რეალიზდება თავად საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეების მიერ სახელმწიფო ინსტანციებისა-

დმი მიმართვის გარეშე (ინდივიდუალური ხელშეკრულებების, გარეგნობების დადება, მოქმედი სუბიექტური უფლებების გამოყენება);

- *სუბორდინაციული სამართლებრივი რეგულირება*, ანუ იურიდიული საქმის გადაწყვეტა, რომელიც ხორციელდება ან სამართალშეფარდებით საქმიანობაში კომპეტენტურ სახელმწიფო სტრუქტურისადმი მიმართვის გზით, ან თავად ასეთ ორგანოთა, ან თანამდებობრივ პირთა მიერ თავიანთი ფუნქციური მოვალეობების შესაბამისად და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში (პენსიის დანიშვნა, სამსახურში გაფორმება, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა).

87. სამართლებრივი საშუალებანი: ცნება და სახეობანი

სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება სამართლებრივი საშუალებების განსაკუთრებული ერთობლიობის ურთიერთქმედებით, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს მოცემულ პროცესში და ამიტომ სამართლებრივი რეგულირების მექანიზმს შეადგენს.

სამართლებრივ საშუალებებში იგულისხმება მთელი იურიდიული ინსტრუმენტები, რომლის დახმარებითაც ხდება სამართლის სუბიექტების ინტერესების დაკმაყოფილება, მისი სოციალურად-სასარგებლო მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა. სამართლებრივი საშუალებების სახით წარმოგვიდგება მრავალრიცხოვანი ელემენტი, რომლის მეშვეობითაც სამართალი ახორციელებს თავის კონსტრუქციულ ზემოქმედებას საზოგადოებრივ ურთიერთობებზე: სამართლის წყაროები, სამართლებრივი მითითებები, სამართლის ნორმები, სამართლებრივი ინსტიტუტები, სამართალშეფარდებითი აქტები და უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციის აქტები, სამართლებრივი რეჟიმი, ხელშეკრულებები, იურიდიული ფაქტები, სუბიექტური უფლებები, იურიდიული მოვალეობები, აკრძალვები, შეღავათები, წახალისების ზომები, სასჯელები, ნებადართვები და დაცვები, იურიდიული აქსიომები, პრეზუმფციები და მრავალი სხვა.

სამართლებრივ საშუალებათა მრავალრიცხოვანი კლასიფიკაციიდან გამოიყოფა საშუალება-დადგენილებანი და საშუალება-მოქმედებანი. *სამართლებრივი საშუალება-დადგენილებანი* – სამართლებრივი რეგულირების ინსტრუმენტები ფიქსირებულია მნიშვნელოვან ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში და გვეკლინება მოდელბად, რომელიც უზრუნველყოფს მისი მიზნების მიღწევას (სუბიექტური უფლებანი, მოვალეობანი, შეღავათები, აკრძალვები, წახალისებები, სასჯელები და ა. შ.). *სამართლებრივი საშუალება-მოქმედებანი* – სამართლის სუბიექტების რეალური ქცევა,

რომელიც შეესაბამება სამართლის რეალიზაციის აქტების მითითებებს (პრაქტიკულად მთელი იურიდიული საქმიანობა (სამართალშემოქმედებითი, სამართალშეფარდებითი, ინტერპრეტაციული) და, პირველ რიგში, ასეთი საქმიანობის ამა თუ იმ სუბიექტის სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების რეალიზაციის აქტები).

88. სამართლებრივი შეზღუდვები და სტიმულები

სამართლებრივი რეგულირების აღნიშნული ხერხები კონცენტრირდება განსაკუთრებული სამართლებრივი შეზღუდვების დაწესებაში საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეების გარეგანი ნეგატიური გამოვლენის დაუშვებლობისა და სამართლის სუბიექტების აუცილებელი პოზიტიური ქცევის სტიმულირების მიზნით.

სამართლებრივი შეზღუდვები მდგომარეობს სამართლებრივ სფეროში იმ სუბიექტების სამართალსაწინააღმდეგო მისწრაფებებისგან თავის შეკავების ელემენტების შეტანაში, რომლებიც არღვევენ სხვა პირთა და მთლიანად საზოგადოების უფლებებს. იგი წარმოადგენს სუბიექტების შესაძლებელი ქცევის ზღვრის (ჩარჩოების) მკაფიო საკანონმდებლო განსაზღვრას ან მათ მოქმედებებში განსაზღვრული შესაძლებლობების გამორიცხვას.

სამართლებრივი სტიმულები გვეკლინება კანონმორჩილი ქცევისადმი სპეციალური სამართლებრივი კანონქმედების, რომელიც შექმნილია სამართლის სუბიექტების საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. სტიმულირების რეჟიმი მდგომარეობს განსაკუთრებულ სამართლებრივ საშუალებათა დადგენაში, რომელიც მიმართულია მოცემულ კონკრეტულ პირობებში სუბიექტების დადებითი ქცევის დონის ამაღლებაზე და შეიცავს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: *სამართლებრივი წახალისება* (ნებაყოფლობითი საკადრისი ქცევის იურიდიული შეფასების ფორმა და ზომა, რის შედეგადაც სუბიექტი ჯილდოვდება და მისთვის სასიკეთოდ მთავრდება); *უპირატესობითი სამართალი* (სუბიექტების ამა თუ იმ კატეგორიისათვის კანონით გათვალისწინებული მატერიალური, მორალური, საპროცესო ხასიათის შედეგათები); *სამართლებრივი იმუნიტეტები* (განსაკუთრებული შეღავათებისა და პროვილეგიების ერთობლიობა, რომელიც უპირატესად დაკავშირებულია კანონში კონკრეტულად განსაზღვრული პირის არსებული მოვალეობებისგან (მისი ნაწილიდან) ან პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი ფუნქციების შესრულებას); *სამართლებრივი შეღავათი* (სუბიექტის მდგომარეობის მართლზომიერი შემსუბუქება, რომელიც უფლებას აძლევს

მას სრულად დაიკმაყოფილოს თავისი ინტერესები და გამოიხატება როგორც დამატებითი, განსაკუთრებული უფლებების მინიჭებაში, ასევე განსაზღვრული მოვალეობებისგან განთავისუფლებაში).

89. სამართლებრივი რეჟიმი და სამართლებრივი პოლიტიკა

სამართლებრივი რეგულირების განსაკუთრებულ წესრიგს, რომელიც გამოიხატება იურიდიულ საშუალებათა გარკვეულ შეთანაწყობაში – ნებართვებსა და აკრძალვებში და სამართლის სუბიექტების ინტერესების დასაკმაყოფილებლად შექმნილ სასურველ სოციალურ მდგომარეობასა და კეთილდღეობის ან არაკეთილდღეობის კონკრეტულ ხარისხში, ეწოდება *სამართლებრივი რეჟიმი*. ამა თუ იმ სამართლებრივი რეჟიმის ხსენება შეიძლება მხოლოდ სამართლის ზოგიერთ საჯარო დარგთან მიმართებაში (ადმინისტრაციული, საბაჟო, საფინანსო, საგადასახადო, სისხლის სამართლის - აღმასრულებელი და სხვ.). სამართლებრივი რეჟიმი არის სამართლებრივი პოლიტიკის ორგანული შემადგენელი.

სამართლებრივი პოლიტიკის კატეგორია განისაზღვრება, როგორც სახელმწიფოს საქმიანობა სამართლებრივი რეგულირების ეფექტიანი მექანიზმის შექმნაში, იურიდიულ საშუალებათა ცივილიზებულად გამოყენებაში ისეთი მიზნების მისაღწევად, როგორცაა ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების უფრო სრული უზრუნველყოფა, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება, სამართლებრივი სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოებისა და პიროვნების მაღალი სამართლებრივი კულტურის ფორმირება.

90. სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ცნება, ელემენტები და სტადიები

სამართლებრივი რეგულირების სისტემის უშუალო ელემენტების სახით გვევლინება სამართლის ნორმები, იურიდიული ფაქტები, სამართალურთიერთობანი და სამართლის გამოყენების აქტები.

სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ფარგლებში საკმაოდ მკაფიოდ გამოიყოფა მისი პროცესის სამი სტადია:

- საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგლამენტირება, რომელიც საჭიროებს სამართლებრივ გასაშუალებითობას;
- ნორმათა მოქმედება, რომლის შედეგადაც წარმოიქმნება ან იცვლება არსებული სამართლებრივი ურთიერთობანი;

- სუბიექტურ უფლებათა და იურიდიულ მოვალეობათა რეალიზაცია, რომლის დროსაც სამართლებრივი რეგულირება აღწევს თავის მიზანს, აისახება კონკრეტულ პირთა ქცევაში.

ამასთან, ყველა ელემენტი, რომელიც გვხვდება სამართლებრივ ურთიერთობაში, იძენს თავის რეალურ გამოხატულებას და თეორიული აბსტრაქციიდან გარდაიქმნება სამართლის სუბიექტების პოზიტიურ ქცევით აქტად.

იურიდიული ნორმა არის სამართლებრივი რეგულირების პირველი აუცილებელი ელემენტი, ხოლო მისი გამოცემა – ამ პროცესის პირველი სტადია. განსაზღვრული იურიდიული ფაქტი სანამ სამართლის ნორმას არ გამოიყვანს სტატიკის (არსებობის) მდგომარეობიდან, იგი ისევე რჩება ქალღმრთელად.

სამართლებრივი ურთიერთობა და მისი წარმოქმნა იმის საფუძველზე, რაც გააჩნია სუბიექტურ უფლებათა და იურიდიულ მოვალეობათა მხარეებს, რომელიც სამართლის ნორმებითაა განმტკიცებული, გვევლინება, შესაბამისად, სამართლებრივი რეგულირების მეორე ელემენტად და მეორე სტადიად.

მესამე სტადიას წარმოადგენს სამართალურთიერთობის სუბიექტების ფაქტობრივ მოქმედებებში არსებულ უფლებათა და მოვალეობათა რეალიზაცია, ხოლო ელემენტს - შესაბამისი სამართალრეალიზატორული აქტი.

ამგვარად, *სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ერთიანობაში აღებული სამართლებრივ საშუალებათა სისტემები (იურიდიული ნორმების, სამართალურთიერთობების, ინდივიდუალური აქტების და სხვ.), რომლის დახმარებითაც მათ წინაშე დასაზღვრი მიზნების შესაბამისად ხდება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის რეზულტატიური ზემოქმედების უზრუნველყოფა.*

მართლშეგნება და სამართლებრივი კულტურა

91. მართლშეგნების ცნება და ფუნქციები

მართლშეგნება – საზოგადოებრივი და ინდივიდუალური შეგნების ის ნაწილია, რომლის ობიექტს წარმოადგენს კანონმდებლობა: მაგალითად, ცალკეული აქტები და ნორმები, პიროვნებისა და სამართალურთიერთობის სხვა მონაწილეების უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები, სამართალშეფარდებითი აქტები, მართლზომიერი და სამართალსაწინააღმდეგო ქცევა, მართლწესრიგი და კანონიერება და სხვ.

მართლშეგნება — ეს არის სამართლებრივი გრძნობების, ემოციების, შეხედულებების, შეფასებების, განწყობის, წარმოდგენებისა და სხვა გამოვლენების სისტემა, რომელიც გამოხატავს მოქალაქეთა დამოკიდებულებას როგორც მოქმედი სამართლის, იურიდიული ცნებებისა და კატეგორიების, იურიდიული პრაქტიკის, უფლებების, თავისუფლების, მოვალეობების მიმართ, ასევე სხვა სასურველი სამართლებრივი მოვლენების მიმართაც.

მართლშეგნების ფუნქციათა რიცხვში შეიძლება დავასახელოთ: შემეცნებითი, რეგულაციური, სამართლებრივი მოდელირების ფუნქცია, შეფასებითი, სამართლებრივი აღზრდის ფუნქცია, პროგნოსტიკური ფუნქცია.

მართლშეგნების შეფასებითი ფუნქცია გამოიხატება რაიმე სოციალურ-სამართლებრივი მოვლენების ამ მოვლენათა სათანადო პიროვნული ან სოციალური სარგებლიანობის (ფასეულობის) შესახებ თავის საკუთარ წარმოდგენებთან მსგავსების (იგივეობის) დადგენაში.

მართლშეგნების შემეცნებითი ფუნქცია გამოიხატება სამართლებრივი ცოდნის მიღებასა და სისტემატიზაციაში, რაც შეესაბამება საზოგადოების განვითარების დონესა და ადამიანის უნარს ეს ცოდნა აითვისოს და გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში.

მართლშეგნების რეგულაციური ფუნქცია ვლინდება თავისი სუბიექტების (მართლშეგნების მატარებლების) ქცევაზე მისი რეგლამენტაციურ-რეზულტატიურ ზემოქმედებაში.

92. მართლშეგნების სტრუქტურა და დონეები

სამართლებრივი შეგნება ჩამოყალიბებულია ორი მსხვილი შემადგენლისგან: სამართლებრივი იდეოლოგიისა და სამართლებრივი ფსიქოლოგიისგან.

სამართლებრივი იდეოლოგია — ეს არის შეხედულებებისა და წარმოდგენების სისტემა, რომელიც თეორიულ ფორმაში გამოხატავს საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ მოვლენებს. იგი წარმოდგენილია: მეცნიერული იდეებით (მაგალითად, სამართლიან სახელმწიფოებრივ წყობაზე წარმოდგენა რეალიზდება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეაში); დებულებებით, სწავლებებით, თეორიებით, რომლებიც ყალიბდება საზოგადოებაში და საშუალებას აძლევს სახელმწიფოსა და მის ორგანოებს ეფექტიანად გამოიყენოს ისინი სამართალშემოქმედებით და სამართალშეფარდებით საქმიანობაში.

სამართლებრივი ფსიქოლოგია — ეს არის გრძნობების, ჩვეულებების, განწყობილობების, ტრადიციების ერთობლიობა, რომელშიც გამოიხატება

სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, კოლექტივის, ცალკეული ინდივიდის დამოკიდებულება საზოგადოებაში მოქმედი სამართლის, სამართლებრივი დაწესებულებების სისტემის მიმართ. სამართლებრივი ფსიქოლოგია წარმოადგენს ადამიანთა ცხოვრების გამოვლენების მეტისმეტად რთულ და მრავალმხრივი გამოვლენებით გაჯერებულ შედეგს.

იგი ყალიბდება ფსიქოლოგიური და სამართლებრივი მოვლენების ერთობლიობით. ასეთებს მიეკუთვნება სამართლებრივი მოთხოვნილება, სამართლებრივი განწყობა, სამართლებრივი მენტალიტეტი, სამართლებრივი მოტივი, ფასეულ-სამართლებრივი ორიენტაციები, სამართლებრივი განწყობილება, სამართლებრივი გრძნობები, სამართლებრივი ემოციები, სამართლებრივი ჩვევები, სამართლებრივი ჩვეულებები, სამართლებრივი დარაზმულობა და ა. შ.

მახასიათებელს, რომელიც ასახავს ადამიანთა დამოკიდებულებას სამართლისა და მისი განწყობის მიმართ სამართლებრივი ცოდნისა და მისი განცდების სიღრმისა და მიმართულობების თვალსაზრისით, ეწოდება სამართლებრივი ფსიქოლოგიის დონე.

სამართლებრივი ფსიქოლოგიის განვითარების მაღალი დონე (საზოგადოების, სოციალური ჯგუფის, ქალაქის მოსახლეობის, დაწესებულების კოლექტივის) – ეს არის სამართლებრივი რეალობის უტყუარი, სისტემატიზებული, მყარი, თეორიულ-პრაქტიკული ასახვის დონე, რომელიც ხასიათდება სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენების მიმართ მაქსიმალური შესაბამისობით.

სამართლებრივი ფსიქოლოგიის განვითარების დაბალი დონე მოწმობს მაღალ, ჭეშმარიტ სამართლებრივთან მის უფრო მეტად არდამთხვევაზე, გაზრდილ კრიმინოგენურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ წინაპირობათა არსებობაზე, რომელიც ვლინდება უფრო ხშირად, ფართოდ და ღრმად ერთობის წევრების სამართალსაწინააღმდეგო ქცევაში.

93. მართლშეგნების სახეობანი

მართლშეგნების კლასიფიცირება შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა საფუძველზე.

1. *ერთობის ხარისხის მიხედვით* იყოფა *მასობრივზე* (ერის, ხალხის მართლშეგნება), *ჯგუფურზე* (სოციალური ჯგუფების, ფორმალური და არაფორმალური კოლექტივების მართლშეგნება) და *ინდივიდუალურზე* (ცალკეული პირის მართლშეგნება; ცალკეული პიროვნების უფლებების შესახებ გრძნობები და წარმოდგენები).

2. შინაარსის მიხედვით მართლშეგნება იყოფა ყოველდღიურზე (ცხოვრებისეული, ზოგჯერ საკმაოდ ზედაპირული წარმოდგენები ადამიანთა უფლებებზე, რომელიც შეხებაშია ყოველდღიური, საოჯახო, შრომითი, საზოგადოებრივი და ცხოვრების სხვა სფეროების სამართალთან); პროფესიულზე (დაფუძნებულია სპეციალიზებულ სამართლებრივ ცოდნაზე, რომელსაც იყენებენ პროფესიონალი იურისტები საქმიანობაში) და სამეცნიეროზე (ყალიბდება ფართო და ღრმა სამართლებრივი ერთობის ან სამართლის, ან სამართლებრივი მოვლენების მიმართ თეორიული დამოკიდებულების საფუძველზე).

3. გამოვლენის ინტენსივობით ასხვავებენ მართლშეგნების აქტიურ დონეს (სუბიექტის მიზანმიმართული, ინიციატივიანი საქმიანობა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ნორმების მოთხოვნების დაცვაზე ან არდაცვაზე), მართლშეგნების ჩვეულებრივი დონე (სამართლისა და სამართლებრივი მოვლენების მიმართ ისეთი დამოკიდებულება, რომელიც ვლინდება სუბიექტების ყოველდღიურ საქმიანობაში და გამოიხატება მათი მხრიდან სამართლის ნორმების ან არდარღვევაში, ან დარღვევაში (ჩვეული მართლზომიერი და ჩვეული მართალსაწინააღმდეგო ქცევა; სიტუაციური მართლზომიერი და სიტუაციური მართალსაწინააღმდეგო ქცევა) და მართლშეგნების პასიური დონე (ქცევა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სუბიექტის შეგნებული თავის არიდება სუბიექტური სამართლის ამა თუ იმ ნაწილის გამოყენებისგან, ან იურიდიული მოვალეობის შესრულებისგან (კონფორმისტული მართლზომიერი და კონფორმისტული მართალსაწინააღმდეგო ქცევა; მარგინალური მართლზომიერი და მარგინალური მართალსაწინააღმდეგო ქცევა).

94. სამართლებრივი კულტურა, სამართლებრივი აღზრდა და სამართლებრივი სოციალიზაცია

თუკი მართლშეგნება სამართალთან დამოკიდებულებას ახასიათებს ადამიანის საქმიანობის შინაგანი მხრიდან, მაშინ ასეთი დამოკიდებულების გარეთ გამომხატველი არის სამართლებრივი კულტურა. ეს კატეგორიები ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

სამართლებრივი კულტურა — ეს არის საზოგადოების განვითარების ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სულიერი დონით განპირობებული ზოგადი კულტურის სახესხვაობა, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის მიერ დაგროვილი სამართლებრივი ფასეულობების ათვისებისა და გამოყენების საზომს, რაც მემკვიდრეობითი წესით გადაეცემა თაობიდან თაობას.

ლიტერატურაში აღინიშნება ფაქტორების კომპლექსი, საიდანაც ყალიბდება სამართლებრივი კულტურა. მათ, სახელდობრ, მიეკუთვნება: სამართლებრივი აზროვნების კულტურა (სამართლის ნორმების ცოდნა, სამართლებრივი ცოდნით სარგებლობის უნარი და პრაქტიკაში გამოყენება); სამართლებრივი შეგნების კულტურა (საზოგადოებრივ-სამართლებრივი მოვლენების ბუნების გაგება და სამართლის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულატორის, აუცილებლობის შეცნობა); სამართლებრივი ქცევის კულტურა (პირობითი სამართლებრივი ნორმების შესაბამისი საქციელის შეგნებული ჩადენა).

გავრცელებულობის (ქმედითობის) ხარისხის მიხედვით შეიძლება განვიხილოთ საზოგადოების, ჯგუფებისა და კოლექტივების სამართლებრივი კულტურა, ასევე ცალკეული პიროვნების სამართლებრივი კულტურა.

სამართლებრივი კულტურის სოციალური დანიშნულება გამოიხატება მის მიერ შესრულებულ ფუნქციებში. მათგან ძირითადს მიეკუთვნება: სოციალურ-სამართლებრივ სინამდვილეზე მისი ზემოქმედების ფასეულობითი, შემეცნებითი, პროგნოსტიკური, რეგულაციური, კომუნიკაციური, სამართალსოციალიზატორული და სხვა მიმართულებანი.

სამართლებრივი კულტურის ფორმირების პროცესის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს სამართლებრივი აგიტაციის, სამართლებრივი პროპაგანდის, სამართლებრივი აღზრდის ფორმით მართლზომიერი ქცევის ჩვევებისა და ჩვეულებების ჩამოყალიბება, სამართლებრივი სწავლება და განათლება.

პიროვნების სამართლებრივ შეგნებას, მნიშვნელოვანწილად, აყალიბებს სამართლებრივი სოციალიზაცია. იგი, ამავდროულად, დიდ გავლენას ახდენს პიროვნების სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებაშიც.

სამართლებრივი სოციალიზაცია — ეს არის ადამიანის მიერ სამართლებრივი ცოდნისა და მოთხოვნების ათვისება, აუცილებელი სოციალურ-სამართლებრივი ჩვევების დაუფლება მართლზომიერი (კანონმორჩილი) ქცევის ფორმირებისა და უზრუნველყოფის მიზნით.

ამასთან, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის, რომ ზდება ადამიანის სოციალიზაცია, ანუ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იძენს სასარგებლო საზოგადოებრივი განწყობების შესახებ ცოდნას. სამართლებრივი სოციალიზაციის პროცესზე დიდ გავლენას ახდენს კონკრეტული ადამიანის ცხოვრების წესი — მისი მიკროსოციუმში თავისი მოთხოვნების კომპლექსსა და მათი განხორციელების მეთოდებთან ერთად.

95. იურიდიული მსოფლმხედველობა და სამართლებრივი ნიჰილიზმი

კაცობრიობის ისტორიაში სამართლისადმი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომა ჩამოყალიბდა, რომელიც პირდაპირ ვლინდება მართლშეგნების სფეროში.

მათგან *პირველი* სამართალს ცნობს უმნიშვნელოვანეს სოციალურ ფასეულობად, საზოგადოების ორგანიზაციისა და განვითარების ერთ-ერთ ძირითად (თუ არა მთავარ) ფაქტორად. სამართლის მიმართ ასეთ დამოკიდებულებას მიღებულია ეწოდოს *იურიდიული მსოფლმხედველობა*. სწორედ ამით უნდა იყოს განმსჭვალული იურისტის მთელი პროფესიული საქმიანობა. ყოველმა იურისტმა სწორედ იგი უნდა შეიტანოს მასებში გასავრცელებლად.

მაგრამ, სამართლის ყოველსშემძლეობის მეტისმეტმა რწმენამ და რეალობიდან გარკვეულმა დაშორებამ შეიძლება განსაზღვრულ ნეგატიურ შედეგებამდე მიგვიყვანოს. მაგალითად, მის აბსოლუტიზაციამდე (სამართლებრივი ფეტიშიზმი, რომანტიზმი, იდეალიზმი, ვოლუნტარიზმი), ანუ სამართლებრივი უტოპიის სამყაროში შეყვანა მისი არარსებული, მაგრამ იდეალური, სრულყოფილი საზოგადოებით და სამართლებრივი სისტემით. პრაქტიკაში კი საზოგადოება შეიძლება წააწყდეს სამართლებრივი პოპულიზმის გამოვლენას, ე. ი. ხელისუფლების საქმიანობას, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მასებში სამართლის პოპულარობა დაუსაბუთებელი დაპირებების, დემაგოგიური ლოზუნგების ფასად და სხვ.

სამართლის მიმართ *მეორე* მიდგომა ხასიათდება იმით, რომ მის მიმართ განწყობილი არიან სკეპტიკურად ან გულგრილად, მისი სოციალური შესაძლებლობების მიმართ უნდობლობით, ხანდახან სამართალი სრულიად უარყოფილია — *სამართლებრივი ნიჰილიზმი* (პასიური და აქტიური). სამართლის მიმართ ნიჰილისტურ დამოკიდებულებასზე დაფუძნებული კონფუციანელობა, ანარქიზმი (გოდვინი ვ., პრუდონი პ.-ჟ., შტირნერი მ., ბაკუნინი მ.ა., კროპოტკინი პ.ა.).

სამართლებრივ ნიჰილიზმს გააჩნია ძალიან ბევრი იერ-სახე. ასე, მაგალითად, ის შეიძლება გამოიხატებოდეს ადამიანის მიერ სამართლის ფასეულობის სათანადოდ ვერ შეფასებაში (*სამართლებრივი ნეგატივიზმი*), ან კანონის მოთხოვნების მიმართ უპასუხისმგებლო, დაუფიქრებელ დამოკიდებულებაში (*სამართლებრივი ინფანტილიზმი*), ან სამართლის ნორმების აქტიურ მიუღებლობაში ზოგჯერ მხოლოდ მისი არსებობის გამო (საკუთრივ *სამართლებრივი ნიჰილიზმი*). პიროვნების მართლშეგნების მსგავს ცვლილებებს ჰქვია *მისი სამართლებრივი სოციალიზაციის*

დეფექტურობა. ზოგჯერ ამ დეფექტურობამ შეიძლება მიიღოს სრულიად უკიდურესი ფორმები, რომლის დროსაც ხდება სამართლებრივი საწყისების შეგნებულად და მიზანმიმართულად იგნორირება, უარყოფა ანგარების, სისასტიკის, სიხარბის მოტივით და სხვა მრავალი მიზეზით. ამასთან, ამ პროცესებს თან სდევს სუბიექტებში სულ უფრო მკვეთრად ჩამოყალიბებული სამართალდარღვევების ჩადენის განზრახვა. საბოლოოდ, ასეთი ტენდენციების განვითარებას მივყავართ ე. წ. გადაგვარებულ მართლშეგნებადღე ან *სამართლებრივ გადაგვარებადღე*.

სამართლებრივი და მართლზომიერი ძვევა

96. სამართლებრივი ძვევა: ნიშან-თვისებები, თავისებურებანი და სახეობები

იურიდიული ნორმების მოქმედების ფარგლებში ქცევას ეწოდება *სამართლებრივი ქცევა*, რომელიც განიხილება, როგორც პოზიტიური სამართლის ნორმებით რეგულირებული ადამიანთა და მათი კოლექტივების შეგნებულ-ნებისყოფითი და სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევა, რომელიც იწვევს იურიდიულ შედეგებს.

სამართლებრივი ქცევა შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. *სამართლებრივი უმოქმედება* ისეთივე უშუალო მახასიათებელია (განსაზღვრული თვისება) სამართლის ქცევისა, როგორც სამართლებრივი მოქმედება. ამასთან, იგი, როგორც მოქმედება, შეიძლება იყოს მართლზომიერი ან არამართლზომიერი. მაგალითად, სამართლის სუბიექტის ქცევა, რომელიც მდგომარეობს, უმთავრესად, აკრძალვების შეგნებულ დაცვაში, მათ დაურღვევლობაში, მიეკუთვნება მართლზომიერ უმოქმედობას. სამართლებრივი მითითებებით პირზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა ასეთ უმოქმედობას არამართლზომიერს ხდის. ამასთან, უმოქმედობა ხდება სამართლებრივი (ესე იგი, მართლზომიერი ან არამართლზომიერი) მხოლოდ მისი ჩართვით სუბიექტური სამართლის ან იურიდიული მოვალეობების შინაარსში, რომელსაც შეიცავს კონკრეტული სამართლის ნორმა, ან ხელშეკრულების პირობებში (კონტრაქტი).

სოციალური ქცევის მრავალ სახეობას შორის სამართლებრივი არეების ფარგლებში ქცევა გამოიყოფა, უპირველესად, თავისი ქვენორმატიულობით. იგი მკაცრადაა მოწესრიგებული მოქმედი კანონმდებლობის ნორმებით და ამის საფუძველზე შეიძლება იყოს *მართლზომიერი*

(სამართლის ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად), არამართლზომიერი ან სამართალსაწინააღმდეგო (სამართლის ნორმების მოთხოვნათა დამრღვევი) და იურიდიულად უმნიშვნელო (სამართლებრივი არეების ფარგლებში, მაგრამ არავითარ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს და ამიტომ არანაირ იურიდიულ შეფასებას არ ექვემდებარება).

სამართლებრივი ქცევის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია: სოციალური ნიშნადობა, მისი შეგნებულ-ნებისყოფითი ხასიათი, სახელმწიფოს მიმართ ქცევის ქვეკონტროლი, იურიდიული შედეგების (დადებითი ან უარყოფითი) არსებობა.

ამგვარად, სამართლებრივი ქცევა მხოლოდ ისეთი, რომელიც გათვალისწინებულია სამართლებრივი ნორმებით და სამართლებრივი შედეგები გააჩნია. სამართლისათვის ასეთი მნიშვნელოვანი ქცევის ფარგლებში გამოიყოფა ორი სახეობა: მართლზომიერი და სამართალსაწინააღმდეგო.

97. მართლზომიერი ქცევა: ცნება, ნიშან-თვისებები და სოციალური განპირობებულობა

მართლზომიერი ქცევა — ეს არის ადამიანების კანონმორჩილი, შეგნებული და ნებაყოფლობითი ქცევა, რომელიც შეესაბამება სამართლის ნორმების მოთხოვნებს. ადამიანთა ქცევების ყველა ვარიანტის საერთო მასაში მართლზომიერი ქცევა დომინირებს არამართლზომიერ ქცევაზე.

მართლზომიერი ქცევა არის სასურველი და დასაშვები, ესე იგი, სახელმწიფოს მიერ გარანტირებული და დაცული. ნებისმიერი საზოგადოება ეფუძნება სწორედ ამას და ეს მდგომარეობა არის მისი სტაბილური და თანმიმდევრული განვითარების გარანტია. სავსებით გასაგებია, რომ ყველა სამართლებრივი ნორმის ძირითადი ნაწილი მიმართულია სწორედ მართლზომიერი ქცევის რეგულირებაზე.

შეიძლება გამოვყოთ სამათლებრივი ქცევის ძირითადი მახასიათებლები, რომელიც განასხვავებს მას სამართალსაწინააღმდეგოსგან. მათ რიცხვს მიეკუთვნება სოციალური სარგებლიანობა და სასურველობა; სამართლის ნორმების მითითებების, მისი მიზნებისა და პრინციპების მიმართ შესაბამისობა; ქცევის ამ ვარიანტის განხორციელების ნებაყოფლობითობა და შეგნებულობა, სუბიექტის მიმართულობა ამ ვარიანტის რეალიზაციისაკენ; საკუთარ საქციელებში პიროვნების დამაჯერებლობა და პასუხისმგებლობა; სამართლებრივი ქცევის მასობრიობა; სახელმწიფოს მხრიდან მისი გარანტია, უზრუნველყოფა, დაცვა და სხვ.

მართლზომიერი ქცევის სხვადასხვა ტიპის სოციალური მნიშვნელობის მიხედვით განსხვავებულია მათ მიმართ საზოგადოებრივი და სახელმ-

წიფობრივი დაინტერესების ხარისხი და, შესაბამისად, განსხვავებულია მათი სახელმწიფოებრივი სტიმულირების ხარისხი. ასე, მაგალითად, ზოგიერთი მათგანი სახელმწიფოს აკყავს იურიდიული მოვალეობების რანგში, რასაც განამტკიცებს კიდევ კონსტიტუციაში (სამშობლოს დაცვა, გადასახადების გადახდა, გარემოს დაცვა), სხვებს წარმოგვიდგენს სუბიექტური სამართლის სახით (არჩევნებში მონაწილეობა, მაგალითად). ამასთან ერთად, ქცევის სოციალურად პოზიტიურ ვარიანტებთან ერთად, მართლზომიერი ქცევის ფარგლებში არის ისეთიც, რომლის მიმართაც სახელმწიფო და საზოგადოება განწყობილია უარყოფითად, მაგრამ მათი სამართლებრივი არაკრძალების გამო, იძულებულნი არიან შეურიგდნენ (კერძოდ, განქორწინებები, გაფიცვები, არჩევნების დროს საარჩევნო უბნებზე გამოუცხადებლობა და სხვ.).

98. სამართლის სუბიექტების მართლზომიერი ქცევის ფორმირების მექანიზმი

მართლზომიერი ქცევის ფორმირების მექანიზმის შესახებ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძებოთ სპეციალურ-იურიდიული, ფსიქოლოგიური და სოციალური სისტემის ურთიერთკავშირში, მაგრამ ამ რიგის ფსიქოლოგიურ სფეროში აშკარა დომინირებისას, სწორედ მოთხოვნილებებში, ინტერესებში, მოტივებში, განწყობებში, სტერეოტიპებში, ჩვეულებებსა და სხვა მახასიათებლებში, რომლებიც მთლიანად შეესაბამება მართლშეგნების ერთ-ერთ მხარეს – სამართლებრივ ფსიქოლოგიას.

სამართლებრივი ქცევა (თუმცა, ასევე სამართალსაწინააღმდეგოც) დამოკიდებულია, პირველ რიგში, პიროვნების სამართლებრივ განწყობაზე და მის სამართლებრივ ფასეულობით ორიენტაციაზე. სწორედ ეს ფაქტორები, რაც ახასიათებს პიროვნების მიერ დაკავებულ პოზიციას მის წინაშე დაყენებული მიზნებისა და ამოცანების მიმართ, და რომელიც გამოიხატება განსახორციელებელი საქმიანობისადმი შერჩევითი მობილზებითა და მზადყოფნით, აყალიბებს ქცევის განსხვავებულ სტერეოტიპებს, პრაგმატულს ან ალტრუისტულს.

ამგვარად, *მართლზომიერი ქცევა* არის რთული კომპლექსური კატეგორია, ამიტომ მისი მოცულობა და ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულია რიგ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორზე:

- წარმოებასა და მატერიალური კეთილდღეობის მითვისებას შორის შეუსაბამობის თავიდან აცილების ხარისხზე;
- მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა ზოგადი, პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის დონეზე;

- მოსახლეობის მოწინავე საზოგადოებრივი კლასების, ჯგუფებისა და ფენების სამართლებრივი მოთხოვნების ზნეობრივ თვალსაზრისთან და მორალურ ფასეულობასთან თანხედომის ხარისხზე;
- სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესების გაგებისა და პოლიტიკაში ამ ინტერესების სრული და თავისდროული ასახვის ხარისხზე;
- კანონმდებლობის სრულყოფის, სამართალში ხარვეზების თავიდან აცილებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების დისპოზიტიური რეგულირების სფეროების მეტიმეტი მოწესრიგებულობის, გაფართოების ხარისხზე;
- პიროვნების ინტერესებისა და კანონმდებლის მიზნების თანახმიანობის ხარისხზე, თუკი ნორმების ადრესატებისა და მისი მსოფლმხედველობის ფსიქოლოგიური განწყობა ახლოა კანონში ოფიციალურად გამოხატულ სახელმწიფოს პოზიციასთან, დადგენილი წესების ცხოვრებაში გატარების მიხედვით მის პრაქტიკულ საქმიანობასთან და სხვ.

მართლზომიერი ქცევის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს სამართლის ადრესატთა მოთხოვნების, ინტერესების, განწყობების, რწმენისა და ცოდნის შეუთანხმებლობა.

99. მართლზომიერი ქცევის სახეობანი

მართლზომიერი ქცევა მისი მოტივაციის მიხედვით იყოფა რამდენიმე სხვადასხვა სახეობად:

- *ჩვეულებრივი* მართლზომიერი ქცევა (არ არის დაკავშირებული ჩვეულებრივი საყოველღეო ხარჯების გადაჭარბებასთან; ეს არის ყოველდღიური სამსახური, ადამიანის ყოფითი ცხოვრება, რომელიც სამართლებრივ მითითებებს შეესაბამება);
- *პასიური* მართლზომიერი ქცევა (ვლინდება იმ შემთხვევებში, როდესაც მოქალაქენი განზრახ არ იყენებენ დაახლოებით თანაბარ უფლებებს და თავისუფლებებს; ამ შემთხვევაში ზიანი ან ზარალი, უპირველეს ყოვლისა, თავად მოქალაქეს ადგება);
- *აქტიური* მართლზომიერი ქცევა (მოქალაქეთა, თანამდებობრივ პირთა მიზანმიმართული, ინიციატივიანი, კანონიერი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია დროის, ენერჯის, მატერიალური საშუალებების დამატებით ხარჯებთან);
- *კონფორმისტული* ქცევა (შეესაბამება სოციალურ ჯგუფში (ერთობაში) მიღებულ სტილს; პიროვნების მიერ სამართლის ნორმების

პასიური დაცვა, შეგუება, თავისი ქცევის დაქვემდებარება გარშემო მყოფთა აზრსა და მოქმედებებზე);

- მარგინალური ქცევა (ვლინდება, როგორც ადამიანთა გარეგნულად მართლზომიერი ქცევა, რომლებიც შინაგანად არ ეთანხმებიან სამართლის ნორმების მოთხოვნებს). ეს ვარიანტი დამახასიათებელია სოციალური და სულიერი თვალსაზრისით მოუწყობელი პიროვნებისთვის, რომელიც ამასთან დაკავშირებით ამქლავნებს დაუკმაყოფილებლობას, აპათიას ან აგრესიას. სწორედ აქედან მოდის სახელწოდება – მოსაზღვრე ან ზღვარზე მყოფი. მარგინალური ქცევა ხშირად არის წინაპირობა სამართალდამრღვევისათვის.

100. სამართლებრივი ქცევის სასაზღვრო სახეობანი

გარდა მართლზომიერი და სამართალსაწინააღმდეგო ქცევისა, არის ქცევის კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც არ მიეკუთვნება არც ერთ ზემოთ ნახსენებს. ეს არის – *სამართლის ბოროტად გამოყენება*.

ამასთან, სამართლებრივი ქცევის მოცემული სახეობა, სოციალურად მაგნე და საძრახისი, უმრავლეს შემთხვევაში, არანაირად არ არღვევს სამართლებრივ ნორმებს. მიუხედავად იმისა, რომ არც საზოგადოება, არც სახელმწიფო არ არის დაინტერესებული სამართლის ბოროტად გამოყენების შემთხვევების არსებობაში, ისინი, ურთიერთმოქმედი და შესატყვისი სუბიექტური უფლებებისა და მოვალეობების არსებობის გამო, იძულებულნი არიან შეეგუონ ამ მოვლენის არსებობას. მაგრამ არა უსასრულოდ, რამეთუ სამართლის ბოროტად გამოყენება არ ითვლება სამართალდარღვევად მხოლოდ იმ დრომდე, სანამ მისგან გამოწვეული უხერხულობა ან ზიანი არ გახდება საზოგადოებრივად საშიში. ამ შემთხვევებში სახელმწიფო მიდის პირდაპირ აკრძალვაზე და მსგავსი ქცევის აღკვეთაზე. მაგალითად, სისხლის სამართლის პასუხისგებას ექვემდებარება: იმ პირის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რომელიც ასრულებს მართვის ფუნქციებს კომერციულ ან სხვა ორგანიზაციაში; კერძო ნოტარიუსების ან აუდიტორების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება; კერძო დაცვის ან დეტექტიური სამსახურების მუშაკთა მიერ უფლებამოსილების გადაჭარბება; თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სხვ. სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში ასევე შეიძლება წარმოიქმნას მსგავსი შემთხვევები. კერძოდ, ეს არის მესაკუთრის უფლების ბოროტად გამოყენება, როდესაც მიწის ნაკვეთი არ გამოიყენება დანიშნულებისამებრ ან მისი გამოყენება კანონმდებლობის დარღვევით; მესაკუთრის მიერ საცხოვრებელი ადგილის არა-

დანიშნულებისამებრ გამოყენება, მეზობლის უფლებებისა და ინტერესების სისტემატური დარღვევა ან საცხოვრებლის მიმართ არასამეურნეო მიდგომა და სხვ.

იურიდიულ ლიტერატურაში შემოთავაზებულია სამართალდარღვევა გავარჩიოთ *სამართლებრივი შეცდომისაგან*, რომელიც განისაზღვრება, როგორც სამართლებრივი დანაწესებიდან გადახრა, მაგრამ არა მიმართული განზრახვა. შეცდომა გამოძინარეობს სამართლის არასწორი გამოყენებიდან, სამართლის ნორმების ახსნიდან, რომელიც განპირობებულია საკანონმდებლო ფორმულირებების არასიზუსტით, სამართლებრივი ნორმების კოლიზიით, ამა თუ იმ ნორმატიული აქტის რეალიზაციის მექანიზმის არარსებობით, დაბალი პროფესიული დონით, ხოლო ხშირად, სამართლის ნორმების მოთხოვნების მიმართ უგულისყურო დამოკიდებულებით და სხვ.

სამართალდარღვევა

101. სამართალდარღვევის ცნება და ნიშან-თვისებები, მისი სოციალური და სამართლებრივი არსი

სამართალდარღვევა – ეს არის ადამიანის საზოგადოებრივად საშიში, სამართალსაწინააღმდეგო, დანაშაულებრივი ქმედობა, რაც ზიანს აყენებს პიროვნებას, საკუთრებას, სახელმწიფოს ან საზოგადოებას მთლიანად და იწვევს იურიდიული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების აუცილებლობას.

გამოყოფენ სამართალდარღვევათა სოციალურ და იურიდიულ არსს. ამასთან, სამართალდარღვევების სოციალური თავისებურებანი მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ იგი უშუალოდ ზიანს აყენებს სიცოცხლეს, საკუთრებას, მართვის წესს ან ასეთი ზიანის საფრთხეს ატარებს. სამართალდარღვევები, განსაკუთრებით დანაშაულებანი, ფართოდაა გავრცელებული და გავლენას ახდენს საზოგადოებაში მორალურ მდგომარეობაზე. მოსახლეობის დიდ უმრავლესობაში იგი წარმოშობს შიშის გრძნობას ყველაზე მეტად გავრცელებული დანაშაულებების წინაშე, განწირულების გრძნობის, მართლზომიერი ქცევის არასარგებლიანობისა და უაზრობის ატმოსფეროს და მთლიანობაში მოქალაქეთა სოციალურ-სამართლებრივ აქტიურობაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

სამართალდარღვევების სამართლებრივი არსი მდგომარეობს მის ფორ-
მალურ-იურიდიულ ნიშან-თვისებებში — საზოგადოებრივ საფრთხეში,
სამართალსაწინააღმდეგო ქცევაში, დასჯადობასა და ბრალეულობაში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ სამართალდარღვევას გაა-
ჩნია საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ანუ ზიანს აყენებს ან ასეთი
ზიანის საშიშროებას ქმნის.

სამართალსაწინააღმდეგო ქცევა არის სამართალდარღვევის შემდეგი
ნიშან-თვისება. თუკი საზოგადოებრივი საფრთხე (მაგნებლობა) არის
სამართალდარღვევის შინაგანი ნიშან-თვისება, მაშინ სამართალსაწინა-
აღმდეგო ქცევა — მისი გარეგნული მხარეა, რაც ხაზს უსვამს სამარ-
თლის საწინააღმდეგო ხასიათს. მოცემული თვისება მდგომარეობს იმაში,
რომ ადამიანთა ესა თუ ის საქციელი მხოლოდ მაშინ შეიძლება განიხი-
ლოს როგორც სამართალსაწინააღმდეგო, როდესაც იგი განმტკიცებულია
შესაბამის საკანონმდებლო აქტში სამართალდარღვევის კონკრეტული
შემადგენლობის სახით.

სამართალდარღვევა — ეს არის ქცევა, და არა აზრთა წყობა. სამარ-
თალდარღვევა, როგორც ყველა ქცევა, გამოიხატება მხოლოდ მოქმედე-
ბაში ან უმოქმედობაში. აზრები, მსჯელობა, როგორი აბსურდული ან
აუბედითიც არ უნდა იყოს, სანამ არ გამოიხატება მატერიალურ ფორმაში
(სამართალდარღვევაში), არ არის დასჯადი.

სამართალდარღვევა — ეს არის დანაშაულებრივი ქმედობა. ზოგადი
წესით, თუკი ადამიანის ქმედობაში არ არის ბრალი, მაშინ იგი არ ჩი-
თვლება სამართალდარღვევად, თუგინდ გარეგნულად ეწინააღმდეგებოდეს
არსებულ წესს.

102. სამართალდარღვევის იურიდიული შიშვალდენლობა

სამართალდარღვევის შემადგენლობა — ეს არის ობიექტური და სუბი-
ექტური ნიშან-თვისებების (ელემენტების) სავალდებულო ერთობლიობა,
რომელიც აუცილებელი და საკმარისია მოცემული ქმედობის სამართალ-
დარღვევად აღიარებისთვის.

სამართალდარღვევა შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ქმედობა
(თუგინდ იყოს სამართალსაწინააღმდეგო, საზოგადოებრივად საშიშიც,
ბრალეულიც), რომელიც შეიცავს ოთხ სავალდებულო ელემენტს: ობი-
ექტს, ობიექტურ მხარეს, სუბიექტს, სუბიექტურ მხარეს.

სამართალდარღვევის ობიექტი — ეს არის სამართლით რეგულირებუ-
ლი და დაცული ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელსაც
სამართალდარღვევით მიაყენეს ნამძვილი ან შესაძლებელი ზარალი; ეს

არის საზოგადოებისა და ცალკეული პიროვნების ის ფასეულობა (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობა, საზოგადოებრივი წესრიგი და სხვ.), რასაც ხელყოფს დამრღვევი. ერთი სიტყვით, ეს გარე სამყაროს ის მოვლენებია, რაზეც მიმართულია სამართალსაწინააღმდეგო ქმედობა. მაგალითად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ობიექტებია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგი, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლება, მართვის დადგენილი წესი; ობიექტის დისციპლინურ გადაცდომას გააჩნია სახელმწიფოებრივი და სამსახურებრივი დისციპლინა და ა. შ.

სამართალდარღვევის ობიექტური მხარე — ეს არის სამართალდარღვევის გარეგნული დახასიათება, ეს არის სამართალსაწინააღმდეგო ქცევის სავალდებულო ელემენტებისა (ქმედობა მოქმედების ან უმოქმედობის ფორმით, საზოგადოებრივად საშიში შედეგები, მიზეზობრივი კავშირი ქმედობასა და შედეგებს შორის) და ფაქულტატიური ელემენტების (სამართალდარღვევის ჩადენის დრო, ადგილი, იარაღი, საშუალება, ვითარება) ერთობლიობა.

სამართალდარღვევის ობიექტური მხარე — ეს არის სამართალსაწინააღმდეგო ქმედობის გარეგნული გამოვლენა, რაც გამოიხატება მოქმედებაში ან უმოქმედობაში, ანუ პირის აქტიურ ან პასიურ ქცევაში. მოქმედება — საკმაოდ გავრცელებული ფორმაა იურიდიულად მნიშვნელოვანი ქმედობებისა. მოცემულ შემთხვევაში, კანონით აკრძალული ქმედობებისა (ვაჭრობის წესის დარღვევა, ხულიგნობა, ძარცვა და სხვ.). უმოქმედობა — კანონით მითითებულ განსაზღვრულ შემთხვევებში სამართალდარღვევადაა აღიარებული. ქმედობით მიყენებული ზიანი — ეს არის სამართალდარღვევის შედეგი: ქონებრივი (ქონების დაკარგვა, ხელიდან გაშვებული სარგებლობა) ან არაქონებრივი (შეურაცხყოფა, ცილისწამება — სახელისა და ღირსების შელახვა); პირადი ხასიათის (სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება); ორგანიზაციული ხასიათის (საკუთარი უფლების განხორციელების შესაძლებლობის ჩამორთმევა, დაწესებულების ნორმალური მუშაობის დარღვევა). მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ობიექტური მხარის აუცილებელი ელემენტია, რომელიც გვეკლინება, როგორც რაღაც ობიექტური კავშირი მანე ქმედობასა და დამდგარ შედეგებს შორის, რომლის დროსაც სამართალსაწინააღმდეგო ქმედობა დროში წინ უსწრებს შედეგს და წარმოადგენს ამ გარდაუვალი შედეგის მთავარ და უშუალო მიზეზს.

სამართალდარღვევის შემადგენლობის შემდეგი ელემენტია **სამართალდარღვევის სუბიექტი** — სამართალქმედუნარიანი და დელიქტუნარიანი პირი, რომელმაც ჩაიდინა სამართალსაწინააღმდეგო ქმედობა — სამარ-

თალღამრღვევი. მოქმედი კანონმდებლობით სამართალღარღვევის სუბიექტები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები.

ფიზიკური პირის დელიქტოუნარიანობა ყალიბდება სუბიექტის ფსიქიკური თავისებურებებისა და მისი ასაკიდან გამომდინარე. ადმინისტრაციული დელიქტოუნარიანობა დგება სამართალღარღვევის ჩადენის მომენტისთვის 16 წლის მიღწევისას. იგივე ასაკი პასუხისგებაში მიცემისათვის დადგენილია სისხლის სამართალშიც, მაგრამ დანაშაულის ზოგიერთი შემადგენლობის მიხედვით პასუხისმგებლობა 14 წლიდან დგება (მკვლელობა, ჯანმრთელობისთვის განზრახ მიყენებული საშუალო სიმძიმისა და მძიმე ზიანი, ადამიანის მოტაცება, გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედებები, ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა, გამოძალკვა, სატრანსპორტო საშუალების არამართლზომიერი დაპატრონება არა გაატაცების მიზნით, ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, ტერორიზმი და აშკარად ცრუ შეტყობინება ტერორიზმის აქტზე, მძევლის აყვანა, ხულიგნობა დამძიმებულ გარემოებებში, ვანდალიზმი და სხვ.). არასრულწლოვან სამართალღარღვევთა განსაკუთრებული მდგომარეობა (14-დან 18 წლამდე) მდგომარეობს იმაში, რომ მათ მიმართ არ გამოიყენება სასჯელის ცალკეული სახეობა, მაგრამ ჩადენილი სამართალღარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ნორმების ძირითადი რაოდენობა მათზე ვრცელდება მთელი მოცულობით. ასაკთან ერთად დელიქტოუნარიანობის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს შერაცხადობა, ანუ პირის უნარი ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებებს და სამართალღარღვევის ჩადენის მომენტში აკონტროლოს. ამიტომ, სამართალღარღვევის სუბიექტები არ არიან ფსიქიკურად დაავადებული პირნი ან პირნი, რომელთაც ჩაიდინეს სამართალღარღვევა ავადმყოფი ფსიქიკის მდგომარეობაში.

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში ფიზიკურ პირთან ერთად დელიქტის სუბიექტის სახით შეიძლება გამოვიდეს იურიდიული პირი.

სამართალღარღვევის სუბიექტური მხარე — ეს არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი სამართალღარღვევის მიმართ, რაც გამოიხატება მისი გამოვლენის ბრალსა და ფორმებში (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), ასევე მოტივებისა და მიზნების თავისებურებებშიც.

ბრალი, რომელიც ასახავს პიროვნების ფასეული ორიენტაციების დამახინჯების ხარისხს, ინტენსივობასა და მის მიმართულობას, ახასიათებს სამართალღარღვევის დამოკიდებულებას დამდგარ (ან შესაძლებელ) საზოგადოებრივად საშიში ქმედობის შედეგების მიმართ. საზოგადოდ, ბრალი შეიძლება განზრახვის (პირდაპირი და ირიბი) და გაუფრთ-

ხილებლობის ფორმით (თავდაჯერებულობა და დაუდევრობა) წარმოგვიდგეს.

პირდაპირ განზრახვას ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც პირმა შეიგნო თავისი სამართალსაწინააღმდეგო ქმედობა (უმოქმედობა), წინასწარ განჭვრიტა შესაძლებლობა ან გარდაუვალობა და სურდა საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომა; *ირიბი* – პირმა შეიგნო თავისი სამართალსაწინააღმდეგო ქმედობა და თავისი ქმედობის (უმოქმედობის) საზოგადოებრივი საშიშროება, წინასწარ განჭვრიტა და შეგნებულად უშვებდა ასეთი შედეგების დადგომას ან მის მიმართ გულგრილად იყო განწყობილი.

დაუდევრობას ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც პირი ანგარიშს არ უწევდა თავის სამართალსაწინააღმდეგო ქმედობას, ვერ განჭვრიტა მისი საზოგადოებრივად საშიში შედეგები, თუმცა აუცილებელი დაკვირვებულობისა და წინადახედულობისას უნდა შექმლებოდა მისი წინასწარ განჭვრეტა; *თავდაჯერებულობა* (სისხლის სამართალში – დაუფიქრებლობა), როდესაც პირს შეგნებული აქვს თავისი სამართალსაწინააღმდეგო ქმედობა, მაგრამ დაუფიქრებლად ვარაუდობდა მის თავიდან აცილებას (მაგალითად, მძღოლის მიერ სიჩქარის გადაჭარბების შემთხვევა მოლიპულ გზაზე, ასევე ზიანის მიყენება ცეცხლსასროლი იარაღის გაუფრთხილებელი ხმარებისას).

ბრალთან მჭიდროდაა დაკავშირებული მისი *მოტივები* და *მიზნები*. პასუხისმგებლობის ბევრ დარგობრივ ინსტიტუტში მისი დადგენა და შეფასება ასევე სავალდებულოა.

103. სამართალდარღვევათა სახეობები

სამართალდარღვევათა ყველაზე გავრცელებულ კლასიფიკაციას წარმოადგენს მისი დაყოფა სიმძიმის მიხედვით, ანუ *საზოგადოებრივი საშიშროების* ხასიათისა და ხარისხის მიხედვით. ამ კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ყველა სამართალდარღვევა იყოფა *გადაცლომებსა* და *დანაშაულებებს*.

დანაშაულებანი – ეს არის საზოგადოებისთვის ძალზე საშიში ქმედობები, პირდაპირ გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით ან, ზუსტად რომ ვთქვათ, ბრალეულად ითვლება ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობები, რომელიც აკრძალულია სისხლის სამართლის კოდექსით.

სისხლის სამართლის კოდექსში ხდება დანაშაულებების დაყოფა ოთხ კატეგორიად ჩადენილი ქმედობისა და ბრალის ფორმების სიმძიმის მიხედვით:

- არცთუ ისე დიდი სიმძიმის დანაშაულებანი – განზრახვითი და გაუფრთხილებელი ქმედობები, რომელიც ისჯება ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით;
- საშუალო სიმძიმის დანაშაულებანი – განზრახვითი ქმედობები, რომელიც ისჯება ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და გაუფრთხილებელი ქმედობები, რომელიც ისჯება არაუმეტეს ორი წლისა თავისუფლების აღკვეთით;
- მძიმე დანაშაულებანი – განზრახვითი ქმედობები, რომელიც ისჯება ათ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთით ან სასჯელის უფრო მეტი სიმკაცრით.

გადაცდომები მეტისმეტად სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების იმ სფეროზე, რომელშიც იგი ხდება. მართებულია საუბარი კონსტიტუციური და სამოქალაქო-სამართლებრივი დელიქტების შესახებ, დისციპლინურ გადაცდომებზე, ადმინისტრაციულ, საგადასახადო, საბაჟო, ეკოლოგიურ და სხვა სამართალდარღვევებზე.

კონსტიტუციური დელიქტი – ეს არის საჯარო ხელისუფლების ორგანოს ან ასეთი ორგანოს თანამდებობრივი პირის სამართალსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც საჯარო ხელისუფლების განხორციელების სფეროში საზოგადოებრივ ურთიერთობებს აყენებს ზიანს ან ქმნის ზიანის მიყენების საშიშროებას და რომლის მიმართაც კონსტიტუციური სამართლით გათვალისწინებული სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა – ეს არის ფიზიკური ან იურიდიული პირის სამართალსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედება (უმოქმედობა), რომლის მიმართაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კოდექსით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ სუბიექტების კანონით დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება, თუკი სამართალდარღვევა თავისი ხასიათის მიხედვით არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ კანონმდებლობა მიმართულია მოსახლეობის შრომისა და ჯანმრთელობის, საკუთრების, გარემო პირობების, მრეწველობის დარგში დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის, საგზაო მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის,

საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის, ვაჭრობისა და ა. შ. დაცვაზე.

დისციპლინური გადაცდომები — ეს არის ქმედობა, რომელიც არღვევს სამსახურში ურთიერთობების წესს; ეს არის შრომითი, სწავლითი, სამსახურებრივი, სამხედრო დისციპლინის დარღვევა.

შრომის დისციპლინა მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ ცნებებთან, როგორცაა ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინა. თუკი ამ უკანასკნელის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა აკისრია სამუშაოს მიმცემს, მაშინ მუშაკი პასუხისმგებელია შრომითი დისციპლინის დარღვევაზე. სახელმწიფო სამსახურის სფეროში — ეს არის სამსახურებრივი ან საშემსრულებლო დისციპლინა.

შრომითი კოდექსი განამტკიცებს დისციპლინური გადაცდომების შემადგენლობიდან მხოლოდ ზოგიერთს (მუშაკის მხრიდან შრომითი ვალდებულებების არაერთგზისი შეუსრულებლობა არასაპატიო მიზეზით; გაცდენა; სამსახურში გამოცხადება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან სხვა ტოქსიკური საშუალებებით გაბრუებულ მდგომარეობაში; კანონით დაცული საიდუმლოს გახმაურება, რაც მუშაკისთვის ცნობილი გახდა შრომითი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით; სამუშაოს ადგილის მიხედვით სხვისი ქონების დატაცება, გაფლანგვა, მისი განზრახვითი განადგურება ან დაზიანება; ამორალური საქციელის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც ასრულებს აღმზრდელობით ფუნქციებს; მუშაკის მიერ შრომითი დაცვის მიხედვით მოთხოვნების დარღვევა, რომელმაც გამოიწვია მძიმე შედეგები ან აშკარად შექმნა რეალური საფრთხე).

სამოქალაქო-სამართლებრივი დელიქტები — ეს არის სამართლის ნორმების დარღვევა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობების სფეროში (მაგალითად, ხელშეკრულების მიხედვით ვალდებულებების შეუსრულებლობა, სინდისის, ღირსების ხელყოფა და სხვ.). სამოქალაქო-სამართლებრივი დელიქტები — ეს არის სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა სამართლებრივი მდგომარეობის ხელყოფის შემთხვევა, საკუთრების უფლება და სხვა ქონებრივი უფლება. სამოქალაქო-სამართლებრივი დარღვევების სუბიექტები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირნი.

პრაქტიკამ ასევე გამოყო *საგადასახადო, საბაჟო, ფინანსური, ეკოლოგიური, საპროცესო და სხვა სამართალდარღვევები*.

104. სამართალდარღვევების ჩადენის მიზეზები და პირობები

ამჟამად, სამართალდარღვევების მიზეზების შესწავლის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა მათი სოციალური და ბიოლოგიური ფესვების თანადამოკიდებულება.

ამ საკითხის დახასიათებისას უნდა განვასხვავოთ სამართალდარღვევების მიზეზები (პირის მისწრაფება დაიკმაყოფილოს (გამოავლინოს) თავისი ინტერესები (მოთხოვნები) სამართალსაწინააღმდეგო საშუალებებით), სამართალდარღვევის პირობები (ბუნებრივი, სოციალური ან ტექნიკური ფაქტორები, რომელიც სამართალდარღვევებს პირდაპირ არ წარმოშობს, მაგრამ მათ ჩადენას განაპირობებს; ნეგატიური გარემოებები, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს სამართალდარღვევების მიზეზებზე და აყალიბებს ამ მიზეზებს) და სამართალდარღვევების საბაზი (სიტუაციური ხასიათის უარყოფითი გარემოებები, რომელიც სამართალდარღვევათა მიზეზების მოქმედებისაკენ უბიძგებს და შემავალიანებელ სტიმულს იძლევა). გარდა ამისა, ერთმანეთზეა მიწყობილი მიზეზობრივი ჯაჭვი, რომელიც ქმნის კონკრეტული სამართალდარღვევის მექანიზმს: პიროვნების დამახინჯებული ჩამოყალიბება, სუბიექტის მოთხოვნების, მისი ნებისყოფითი სფეროს დეფორმაცია, თვითკონტროლის დაქვეითება, ფასეული ორიენტაციების სისტემების არაკეთილსასურველი ცვლილებები. ყველა ამ ფაქტორის არსებობისას საკმარისია წარმოიქმნას შესაბამისი გარეგანი სიტუაციები სამართალდარღვევისთვის.

სამართალდარღვევების ჩადენა მთლიანობაში ჩვენს საზოგადოებაში შეიძლება განაპირობოს შემდეგმა (საკმაოდ ზოგადი) ფაქტორებმა: მოსახლეობის ცხოვრების დაბალი მატერიალური დონე, მოსახლეობის ცალკეული ფენების შემოსავლების მნიშვნელოვანი პოლარულობა; ბავშვთა უმეტესწილადობის კატასტროფული ოდენობა; გადახრილი ქცევების სხვადასხვა სახეობა (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია მათ შორის); ინვალიდების სახელმწიფო დახმარების მთელი სისტემის მოშლა, რომლებიც, თავის საზიზრობასთან პირისპირ დარჩენილნი, დანაშაულებრივი ბიზნესისათვის კარგ მასალას წარმოადგენენ (მათხოვრობა, ნარკოტიკების გადატანა და სხვ.); ზოგადი და სამართლებრივი კულტურის დაბალი დონე, მნიშვნელოვანწილად, გამოწვეული საბჭოთა პერიოდში შექმნილი სამართლებრივი პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდის პრაქტიკულად მთელი სისტემის განადგურებით, ზნეობის ზოგადი კრიზისი; არასრულყოფილი კანონმდებლობა, რომელიც ვლინდება ასევე რეალური ნორმატიული ბაზისა და დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის კონ-

ტროლის ზომების არარსებობაში და ა. შ. სამართალდამცავი ორგანოების არასაკმარისად ეფექტიანი მუშაობა, მათ შორის, დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის ურთიერთდახმარების გაწევის საქმეში საერთაშორისო აქტების გაფორმების შეფერხება, სოციალური კონტროლის შესუსტება და სხვ.

იურიდიული პასუხისმგებლობა

105. იურიდიული პასუხისმგებლობის ცნება, ნიშან-თვისებები და საფუძვლები

სამართლებრივ მეცნიერებაში იურიდიულ პასუხისმგებლობას განიხილავენ ორ ასპექტში:

- *პოზიტიური (პერსპექტიული) იურიდიული პასუხისმგებლობა*, როგორც ადამიანის პასუხისმგებლობა თავისი მოვალეობების შესრულებისთვის, სუბიექტის შეგნებული და აქტიური მართლზომიერი მოქმედება;
- *რეტროსპექტული პასუხისმგებლობა* – პასუხისმგებლობის ტრადიციული გაგება, როგორც ჩადენილი სამართალდარღვევების შედეგები. ამგვარად, ტრადიციული (რეტროსპექტული) გაგებით *იურიდიული პასუხისმგებლობა* – ეს არის ჩადენილი სამართალდარღვევისათვის იურიდიული ნორმის სანქციით გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი იძულების ზომების რეალური ან შესაძლებელი გამოყენება, რომელიც დაკავშირებულია დამნაშავეს მიერ პირადი (ორგანიზაციულ-ფიზიკური) ან ქონებრივი ხასიათის შესაბამისი უფლების შეზღუდვას.

იურიდიულ პასუხისმგებლობას გააჩნია განსაზღვრული თვისებები, რომელიც ვლინდება:

- მისი გამოყენების დაფუძნების სპეციფიკაში, სახელდობრ, *ბრალულისა, საზოგადოებრივად საშიში და სამართალსაწინააღმდეგო ქმედობების* არსებობისას, რომელიც დამტკიცებულია დადგენილი საპროცესო წესით კანონიერების, გარდაუვალობისა და ინდივიდუალური პატივის პრინციპების დაცვის საფუძველზე;
- *თავისუფალ არჩევანში* (თავისუფალ ნებაში), როგორც სამართალსაწინააღმდეგო ქმედობის ჩადენისათვის პირის იურიდიულ პასუხისმგებლობაში მიცემის ფუძემდებლური პირობა. ეს პირობა მდგომარეობს წარმოქმნილი სამართლებრივი სიტუაციის გადაჭრისას მართლ-

ზომიერ და სამართალსაწინააღმდეგო ვარიანტს შორის სუბიექტისთვის თავიდანვე არსებული არჩევანის შესაძლებლობაში;

- ქმედობებისა და ბრალეულ პირთა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაგმობასა და გაკიცხვაში;
- არაკეთილსასურველი შედეგების არსებობაში, რაც გულისხმობს მოვალეობების ნებისმიერ იძულებით შესრულებას, როგორც სახელმწიფოს მიერ გასაშუალებებულ იძულებას ან მოვალეობების იძულებით შესრულებას;
- სახელმწიფოებრივ იძულებასთან განუწყვეტელ კავშირში, რომელიც ვლინდება იმაში, რომ იურიდიული პასუხისმგებლობა დგინდება სახელმწიფოს მიერ და სამართალსაწინააღმდეგო ქმედობების ჩამდენ პირზე ზემოქმედების საშუალებას წარმოადგენს;
- პროცედურულ-საპროცესო წესით მის დაკისრებასა და განხორციელებაში.

106. იურიდიული პასუხისმგებლობის დარბობრივი ინსტიტუტები

იურიდიული პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციაა მისი დაყოფა სახეობებზე სამართლებრივი რეგულირების საგნის კრიტერიუმების მიხედვით (სამართლის დარგების მიხედვით).

კონსტიტუციური პასუხისმგებლობის ინსტიტუტის არსებობა განპირობებულია მისი განსაკუთრებული მიზნებით, რომელთა რიცხვში სახელდება: კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა და პირდაპირი მოქმედება, მოქმედი კონსტიტუციის დაცვა, კონსტიტუციური მართლწესრიგისა და კანონიერების აღდგენა, მისაგებელის სამართლიანობა. ზოგადი წესით, კონსტიტუციური პასუხისმგებლობის ნორმებს თავისი სანქციები არ გააჩნია, იგი მიუთითებს სამართლის სხვა დარგებზე, რომელიც აკონკრეტებს მის დებულებებს და მკაფიოდ განამტკიცებს პასუხისმგებლობის სახესა და ზომას. ეს საკითხი უფრო დეტალურად შემუშავებულია შერჩევითი სამართლის სფეროში დარღვევებთან მიმართებაში. სანქციის დიაპაზონი (კონსტიტუციურ-სამართლებრივი კანონმდებლობის ნორმების დარღვევების სამართლებრივი შედეგები) უჩვეულოდ ფართოა. ეს არის სახელმწიფოებრივი ორგანოების ან მათი ცალკეული დებულების სამართლებრივი აქტების საქმიანობის გაუქმება ან შეჩერება, არჩევნების ან რეფერენდუმის შედეგების, კანდიდატის მხარდასაჭერად ამომრჩევლების მიერ შეგროვილი ხელმოწერების, დადგენილი აკრძალვების უხეში ან მრავალჯერადი დარღვევების შემთხვევაში კანდიდატების სიე-

ბის გაუქმება (გაბათილებულად ცნობა); სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ორგანოსა და თანამდებობრივი პირის, საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის ვადამდელი შეწყვეტა; სახელმწიფო რეგისტრაციაზე უარი (საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კანდიდატის მხრიდან) და სხვ.

კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობებში შესაძლებელია გამოკვეთილად წარმოჩენა ასევე პოლიტიკური პასუხისმგებლობის ელემენტებისა, რამეთუ ხშირად მისი გამოვლენა უკავშირდება არასწორ მუშაობას, პოლიტიკის არასწორ კურსს ან კონსტიტუციური სამართლის (სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანოების) სუბიექტების სხვა ნეგატიურ მოქმედებებს.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა – წარმოადგენს მკაცრად განსაზღვრული ორგანოების სახით წარმოდგენილ სახელმწიფოსა და იმ ფიზიკურ პირს შორის წარმოქმნილ სამართალურთიერთობას, რომლის ზემოქმედებებსაც გააჩნია დანაშაულის შემადგენლობის ნიშან-თვისებები, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით და გამოიხატება დამნაშავეს მიმართ მკაცრად დადგენილი საპროცესო წესით სახელმწიფოებრივი იძულების ზომების გამოყენებაში.

ეს არის პასუხისმგებლობის დარგობრივი ინსტიტუტებიდან ყველაზე მკაცრი სახეობა. თავისებურებები, აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ იგი ატარებს საჯარო-სამართლებრივ ხასიათს, გამოიყენება მხოლოდ სასამართლო წესით და მხოლოდ მკაცრი საპროცესო წესების რეალიზაციის პროცესში, წყდება მსჯავრდადებულის მიმართ დაწესებული სასჯელის მოხდის შემდეგ და ნასამართლობის მოხსნის ან დაფარვის შემდეგ.

ძირითადი და დამატებითი სასჯელის შემდეგი სახეობებია: ჯარიმა, განსაზღვრული თანამდებობის დაკავების ან განსაზღვრული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; სპეციალური წოდების, კლასის ჩინის ან სახელმწიფო ჯილდოების ჩამორთმევა; სავალდებულო სამუშაოები; გამოსასწორებელი სამუშაოები, სამხედრო სამსახურის შეზღუდვა; ქონების კონფისკაცია; თავისუფლების შეზღუდვა; დაპატიმრება; დისციპლინურ სამხედრო ნაწილში ყოლა; გარკვეული ვადით თავისუფლების აღკვეთა; უვადო თავისუფლების აღკვეთა და სიკვდილით დასჯა.

არასრულწლოვან დამნაშავეთა და ფსიქიკურად დაავადებულ პირთა მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებულია სასჯელის გარდა, სხვა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ფორმის გამოყენება: აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ზომები და სამედიცინო ხასიათის ზომები შესაბამისად.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დეგება ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენისას (სამართალდარღვევა, რომელიც განსხვავდება სისხლის სამართლის დანაშაულისგან საზოგადოებრივი საშიშროების დაბალი ხარისხით), როგორცაა საზოგადოებრივ ადგილებში ქცევის წესების დარღვევა, ვაჭრობის წესების, საგზაო მოძრაობის, ხანძარსაწინააღმდეგო წესების, სანიტარული წესების, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევა და სხვა.

როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ატარებს საჯარო ხასიათს. მაინც, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა უფრო მეტად რბილია (გაფრთხილება, ჯარიმა, გამოსასწორებელი სამუშაოები), იგი არ იწვევს ნასამართლობას. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სუბიექტი, სისხლის სამართლისგან განსხვავებით, შეიძლება იყოს ასევე იურიდიული პირიც.

დისციპლინური პასუხისმგებლობა – ეს არის მუშაკის პასუხისმგებლობა შრომითი და სამსახურებრივი დისციპლინის დანაშაულებრივი დარღვევისათვის, ესე იგი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის.

დისციპლინური პასუხისმგებლობის განსხვავება იურიდიული პასუხისმგებლობის სხვა სახეობებისგან არის ის, რომ იგი რეალიზდება დაქვემდებარების წესით: უფროსი ხელქვეითს დისციპლინურ სასჯელს ადებს, ხელმძღვანელობს რა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისი დებულებებით.

შრომითი კანონმდებლობა განამტკიცებს ზოგადი დისციპლინური სასჯელის შემდეგ სახეობებს: შენიშვნა, საყვედური, დათხოვნა. სხვა დისციპლინური სასჯელები (სპეციალური უფლების ჩამორთმევა, სამხედრო ან სპეციალური წოდებრივი დაქვეითება, სამსახურებრივი შეუსაბამობა და სხვ.) დგინდება სხვა სპეციალიზებულ აქტებშიც და მოქმედებს ცალკეული მუშაკებისა და მოსამსახურეების მიმართ.

შრომით სამართალში დისციპლინურთან ერთად პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ სახეობას წარმოადგენს *მატერიალური პასუხისმგებლობა*: სამუშაოს მიმცემის პასუხისმგებლობა მუშაკის წინაშე და მუშაკის პასუხისმგებლობა სამუშაოს მიმცემის მიმართ ზარალის მიყენებისთვის.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა – ეს არის სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების დამრღვევ პირზე იძულებითი ზემოქმედების ერთ-ერთი ფორმა (მოქალაქეთა და ორგანიზაციების ქონებრივი და კერძო არაქონებრივი უფლებების დარღვევა), რომელიც უკავშირდება მის მიმართ სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციის გამოყენებას, რაც იწვევს არახელსაყრელ ქონებრივ შედეგებს დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენის მიზნით. იგი შეიძლება იყოს: *ხელ-*

შეკრულებითი (პასუხისმგებლობა, რომელიც დგება რომელიმე სამოქალაქო ხელშეკრულების მონაწილეებისთვის მისი შეუსრულებლობის ან დაუცველობის შემთხვევაში); *არახელშეკრულებითი* (დგება მოქალაქის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების, ან ორგანიზაციის ქონების მიმართ ვნების მიყენებისას სამართალსაწინააღმდეგო ხელყოფის შემთხვევაში, ან უბედური შემთხვევის დროს); *სუბსიდიარული* (პირთა დამატებითი პასუხისმგებლობა მოვალესთან ერთად, რომელიც პასუხს აგებს კრედიტორის წინაშე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულებისთვის). ამას გარდა, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მესამე პირებს.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ატარებს კომპენსაციურ ხასიათს (პირგასამტეხლო, საურავი, ჯარიმა, გარიგების ანუღირება, საჯაროდ ბოდიშის მოხდა და ცილისმწამებლური ცნობების უარყოფა; ხელიდან გაშვებული სარგებლის ანაზღაურება, სახელმწიფოს შემოსავლების მიმოქცევა და ა. შ.). იგი იფარება სასამართლოს მიერ, მათ შორის საარბიტრაჟოსიც, ასევე ადმინისტრაციული წესით.

ბოლო დროს, სულ უფრო დაჟინებით გვახსენებს თავს ადრე ნაკლებად ცნობილი იურიდიული პასუხისმგებლობის სახეობები: საგადასახადო, ფინანსური, საბაჟო, ეკოლოგიური და სხვ. უმრავლესობა ამ სახეობებიდან ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია.

107. იურიდიული პასუხისმგებლობის მიზნები, მისი ფუნქციები და პრინციპები

იურიდიული პასუხისმგებლობის მიზნებია მართლწესრიგის დაცვა, სამართალდარღვევების თავიდან აცილება და მოქალაქეების აღზრდა სამართლის მიმართ პატივისცემის სულისკვეთებით.

იურიდიული პასუხისმგებლობის მიზნების დაკონკრეტება ხდება მის *ფუნქციებში* – სამართლებრივ ურთიერთობებზე იურიდიული პასუხისმგებლობის ნორმების სამართლებრივი ზემოქმედების ძირითად მიმართულებებში, რითაც მიიღწევა მისი მიზნები და ვლინდება დანიშნულება. ასეთი ფუნქციების რიცხვს მიეკუთვნება:

- რეპრესიულ-სადამსჯელო (დამნაშავე პირის დასჯა ჩადენილი სამართალდარღვევისთვის, ჩადენილისთვის სამაგიეროს მიზღვა);
- გამაფრთხილებელ-აღმზრდელობითი ფუნქცია (ისეთი ზემოქმედება სამართალდამრღვევზე, ასევე სხვა პირებზე, მთელ საზოგადოებაზე, რომელმაც შეიძლება ოპტიმალური გავლენა მოახდინოს ქცევის

სამართალმორჩილი ვარიანტის ამორჩევაზე, ან გააფრთხილოს სამართალსაწინააღმდეგოს არახელსაყრელობასა და დასჯადობის თაობაზე);

- სამართალდღეენითი (დამახასიათებელია ძირითადად ქონებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის რეალიზაციისთვის და მდგომარეობს სამართალდარღვევის მიერ მიყენებული მატერიალური თუ მორალური ზარალის კომპენსაციაში, სამართლის სუბიექტის მიერ დარღვეული სამართლის აღდგენაში);
- სიგნალიზაციური (ადასტურებს სამართალდარღვევების ამა თუ იმ სახეობისათვის გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომების ეფექტიანობას ან არაეფექტიანობას, ასევე სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის სხვა გზებისა და ზომების ძიების აუცილებლობას საზოგადოებრივი ურთიერთობების მოცემულ სფეროში).

იურიდიული პასუხისმგებლობის პრინციპები – ეს არის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტების არსის, ბუნებისა და დანიშნულების გამომხატველი ფუძემდებელი იდეები, რომელიც კლინდება ყველა მის სუბინსტიტუტში.

იურიდიული პასუხისმგებლობის კანონიერების პრინციპი – ეს არის იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლების დადგენისა და სახეობისა და ზომების განხორციელების უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა კონკრეტული სამართალდარღვევისათვის მხოლოდ კანონის შესაბამისად.

იურიდიული პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპი – სამართალდარღვევის ყოველი ფაქტის საჯაროობის (საქვეყნოობის) მოთხოვნა, ჩადენილი სამართალდარღვევისათვის ოპერატიული პასუხისმგებლობის ზომების მიღება, სამართალდარღვევის ლატენტურობის წინააღმდეგ ბუდმივი და წარმატებული ბრძოლა (ყოველი სამართალდარღვევა აუცილებლად იწვევს დამნაშავეს პასუხისმგებლობას, პასუხისმგებლობის ზომები გამოიყენება სწრაფად და ოპერატიულად; არცერთი უდანაშაულო არ უნდა იყოს პასუხისგებაში მიცემული და სხვ.).

იურიდიული პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია და სასჯელი – სამართალდარღვევების სიმძიმის თანაზომადობისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომების (სასჯელის) მოთხოვნა ჩადენილი სამართალდარღვევის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის, დამნაშავეს პიროვნების, გარემოებების მკაცრი გათვალისწინების საფუძველზე, რომელიც შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი პასუხისმგებლობის სახით გათვალისწინებულია კანონით.

108. იურიდიული პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების

საფუძველი და მისი გამოძრევითი გარემოებები

პასუხისმგებლობის სხვადასხვა დარგობრივი ინსტიტუტები განამტკიცებს შემდეგ გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავს იურიდიულ პასუხისმგებლობას: შემსრულებლის ექსცესი, რისთვისაც სხვა მონაწილეები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ ექვემდებარებიან; კაზუსი; პირის ავადმყოფური მდგომარეობა სამართალდარღვევის ჩადენის მომენტში; აუცილებელი თავდაცვა; საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მიღწევის შედეგად მესამე მხარისათვის ზიანის მიყენების უკიდურესი აუცილებლობა; გადაულახავი ძალა (მიწისძვრა, წყალდიდობა) და სხვა საგანგებო გარემოებანი; საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად დასაბუთებული რისკი; აშკარა უკანონო ბრძანების ან განკარგულების შეუსრულებლობა და სხვ.

იურიდიული პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველად მიჩნეულია: იურიდიულ პასუხისმგებლობაში მიცემის ვადის ხანდაზმულობის ამოწურვა; დაზარალებულთან შერიგება; პირი ან მის მიერ ჩადენილი ქმედობა აღარ არის საზოგადოებრივად საშიში; დანაშაულის ჩადენისგან ნებაყოფლობითი უარის თქმა და სხვ.

იურიდიული პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველები, საერთო აზრით, არის *ამნისტია* და *შეწყალება*. მათი არსი მდგომარეობს გარკვეული კატეგორიის პირთა ან კონკრეტული პირის სისხლის სამართლებრივი სტატუსის არსებით შეცვლაში და სახელმწიფო პრაქტიკაში განიხილება, როგორც ჰუმანური ეესტი სამართალსაწინააღმდეგო ქმედობის ჩამდენი პირების მიმართ. ამნისტიისა და შეწყალების საფუძველში დევს სამართალსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი ადამიანის მიტეკების იდეა.

109. იურიდიული პასუხისმგებლობის და სახელმწიფო-ფორმირივი იძულების სხვა ფორმების თანაფარდობა

იურიდიული პასუხისმგებლობა არის სახელმწიფოებრივი იძულების ერთ-ერთი სახეობა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი. მასთან ერთად სახელმწიფოებრივი იძულების სახეობებს წარმოადგენს გამაფრთხილებელი, თავიდან აცილებისა და დაცვის ზომები, აღკვეთის ღონისძიება.

თავიდან აცილების ზომები გამოიყენება შესაძლებელი სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით ან გამოიყენება უსაფრთხოების

უზრუნველსაყოფად სტიქიური უბედურებების, ავარიების, უბედური შემთხვევების დროს (საბუთების შემოწმება, უსაფრთხოების საშიშროების წარმოქმნის დროს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის შეწყვეტა ან შეზღუდვა, საკარანტინო ზონიდან გამოსვლის აკრძალვა და ა. შ.). თავიდან აცილების ზომები ატარებს პროფილაქტიკურ და უზრუნველყოფის ხასიათს.

აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებების იძულებითი წესით შეწყვეტისა და მისი მავნე შედეგების თავიდან აცილებისათვის, ანუ გამოიყენება მხოლოდ სამართალსაწინააღმდეგო ფაქტების არსებობისას (პირის მიყვანა და ოფიციალური გაფრთხილება მისი ანტისაზოგადოებრივი ქცევის გამო, რომელიც არ იწვევს იურიდიულ პასუხისმგებლობას; ქონების ჩამორთმევა, თუ მასზე არ არის ნებართვა (ბეჭდები, შტამპები, ცეცხლსასროლი იარაღი, რადიოგადამცემები და ა.შ.); ადმინისტრაციული დაკავება (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დარღვევების აღკვეთა, პროტოკოლის შედგენა და ა.შ.); საბანკო ანგარიშების, ბარგის ყაღაღა).

დაცვის ზომები (სამართალაღმდეგენითი ზომები) – ეს არის სახელმწიფოებრივ-ძალაუფლებრივი, იძულებითი საქმიანობა, რომელიც მიმართულია დარღვეული სამართლის განხორციელებაზე, იგნორირებული იურიდიული მოვალეობების უზრუნველყოფაზე. მაგალითად, სამოქალაქო სამართალში დაცვის ზომებად გვევლინება: გარიგების ბათილად გამოცხადება; პროდუქციის დარჩენილი ნაწილის მიწოდება და დაკომპლექტება; პიროვნების პატიოსნებისა და ღირსების სახელის გამტეხი, არასარწმუნო ცნობების უარყოფა და სხვ.; სისხლის სამართალში – ეს არის სამედიცინო ხასიათის ზომები, რომელიც სასამართლოს მიერ გამოიყენება სამართალდამრღვევი სულით ავადმყოფის ან იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ასეთი ქმედობა ჩაიდინეს შერაცხადობის მდგომარეობაში, მაგრამ განაჩენის გამოტანამდე ფსიქიკურად დაავადდნენ; ადმინისტრაციულ სამართალში – იძულებითი მკურნალობა; გადასახადების გადახდევინება და სხვ.; შრომით სამართალში – უკანონოდ განთავისუფლებულების სამსახურში აღდგენა; მუშაკთა უფლებების შემლახავი ადმინისტრაციის ბრძანებების გაუქმება და ა. შ. სისხლის სამართლისა და საპროცესო სამართალში – ეს არის პირის გადაყენება, რომელიც აწარმოებს მოკვლევას, ანუ გამოძიებლისა და პროკურორის ჩამოშორება მოკვლევის ან გამოძიების შემდგომი წარმოებისაგან და სხვ.; საოჯახო სამართალში – ქორწინების ბათილად გამოცხადება; შვილად აყვანის გაუქმება; ალიმენტების გადახდევინება ბავშვების შენახვისა და აღზრდის კონსტიტუციური მოვალეობების დარღვევის შედეგად. უკანასკნელ მაგა-

ლითში ალიმენტების გადახდისგან ავზრახულად თავის არიდების შემთხვევაში შესაძლებელია პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა.

კანონიერება, მართლწმინდობა და დისციპლინა

110. კანონიერების ცნება და პრინციპები

საჯარო ხელისუფლების ჩამოყალიბებისა და პირველი სამართლებრივი ძეგლების გამოჩენის გარიჟრაჟზე წარმოქმნილი კანონიერება გახდა თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი თვისება.

კანონიერება – ეს არის სამართლებრივი ცხოვრების სუბიექტების მხრიდან მოქმედი სამართლებრივი ნორმების მკაცრი და განუხრელი განხორციელების მოთხოვნა.

კანონიერების მეტად მნიშვნელოვან ნიშან-თვისებათა შორის შეიძლება დასახელდეს;

- *საყოველთაობა*, რომელიც ვლინდება იმაში, რომ ყველა, ვინც სამართლის ნორმების ფარგლებში მოქმედებს, მოვალეა დაიცვას იგი; არავის შეუძლია მისგან თავის არიდება: არც ცალკე მოქალაქეს, არც თავად სახელმწიფოს, არც მის წარმომადგენლებს;
- კანონიერება წარმოადგენს სამართალშემოქმედებით და სამართალშეფარდებითი სფეროების *სუბიექტების საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნებს (პრინციპებს)*. ამასთან, აუცილებელია ხაზი გავუსვათ, რომ სწორედ საქმიანობის პრინციპებს და არა თავად საქმიანობას.

იურიდიულ მეცნიერებაში ჩამოყალიბდა თვალსაზრისი კანონიერებაზე, როგორც მოვლენაზე, რომელიც ვლინდება სამ თვისებაში: როგორც „საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და მისი შედეგების მონაწილეთა ქცევების (მოქმედებების) სამართლის ნორმებთან (რომელიც გამოხატულია კანონებში, მათზე დაფუძნებული ქვეკანონების ნორმატიულ აქტებსა და სამართლის სხვა წყაროებში) შესაბამისობის პრინციპი, მეთოდი და რეჟიმი“:

- კანონიერება, როგორც *პრინციპი*, გამოცხადებულია, განმტკიცებულია კანონმდებლობაში, როგორც სამართლის ყველა სუბიექტის არსებობისა და საქმიანობის ფუძემდებელი იდეა;
- როგორც *მეთოდი* – სამართლის სუბიექტის ქცევის ყველანაირი ვარიანტი მკაცრად შეესაბამება კანონიერების მოთხოვნებს, რაც მათი საქციელების საფუძველია;

- როგორც განსაკუთრებული რეჟიმი – ეს არის პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალური და ცხოვრების სხვა პირობები, რომლის დროსაც სამართლის შეუფერხებელი განხორციელება და მოვალეობების კეთილსინდისიერი შესრულება არის სახელმწიფოებრივი ორგანოების, მათი თანამდებობრივი პირებისა და მოქალაქეების საქმიანობის პრინციპი.

კანონიერების პრინციპს შეიძლება მივაკუთვნოთ ზოგიერთი იდეა, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოს, პიროვნებისა და საზოგადოების ჰარმონიულ არსებობას და ურთიერთმოქმედებას:

- კანონების უზენაესობა სხვა სამართლებრივ აქტებთან მიმართებაში, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს კანონების დებულებებს, გამოიცეს და გამოყენებულ იქნეს მათი შესრულებისათვის;
- კანონები უნდა განასახიერებდეს ზოგადსაკაცობრიო იდეალებსა და ფასეულობებს;
- კანონები უნდა ასახავდეს კონსტიტუციურად განმტკიცებულ სამართალს, პიროვნების თავისუფლებასა და კანონიერ ინტერესებს, ასევე იძლეოდეს მათი უზრუნველყოფისა და დაცვის გარანტიას;
- კანონების საყოველთაობა, როგორც მათი გაგების ერთიანობა და მათი მოქმედება მთელ ტერიტორიაზე;
- სამართლის ყველა სუბიექტისთვის თანაბარი შესაძლებლობა კანონების გარანტირებულ დაცვაზე მათი უფლებების, თავისუფლებისა და კანონიერი ინტერესების არამართლზომიერი ხელყოფის შემთხვევაში;
- კანონიერებისა და მიზანშეწონილობის დაპირისპირების დაუშვებლობა;
- თავიდან აცილება და აქტიური ბრძოლა სამართალდარღვევების წინააღმდეგ;
- კანონების შესრულებისათვის ეფექტიანი კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანიზაცია.

111. კანონიერების გარანტიები

კანონიერების გარანტიები – ეს არის საორგანიზაციო, ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური ფაქტორებისა და იურიდიული ღონისძიებების განსაზღვრული კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს სამართლის ნორმების შესრულებას, მოქალაქეთა უფლებების და საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვას.

კანონიერების მატერიალური (ეკონომიკური) გარანტიები განისაზღვრება საზოგადოების ეკონომიკური განვითარების მდგომარეობით, ჰარმონიული ურთიერთობებით მრავალწყობიანი ეკონომიკისა და ეფექტიანად მოქმედი საგადასახადო სისტემის ფარგლებში და სხვ.

სოციალური პირობები მდგომარეობს, პირველ რიგში, საწარმოო პროცესში მონაწილე მოქალაქეთა ცხოვრების ღირსეული დონის უზრუნველყოფაში, მოსახლეობის დაუცველი ფენების სოციალური დაცვის ეფექტიანი სისტემის არსებობაში და ა. შ.

კანონიერების *პოლიტიკური* გარანტიები მდგომარეობს იმაში, რომ პოლიტიკური სისტემის ყველა შემადგენელი სტრუქტურა და ცალკეული ელემენტები უნდა იყოს დაინტერესებული კანონიერების რეჟიმის დაცვაში.

კანონიერების *კულტურული* გარანტიები განისაზღვრება სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების და მათი თანამდებობრივი პირების, აგრეთვე მთელი მოსახლეობის საზოგადო პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის დონით.

იდეოლოგიური გარანტიები რეალიზდება სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის საქმიანობისა და არსებული კომერციული და საზოგადოებრივი სტრუქტურების მოწყობის საშუალებით, რაც სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის სისწორის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთია.

სპეციალურ-იურიდიული (სამართლებრივი) გარანტიები ხორციელდება ეფექტიანი კანონმდებლობის შექმნაში, რაც დაფუძნებულია საზოგადოებრივი განვითარების თავისებურებებისა და მეცნიერული რეკომენდაციების (ნორმატიულ-სამართლებრივი გარანტიები) აღრიცხვაზე; კანონიერების დარღვევების თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში (საორგანიზაციო-სამართლებრივი გარანტიები).

112. კანონიერების, მართლწმინდობისა და ღირსეულობის თანაფარდობა

მართლწმინდობა — ეს არის საზოგადოებრივი ურთიერთობების მდგომარეობა (სისტემა), რაც საკანონმდებლო დებულებების ფაქტობრივი განხორციელების შედეგია. მართლწმინდობა — ეს არის საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა მონაწილის მართლზომიერი მოქმედებების მთლიანობა. მართლწმინდობის ნიშან-თვისებებად შეიძლება ჩაითვალოს მისი შემდეგი თავისებურებანი:

- ფორმირების საფუძვლის სამართლებრივი ბუნება;
- მართლწესრიგის ერთიანობა მთელი სახელმწიფოს მასშტაბებში, რაც კლინდება სამართლებრივი მოთხოვნების მთლიანობაში, სტრუქტურულობაში, იერარქიაში;
- სახელმწიფოს მხრიდან მართლწესრიგის გარანტირებაში, რისთვისაც არსებობს საკონტროლო-საზედამხედველო, სასამართლო და სამართალდამცველი ორგანოების რთული სისტემა;
- მართლწესრიგის საზოგადოებრივი კონტროლისადმი მიდრეკილება და მართლწესრიგის სათანადო დონის დაცვაში მისი შესაძლებელი მონაწილეობის უზრუნველყოფა და ა. შ.

კანონიერება და მართლწესრიგი ერთმანეთთან განუწყვეტელ კავშირშია. მართლწესრიგს არ შეუძლია კანონიერების გარეშე არსებობა, ამასთან, მართლწესრიგის დაცვა და განმტკიცება შეიძლება მხოლოდ კანონიერი საშუალებებით.

ჩვენს ცხოვრებაში კანონიერებისა და მართლწესრიგის განსახილველ მოვლენებთან ერთად არსებობს კიდევ ერთი განუყრელი კომპონენტი, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ურთიერთობების ორგანულობასა და ჰარმონიულობას. ეს არის *დისციპლინა*, ე.ი. *აღამიანთა სამართლისა და მორალის ნორმების, კონკრეტული ორგანიზაციის ან საქმიანობის სახეობის მოთხოვნების შესაბამისი ქცევის განსაზღვრული წესი*.

თუკი კანონიერების საფუძველში დევს ყველას მიერ კანონების დაცვის იდეა, მაშინ დისციპლინა – მეტად მრავალგვემიური მოვლენაა და კანონიერება ერთ-ერთ მის კომპონენტად გვევლინება, რამეთუ უმნიშვნელოვანეს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებთან ერთად დისციპლინის შინაარსში შედის მალალი საქმიანი თვისებების შემცველი მორალური ნორმების მოთხოვნები და ა. შ. ეს თავისებურება აისახება მის ისეთ ნაირსახეობაზე, როგორცაა აღმასრულებელი, ტექნოლოგიური, შრომითი, სასწავლო, სამხედრო, ფინანსური (საბიუჯეტო, საგადასახადო, სვალუტო, საკასო), სახელშეკრულებო და დისციპლინის სხვა სახეობანი.

113. უსაფრთხოება, მისი ცნება და სახეობანი

კანონიერება, დისციპლინა და მართლწესრიგი თავის ერთიანობაში ქმნის პირობებს აღამიანის ცხოველმოქმედების ყველა სფეროში უსაფრთხოების საფუძვლების ფორმირებისათვის. უსაფრთხოება წარმოადგენს კანონიერებისა და მართლწესრიგის რეალიზაციისა და არსებობის საბოლოო მიზანს,

ხოლო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმე მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოების სისტემების მკაფიო და მოწესრიგებულ მუშაობაზე. მათ გარდა უსაფრთხოების დაცვაში არცთუ უმნიშვნელო როლს თამაშობენ თავად მოქალაქეები და მათი გაერთიანებები.

უსაფრთხოება – მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს მიმართ რაიმე საშიშროების არარსებობით, ეს არის პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების შიდა და გარეშე საფრთხისაგან დაცვის მდგომარეობა.

უსაფრთხოების ზოგადი მდგომარეობის ფარგლებში ასხვავებენ შემდეგ სახეობებს:

- **საზოგადოების უსაფრთხოება** – სამართალსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან საზოგადოების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების ძირითადი ფასეულობების დაცულობის მდგომარეობა;
- **სახელმწიფოს უსაფრთხოება** – შიდა და გარეშე საფრთხისაგან ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცულობის მდგომარეობა;
- **პიროვნების (მოქალაქის) უსაფრთხოება** – საზოგადოების უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი, რომელიც ემყარება ფუნდამენტურ, ბუნებრივ უფლებებსა და თავისუფლებას, კანონიერ ინტერესებს.

უსაფრთხოების ზოგადი მდგომარეობის ფარგლებში ასეთ მსხვილ ბლოკებთან ერთად ასევე გამოყოფენ შემდეგს:

- **ნაციონალური უსაფრთხოება** – სხვადასხვა სფეროში (ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო თავდაცვის, სოციალური, საოჯახო, ეკოლოგიური, საინფორმაციო და ა. შ.) პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს სამართლებრივი უსაფრთხოების ყველა სახეობის სისტემა შიდა და გარეშე უსაფრთხოების ასპექტში;
- **ეკონომიკური უსაფრთხოება** – სახელმწიფოს მიერ შექმნილი პირობები, რომელიც შიდა და გარეშე ეკონომიკური საფრთხისგან ქვეყნის მეურნეობისათვის გამოუსწორებელი ზარალის მიყენების დაუშვებლობის გარანტიას იძლევა;
- **საინფორმაციო უსაფრთხოება** – საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ავტორიზებული მომხმარებლისათვის მონაცემების მთლიანობისა და ინფორმაციის კონფიდენციალობის მის ხელმისაწვდომობასთან შეთავსებადობას;
- **საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) უსაფრთხოება** – საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) უსაფრთხოება მომხმარებლის სიცოცხ-

ხლისათვის, ჯანმრთელობისათვის, ქონებისათვის მისი გამოყენების, დაცვის, ტრანსპორტირებისა და უტილიზაციის ჩვეულებრივ პირობებში, ასევე სამუშაოს (მომსახურების) შესრულების პროცესის უსაფრთხოება.

თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები

114. სამართლებრივი სისტემების ცნება და მისი სახეობები

სამართლებრივი სისტემა – ეს არის ურთიერთდაკავშირებული, შეთანხმებული და ურთიერთმოქმედი საშუალებების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ასევე ამა თუ იმ ქვეყნის სამართლებრივი განვითარების დონისთვის დამახასიათებელ ელემენტებს.

სამართლებრივი სისტემის ძირითად შემადგენლებს წარმოადგენს სამართლის წყაროების, ასევე სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოების თავისებურებები, რომელთაც აბარიათ სამართალშემოქმედებითი და სამართალშეფარდებითი საქმიანობა. მათთან ერთად ნათლად წარმოაჩენენ თავიანთ თავს სულიერი მსოფლმხედველობრივი ხასიათის მოვლენები, იურიდიული მეცნიერება, სამართლებრივი ცნებები, სამართლებრივი პრინციპები, სამართლებრივი კულტურა, სამართლებრივი პოლიტიკა, მთლიანად სამართალი და მისი გამომხატველი კანონმდებლობა, იურიდიული ტექნიკა და სხვ.

სამართლებრივი სისტემის კლასიფიკაციის რამდენიმე სახეობა არსებობს (განსხვავება ტარდება, ძირითადად, ამა თუ იმ სამართლებრივი სისტემის დანაწევრების გზით). ყველაზე მეტად გავრცელებულია ეროვნული სამართლებრივი სისტემის კლასიფიკაცია – სამართლის (კანონმდებლობის) კონკრეტულ-ისტორიული ერთობლიობა, იურიდიული პრაქტიკა და ცალკე აღებული ქვეყნის გაბატონებული იდეოლოგია. ასევე *სამართლებრივი ოჯახის* ცნება, როგორც ეროვნული სამართლებრივი სისტემების ერთობლიობა ერთი ტიპის სამართლის ფარგლებში, რაც გამოყოფილია მისი ფორმირების, გაბატონებული წყაროების, სამართლის სტრუქტურების, სამართალშეფარდებითი ღონისძიების, იურიდიული მეცნიერების წარმოდგენითი-კატეგორიული აპარატის ისტორიული გზის ერთობის საფუძველზე და სხვ.

გამოიყოფა სამი სამართლებრივი ოჯახის სისტემა, რასაც ახასიათებს სამართლებრივი სისტემების შინაგანი შეფარდებითი ერთიანობა და გააჩნია მსგავსი იურიდიული ნიშან-თვისებები:

- რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახი (კონტინენტალური სამართალი);
- ანგლოსაქსური სამართლის ოჯახი (ზოგადი სამართლის სისტემა);
- რელიგიური და ტრადიციული სამართლებრივი სისტემები.

115. რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემა

რომანულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემას ან კონტინენტალური სამართლის სისტემას, რომელსაც მიეკუთვნება ისეთი ქვეყნები, როგორცაა საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი და სხვა სახელმწიფოები, მათ შორის რუსეთიც, გააჩნია გრძელი ისტორია, რომლის ფესვებიც ღრმდაა გადგმული რომის სამართლის ისტორიაში.

რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემა – ეს არის რომის სამართალზე დაფუძნებული თანამედროვეობის ერთ-ერთი ძირითადი სამართლებრივი სისტემა (ოჯახების), ამიტომ სამართლის უმნიშვნელოვანეს წყაროდ მიიჩნევა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, აღიარებულია ნორმების აბსტრაქტულობა, სამართლის დაყოფა საჯაროსა და კერძოზე, სამართლის სხვადასხვა დარგის გამოყოფა და ა. შ.

რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახი, როგორც მნიშვნელოვანი სამართლებრივი სისტემა, ჩამოყალიბდა XIII ს., რომის სამართლის პრინციპებისა და ტრადიციების ნორმების რეცეფციის საფუძველზე.

კონტინენტალური სამართლებრივი სისტემის ძირითადი თვისებები და ელემენტებია:

- რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახების ყველა ქვეყანაში იურიდიული მეცნიერება აერთიანებს სამართლებრივ ნორმებს ერთსა და იმავე მსხვილ ჯგუფებში; ყველგან გვხვდება სამართლის ფუნდამენტური დაყოფა საჯაროსა და კერძოზე;
- საჯარო სამართალი, როგორც კერძო, რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახების ყველა ქვეყანაში იმლება ერთსა და იმავე ძირითად დარგებად: კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, საერთაშორისო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო, საპროცესო, შრომითი და სხვ.;
- ყველა ამ ქვეყანაში სამართლებრივი ნორმა გაგებულია და ფასდება, როგორც აბსტრაქტული (ზოგადი) დანაწესი, რომელიც დაფუძნებულია მორალისა და სამართლიანობის მოთხოვნებზე, და არა,

როგორც კონკრეტული შემთხვევის (სამართლებრივი პრეცედენტის) გამოხატულება და გადაჭრის საშუალება;

- რომანულ-გერმანული სამართლის ყველა ქვეყანაში სასამართლოები კი არ ქმნის სამართალს, არამედ იყენებს მას;
- სამართლის ძირითადი წყაროებია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, მათ შორის უმნიშვნელოვანესია – კანონები, კონტინენტალური სამართლის ბევრ ქვეყანაში სამართლის ძირითადი სახით მოქმედებს კოდექსები.

116. ზოგადი სამართლის სამართლებრივი ოჯახები (ანგლო-საქსური სამართალი)

რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახების ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც სამართლის წყაროს წარმოადგენს მოქმედებაში მოყვანილი კანონი, ანგლო-საქსური სამართლებრივი ოჯახების ქვეყნებში სამართლის ძირითადი წყაროა მოსამართლეების მიერ ფორმულირებული და სასამართლო პრეცედენტში გამოხატული ნორმა.

ანგლო-საქსური ზოგადი სამართალი – ეს არის სამართლებრივი სისტემის თვითმყოფადი ოჯახი, რომელიც დაფუძნებულია არა აბსტრაქტულად ფორმულირებულ სამართლებრივ სისტემაზე, არამედ ძირითადად ჩვეულებრივ სამართალსა და სასამართლო პრაქტიკაზე (პრეცედენტული სამართალი).

თუკი რომანულ-გერმანულ სისტემაში სამართლის ნორმა (იურიდიული ნორმა) ასახავს და განამტკიცებს სოციალური პროცესების (სიტუაციების) ტიპურობას მათი განმეორადობის შესაბამისად და ხასიათდება განსაზღვრული აბსტრაქტულობით, მაშინ ანგლოსაქსური სამართლის ნორმა არ არის დამუშავებული მეცნიერების ან დადგენილი კანონმდებლობის მიერ, იგი წარმოადგენს კონკრეტულ შემთხვევაზე დაფუძნებულ ქცევის წესს. თუკი რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახების ქვეყნებში ძირითადი წყაროებია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები – კანონი, მაშინ ზოგადი სამართლის ოჯახები – ეს არის ტიპური პრეცედენტული სამართალი. მაშასადამე, სასამართლო პრაქტიკა წარმოადგენს ზოგადი სამართლის პირველ და ძირითად წყაროს. თანაც, ქვემდგომი სასამართლოები მისდევენ უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებებს. ამასთან ერთად, ანგლოსაქსურ ქვეყნებში ბოლო დროს იზრდება ნორმების როლი, რომელიც გამოცემულია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ და მოქმედებს სასამართლო პრეცედენტებთან (სტატუტის სამართალი) ერთად.

117. რელიგიურ-ტრადიციული სამართლებრივი სისტემები

რელიგიურ-ტრადიციული სამართლებრივი სისტემები — ეს არის რეგულირების ისეთი სისტემები, რომელშიც იურიდიული ელემენტები, მნიშვნელოვანწილად, არსებობს ჯერ კიდევ პირველდაწყებით მდგომარეობაში, რომელიც დაკავშირებული იყო ტრადიციული საზოგადოების რეგულირებად ფორმებთან — რელიგიურ დოგმებთან, სწავლებებთან, ტრადიციებთან, ადათ-წესებთან და ა.შ. ასეთი სისტემებისათვის დამახასიათებელია წმინდა ტექსტების უცილობელი ავტორიტეტი და რელიგიური (საკულტო) დადგენილებების უზენაესობა.

მუსლიმანური სამართალი ჩამოყალიბებულია არაბეთის ხალიფატში VII–X საუკუნეებში და დაფუძნებულია მუსლიმანურ რელიგიაზე — ისლამზე. მისი ამოსავალი წერტილია ის, რომ არსებული სამართალი ალაჰიდან მოვიდა, რომელმაც იგი ადამიანს გაუშხილა თავისი წინასწარმეტყველის მუჰამედის საშუალებით. ალაჰის სამართალი ერთხელ და სამუდამოდ მიეცა ადამიანს, ამიტომ საზოგადოებამ უნდა იხელმძღვანელოს ამ სამართლით და მუდმივად ცვალებადი სოციალური პირობების გავლენით არ შექმნას თავისი. მუსლიმანური სამართალი ჩამოყალიბდა მისი მრავალრიცხოვანი განმმართველების ძალისხმევით და მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს და არა მხოლოდ იმას, რომელიც ჩვეულებრივ განეკუთვნება სამართალს (მარხვები, ლოცვები). დასავლეთის გაგებით კანონი მუსლიმანური მართლშეგნებით არ არსებობს. მხოლოდ ღმერთს აქვს საკანონმდებლო ძალაუფლება.

მითითებანი მორწმუნეებისთვის — შარიათი (ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც მიდევნების გზა) შედგება ორი ნაწილისგან: რჯულის პრინციპები (აკიდი) და კერძო სამართლებრივი მოთხოვნები (ფიკხი). ფიკხი ან მუსლიმანური სამართალი მიუთითებს, თუ როგორ უნდა მოიტკეცს მართლმორწმუნე თავისდაგვარებისა და ალაჰის მიმართ.

შარიათის ძირითადი წყაროებია ყურანი (წმინდა წიგნი, რომელიც ალაჰის გამონათქვამებს შეიცავს, რაც მიმართულია მისი ერთ-ერთი უკანასკნელი წინასწარმეტყველის მუჰამედის მიმართ), სუნა (ტრადიციული წესების კრებული, რომელიც დაფუძნებულია მუჰამედის საქციელებსა და გამონათქვამებზე, იჯმა (დიდი სწავლული-ისლამისტების გამონათქვამები, რომლებიც ყურანის დებულებებს აკონკრეტებენ), კიასი (ყურანისა და სუნას განმარტებები, რომელსაც კანონიერი ზოგადსავალდებულო ხასიათი აქვს).

ინდუსტრების სამართალი ტრადიციული სამართლის ნათელი მაგალითია. იგი მსოფლიოში უძველესია. ეს არის თემის სამართალი, რომელიც არაფორმალურად იყო განპირობებული, როდესაც საზოგადოების კასტურ სტრუქტურას ჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი. გავრცელებულია უფრო მეტად ინდოეთში, პაკისტანში, ბირმაში, სინგაპურში, მალაიზიაში, აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროს ქვეყნებში (ტანზანიაში, უგანდაში, კენიაში).

ინდუიზმი, როგორც ისლამი, ავალდებულებს თავის მიმდევრებს ირწმუნონ, რომ ადამიანები დაბადებისთანავე იყოფიან სოციალურ და იერარქიულ კატეგორიებად, ყოველ მათგანს გააჩნია უფლებებისა და მოვალეობების თავისი სისტემა. ვლინდება ძირითადად საქორწილო-საოჯახო, მემკვიდრეობით და სხვა ურთიერთობებისას.

ინდუსტრების სამართლის უმნიშვნელოვანესი მატერიალური წყაროებიდან შეიძლება დასახელდეს ველები და ღვარამასტები.

აფრიკული ჩვეულებრივი სამართალი წარმოადგენს ჯგუფის ან გაერთიანებების სამართალს და არა ინდივიდების სამართალს. ასეთი დამახასიათებელი თვისება ვლინდება ჩვეულებრივი სამართლის თითქმის ყოველ დარგში.

ზაზი უნდა გაესვას ზებუნებრივ როლს ტრადიციულ სამართალში. სასამართლო პროცედურებში ეს ფაქტორი ვლინდება ძირითადად იმაში, რომ ჭეშმარიტების გამოსარკვევად აიძულებდნენ დაფიცებას და უწყობდნენ გამოცდას „ღმერთის სამსჯავროთი“ (ორდალიები). სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებენ შერიგების ცნებაზე ან ჰარმონიის აღდგენაზე დაყრდნობით.

118. სოციალისტური სამართლებრივი ოჯახი

სოციალისტური სამართალი — ეს არის საბჭოთა რუსეთის (სსრკ) დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემა, რომელიც წარმოიქმნა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმაც შეითვისეს. ეს სამართალი განსხვავდება სხვა სამართლებრივი სისტემებისგან სახელმწიფო საკუთრების ბატონობით წარმოების საშუალებებზე, პოლიტიკური მოწყობის განსაკუთრებული სისტემით, სადაც დომინირებს კომუნისტური იდეოლოგია, უარყოფილია საჯაროსა და კერძო სამართალს შორის სხვაობა, ასევე სამართლის — როგორც ძალის კონცეფციით, რომელიც განაპირობებს კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბებას.

„სოციალისტურ ბანაკში“ შემავალი ქვეყნების სამართლებრივი სისტემები მიეკუთვნებოდა რომანულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემას.

იგი ახლაც ინარჩუნებს ზოგიერთ მის თვისებას. სამართლის ნორმა (იურიდიული ნორმა) აქ მუდამ განიხილებოდა და განიხილება, როგორც ქცევის ზოგადი წესი. მნიშვნელოვანწილად, შემორჩენილია საკანონმდებლო სისტემა, სამართლის სისტემა, იურიდიული მეცნიერების ტერმინოლოგია. ეს თვისებები ევროპული სამართლის მსგავსია და რომის სამართლიდან გამოდინარეობს.

ამასთან, კონტინენტალურ სისტემასთან ყველანაირი მსგავსების მიუხედავად, სოციალიზმის სამართლებრივ სისტემას გააჩნდა არსებითი თავისებურებანი, რომელიც განპირობებული იყო ნათლად გამოხატული *კლასობრივი ხასიათით*. „სოციალისტურ ბანაკში“ შემაჯავლ ევროპის, აზიისა და ლათინური ამერიკის სოციალისტურ სამართლებრივ სისტემაზე არსებით გავლენას ახდენდა პირველი სამართლებრივი სისტემა — საბჭოთა. ამიტომ, ეროვნული სამართლებრივი სისტემები (ჩინეთი, კუბა, ჩრდილოეთ კორეა) ახლაც ითვლება სოციალისტური სამართლის ნაირსახეობად.

სამართლებრივი სახელმწიფო

119. სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება, პრინციპები და წინა პირობები

სამართლებრივი სახელმწიფო — პოლიტიკური ძალაუფლების ისეთი ორგანიზაციაა, რომელიც ქმნის პირობებს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების უფრო მეტად სრული უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე სამართლებრივი კანონების დახმარებით არ უშვებს ბოროტმოქმედებას თავად სახელმწიფოს მხრიდან.

სამართლებრივ სახელმწიფოში უფლებები და თავისუფლება არა მხოლოდ გამოცხადებულია, არამედ არსებობს კიდევ ფაქტობრივი პირობები და იურიდიული მექანიზმები მათი რეალიზაციისათვის (განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფო დაწესებულებების ეფექტიანი და ჩამოყალიბებული მუშაობა, ცხოველმოქმედი საბაზრო მოწყობა, ადამიანთა ცხოვრების ღირსეული დონის უზრუნველყოფა, მათი თავისუფალი განვითარება, პიროვნების, მისი ქონების, საკუთრების უსაფრთხოება, დარღვეული უფლებებისა და თავისუფლების აღდგენის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობა და ა.შ).

სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთი პრინციპი, როგორც *სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთპასუხისმგებლობა*, მუდამ იმართება იმაში,

რომ სახელმწიფო იძლევა ადამიანთა უფლებების შესრულების გარანტიას მთელი იურიდიული და იდეოლოგიური საშუალებებით; პიროვნების პასუხისმგებლობაში მიცემისას სახელმწიფომ ყოველმხრივ უნდა გაითვალისწინოს საქმის ვითარება და მკაცრად მოახდინოს პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზება; პიროვნებას უფლება აქვს სახელმწიფოსგან მოითხოვოს თავისი უფლებების რეალიზაციის უზრუნველყოფა და შეუძლია მიმართოს დასახმარებლად მისი დაცვის ან აღდგენის მიზნით; უფლებების დაუცველობის ან მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს გააჩნია რეალური შესაძლებლობა პასუხისმგებლობაში მისცეს დამრღვევი.

პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო და პიროვნება კი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს, არამედ უნდა იყვნენ პარტნიორები, რომელთაც გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ უფლებები და მოვალეობები, ორმხრივი იურიდიული პასუხისმგებლობა; სახელმწიფოში იურიდიულად უნდა იყოს განსაზღვრული მოქალაქისა და სახელისუფლებო სტრუქტურების საქმიანობისა და ქცევის წესი; ამასთან, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა მკაცრად უნდა ემორჩილებოდეს პრინციპს „ნებადართულია ის, რაც გათვალისწინებულია პირდაპირ კანონით“ ან „აკრძალულია ყველაფერი, რაც დაუშვებელია“, ხოლო მოქალაქეთა საქმიანობა – „ნებადართულია ყველაფერი, რაც პირდაპირ არ არის აკრძალული კანონით“.

ძალაუფლების გაყოფა და თავშეკავებისა და საპირისპირო მექანიზმის არსებობა – ეს არის სახელმწიფოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი. საქ. კონსტიტუციის მიხედვით საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების მთელი ერთობლიობა ერთმანეთთან თავიანთი უფლებამოსილების ჰარმონიული გაწონასწორების მდგომარეობაშია.

სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის აუცილებელ წინა პირობას უნდა მივაკუთვნოთ შემდეგი პირობები:

- *ეკონომიკური* (საკუთრების მრავალსახეობა, ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეთა თანასწორობა, ხალხის კეთილდღეობის მუდმივი ზრდა);
- *სოციალური* (თვითრეგულირებადი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა თავისუფალ მოქალაქეებთან ერთად; მოსახლეობის სოციალური დაცვა);
- *სამართლებრივი* (ადამიანთა პოლიტიკური და სამართლებრივი შეგნების მაღალი დონე; პიროვნების მიმართ ძალადობისა და თვითნებობის გამორიცხვა; მართლმსაჯულების სამართლიანობა; პიროვნების

უფლებებისა და თავისუფლების პრიორიტეტი, მტკიცე მართლწესრიგი საზოგადოებაში);

- *ზნეობრივი* (საზოგადოებაში მტკიცე საფუძვლები ჰუმანიზმის, სამართლიანობის, თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლების დასაბამია) და სხვ.

120. პიროვნების უფლება, თავისუფლება, მოვალეობები და მისი სამართლებრივი სტატუსი

სუბიექტის სამართლებრივი სტატუსი ყველაზე ზოგადი სახით განიხილება, როგორც პირის იურიდიულად განმტკიცებული მდგომარეობა საზოგადოებაში, რაც განსაზღვრულ სისტემაში გამოხატავს მის უფლებას, თავისუფლებასა და მოვალეობებს.

პიროვნების (ადამიანის) უფლება – ეს არის პიროვნების ყოფის განსაზღვრული „თვისება და თავისებურებანი“, რაც სახელმწიფოს მხრიდან მინიმალურად გარანტირებული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა ერთმანეთთან ურთიერთობისას წარმოადგენს მათი ცხოვრების აუცილებელ საშუალებებსა და პირობებს.

ადამიანთა თავისუფლება – ეს მისი უფლებაა „ბუნებისგან ბოძებული“, რაზეც სახელმწიფო და საზოგადოება უნდა იყოს ორიენტირებული და მაქსიმალურად უზრუნველყოს და ყველანაირად დაიცვას იგი.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების ყველაზე სხვადასხვანაირი ასპექტი განმტკიცებულია მოცემულ მომენტში ადამიანთა უფლებების შესახებ შექმნილ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში. წარმოადგენს რა „ადამიანისა და მოქალაქის ზოგადად აღიარებული უფლებებისა და თავისუფლების“ წყაროებს, თავის ერთობლიობაში იგი განამტკიცებს ადამიანის უფლებების უნივერსალურ სტანდარტს. ასეთ აქტებს, კერძოდ, მიეკუთვნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წ.), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (1966 წ.), აგრეთვე ევროპული კონვენცია სასტიკი და არაადამიანური ან ადამიანის ღირსების დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თაიდან აცილების შესახებ (1984 წ.). ჰელსინკის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლების ვენის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ (1989 წ.) და სხვ.

მოქალაქეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს *ომბუდსმენის* ინსტიტუტი – ისეთი სახელმწიფოებრივი თანამდევ-

ბობა, რომლის განხორციელების მიზანია მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების სახელმწიფო დაცვის გარანტიის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობრივი პირების მხრიდან მისი დაცვა და პატივისცემა.

კონსტიტუციურ ვალდებულებებს მიეკუთვნება: კონსტიტუციისა და კანონის დაცვა, სხვა პირების უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა, მამულის დაცვა, გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა, ბუნებისა და გარემოს მიმართ ფრთხილი დამოკიდებულება, ბავშვებისა და არაშრომისუნარიანი მშობლების მიმართ მზრუნველობა, ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე ზრუნვა და სხვ.

პიროვნების სამართლებრივი სტატუსის ელემენტებია *მოქალაქეობა*, როგორც სახელმწიფოს მიმართ ადამიანის იურიდიულად აღიარებული კუთვნილება, რაც გამოხატავს მის ურთიერთობას სახელმწიფოსთან ერთმანეთის უფლებების, თავისუფლების, პასუხისმგებლობის საშუალებით.

სამართლებრივი სტატუსი გეთავაზობს მართლსუბიექტურობას, როგორც პირის უნარს დამოუკიდებლად ჰქონდეს სუბიექტური უფლებები, თავისუფლება, უფლებამოსილება და ვალდებულებები (სამართალუნარიანობა), თავისი მოქმედებებით განახორციელოს იგი (ქმედუნარიანობა) და გააჩნდეს პასუხისმგებლობა ისეთ ქცევაზე, რომელიც არღვევს სამართლის ნორმების მოთხოვნებს (დელიქტოუნარიანობა).

ამრიგად, პიროვნების სამართლებრივი (იურიდიული) სტატუსი შეიძლება განისაზღვროს, როგორც იურიდიული ნორმების ერთობლიობა, რასაც განამტკიცებს პიროვნების უფლებები, თავისუფლება და ვალდებულებები (მოქალაქის, უცხოელის, მოქალაქეობის გარეშე პირის) საზოგადოების, სახელმწიფოსა და სხვა ფიზიკურ პირთა მიმართ და იმავდროულად ამ უკანასკნელთა უფლებები და მოვალეობები მოცემული პიროვნების მიმართ.

121. სამართლებრივი სტატუსის სახეობები

ასხვავებენ სამართლებრივი სტატუსის რამდენიმე სახეობას:

- *ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციურ-სამართლებრივი (ზოგადი) სტატუსი* – ეს არის სახელმწიფოს კონსტიტუციაში განმტკიცებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებისა და მოვალეობების ერთობლიობა. ზოგადი სამართლებრივი სტატუსი ყველასათვის წარმოადგენს საბაზოსა და ერთიანს და ამიტომ

ზასიათდება სტატიკურობით და სტაბილურობით, იცვლება მხოლოდ კანონმდებლის ორგანოს ნებით;

- *სპეციალური (გვარეობითი) სამართლებრივი სტატუსი* – განსაზღვრული კატეგორიის სუბიექტების უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობა (პენსიონერების, ინვალიდების, სახელმწიფო მოსამსახურეების, სამხედრო მოსამსახურეების და ა. შ.). გვარეული სტატუსი ეფუძნება ყველასათვის საერთო უფლებებისა და თავისუფლების ერთობლიობას, მაგრამ დამატებით შეიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების კონკრეტული სფეროსათვის შესაბამის უფლებებს, მოვალეობებსა და შეღავათებს;
- *პიროვნების ინდივიდუალურ-სამართლებრივი სტატუსი* – ეს არის კონკრეტული ინდივიდის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც გამოხატავს მხოლოდ მისთვის კუთვნილი უფლებებისა და მხოლოდ მასზე დაკისრებული ვალდებულებების ერთობლიობას. ამა თუ იმ სამართლებრივი სიტუაციის თავისებურებებიდან გამომდინარე დამოკიდებულია სქესზე, ასაკზე, განათლებაზე, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ა. შ.

სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო

122. სამოქალაქო საზოგადოება: ცნება და ნიშან-თვისებები

სამოქალაქო საზოგადოება – ეს არის ნებაყოფლობითი, არასახელმწიფოებრივი ინსტიტუტებისა და საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სულიერ ცხოვრებაში ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც გამოხატავს და იცავს ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის პლურალისტურ ინტერესებს, მოთხოვნებსა და ფასეულობებს; ეს არის მოქალაქეთა თვითშემოქმედებისა და თვითრეალიზაციის სფერო მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხებისა და პრობლემების გადაჭრის, თავიანთი განუყრელი უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მიზნით.

სამოქალაქო საზოგადოების სპეციფიკურ ნიშნებსა და იმ საბაზო იდეებს, რაზედაცაა დაფუძნებული, წარმოადგენს შემდეგი თვისებები:

- საზოგადოების ყველა წევრის თანასწორუფლებიანობა მისი ცხოვრების ყველა სფეროში და თანასწორობა პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ და სხვა ურთიერთობებში;

- ეკონომიკის მრავალწილობადობა (საკუთრების ფორმების, პირველ რიგში), საბაზრო ურთიერთობები, თავისუფალი შრომა და პროფესიის ამორჩევა, საცხოვრებელი ადგილი;
- უპირობო აღიარება, ადამიანისა და მოქალაქის უფლებების განმტკიცება, მექანიზმების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების სამართლებრივ დაცვასა და დაცულობას;
- პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტების არსებობა;
- პოლიტიკური და იდეოლოგიური პლურალიზმი, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ არა მხოლოდ თავიანთი ინტერესების რეალიზაცია და საშუალებების გამოვლენა, არამედ ამისათვის შექმნან სხვადასხვაგვარი საკუთარი გაერთიანებებიც კი.
- სიტყვის, ბეჭდვის თავისუფლება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამოუკიდებლობა;
- ხელისუფლების ლეგიტიმურობა, საზოგადოების პოლიტიკური და კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტაბილურობა;
- სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის მყარი საფუძვლების არსებობა;
- მოქალაქეთა კერძო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩაურევლობა, სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთპასუხისმგებლობის რეალიზაციის მკაფიო მექანიზმის არსებობა;
- საზოგადოებაში მრავალი სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა (სტრატები) და გაერთიანების არსებობა ყველაზე განსხვავებული საფუძვლებისა და ინტერესების მიხედვით;
- სახელმწიფოსაგან ავტონომიური და მისი ჩარევისაგან კანონით დაცული ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა;
- სახელმწიფოს საკმაოდ ეფექტიანი სოციალური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა ცხოვრების საკადრის დონეს და სხვ.

123. სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა

სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა – ეს არის საზოგადოების შიდა მოწყობა, რომელიც ასახავს მათი შემადგენლების მრავალსახეობასა და ურთიერთმოქმედებას, რასაც უზრუნველყოფს განვითარების მთლიანობა და დინამიზმი. თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურას შეადგენს

სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სულიერ-კულტურული და ინფორმაციული სისტემები.

- *სოციალური სისტემა* წარმოგვიდგება, როგორც სოციალური ჯგუფების, კლასების, ეთნოსების, ერების, ხალხებისა და ა. შ. ერთობლიობა: ადამიანი (ინდივიდი, პიროვნება); ოჯახი; სხვადასხვა სოციალური ჯგუფი (შემოქმედებითი კავშირები, პროფკავშირები, დიასპორისები, ინვალიდები, სტუდენტები და სხვ.); ადამიანთა გაერთიანებები (რელიგიური და საზოგადოებრივი წარმონაქმნები, პოლიტიკური პარტიები) და სხვ. ცხოვრების პროცესში ადამიანს შეუძლია სამოქალაქო საზოგადოების (სტრატე) ერთი კატეგორიიდან გადავიდეს მეორეში. თითოეული მათგანის ინტერესები უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფომ, ამით იქმნება სოციალური წონასწორობა, გარკვეული კომპრომისი;
- *ეკონომიკური სისტემა* შედგება ეფექტიანი საბაზრო საფუძვლებისგან; საკუთრების ინსტიტუტის სახეობრივი სხვადასხვაობისგან; საწარმოო პროცესებისგან; ეკონომიკური ურთიერთობებისგან (წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოთხოვნა); სხვადასხვა სახის სამეურნეო სუბიექტებისგან;
- *პოლიტიკური სისტემა* – ეს არის სახელმწიფოებრივი, პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლიობა; მთლიანად სამართალი; პოლიტიკური ურთიერთობები, ნორმები და ა.შ.
- *სულიერ-კულტურული სისტემა* – ეს არის ინსტიტუტებისა და ურთიერთობების ერთობლიობა საინფორმაციო, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროში (განათლება, კულტურა, აღზრდა, შემოქმედება, რელიგია და მათი გამასაშუალებელი ინსტიტუტები);
- *საინფორმაციო სისტემა* – ეს არის ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება ადამიანთა ერთმანეთთან კონტაქტის შედეგად უშუალოდ და მასობრივი ინფორმაციის საშუალებით: საზოგადოებრივი, მუნიციპალური და კერძო ორგანიზაციები, დაწესებულებები, საწარმოები, ასევე მოქალაქეები და მათი გაერთიანებები, რომლებიც აზორციელებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმოებასა და გამოშვებას.

124. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიმართობა

სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის არის განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი, რომელთა სიმტკიცეც წინასწარ არის განსაზღვრული ინსტიტუტების მსგავსი და განმასხვავებელი მახასიათებლების არსებობით:

- სამოქალაქო საზოგადოება, როგორც სახელმწიფო, წარმოიქმნება კაცობრიობის განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პერიოდის პროცესში;
- სახელმწიფოში ჭარბობს მართვისა და დაქვემდებარების ვერტიკალური სისტემა (სახელმწიფო ორგანოების იერარქია), ხოლო სამოქალაქო საზოგადოებაში – მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებების კავშირებისა და ურთიერთობების ჰორიზონტალური სისტემა, მაგრამ თუკი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა დაფუძნებულია კანონზე, მაშინ სამოქალაქო საზოგადოების ცხოველმოქმედება – თანხმობასა და მოლაპარაკებებზე, საყოველთაო თავისუფლების დამცავ თანასწორობის დაუწერელ წესებზე (მაგალითად, ეგრეთ წოდებულ „ოქროს წესზე“: „მოიქციე ისე, როგორც შენ გინდა მოგექცინენ“);
- სახელმწიფო არეგულირებს საჯარო ინტერესების სფეროს, სამოქალაქო საზოგადოება – კერძო თავისუფლების, კერძო ინტერესების სფეროს.

სახელმწიფო წარმოადგენს საჯარო ძალაუფლების ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა გაერთიანებების ჰარმონიულ და სტაბილურ განვითარებას. ამისათვის მას თავად საზოგადოებისგან მინიჭებული აქვს უფლება შექმნას ყველა მისი წევრისთვის ქცევების საერთო წესები – სამართლის ნორმები, რომლის რეალიზაციაც (ისევე და ისევე საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე) გარანტირებულია სახელმწიფოებრივი იძულების ძალით. სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს მხოლოდ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი მზრუნველობა, რომელზეც დამოკიდებულია თავად საზოგადოების არსებობა: დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, სუბიექტების მიერ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლების რეალიზაციის უფრო მეტი ხელშემწყობი პირობების შექმნა, საზოგადოება წარმოადგინოს საერთაშორისო ურთიერთობებში და სხვ. სამოქალაქო საზოგადოება ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფოზე დემოკრატიული ინსტიტუტების საშუალებით (წარმომადგენლობითი და უშუალო): საზოგადოებრივი აზრი, პოლიტიკური პლურალიზმი და სხვ.; იგი აიძულებს სახელმწიფოს შექმნას ადამიანის უფლებებსა და თავისუფ-

ფლების აღიარებაზე დაფუძნებული კანონმდებლობა, იყოს გახსნილი თავის მოქმედებებში (თანამდებობის პირთა ანგარიშგება და პასუხისმგებლობა, სამართალწარმოების საჯაროობა და ა. შ.).

სახელმწიფოს, სამართლისა და ეკონომიკის ურთიერთმოქმედების კანონზომიერებანი

125. სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთობაზე სამართლის წმინტმედება

სახელმწიფოს, სამართლისა და ეკონომიკის ურთიერთმოქმედების მთავარი საკითხი — ეს არის *ეკონომიკაზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედების მექანიზმისა და ხარისხის შესახებ* საკითხი. იმის მიხედვით, თუ რამდენად ეფექტიანად გამოიყენება ასეთი ზემოქმედების სამართლებრივი მექანიზმი, დამოკიდებულია თვით სახელმწიფოს კეთილდღეობა, ქვეყნის ეკონომიკა.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების საქმეში სამართლის სოციალური დანიშნულების განხილვა შეიძლება სამართლისა და კანონმდებლობის ცალკეული დარგების მაგალითზე, რომელიც აქტიურადაა ჩართული ამ პროცესის მონაწილეობაში.

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს მრავალ დებულებას, რომელიც ასე თუ ისე ეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, მათ საფუძვლებს (სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციის მხარდაჭერასა და ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების თაობაზე; მეწარმეობაზე თითოეულის უფლებისა და კანონით არააკრძალული სხვა ეკონომიკური საქმიანობის თაობაზე, გარდა საქმიანობისა, რომელიც მიმართულია მონოპოლიზაციასა და არაკეთილსინდისიერ კონკურენციაზე; კერძო საკუთრების დაცვასა და მის დაცვაზე უფლების თაობაზე; შრომის თავისუფლების თაობაზე; გადასახადების გადახდის თაობაზე მოქალაქის ვალდებულებაზე და სხვ.).

ძირითადი კანონის დეკლარაციული დებულება კონკრეტდება სხვა ნორმატიულ აქტებში, რომელიც ახდენს ყველაზე განსხვავებული სფეროებისა და სამართლებრივი ურთიერთობების რეგლამენტირებას.

საკუთრივ *კანონმდებლობა მეწარმეობის შესახებ* განმსჭვალულია ურთიერთობის მონაწილეთა მაქსიმალური თავისუფლებისა და ფართო უფლებების იდეებით, სანამ კანონიერ ჩარჩოებში იმყოფება. სუბიექტებს მიეკუთვნება მოთხოვნები: კანონებისა და ხელშეკრულებებისგან გამომდი-

ნარე ვალდებულებების შესრულება; შრომითი ხელშეკრულებების დადება დაქირავებულ მუშაკებთან, მათთან ანგარიშსწორება სრულად საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, ყველა სახის დაზღვევის განხორციელება დაქირავებულ მუშაკებთან, მათი შრომითი პირობების უზრუნველყოფა კანონმდებლობისა და კოლექტიური ხელშეკრულებების შესაბამისად, სახელისუფლებო ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულება ინვალიდებისა და სხვა ქმედუნარიანობა შეზღუდული პირების სოციალური დაცვის თაობაზე; გადასახადების შემოსავლებისა და გადახდის თაობაზე დეკლარაციის თავისდროული წარმოდგენა; გაკოტრების შესახებ განაცხადის გაკეთება კრედიტორების წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

საგადასახადო კანონმდებლობა ადგენს და რეგლამენტირებას უკეთებს: ამა თუ იმ გადასახადის გადამხდელების ნუსხას; გადასახადის ოდენობასა და შეღავათებს გადასახადების დაფარვის შესახებ; გადახდის, შემოსავლების სახეობებს, რომელიც ექვემდებარება გადასახადის დაფარვას; ფინანსურ ორგანოებში გადასახადების გადამხდელთა რეგისტრაციის წესს; პასუხისმგებლობას გადასახადების გადახდისგან თავის არიდებაზე და ა.შ.

სოციალური კანონმდებლობა – ეს არის კანონმდებლობა სოციალური უზრუნველყოფის, დატვირთულობის, ჯანდაცვის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, აგრეთვე საბინაო და ეკოლოგიური კანონმდებლობის ნაწილის შესახებ. სოციალური სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დარგები: შრომითი, საპენსიო, სადაზღვევო და სხვ.

შრომითი კანონმდებლობა – ეს არის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სამუშაოს მიმცემებსა და მუშაკებს შორის ურთიერთობას, და საწარმოო (შრომითი) კონფლიქტების გადაჭრის წესი.

საპენსიო კანონმდებლობა მთლიანად ეძღვნება შრომისუუნარო მოსახლეობის მატერიალურ უზრუნველყოფას. აქ სამართალმა უნდა მოაწესრიგოს ჩამოყალიბების მექანიზმი და საპენსიო ფონდების გასავალი.

განათლების, ჯანდაცვის, საცხოვრებლის შესახებ კანონმდებლობა არსებობს ეკონომიკური და სოციალური საწყისების, როგორც ფასიანი და უფასო, დაპირისპირების შესაბამისად.

ეკონომიკურ ურთიერთობებში ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს *სამართალდამცველი კანონმდებლობა*. იგი გამოიხატება მატერიალურ (სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალი) და საპროცესო დარგებში (სისხლის სამართლის, სამოქალაქო და საარბიტრაჟო პროცესი). კერძოდ, მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდე-

ბლობა ორიენტირდება მესაკუთრეების კანონიერი ინტერესების დაცვაზე, კეთილსინდისიერი კონკურენციის დაცვაზე, მომხმარებლის უფლებათა ინტერესების დაცვაზე.

126. პოსტრახტოთა ძველებში, მათ შორის საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების წიგნიერი პრობლემა

გასული საუკუნის 90-იან წლებში პოსტსაბჭოურ ქვეყნებში გარკვეული დაბნეულობის შემდეგ, საქართველოს წინაშე განისაზღვრა რიგი მნიშვნელოვანი ამოცანები, რომელთა რიცხვშიც შეიძლება დასახელდეს შემდეგი:

- შიდა და გარე საერთო (მთელი ქვეყნისთვის) ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება;
- წარმოქმნილი საბაზრო ურთიერთობების სამართლებრივი უზრუნველყოფა; ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტების წრისა და სტატუსის განსაზღვრა;
- სოციალური პოლიტიკისა და მოსახლეობის ინტერესების დაცვის ქმედითი საშუალებების შემუშავება;
- კრიმინალური მეთოდებისა და სამეურნეო და კომერციული ურთიერთობების წარმოების საშუალებების აკრძალვა და აღკვეთა;
- სამამულო წარმოების განვითარებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნა, მისი დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან, მონოპოლიზმისა და საზღვარგარეთის კაპიტალის მოძალეობისგან;
- დაძაბული ყურადღების მიპყრობა არარენტაბელური, მაგრამ საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სფეროების მიმართ, როგორცაა ტრანსპორტი, ენერგეტიკა, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა;
- სამართალდამცველი სტრუქტურებისა (დამნაშავე ელემენტებთან შეზრდის დაუშვებლობა) და არმიის შენარჩუნება;
- პრივატიზაციის გონივრული მექანიზმის შემუშავება; მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრულის შემდგომი გაზრდის დაუშვებლობა;
- მოსახლეობის დატვირთულობის უმწვავესი პრობლემის გადაჭრა და სხვ.

ნორმატიული აქტები

საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. საქართველოს სისხლის სამართლის-საპროცესო კოდექსი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი. საქართველოს კოდექსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ. საქართველოს შრომითი კოდექსი. საქართველოს საოჯახო კოდექსი.

გამოყენებული ლიტერატურა

ალექსევი ს.ს. სამართლიდან გამომდინარე. ძიებანი და გადაწყვეტილებანი. მ.: ნორმა, 2001.

ბაბაევი ვ.კ., ბარანოვი ვ.მ., ტოლსტიკი ვ.ა. სამართლის სახელმწიფოს თეორია სქემებსა და განსაზღვრებებში. მ., იურისტი, 2002.

ვენგეროვი ა.ბ. სახელმწიფოს და სამართლის თეორია: სახელმძღვანელო იურიდიული უმაღლესი სასწავლებლებისათვის. მე-3 გამოც. მ.: იურისპრუდენცია, 2000.

ვლასოვი ვ.ი. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია: სახელმძღვანელო უმაღლესი იურიდიული სასწავლო დაწესებულებებისა და ფაკულტეტებისათვის. როსტოვი .: „ფენიქსი“, 2002.

გოიმანი-ჩერვონიუკი ვ.ი. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ნარკვევი. მ.: 1996.

ივანოვი ა.ა. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. ძირითადი კატეგორიები და ცნებები:

ლექსიკონი-ცნობარი. მე-2 გამოც., სტერეოტიპი. მ.: „ეკზამენი“, 2007.

ივანოვი ა.ა. რომის სამართალი: ძირითადი ცნებები, კანონები და სარჩელები, პერსონალიები და სენტენციები. მ.: „გამომცემლობა „ეკონომიჩესკოე ობრაზოვანიე“, 2008.

მოკლე იურიდიული ლექსიკონი. მ.: ინფრა-მ, 2003.

ლაზარევი ვ.ვ., ლიპინი ს.ვ. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის. მ.: „სპასკი, 1998.

ლიუბაშიცი ვ.ი., მორდოვეკი ა.ი., ტიმოშენკო ი.ვ. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია: დამხმარე სახელმძღვანელო. როსტოვი: მარტი, 2002.

- მალაზოვი ვ.პ.* სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები /სამართლის ფილოსოფიის კონცეფცია: მეცნ. გამოც/ვ.პ. მალაზოვი. მ.: იუნიტი-დანა, 2007.
- მარჩენკო მ.რ.* სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები: სახელმძღვანელო. მ.: პროსპექტი, 2001.
- მატუზოვი ნ.ი., მღვკო ა.ვ.* სახელმწიფოსა და სამართლის თეორია: სახელმძღვანელო. მ.: „იურისტი“, 2002.
- ნერესიანი ვ.ს.* სამართლისა და სახელმწიფოს ზოგადი თეორია: სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის. მ.: „ნორმა“, 2001.
- სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია: სახელმძღვანელო ი.ვ. ლაზარევის რედაქციით. მე-3 გამოც. დამუშავებული და შევსებული. მ.: „იურისტი“, 2002.
- სამართლის ზოგადი თეორია: ლექციების კურსი / პროფ. ვ.კ. ბაბაევის რედაქციით. ნოვგოროდი, 1993.
- საზოგადოებათმცოდნეობა: სასწავლო კურსი უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის / დ.ი. ლუკოვსკისა და ებ. ხოხლოვის რედაქციით. მე-5 გამოც. დამუშავებული და შევსებული. 2004.
- ოქსაძიტი ვ.ვ.* სახელმწიფოსა და სამართლის თეორია: სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის. მ.: „იმპე-ფაბლიში“, 2004.
- სახელმწიფოს და სამართლის თეორიის პრობლემები: დამხმარე სახელმძღვანელო / მ.ნ. მარჩენკოს რედაქციით. მ.: „იურისტი“, 2002.
- რადკო ტ.ნ.* სახელმწიფოსა და სამართლის თეორია: სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის. მ.: „იუნიტი-დანა“, კანონი და სამართალი, 2004.
- სემიონოვი ვ.ი.* სახელმწიფოსა და სამართლის თეორიები. კითხვები და პასუხები. დამხმარე სახელმძღვანელო. მ., 2002.
- სახელმწიფოსა და სამართლის თეორია: სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის / პროფ. მ.მ. რასოლოვის რედაქციით. მე-2 გამოც. დამუშავებული და შევსებული. მ.: „იუნიტი-დანა“, კანონი და სამართალი, 2004.
- სახელმწიფოსა და სამართლის თეორია: სახელმძღვანელო / ვ.კ. ბაბაევის რედაქციით. მ.: „იურისტი“, 1999.
- სახელმწიფოსა და სამართლის თეორია / ვ.პ. მალაზოვის, ვ.ნ. კაზაკოვის რედაქციით. მ.: ეკატერინბურგი: აკადემიური პროექტი; საქმიანი წიგნი, 2002.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია: სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის / ვ.მ. კორელსკის, ვ.დ. პერევალოვის რედაქციით. მე-2 გამოც. მ.: „ნორმა“, 2002.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია: დამხმარე სახელმძღვანელო. ლექციების კურსი სქემებსა და განსაზღვრებებში / ლ.ვ. სმირნოვის რედაქციით. მ.: „კნიფნი მირ“, 2004.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია: ლექციების კურსი / მ.ნ. მარჩენკოს რედაქციით. მ., 2000.

ბროპანიუკი ვ.ნ. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია: დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის / პროფ. ვ.გ. სტრეკოზოვის რედაქციით. მე-2 გამოც. შვესებული და შესწორებული. მ., 2002.

ჩერდანცევი ა.ვ. სახელმწიფოს სამართლის თეორია: მ.: „იურისტი“, 2001.

ჩირკინი ვ.ე. სახელმწიფოთმცოდნეობა: სახელმძღვანელო მე-2 გამოც. შესწორებული და შვესებული, მ.: „იურისტი“, 2000.

წინასიტყვაობა	5
სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საგანი, ფუნქციები და მეთოდოლოგია	6
1. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ცნება და საგანი	6
2. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ფუნქციები	8
3. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეთოდოლოგია	9
4. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ადგილი სხვა დანარჩენ ოურიდიულ მეცნიერებათა შორის	13
სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა	14
5. სახელმწიფოს წარმოშობის ზოგადი კანონზომიერებანი	14
6. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში სახელმწიფოების წარმოშობის თავისებურებანი	17
7. სამართლის წარმოშობის თავისებურებანი	18
8. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ძირითადი თეორიები ...	20
სახელმწიფო და საზოგადოების პოლიტიკური სისტემა	24
9. სახელმწიფოს ცნება და ნიშანთვისებანი	24
10. სახელმწიფოს სახეობები, არსი და სოციალური დანიშნულება	24
11. სახელმწიფოს თანამედროვე თეორიები	26
12. საზოგადოებისა და სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა	27
სახელმწიფოების ტიპოლოგია	29
13. სახელმწიფოების ტიპოლოგიის ცნება	29
14. ფორმაციული მიდგომა სახელმწიფოების ტიპოლოგიის მიმართ.....	30
15. ცივილიზებული მიდგომა სახელმწიფოების ტიპოლოგიის მიმართ ...	32
სახელმწიფოს ფორმა	34
16. სახელმწიფოს ფორმის ცნება და სახეობები	34
17. მმართველობის ფორმა: ცნება და სახეობები	35
18. სახელმწიფოს წყობილების ფორმირების ცნება და სახეობები	37
19. პოლიტიკური რეჟიმის ცნება და სახესხვაობები	40
სახელმწიფოს ფუნქციები	42
20. სახელმწიფოს ფუნქციები: ცნება და ნიშან-თვისებები	42
21. სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების ფორმები და მეთოდები	42
22. სახელმწიფოს ძირითადი შიდა ფუნქციები	44
23. სახელმწიფოს ძირითადი საგარეო ფუნქციები	46
სახელმწიფოს მექანიზმი (აპარატი)	47
24. სახელმწიფო მექანიზმის (აპარატის) ცნება	47
25. სახელმწიფო მექანიზმის (აპარატის) სტრუქტურა	48

26. სახელმწიფო ორგანოების სახეობები	50
27. სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპები	52
სამართალი მისი ცნება და პრინციპები. სამართალგაგება	54
28. სამართლის ცნება, ნიშნები და თვისებები	54
29. სამართლის პრინციპები და აქსიომები	56
30. სამართლის სოციალური როლი და ფუნქციები	58
31. თანამედროვე სამართალგაგების თავისებურებები (სამართლის თეორიები)	60
საზოგადოებრივი ურთიერთობების ნორმატიული რეგულირების სისტემა	63
32. ნორმატიული რეგულირების სისტემის ცნება და ელემენტები	63
33. ნორმები და ჩვევები	64
34. რელიგიური ნორმები	65
35. კორპორაციული ნორმები	66
36. მორალური და ეთიკური ნორმები	66
37. პოლიტიკური ნორმები	67
38. ტექნიკურ-სამართლებრივი ნორმები	68
სამართლის ფორმა (წყაროები)	69
39. სამართლის ფორმის (წყაროების) ცნება	69
40. სამართლებრივი ჩვეულება, როგორც სამართლის ფორმა (წყარო)	70
41. სამართლებრივი პრეცედენტი, როგორც სამართლის წყარო	72
42. სამართლებრივი ლოქტრინა, როგორც სამართლის წყარო	73
43. ნორმატიული ხელშეკრულება	74
44. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, როგორც სამართლის ფორმა (წყარო)	74
ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები: მათი სახეობები და მოქმედება	76
45. კანონები, როგორც ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სახეობა	76
46. ქვეკანონები, ნორმატიული აქტები	77
47. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების დროში მოქმედება	79
48. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოქმედება სივრცეში	80
49. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოქმედება პიროვნებათა წრის მიხედვით	81
სამართალშემოქმედება	82
50. სამართალშემოქმედების ცნება და პრინციპები	82
51. სამართალშემოქმედების სახეობები	83
52. სამართალშემოქმედების სტადიები (საკანონმდებლო პროცესი)	84
53. კანონების ცოდნის პრეზუმცია	85
54. იურიდიული ტექნიკა	85
55. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტემატიზაცია და მათი აღრიცხვა	88

56. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების აღრიცხვა	90
სამართლის ნორმები	91
57. იურიდიული ნორმების ცნება და ნიშან-თვისებები (სამართლის ნორმები)	91
58. იურიდიული ნორმების სახეობები	92
59. იურიდიული ნორმის სტრუქტურა	95
60. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის სამართლის ნორმებისა და მუხლების თანაფარდობა	96
61. იურიდიული ნორმის ეფექტიანობა	98
სამართლის ნორმის რეალიზაცია სამართალშეფარდება	98
62. სამართლის ნორმების რეალიზაციის ცნება და სახეობები	98
63. სამართლის ნორმების გამოყენება: ცნება და ნიშან-თვისებები	100
64. სამართლის ნორმების სტადიები	101
65. სამართალშეფარდებითი საქმიანობის პრინციპები	102
66. სამართლის ნორმების გამოყენების აქტები, მათი სახეობები და მათი წაყენებული მოთხოვნები	102
67. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტისა და სამართლის ნორმების გამოყენების აქტის თანაფარდობა	103
სამართლის ნორმების ახსნა	104
68. სამართლებრივი ნორმების ახსნის ცნება და მისი მნიშვნელობა	104
69. სამართლებრივი ნორმების ახსნის სახეობები და ხერხები	105
70. ხარვეზები სამართალში და იურიდიული ანალოგია	108
71. სამართლის ნორმების ახსნა იურიდიული ნორმების კოლიზიის დროს	109
სამართლებრივი ურთიერთობანი	109
72. სამართალურთიერთობის ცნება, წინაპირობები და ნიშან-თვისებები	109
73. სამართალურთიერთობის სტრუქტურა (მისი სუბიექტი და ობიექტი)	110
74. სამართალურთიერთობის შინაარსი: სუბიექტური უფლებანი და იურიდიული მოვალეობანი	114
75. სამართალურთიერთობების სახეობები	114
იურიდიული ფაქტები	116
76. იურიდიული ფაქტების ცნება და ნიშან-თვისებანი	116
77. იურიდიული ფაქტების სახეობები: მოქმედებები, შემთხვევები, ვადები, პრეზუმციები, ფიქციები და მდგომარეობები	116
78. იურიდიული ფაქტების სახეობები შედეგების ხასიათის მიხედვით	119
79. ფაქტობრივი (იურიდიული) შემადგენლობა (რთული იურიდიული ფაქტი)	120
სამართლის სისტემა და კანონმდებლობის სისტემა	121

80. სამართლის სისტემა: ცნება, ძირითადი ნიშან-თვისებანი და ელემენტები	121
81. სამართლის დარგები და ქვედარგები: ცნება და სახეობები	122
82. სამართლის ინსტიტუტები და სუბინსტიტუტები: ცნება და ნიშან-თვისებანი და სახეობანი	124
83. სამართლის სისტემებისა და კანონმდებლობის სისტემების თანაფარდობა	125
სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი	126
84. სამართლის მოქმედება, სამართლებრივი ზემოქმედება, სამართლებრივი რეგულირება	126
85. სამართლებრივი რეგულირების საგანი და მეთოდები	127
86. სამართლებრივი რეგულირების სახეობანი	129
87. სამართლებრივი საშუალებანი: ცნება და სახეობანი	130
88. სამართლებრივი შეზღუდვები და სტიმულები	131
89. სამართლებრივი რეჟიმი და სამართლებრივი პოლიტიკა	132
90. სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ცნება, ელემენტები და სტადიები	132
მართლშეგნება და სამართლებრივი კულტურა	133
91. მართლშეგნების ცნება და ფუნქციები	133
92. მართლშეგნების სტრუქტურა და დონეები	134
93. მართლშეგნების სახეობანი	135
94. სამართლებრივი კულტურა, სამართლებრივი აღზრდა და სამართლებრივი სოციალიზაცია	136
95. იურიდიული მსოფლმხედველობა და სამართლებრივი ნიჰილიზმი ..	138
სამართლებრივი და მართლზომიერი ქცევა	139
96. სამართლებრივი ქცევა: ნიშან-თვისებები, თავისებურებანი და სახეობები	139
97. მართლზომიერი ქცევა: ცნება, ნიშან-თვისებები და სოციალური განპირობებულობა	140
98. სამართლის სუბიექტების მართლზომიერი ქცევის ფორმირების მექანიზმი	141
99. მართლზომიერი ქცევის სახეობანი	142
100. სამართლებრივი ქცევის სასაზღვრო სახეობანი	143
სამართალდარღვევა	144
101. სამართალდარღვევის ცნება და ნიშან-თვისებები, მისი სოციალური და სამართლებრივი არსი	144
102. სამართალდარღვევის იურიდიული შემადგენლობა	145
103. სამართალდარღვევათა სახეობები	148
104. სამართალდარღვევის ჩადენის მიზეზები და პირობები	151
იურიდიული პასუხისმგებლობა	152

105. იურიდიული პასუხისმგებლობის ცნება, ნიშან-თვისებები და საფუძვლები	152
106. იურიდიული პასუხისმგებლობის დარგობრივი ინსტიტუტები	153
107. იურიდიული პასუხისმგებლობის მიზნები, მისი ფუნქციები და პრინციპები	156
108. იურიდიული პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველი და მისი გამოპრიცხავი გარემოებები	158
109. იურიდიული პასუხისმგებლობის და სახელმწიფოებრივი იბულების სხვა ზომების თანაფარდობა	158
კანონიერება, მართლწესრიგი და დისციპლინა	160
110. კანონიერების ცნება და პრინციპები	160
111. კანონიერების გარანტიები	161
112. კანონიერების, მართლწესრიგისა და დისციპლინის თანაფარდობა ..	162
113. უსაფრთხოება, მისი ცნება და სახეობანი	163
თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები	165
114. სამართლებრივი სისტემების ცნება და მისი სახეობები	165
115. რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემა	166
116. ზოგადი სამართლის სამართლებრივი ოჯახები (ანგლო-საქსური სამართალი)	167
117. რელიგიურ-ტრადიციული სამართლებრივი სისტემები	168
118. სოციალური სამართლებრივი ოჯახი	169
სამართლებრივი სახელმწიფო	170
119. სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება, პრინციპები და წინა პირობები	170
120. პიროვნების უფლება, თავისუფლება, მოვალეობები და მისი სამართლებრივი სტატუსი	172
121. სამართლებრივი სტატუსის სახეობები	173
სამოქალაქი საზოგადოება და სახელმწიფო	174
122. სამოქალაქო საზოგადოება: ცნება და ნიშან-თვისებები	174
123. სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა	175
124. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობა	177
სახელმწიფოს, სამართლისა და ეკონომიკის ურთიერთმოქმედების კანონზომიერებანი	178
125. სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთობაზე სამართლის ზემოქმედება	178
126. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების ზოგიერთი პრობლემა	180
ბიბლიოგრაფია	181
სარჩევი	184

სახელმძღვანელო

ა.ა. ივანოვი, ნ. დარბაიძე

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია

გამომცემლობა „სამართლიანი საქართველო“
მისამართი: ქ. თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. №45
ტელეფონი: 42-12-07 / 42-12-08

მთავარი რედაქტორი ნოდარ ერიაშვილი
რედაქტორი: სერგო ბარამიძე
მენეჯერი: ანა კლდესელი 8(93) 28-00-29
გამომცემლობა „იუნიტი-დანა“

გენერალური დირექტორი ვ. ნ. ზაქაიძე

Учебник

А.А. Иванов, Н. Дарбаидзе

Теория государства и права

ИЗДАТЕЛЬСТВО «СПРАВЕДЛИВАЯ ГРУЗИЯ»

Адрес: г. Тбилиси 0177, пр. Важа-Пшавела №45
Т/Факс: 42-12-07 / 42-12-08

Главный редактор Н. Д. Эриашвили
Редактор: С. И. Барамидзе
Менеджер: А. З. Клдеисели 8(93) 28-00-29

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЮНИТИ-ДАНА»
генеральный директор В. Н. Закаидзе

„სახელმწიფო არის კაცობრიობის საერთო საცხოვრისის ყველაზე სრულყოფილი და ყველაზე ყოვლისმომცველი ფორმა, ხოლო სამართალი ის წესრიგია რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს სახელმწიფო საცხოვრისის ცხოვრება“.

კ.პ. ხვოსტოვი

„სამართალი სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალების ბრძოლის რეზულტატია – მათი ურთიერთზემოქმედების რთული პროდუქტი. ასახავს რა თავის თავზე ამ ბრძოლისა და ურთიერთზემოქმედების კვლებს, ის არასდროს არ შეიძლება იყოს არც მკაცრად ლოგიკური, არც მთლიანად სრულყოფილი“.

პ.ი. ნოველორდცევი

28.00



www.unity-dana.ru

